

K 202.370  
3

საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
საქართველოს

ქათააღმწერელი  
ასწლოვანი  
მაგვიანე

საქართველოს  
საბავშვო ლიტერატურის  
საქართველოს



საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია



საქართველოს ისტორიის წყაროების კომისია

ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის  
ინსტიტუტი

საქართველოს ისტორიის წყაროები

48





ქართული

საინჟინერო მშენებლობის

ძეგლები

VI



«მეცნიერება»

ქამთააღმწერელი

ასწლოვანი მაგნიანი

ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და  
ლექსიკონი დაურთო

რევაზ კიკნაძე



თბილისი

1987

(ს.გ.წ.) 12-14 (001) + 902 (ცენტ)



63.3/(2 Γ)  
შ 24

1) ქახუცი ლისცხის მწერისა და ჯიშის  
2) სქიზოფრენის ისტორიის წყაროები 13-14/1

მთავარი სარედაქციო კოლეგია:

შ. ძიძიგური (მთავარი რედაქტორი), მ. აბაშიძე, ზ. ალექსიძე,  
რ. კიკნაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი,  
გ. ნადარეიშვილი, თ. ყაუხჩიშვილი, ვ. ძიძიგური,  
ე. ხოშტარია, გ. ჯიბლაძე

სერიის რედაქტორი რ. კიკნაძე  
ტომის რედაქტორი ზ. სარჯველაძე

რეცენზენტები: ისტორიის მეცნ. დოქტორი ზ. ალექსიძე,  
ისტორიის მეცნ. კანდიდატი თ. ენუქიძე

წიგნში იბეჭდება შუა საუკუნეთა ქართული ისტორიული მწერ-  
ლობის ერთ-ერთი საუკეთესო ძეგლის, XIV საუკუნის უსახელო  
ისტორიკოსის, ჟამთაღმწერლის, „ასწლოვანი მათიანის“ კრიტიკუ-  
ლი ტექსტი გამოკვლევით, შენიშვნებით, ლექსიკონითა და საძიებ-  
ლებით.

ჟამთაღმწერლის თხზულება საყურადღებო წყაროა XIII—XIV  
ს-ის დამდეგის საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების ისტორი-  
სათვის.

072.202.370  
3

სსრკ მწერის  
სსრკ მწერის  
გამომცემლობა

სსრკ-2000  
გამომცემლობა

0505010000

შ M 607 (06) — 87

© გამომცემლობა „მეცნიერება“, 1987

საქართველოს ისტორიის წყაროების  
კომისიის გამოცემები

1. შაჰ-თამაზის საუბარი ოსმალეთის ელჩებთან. სპარსული ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, თარგმნა, შენიშვნები და წინასიტყვაობა დაურთო კ. ტაბატაძემ. თბ., 1976.

2. აბრაამ ერევანცი. ომების ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1976.

3. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში. წიგნი I, ნაკვ. IV. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთუჩიძემ. თბ., 1977.

4. სტეფანოს ორბელიანის „ცხოვრება ორბელიანთა“-ს ძველი ქართული თარგმანები. ქართულ-სომხური ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და საძიებლები დაურთო ე. ცაგარეიშვილმა. თბ., 1978.

5. გ. აბრამიშვილი. სტეფანოზ მამფალის ფრესკული წარწერა ატენის სიონში. თბ., 1977.

6. ზ. ალექსიძე. ატენის სიონის სომხური წარწერები. თბ., 1978.

7. ტბეთის სულთა მატიანე. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ენუქიძემ. თბ., 1977.

8. სომხურ ხელნაწერთა ანდერძების ცნობები საქართველოს შესახებ (XIV—XV სს.). ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, კომენტარები და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ. თბ., 1978.

9. „სამყაროს საკვირველებათა“ ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა რ. კიკნაძემ. თბ., 1978.

10. ქათიბ ჩელების ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქულიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1978.

11. Яков Цуртавели. Мученичество Шушаник. Перевод В. Д. Дондуа. Введение и примечания З. Н. Алексидзе. Тбилиси, 1978.

12. Памятник эриставов. Перевод, исследование и примечания С. С. Какабадзе. Тбилиси, 1979.

13. Сумбат Давитис-дзе. История и повествование о Багратионах. Перевод, введение и примечания М. Д. Лордкипанидзе. Тбилиси, 1979.

14. მუსტაფა ნაიმა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ., 1979.

15. ზაქარია აგულეცი. დღიური. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1979.

16. ჩილდირის ეიალეთის ჯაბა დავთარი. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით გამოსაცემად მოამზადა ც. აბულაძემ, გამოკვლევა დაურთო მ. სვანიძემ. თბ., 1979.

17. არსენი საფარელი. განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზ. ალექსიძემ. თბ., 1980.

18. ბერძენი მწერლების ცნობები საქართველოს შესახებ, IV. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1980.

19. ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, I. აღმოსავლეთ და სამხრეთ საქართველო (V—X სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1980.

20. ქართული წარწერების კორპუსი. ლაპიდარული წარწერები, II. დასავლეთ საქართველოს წარწერები (IX—XIII სს.). შეადგინა და გამოსაცემად მოამზადა ვ. სილოგავამ. თბ., 1980.

21. ცხოვრება საქართველომსა (პარიზის ქრონიკა). ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო გ. ალასანიამ. თბ., 1980.

22. Законы Вахтанга VI. Перевод, введение, примечания, глосарий и указатели Д. Л. Пурцеладзе. Тбилиси, 1980.

23. კ. კოხისა და ო. სპენსერის ცნობები საქართველოს და კავკასიის შესახებ. გერმანულიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო ლ. მამაცაშვილმა. თბ., 1981.

24. ისქანდერ მუნში. აბასის ქვეყნის დამამშვენებელი ისტორიის გაგრძელება. ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტს გამოკვლევა, ქართული თარგმანი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ნ. გელაშვილმა. თბ., 1981.



25. პ ა პ უ ნ ა ო რ ბ ე ლ ი ა ნ ი. ამბავნი ქართლისანი. ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი, საძიებლები დაურთო ე. ცაგარეი-შვილმა. თბ., 1981.

26. XV საუკუნის იტალიელ მოგზაურთა ცნობები საქართველოს შესახებ. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებ-ლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა. თბ., 1981.

27. გ. ო თ ხ მ ე ზ უ რ ი. XII—XIII საუკუნეების მიჯნის ქართუ-ლი ლაბიდარული წარწერები როგორც საისტორიო წყარო. თბ., 1981.

28. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, V. ძველი ბერძნუ-ლიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩი-შვილმა. თბ., 1983.

29. Летопись Картли. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая. Тбилиси, 1982.

30. ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, IX—XIII სს. შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა. თბ., 1984.

31. გეორგიევსკის ტრაქტატი. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, შესავალი და შენიშვნები დაურთო გ. პაიჭაძემ. თბ., 1983.

32. ოსმალური დოკუმენტური წყაროები ანაკლიისა და რუხის ციხეების შესახებ. თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავ-ლით, ტერმინოლოგიური ლექსიკონით, ფაქსიმილეებითა და საძიებ-ლებით მოამზადა ნ. შენგელიამ. თბ., 1982.

33. თ ე ი მ უ რ ა ზ ბ ა გ რ ა ტ ი ო ნ ი. ახალი ისტორია. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლ. მი-ქიაშვილმა. თბ., 1983.

34. Источниковедческие разыскания, 1979. Тбилиси, 1984.

35. ზ. ს ხ ი რ ტ ლ ა ძ ე. საბერეების ფრესკული წარწერები. თბ., 1985.

36. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, I. ლეონტი მროველი. ცხოვრება ქართველთა მეფეთა. არჩილის წამება. შემდგენ-ლები: მ. კვაჭაძე, ნ. ნატრაძე, ზ. სარჯველაძე, მ. ჩხენკელი, თ. ხაყო-შია. თბ., 1986.

37. მ ო ვ ს ე ს კ ა ლ ა ნ კ ა ტ უ ა ც ი. ალვანთა ქვეყნის ისტორია. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ლ. დავლიანიძემ. თბ., 1985.

38. დ ე გ რ ა ი დ ე ფ უ ა საქართველოს შესახებ. ფრანგულიდან თარ-გმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ჯ. ოდიშელმა. თბ., 1985.



39. Жизнь царицы цариц Тамар. Перевод и введение В. Д. Дондуа. Исследование и примечания М. М. Бердзნიшвили. Тбилиси, 1985.

40. Источниковедческие разыскания, 1982. Тбилиси, 1985.

41. იოანე ბაგრატიონი. ქართლ-კახეთის აღწერა. ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თ. ენუქიძემ და გ. ბედოშვილმა. თბ., 1986.

42. „ქართლის ცხოვრების“ სიმფონია-ლექსიკონი, II. ჯუანშერი. ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა. შემდგენლები: ა. სარჯველაძე, ზ. სარჯველაძე, თ. ხაჯომია. თბ., 1986.

43. Джуаншер Джуаншеряни. Жизнь Вахтанга Горгасала. Перевод, введение и примечания Г. В. Цулая. Тбилиси, 1986.

44. Уложение Георгия V-го Блистательного. Подготовка грузинского текста, русский перевод, введение, примечания, глоссарий, указатели Д. Л. Пурцеладзе (в производстве).

45. თურქეთ-სპარსეთის ომი და ქრისტიანი ქართველები. იტალიურიდან თარგმნა, შესავალი, შენიშვნები და საძიებლები დაურთო ე. მამისთვალიშვილმა. თბ., 1987.

46. ბერძენი მწერლები საქართველოს შესახებ, VI. ძველი ბერძნულიდან თარგმნა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო თ. ყაუხჩიშვილმა. თბ., 1987.

47. თოვმა მეწოფეცი. ისტორია თემურ-ლენგისა და მისი შთამომავლობისა. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და კომენტარები დაურთო კ. კუციამ. თბ., 1987.

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქამთაღმწერელი - და მისი „ასწლოვანი მატიანე“ . . . . .	10
ქამთაღმწერელი. ასწლოვანი მატიანე. ტექსტი . . . . .	37
შენიშვნები . . . . .	221
ზოგიერთი აღმოსავლური სიტყვის განმარტება . . . . .	240
«Столетняя летопись» грузинского анонимного историка XIV века. Резюме . . . . .	244
“The Chronicle of One Hundred Years” by a Georgian Anonymous 14th- century Historian. Summary . . . . .	247
საძიებლები . . . . .	251

## ჟამთააღმწერელი და მისი „ასწლოვანი მახიანე“

„ქართლის ცხოვრების“ ძველი რედაქციის ე. წ. „მცხეთური“ ციკლის<sup>1</sup> ნუსხებში თამარის პირველი ისტორიკოსის თხზულების შემდეგ მოთავსებულია ვრცელი ნაწარმოები (მარიამისეულ ნუსხაში მას უჭირავს 722—932 გვერდები), რომელშიც მოთხრობილია საქართველოს ისტორია გიორგი IV ლაშას ტახტზე ასვლიდან 1317 წლამდე. თხზულების ავტორი, ისევე როგორც მისი სათაური და შედგენისა და „ქართლის ცხოვრების“ კრებულში შეტანის დრო, უცნობია და ამ საკითხებთან დაკავშირებით ქართულ ისტორიოგრაფიაში სხვადასხვა ვარაუდებია გამოთქმული.

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანის დროს თხზულებას მოაკვეცეს შესავალი და მთელი დასაწყისი ნაწილი, რომელშიც მოცემული იქნებოდა თხრობა წინანდელ მეფეთა მოღვაწეობის შესახებ<sup>2</sup>. ბუნებრივია, რომ მაშინ უნდა დაკარგულიყო ნაწარმოების სათაური<sup>3</sup> და მისი ავტორის სახელიც. გამოთქმულია აგრეთვე მოსაზრება, რომ ეს თხზულება, ისევე როგორც „ცხოვრება მეფეთ მეფისა დავითისა“, საგანგებოდ დაიწერა „ქართლის ცხოვრებისათვის“, როგორც თამარის პირველი ისტორიკოსის „ისტორიათა და აზმათა“ გაგრძელება და, ამდენად, ცვლილებები არ უნდა განეცადა „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანის დროს<sup>4</sup>.

<sup>1</sup> ყველა ეს ნუსხა, სახელდობრ, მარიამისეული, 1697 წლისა და მაჩაბლისეული, ე. წ. „მცხეთური ქართლის ცხოვრებიდან“ მომდინარეობს და დაახლოებით ერთნაირ ტექსტს შეიცავს (იხ. ს. კაკაბაძე, „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტექსტოლოგიური შესწავლის საკითხები. — მაცნე, ისტორიის სერია, 1977, № 2, გვ. 49—50). ამავე თხზულების ძველი რედაქციის ტექსტს შეიცავს აგრეთვე თეიმურაზისეული ნუსხა, რომელიც ნაწილობრივ (თამარის ცხოვრების ნახევრამდე) არის რედაქტირებული ვახტანგის კომისიის მიერ.

<sup>2</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, — თხზულებანი, ტ. VIII, თბ., 1977, გვ. 248—249.

<sup>3</sup> არსებობს შეხედულება რომ შუა საუკუნეთა ქართულ ისტორიოგრაფიაში, XVIII საუკუნემდე, საერთოდ არ არსებობდა თხზულებათა დასათაურების ტრადიცია (Г. Г. Аласаниа. Классификация грузинских письменных исторических источников. Тб., 1986, с. 124).

<sup>4</sup> Р. К. Кикнадзе. Очерки по источниковедению истории Грузии. Тб., 1980, с. 37, 39; რ. კიკნაძე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის სა-

იმის გამო, რომ ტექსტში შემონახული არ არის არავითარი მინიშნება, ივ. ჯავახიშვილს არ უცდია თხზულების სავარაუდოდ დასათაურება. მან მხოლოდ ის აღნიშნა, რომ „ჩვენი ავტორი ისტორიასა და ისტორიის წერას „ქამთა-ალმწერლობას“ ვძახის“, რაც შეიძლება ბერძნულ „ხრონოგრაფიას“ უდრიდეს<sup>5</sup>. ამავე ცნობის საფუძველზე პ. ინგოროყვამ თხზულების სათაურად ივარაუდა „ქამთა-ალმწერლობა“ (ხრონოგრაფია)<sup>6</sup>, ზოგი სხვა ავტორი კი რუსულ ენაზე გამოქვეყნებულ ნაშრომებში მას უწოდებს „ხრონოგრაფიას“ (Хронография), „ხრონოგრაფს“ (Хронограф) და „ხრონიკას“ (Хроника)<sup>7</sup>.

თ. ჟორდანიამ ჯერ კიდევ გასული საუკუნის მიწურულს საკმაოდ მარჯვედ დაასათაურა ეს თხზულება და „ასწლოვანი მატიანე“ უწოდა მას<sup>8</sup>. სამწუხაროდ, თ. ჟორდანიას ეს ნაშრომი დიდი დაგვიანებით, მხოლოდ 1967 წელს გამოქვეყნდა, როცა უკვე საფუძვლიანად ფეხმოკიდებული იყო შეხედულება თხზულების უსათაურობის თაობაზე. ამ გარემოებამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ახალი სათაურის გავრცელება ისტორიოგრაფიაში. ამავე დროს, ეს მოხდენილი სათაური თითქმის ზუსტად ასახავს ფაქტობრივ ვითარებას. მართლაც, თხზულებაში გადმოცემულია საქართველოს ისტორია ასზე ცოტა მეტი ხნისა. ქართველ მეცნიერთ (ივ. ჯავახიშვილი, კ. კეკელიძე, ნ. ბერძენიშვილი) არაერთხელ აღუნიშნავთ, რომ ეს სწორედ ასი წლის ისტორიაა<sup>9</sup>.

რა თქმა უნდა, „ასწლოვანი მატიანე“ სრულიად პირობითი სათაურია, ისევე როგორც პირობითია „მატიანე ქართლისა“ და „ძველი

კითხები, I. თბ., 1982, გვ. 25, 27. ასეთ შემთხვევაში, ბუნებრივია, თხზულების ავტორისეულ დასათაურებაზე საუბარიც ზედმეტად გამოიყურება.

<sup>5</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 249.

<sup>6</sup> პ. ინგოროყვა. რუსთველიანა. — თხზულებათა კრებული, I. თბ., 1963, გვ. 118—119.

<sup>7</sup> В. Н. Г а б а ш в и л и. Грузинская историография. — В кн.: Очерки истории исторической науки в СССР, I. М., 1955, с. 144—145. М. Д. Л о р д-к и п а н и д з е. Картлис цховреба. — Советская историческая Энциклопедия, т. 7. стб. 76; она же. Сумбат Давитис-дзе и его историческое сочинение. — В кн.: Сумбат Давитис-дзе. История и повествование о Багратионах. Тб., 1979, с. 10. Г. В. Ц у л а я. Грузинская книжная легенда о Чингисхане. — Советская этнография, 1973, № 5; она же. Грузинский «Хронограф» XIV в. о народах Кавказа. — Кавказский этнографический сборник, т. VII. М., 1980.

<sup>8</sup> თ. ჟორდანი. კრიტიკული გარჩევა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილისა. — წიგნში: ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, III. თბ., 1967, გვ. 563—567.

<sup>9</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 245, 255; კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II. თბ., 1958, გვ. 301; ნ. ბერძენიშვილი. საქართველოს ისტორიის საკითხები, IX. თბ., 1979, გვ. 201.





ერისთავთა“, ანდა „ცხოვრება მეფეთ მეფისა თამარისი“ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. ეს პირობითი დასათაურებანი საჭიროა იმისათვის, რომ გაადვილდეს ისტორიულ წყაროთა გამოყენება და ციტირება. ჩვენ საჭიროდ ვცანით გაგვეზიარებინათ. ჟორდანიას მიერ შემოთავაზებული სათაური<sup>10</sup> და წინამდებარე გამოცემაშიც „ასწლოვანი მატიანე“ ვუწოდეთ თხზულებას. ეს უთუოდ ხელს შეუწყობს სათაურის უფრო სწრაფად დამკვიდრებას ისტორიოგრაფიაში.

თხზულების ავტორის ვინაობასთან დაკავშირებით ასევე რამდენიმე ვარაუდია გამოთქმული. თ. ჟორდანიას ფიქრობდა, რომ სამცხის გამგებელმა სარგის ჯაყელმა თვითონ დაწერა თხზულების პირველი ნაწილი, დაახლოებით 1285 წლამდე, ხოლო მისმა ვაჟმა და მემკვიდრემ, ბექამ — მეორე ნაწილი. ბექას გარდაცვალების შემდეგ (1306 წ.) „ასწლოვანი მატიანე“ ხელში ჩაუვარდა ვიღაც ვარძიელ წინამძღვარს თუ ბერს, რომელმაც შეავსო და გააგრძელა თხრობა. ეს უნდა მომხდარიყო, თ. ჟორდანიას ვარაუდით, გიორგი V-ისა და კათალიკოს ექვთიმეს ზეობის პერიოდში, დაახლოებით, 1310—1320 წლებში<sup>11</sup>.

მ. ჯანაშვილმა მონღოლთა ბატონობის ხანის თხზულების ქრონოლოგიური ჩარჩო 1222—1289 წლებით განსაზღვრა, მის ავტორად კი ცნობილი ქართველი მოღვაწე აბუსერიძე ივარაუდა<sup>12</sup>.

ივ. ჯავახიშვილმა ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ანონიმი ავტორი ისტორიას და ისტორიის წერას ეამთაღმწერლობას ეძახის, ხოლო ისტორიკოსს — ეამთაღმწერელს. ამის გამო მკვლევარმა პირობითად „ეამთაღმწერელი“ შეარქვა მას, ხოლო რუსულად XIV საუკუნის ქართველ ანონიმურ ისტორიკოსს უწოდებდა<sup>13</sup>. ეს პირობითი სახელი ერთხმად გაიზიარა და თითქმის საკუთარ სახელად აქცია

<sup>10</sup> Р. К. Кикнадзе. Очерки по источниковедению истории Грузии, с. 46; რ. კიკნაძე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I, გვ. 58—59.

<sup>11</sup> თ. ჟორდანია. კრიტიკული გარჩევა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილისა, გვ. 577—584.

<sup>12</sup> მ. ჯანაშვილი. ქართველთა მატიანე, 1903, გვ. 12, 27; М. Г. Джанашивили. Картлис цховреба — Жизнь Грузии. — Сборник материалов для описания местностей и племен Кавказа, т. XXXV. Тифлис, 1905. с. 124—125, 143.

<sup>13</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 249; И. А. Джавахишвили. Об одном анонимном грузинском историке XIV века. — თხზულებანი, VIII. იბ. აგრეთვე: Б. Я. Владимирцов. Анонимный грузинский историк XIV века о монгольском языке. — Известия Российской АН, VI серия, № 17. Петроград, 1917.

ქართულმა ისტორიოგრაფიამ. იქამდეც კი მივიდა საქმე, რომ ზოგჯერ რუსულში უცვლელად გადააქვთ ის (Жамтагмцерели).

3. ინგოროყვამ და კ. გრიგოლიამაც გამოთქვეს თავიანთი აზრი თხზულების ავტორის ვინაობის გამო. კერძოდ, პ. ინგოროყვას აზრით, ანონიმი დიდგვარიან ფეოდალთა, თორელების, საგვარეულოს ეკუთვნოდა და მმართველ წრეებთან დაახლოებული პირი იყო. თხზულების დაწერის დროისათვის ის ბერად შემდგარი ჩანს, შესაძლებელია, ოპიზის მონასტერში<sup>14</sup>. კ. გრიგოლიას მიხედვით, თხზულების ავტორი სასულიერო პირი იყო, მაღალ სამღვდელოებას ეკუთვნოდა და მაწყვერელი ან, უფრო, ოპიზარ-მაწყვერელი უნდა ყოფილიყო<sup>15</sup>.

ამ ბოლო დროს ვ. კიკნაძემ განიხილა „ასწლოვანი მატიანის“ ცნობები მონღოლთა ურდოში დაბარებულ დიმიტრი II-ის თანხლებზე, მისსავე „გაზრდილ“, მღვდელ-მონაზონ მოსეზე და დაასკვნა, რომ სწორედ ის უნდა ყოფილიყო თხზულების ავტორი<sup>16</sup>.

„ასწლოვანი მატიანის“ მრავალი რეალია მოწმობს, რომ მისი ავტორი მესხეთიდან იყო. მკვლევარნი ერთხმად აღნიშნავენ იმ გარემოებას, რომ მემატიანე საგანგებო გულისხმიერებით ეკიდება ჯაყელთა საგვარეულოს და, საერთოდ, მესხებს, შემთხვევას არ უშვებს ხელიდან, რომ საგანგებოდ არ გაუსვას ხაზი მათ დამსახურებას ყოველგვარ საქმიანობაში, სამხედრო სფერო იქნება ეს თუ სამოქალაქო.

მკვლევართა ვარაუდები იმის თაობაზე, რომ „ასწლოვანი მატიანის“ ავტორი აბუსერიძეთა, ჯაყელთა ან თორელთა საგვარეულოდან იყო, რომ ის იყო კონკრეტულად სარგისი, ბექა ან მოსე, მეცნიერთულად დაუსაბუთებელი და მიუღებელია. საქართველოში მონღოლთა შემოსევებისა და ბატონობის პერიოდის ისტორიისადმი მიძღვნილი თხზულების ავტორი (როგორც ჩანს, მართლაც სასულიერო პირი) კვლავაც ეამთაღმწერლის სახელით მოიხსენიება ჩვენს ისტორიოგრაფიაში.

„ასწლოვანი მატიანეში“ არ მოიპოვება პირდაპირი ცნობა მისი ავტორის მოღვაწეობის ხანასა და თხზულების დაწერის დროზე. იმის გამო, რომ მემატიანემ კარგად იცის გიორგი V-ის ამბები, ივ. ჯავახიშვილს მის თანამედროვედ მიაჩნდა ეამთაღმწერელი<sup>17</sup>. ეს შეხედულება ერთხმად არის გაზიარებული ჩვენს ისტორიოგრაფიაში. რაც შეეხება „ასწლოვანი მატიანის“ დაწერის თარიღს, სავარაუდოდ, ის XIV საუკუნის პირველ ნახევარში უნდა იყოს შედგენილი.

<sup>14</sup> პ. ინგოროყვა. რუსთველიანა, გვ. 119.

<sup>15</sup> კ. გრიგოლია. ეამთაღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა. — კრებ.: ქართული ისტორიოგრაფია, I. თბ., 1968, გვ. 80.

<sup>16</sup> ვ. კიკნაძე. ვინ არის ეამთაღმწერელი? — მნათობი, 1984, № 5.

<sup>17</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 248.



უთუოდ საინტერესოა, თუ როდის უნდა იყოს „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი „ასწლოვანი მატიანე“. ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებები შესაძლებელია ჯერ კიდევ კრებულში შეტანამდე ყოფილიყო გაერთიანებული, რამდენადაც ფ. გორგიჯანიძეს XVII ს-ის მიწურულს ისინი ერთმანეთზე გადაბმული ჰქონია ხელთ<sup>18</sup>. ამავე დროს, მეცნიერი შემდეგნაირად მსჯელობდა: რაკი ეს ორი ნაწარმოები არ არის „ქართლის ცხოვრების“ ანასეულ ნუსხაში, ხოლო მარიამისეულში კი არის, ეს იმას ნიშნავს, რომ ისინი საერთოდ არ ყოფილა „ქართლის ცხოვრებაში“ XV ს-ის ბოლომდე<sup>19</sup> და მხოლოდ XVI საუკუნეში (იქნებ 1500—1638 წლებში) შეუტანიათ კრებულში<sup>20</sup>.

უნდა ითქვას, რომ ივ. ჯავახიშვილი რამდენადმე გადაჭარბებით აფასებდა ანასეული ნუსხის მნიშვნელობას და ფიქრობდა, რომ თუ რომელიმე თხზულება არ გვხვდება ამ ნუსხაში, ის საერთოდ არ ყოფილა „ქართლის ცხოვრებაში“ XV ს-ის ბოლომდე. ამ შემთხვევაში გაუთვალისწინებელი რჩებოდა ის გარემოება, რომ ანასეული ნუსხა თავისებური შედგენილობის კრებულია, მეორე ნაწილში ის განსხვავებულია მარიამისეული და ჭალაშვილისეული ნუსხებისაგან და, ამდენად, მისი შინაარსის მიხედვით მთელ კრებულზე მსჯელობა გამართლებული არ არის.

ასევე მიუღებელია მოსაზრება, თითქოს თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებები „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანამდე იყო შეერთებული და ამ სახით არსებობდა XVII ს-ის დასასრულამდე. მართალია, ფ. გორგიჯანიძემ გამოიყენა ეს თხზულებები, მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ ისინი „ქართლის ცხოვრების“ გარეშე არსებობდნენ XVII საუკუნეში. ფარსადანი როსტომ მეფის კარზე იმყოფებოდა იმ წლებში, როცა ხდებოდა „ქართლის

<sup>18</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 308—309.

<sup>19</sup> ივ. ჯავახიშვილი 1479—1495 წლებით ათარიღებდა ანასეულ ნუსხას (ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 305). ამჟამად, პალეოგრაფიული მონაცემებით, ეს ნუსხა XVI ს-ის მიწურულითა და XVII ს-ის დამდეგით თარიღდება: С. С. Какабадзе. Установление критического текста начальной части «Картлиcxоврება». — Палестинский сборник, 15 (78). М., 1968, с. 172 (შენიშვნაში მოტანილია სარგის კაკაბაძის მოსაზრება მისი გამოუქვეყნებელი ნაშრომიდან); ს. კაკაბაძე. „ქართლის ცხოვრების“ დასაწყისი ნაწილის ტექსტოლოგიური შესწავლის საკითხები. — მაცნე, ისტორიის სერია, 1977, № 2, გვ. 48; ნ. შოშიაშვილი. „ანასეული ქართლის ცხოვრების“ პირის გადაწერის თარიღი. — მრავალთავი, V. თბ., 1975, გვ. 45—55.

<sup>20</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 308—310.

ცხოვრების“ გადანუსხვა და სრული შესაძლებლობა ჰქონდა კრებულს გასცნობოდა<sup>21</sup>. უთუოდ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ მის მიერ გამოყენებული სამივე ქართული წყარო — სუმბატ დავითის ძის<sup>22</sup>, თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებები, სწორედ მარიამისეულ ნუსხაშია შესული. შესაძლებელია მოგვიანებით, როცა ისფაჰანში წერდა თავის „საქართველოს ცხოვრებას“, მას ხელთ ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ არასრული ხელნაწერი, სადაც მხოლოდ თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებათა ტექსტები იყო მეტნაკლებად სრულად შემორჩენილი.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“ თამარის მემკვიდრეების, გიორგი ლაშას ან რუსუდანის დროს, XIII ს-ის პირველ ნახევარში შეიტანეს „ქართლის ცხოვრებაში“.

დაახლოებით XIV საუკუნის მეორე მეოთხედში, გიორგი V ბრწყინვალის დროს უნდა იყოს შეტანილი „ქართლის ცხოვრებაში“ ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატიანე“, რომელიც ალბათ საგანგებოდ არის დაწერილი კრებულისათვის და უშუალოდ აგრძელებს თამარის პირველი ისტორიკოსის თხრობას. XV—XVII საუკუნეებში „ქართლის ცხოვრების“ შევსება აღარ მომხდარა.

\*  
\* \* \*

მონღოლთა შემოსევებმა და მათი მფლობელობის დამყარებამ ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინეს მთელს მაშინდელ კულტურულ სამყაროში. მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში არაბულ, სპარსულ, სომხურ, ქართულ, რუსულ, ლათინურ ენებზე იქმნება თხზულებები, რომლებშიც აღწერილია მონღოლთა ურდოების შემოსევების საშინელებაანი, ნაჩვენებია მათი მფლობელობის დამლუხველი გავლენა დაპყრობილი ქვეყნების მეურნეობაზე. ამ მდიდარ ისტორიოგრაფიაში საპატრიო ადგილი უჭირავს ქართველი ჟამთააღმწერლის „ასწლოვან მატიანეს“, რომელიც მდიდარ მასალას შეიცავს მონღოლთა შემოსევებისა და ბატონობის ისტორიის შესასწავლად.

საყოველთაო აღიარებით, ჟამთააღმწერელი განათლებული ადამიანია. ის განსწავლულია ბერძნულ და აღმოსავლურ ენებში, კარგად იცნობს ძველბერძნულ და ბიზანტიურ მწერლობას, აღმოსავლურ,

<sup>21</sup> იხ. რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი“. თბ., 1975, გვ. 25.

<sup>22</sup> იხ. რ. კიკნაძე, ფარსადან გორგიჯანიძის ერთი ქართული წყაროს შესახებ. — მაცნე, ისტორიის სერია, 1971, № 2.



კერძოდ, სპარსულ და, შესაძლებელია, არაბულ, ისტორიულ ლიტერატურას, ერკვევა ძველი სამყაროსა და თავის თანამედროვე ხალხების ისტორიაში.

✓ XIII საუკუნის დამდეგს მონღოლთა უზარმაზარი იმპერიის შექმნამ ხალხთა დიდი მასების ამოძრავება და გადაადგილება გამოიწვია. ამას მოჰყვა საქარავნო ვაჭრობის გამოცოცხლება და მონღოლთა სახელმწიფოს პოლიტიკურ ორბიტაში მოხვედრილი ხალხების გეოგრაფიული თვალსაწიერის გაზრდა. კერძოდ, მონღოლთა ბატონობის ხანაში ახლად დამყარდა ან გაძლიერდა საქართველოს ურთიერთობა კავკასიის ქვეყნებთან, ირანთან, ერაყთან, მცირე აზიის სახელმწიფოებთან, შუა აზიასთან, მონღოლეთთან, სირიასა და ეგვიპტესთან. საეგვიპტე ბუნებრივია, რომ ჩვენს ავტორს, გარდა საკუთრივ საქართველოსი, სხვა მახლობელი ქვეყნებისა და ხალხების ისტორიაც აინტერესებს და შეძლებისდაგვარად მოგვეთხრობს მათ შესახებაც.

ყამთააღმწერელი სასულიერო პირია და, ბუნებრივია, რომ მის მსოფლმხედველობას ქრისტიანული რელიგია და მისი საღვთო წიგნი — ბიბლია განსაზღვრავენ. ისტორიკოსს ძალზე მძიმე ხანაში მოუხდა ცხოვრება და მოღვაწეობა და ამან უთუოდ თავისი დალი დაასვა მის შეხედულებებს. ყამთააღმწერლისთვის დამახასიათებელია პროვიდენციალიზმი — საზოგადოებრივ ცხოვრებაში მომხდარი მოვლენების განვების ძალით ახსნა, რწმენა იმისა, რომ ამქვეყნად ყველაფერი წინასწარ არის განსაზღვრული ღვთის ნებით. სწორედ ამ თვალსაზრისით ცდილობს ისტორიკოსი ახსნას ის დიდი უბედურება, რაც თავს დაატყდა საქართველოს ხორეზმელებისა და მონღოლების შემოსევების სახით.

ძველს ისტორიოგრაფიას უკვე ჰქონდა შემუშავებული მეცნიერული მეთოდის ჩანასახები: თხრობის უტყუარობის მოთხოვნა, რეალური ფაქტის გამოყოფა გამონაგონისაგან, განსხვავების ძიება მოვლენის გარეგან საბაბსა და მის ნამდვილ მიზეზს შორის და სხვ. უნდა ითქვას, რომ ქართველი ყამთააღმწერლის მუშაობის მეთოდს ახასიათებს ყველა ეს ნიშანი, რაც შუა საუკუნეთა საუკეთესო ისტორიკოსთა რიგში აყენებს მას.

ქართული ისტორიოგრაფიის განვითარება მძლავრად დაამუხრუჭა მონღოლთა შემოსევებმა და საუკუნოვანმა ბატონობამ, მაგრამ მთლიანად ვერ შეაჩერა ის. ერთგვარ პარადოქსად გამოიყურება, მაგრამ ფაქტია, რომ სწორედ მონღოლთა მფლობელობის შავბნელმა ხანამ წარმოშვა შუა საუკუნეთა ქართული ისტორიოგრაფიის ყველაზე დიდი წარმომადგენელი მოაზროვნე ისტორიკოსი. აქ უნდა გავიხსენოთ, რომ „კულტურა და იდეოლოგია ის მოვლენებია, რომლებიც როგორღაც ეგუება ისტორიულ ინერციას და მაშინაც კი, როცა სახელმწი-





ფოებრიობა, როგორც მათი ისტორიული გამოვლენის ჩარჩო, ხილია. ისინი მაინც ახერხებენ ერთხანს არსებობას, თუ განვითარებას არა...<sup>23</sup>.

ქართველი ჟამთააღმწერელი შეიარაღებულია გარკვეული თეორიით ისტორიული ცოდნის დარგში, ითვალისწინებს თავის წინამორბედ მემკვიდრეთა და მეზობელი ხალხების ისტორიკოსთა ტრადიციულ გამოცდილებას. ამ ცოდნის განზოგადების საფუძველზე მან შეიმუშავა თვალსაზრისი, რომლის მიხედვით ისტორიას ანუ „ჟამთააღმწერლობას“ პირველ რიგში ჭეშმარიტების სამსახური ევალება. „ჟამთააღმწერლობა ჭეშმარიტისმეტყუელება არს და არა თუალახმა ვისიმე“, — აცხადებდა ჩვენი ისტორიკოსი (იხ. ქვემოთ ტექსტი, გვ. 82). სხვა საქმეა, რამდენად ახერხებდა მემკვიდრე ამ პრინციპის დაცვას. მაგრამ ამჯერად ჩვენთვის საინტერესოა ჟამთააღმწერლის ფილოსოფიური დებულება, რომ ისტორია ჭეშმარიტების სფეროა<sup>24</sup>.

ამვე დროს ჟამთააღმწერელი ქადაგებდა ობიექტურობასა და პირუთვნელობას<sup>25</sup>. მისი აზრით, ისტორიის წერა „კეთილისა“ და „ბოროტის“ ცნებათა განსხვავებისაგან უნდა ამოდიოდეს, „შუამდებარე“ უნდა იყოს, რაც მიუღდგომელ, მიუკერძოებელ განსჯას ნიშნავს<sup>26</sup>. რა თქმა უნდა, ისტორიკოსი ყოველთვის ვერ ახერხებს ობიექტურობის დაცვას, მასვე, ზოგ შემთხვევაში არასაკადრისად მიაჩნია მეფეებზე აუგის თქმა („არა საკადრებელ არს თხრობა მეფეთათჳს უშუერსა რასმე“, — გვ. 82). მაგრამ მთავარი ის არის, რომ ქართველ ავტორს გამოთქმული აქვს ზოგადი დებულება ისტორიის, ისტორიკოსის პირუთვნელობის, სამართლიანობის თაობაზე.

ჟამთააღმწერელი ცდილობს მოვლენათა მიზეზების ძიებას და ახსნას. ამ მხრივ განსაკუთრებით აღსანიშნავია მისი დამოკიდებულება მონღოლთა შემოსევებისა და მფლობელობისადმი. ამ უბედურებათა მიზეზს ისტორიკოსი ხედავს სამეფო კარის უღარდებლობასა და აღვირახსნილობაში, სამღვდელთა გადაგვარებაში („დაუტევეს მეფეთა და მთავართა სამართალი, მოწყალეა, სიყუარული, სიწრფოება, სიმშუდე, სიმართლე, და ამის წილ მოიპოეს ამპარტავანება, ზაკვა, შური, ჯდომა, სიძულილი, ანგარება, მიმძლავრება, კლვანი, პარვანი, სიძვანი, უწყესობანი“. — გვ. 63. ანდა: „ყოველი ასაკი ბერთა და ყრმათა, მე-

K 203320

<sup>23</sup> შ. ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია, II. — შრომები, ტ. IX. თბ., 1985, გვ. 182.

<sup>24</sup> იქვე, გვ. 184.

<sup>25</sup> ივ. ჭავჭავაძის საგანგებოდ აღნიშნავდა ჟამთააღმწერლის მიუდგომლობასა და პირუთვნელობას (ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 261).

<sup>26</sup> შ. ნუცუბიძე. ქართული ფილოსოფიის ისტორია, II, 185.

2. ჟამთააღმწერელი

საბ-  
საბ-  
17

ფეთა და მთავართა, დიდთა და მცირეთა, მიდრკა სიბოროტეთა. რამდენადაც მათ დაუტევეს სიმართლეს და ქვეშარტება, ვინათგან თვთ მღდელთა მიერ იხილვებოდა არაწმიდება, ვინათგან ყოველი ერი იქმოდეს სიბილწესა“. — გვ. 70).

↘ მაღალი რანგის ისტორიული ნაწარმოების დამახასიათებელ ამგვარ ადგილებთან ერთად „ასწლოვან მატთანში“ გადმოცემულია ზოგიერთი დაუჯერებელი ამბავიც. ხშირად მოგვეთხრობს ავტორი სასწაულთა შესახებაც. თ. ჟორდანიამ სასწაულთა აღწერები გვიანდელ ინტერპოლაციად მიიჩნია<sup>27</sup>, ივ. ჯავახიშვილმა კი მემატთანის გულუბრყვილობა, რაც ზოგიერთი მართლაც საარაკო ამბის მოთხრობაში გამოიხატა, მონღოლთა ბატონობის ხანაში ქართველთა აზროვნების დაცემით ახსნა, თუმცა ამავე დროს ისიც სვამდა კითხვას, მერმინდელი გადამწერის ჩამატებული ხომ არ არისო ეს ადგილები<sup>28</sup>.

უნდა ითქვას, რომ შუა საუკუნეთა მორწმუნე ისტორიკოსისათვის ამგვარი წარმოდგენები სულაც არ უნდა იყოს უცხო და მოულოდნელი და, ყოველ შემთხვევაში, არ მეტყველებს აზროვნების დაქვეითებაზე. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ ქრისტიანობას სასწაული თავისი მოძღვრების აუცილებელ ნაწილად მიაჩნია, ჩვენს ისტორიკოსს კი, სასულიერო პირს, უდავოდ სწამდა მათი ქვეშარიტება<sup>29</sup>. მსგავსი სასწაულები და ზღაპრული ამბები, როგორც ივ. ჯავახიშვილიც შენიშნავს, მრავლად გვხვდება ბევრ სხვა, როგორც ქართულ. ისე სხვა ენებზე დაწერილ თხზულებებშიც<sup>30</sup>.

სამაგიეროდ, უიღურთა შესახებ ზღაპრული ამბები ქართველმა ავტორმა დაუჯერებლად მიიჩნია და არ შეიტანა „ასწლოვან მატთანში“ (მათი „გუარისა საქმენი განსაკვრებელ არიან, ვითა ზღაპარნი და არიან ზღაპარ და ცუდ, ამისთვის უჯერო არს აწ თქუმა“. — გვ. 47).

ამ ცნობის საფუძველზე ივ. ჯავახიშვილმა დაასკვნა, რომ „ხალხურ ზღაპრებს, „გვართა საქმეებზე“ ზეპირ-გადმოცემას, საგმირო პოეზიის ნაწარმოებებს ჩვენი ეამთაღმწერელი, მამასადამე, ისტორიისათვის დამამცირებლად და უჯეროდა სთვლიდა“<sup>31</sup>.

ახლა ჩვენ ვიცით, რომ ზოგიერთი ზღაპრული ამბავი უიღურთა სარწმუნოების შესახებ მათსავე წიგნებში ამოიკითხა XIII საუკუნის ირანელმა ისტორიკოსმა ალა აღ-დინ ათა მალიქ ჭუვეინიმ, არ მიიჩნია

<sup>27</sup> თ. ჟორდანიამ კრიტიკული გარჩევა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ნაწილისა, გვ. 566 შმდ.

<sup>28</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 251, 260.

<sup>29</sup> ვ. კიკნაძე. ვინ არის ეამთაღმწერელი? გვ. 150.

<sup>30</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 251.

<sup>31</sup> იქვე, გვ. 260.

სარწმუნოდ, მაგრამ მაინც შეიტანა თავის „ჭევეყნის დამპყრობის ისტორიაში“. ქამთაღმწერელი ჯუვეინის თხზულების საშუალებით ვაცნო უიღურთა ტომის საკვირველ საქმეებს და საჭიროდ არ სცნო მათი გამეორება<sup>32</sup>. ამგვარად, აქ საქმე გვაქვს ქართველი ისტორიკოსის კრიტიკულ დამოკიდებულებასთან წერილობითი და არა ზეპირი წყაროს მიმართ.

განსაკუთრებულ ადგილს უთმობს ქამთაღმწერელი ადამიანის დახასიათების პრობლემას. ამასთან, როგორც ცალკეული პიროვნებების, ისე ადამიანთა ჯგუფების და მთელი ხალხებისა. თამამად შეიძლება ითქვას, რომ არც ერთ სხვა ძველ ქართულ ისტორიულ ნაწარმოებში არ ექცევა ისეთი ყურადღება ადამიანის დახასიათებას, მისი პირადი თვისებების წარმოჩენას, როგორც „ასწლოვან მატთანში“. ალბათ ამის მიზეზი ეპოქის თავისებურებებშიც არის საქმეები. იმ თვისებებისა და სრული განუკითხაობის პირობებში, რაც სდევდა მონღოლთა ბატონობის ხანას, სავსებით ბუნებრივი ჩანს, რომ მემატთანე საგანგებოდ დაინტერესდა პიროვნების სულიერი თვისებებით და წინ წამოსწია ადამიანის ყოველმხრივი შეფასება-დახასიათების პრობლემა.

განსაკუთრებით უნდა გავსვას ხაზი იმას, რომ ისტორიკოსი, რიგ შემთხვევაში, აქაც ცდილობს ობიექტურობისა და პირუთვნელობის დაცვას. ყოველ შემთხვევაში, ის ხელალებით არ აქებს ქართველ მეფე-მთავრებს, როგორც ეს მეტწილად გვხვდება სხვა ისტორიულ თხზულებებში, არამედ აღნიშნავს მათი პიროვნების თუ საქმიანობის უარყოფით მხარეებსაც (გაეხსენოთ, მაგალითად, გიორგი ლაშას, რუსუდანის, დავით VII ლაშას ძის, დიმიტრი II-ის, ეგარსლან ბაკურციხელის დახასიათებები). ამავე დროს, ისტორიკოსი ახსენებს დამპყრობელთა ცალკეული წარმომადგენლების ზოგიერთ დადებით თვისებასაც (აბლა-ხანის, ყაზან-ხანის დახასიათებები).

რა თქმა უნდა, ასეთი ვრცელი ისტორიული ნაწარმოების ფურცლებზე, სადაც ასობით სხვადასხვა პიროვნებაა გამოყვანილი და რამდენიმე ათეული დახასიათებაა მოცემული, ავტორმა ვერ აიცილია გარკვეული შტამში, ტრაფარეტული გამოთქმები, მაგრამ ამავე დროს უნდა ხაზგასმით აღინიშნოს, რომ ყოველი ცალკე პიროვნებისთვის მან განსხვავებული ეპითეტებიც მოძებნა და ამით გამოარჩია ის სხვებისაგან.

<sup>32</sup> დაწვრ. იხ. რ. კიკნაძე. ქამთაღმწერლის სპარსული წყაროება. ჯუვეინი.— კავკასიურ-აზღვანოსავლური კრებული, II. თბ., 1962, გვ. 144.

როგორც ითქვა, „ასწლოვანი მატიანე“ გიორგი IV ლაშას გამეფებით იწყება და წყდება ილხან ოლჯეთუ ხოდაბანდას გარდაცვალების ამბებზე. თხზულება ერთი ავტორის მიერ, ერთდროულად არის დაწერილი<sup>33</sup>. ისტორიკოსს კარგად ჰქონდა გააზრებული თავისი მიზანი და საგანი და წინასწარ იცოდა რის დაწერას აპირებდა. ამას მოწმობს ის შინაგანი კავშირები, რაც მრავლად გვხვდება ჟამთააღმწერლის თხზულებაში. ავტორს კარგად ახსოვს ისიც, რაც უკვე იქვე ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით და წინასწარ იცის ისიც, თუ შემდგომში რაზე ექნება საუბარი თავისი ნაშრომის ფურცლებზე.

ხშირად ჟამთააღმწერელი, რომელიმე მოვლენის აღწერის დროს იხსენებს, რომ ამ ამბის შესახებ უკვე ჰქონდა საუბარი და საგანგებოდ აღნიშნავს: „ვითარცა მიიქუამს“ (იხ. ტექსტი, გვ. 42, 51), „ვითარცა ეოქჳ“ (გვ. 52), „ვითარ ზემო თქმულ არს“ (გვ. 145), „ვითარ ზემორე ეოქჳთ“ (გვ. 155). „საქმენი სარგისისნი ზემორე აღგჳწერია“ (გვ. 162).

ამა თუ იმ პირის დასახელების დროსაც არაერთხელ გვამცნობს ჩვენი ავტორი, რომ მის შესახებ ზემოთ უკვე ჰქონდა საუბარი. მაგალითად: ჩინგიზ ყაენმა „წარმოავლინა ორნი თავადნი ზემოვსენებულნი. იამა და სანპიანი, რომელთა ქართველნი სება-ჯებობით უწოდიან“ (გვ. 50). სხვადასხვა კონტექსტში „ზემოვსენებულნი“ არიან აგრეთვე ბათო (გვ. 86), ეგარსლან ბაკურციხელი (გვ. 94), ჩორმაღონი (გვ. 140), ჩინგიზ ყაენი (გვ. 144), ალინაყი (გვ. 152), თევუთარი (გვ. 153), არლუნ ამირი (გვ. 167), ილხანი აჰმადი (გვ. 174), ნავროზი, არლუნ-აღას შვილი (გვ. 192).

იგივე გამოთქმა ზოგჯერ იხმარება ადამიანთა ჯგუფის („პირველ-ვსენებულნი იგი სპარსნი ხუარაზმელნი“. — გვ. 57; „დაებანაკა ზემო-ვსენებულთა მათ მთავართა“. — გვ. 72; „ზემოვსენებულნი მთავარნი საქართველოსანი“. — გვ. 122), ხოლო ზოგჯერ გეოგრაფიული სახელების მიმართაც („აოჯრებდეს ქუეყანათა ამათ ზემოვსენებულთა“. — გვ. 62; „არბევდეს ქართლსა და ზემოვსენებულთა ქუეყანათა“. — გვ. 196; „დადგეს ზემოვსენებულთა ადგილთა“. — გვ. 198; „ქუეყანა ქართლისა ზემოვსენებული“. — გვ. 200). გვხვდება შემთხვევებიც, როცა ისტორიკოსი „ზემოვსენებულ“ ამბებსა და მოვლენებს შეახსენებს მკითხველს: „ზემოვსენებულთა მათ განსაცდელთა მსგავსთაგან უმეტესიცა მძჳნვარენი განსაცდელნი აღიძრვოდეს საქართველოსა საზღვართა“ (გვ. 70).

<sup>33</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული სპისტორიო მწერლობა, გვ. 246.



განსაკუთრებით მნიშვნელოვანია „ასწლოვანი მატიანის“ ის ლექსები, სადაც ავტორი პირდება მკითხველს, რომ ესა და ეს საკითხები ქვემოთ იქნება გაშუქებული. ისეთი გამოთქმები, როგორცაა „ვითარ-ცა (რომელ) ქუემორე სიტყუამან საცნაურ-ყოს“ (გვ. 40, 41), „ვითარ (რომელი) ქუემორე სიტყუამან ცხად-ყოს“ (გვ. 55, 119, 192, 197) თვალნათლივ მოწმობენ, რომ ჩვენი ისტორიკოსი საგანგებოდ გააზრებული გეგმით წერდა თავის თხზულებას და წინასწარ ჰქონდა მოფიქრებული, რა ამბები და მოვლენები როდის და როგორ გადმოეცა.

აღსანიშნავია ისიც, რომ თბრობა ერთ ძირითად ხაზს მისდევს და, როცა ისტორიკოსი იძულებულია გადაუხვიოს მთავარ თემას და რაიმე ეპიზოდი ჩართოს, არასოდეს ივიწყებს ძირითად მოსათბრობს, კვლავ უბრუნდება მას და მკითხველსაც აუწყებს ამას: „რამეთუ ზემოდატევებული ამბავი აღმართმაბიჯებელთა კუალად ვიწყოთ“ (გვ. 64); „ხოლო ჩუენ დაშთომილისა სიტყუსა მიმართ აღვიდეთ“ (გვ. 82); „ხოლო ჩუენ, გზისა მცირედ გარდამაბიჯებელნი, კუალად მოგზაურ ვიქმნეთ“ (გვ. 143); „ხოლო ჩუენ პირველსავე სიტყუსა აღვიდეთ“ (გვ. 209).

ყველა ზემოთ ჩამოთვლილი ელემენტი თხზულებას კომპოზიციურ მთლიანობას ანიჭებს, ხოლო მის ავტორს დაკვირვებულ, გამოცდილ, განსწავლულ მწიგნობრად წარმოგვიდგენს.



ჭერ კიდევ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ჩვენს ისტორიკოსს ასი წლისა და მეტის ამბები ზეპირ გადმოცემით და „თვით თვისით“ არ შეეძლო დაეწერა. უეჭველია მას საისტორიო წყაროები ექმნებოდა და მის თხზულებითგანაც ჩანს, რომ ჰქონია კიდევ“<sup>34</sup>. ზოგიერთ თავის წერილობით წყაროს ჟამთააღმწერელი ასახელებს კიდევ „ასწლოვან მატიანეში“. ამას გარდა, ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობდა, რომ მას ზეპირი გადმოცემებითაც უნდა ესარგებლა<sup>35</sup>.

როგორც ითქვა, „ასწლოვანი მატიანე“ გიორგი IV-ის გამეფების ამბის თბრობით იწყება და 1317 წ. ამბებზე წყდება. მისი ავტორი, ჩვენს ისტორიოგრაფიაში გამოთქმული შეხედულების მიხედვით, გიორგი V ბრწყინვალის უმცროსი თანამედროვე ყოფილა და XIV ს-ის პირველ ნახევარში დაუწერია თავისი თხზულება. ამდენად, ჟამთააღ-

<sup>34</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 255.  
<sup>35</sup> იქვე, გვ. 256; იხ. აგრეთვე: კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II. თბ., 1958, გვ. 302.



მწერლის თხზულების მოზრდილი ნაწილი კომპილაციურია და მითაღ. ისტორიოგრაფიული ძეგლია. მიუხედავად იმისა, რომ „ასწლოვანი მატინანე“ მთლიანად კარგად არის შეკრული და არ იგრძნობა სტალისტური და კომპოზიციური ხარვეზები (თუ ასეთად არ ჩათვლით ჟამთააღმწერლის ანაქრონიზმებს — ზოგიერთი მოვლენის დროში ვადადგილებას), მისი ძირითადი ნაწილი მაინც ისტორიული წყაროების მიხედვით არის შედგენილი. თავის ზოგიერთ წყაროს ავტორი თვითონვე ასახელებს. მის მიერ გამოყენებული წყაროების შესახებ საუბარი აქვთ აგრეთვე ივ. ჯავახიშვილს, კ. კეკელიძეს, ს. ყაუხჩიშვილს და კ. გრიგოლიას<sup>36</sup>. მაგრამ ამ ნაშრომებში გახსნილი არ არის ჟამთააღმწერლის შემოქმედებითი მეთოდის თავისებურებანი ისტორიული წყაროებით სარგებლობის დროს. ამ მეტად მნიშვნელოვან პრობლემას ქართულ ისტორიოგრაფიაში ამ ბოლო დროს მიექცა ყურადღება, როცა საგანგებოდ იქნა შესწავლილი თუ როდის, რა შემთხვევებში და რა მეთოდით იმოწმებს წყაროებს ლეონტი მროველი<sup>37</sup>. ჟამთააღმწერლის „ასწლოვანი მატინანის“ ამ კუთხით შესწავლა მეტად საგულისხმო შედეგს იძლევა.

ქართველ ისტორიკოსს ვრცლად აქვს აღწერილი ხორეზმელთა შემოსევები საქართველოში და ის საშინელი ნგრევა-განადგურება, რაც თან სდევდა ამ თარეშს. ცხადია, ყველაფერი ეს წყაროს (ან წყაროთა) საფუძველზე უნდა ჰქონდეს ჟამთააღმწერელს მოთბრობილი, მაგრამ ის არსად ასახელებს გამოყენებულ წყაროებს. შუა საუკუნეთა ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული ტრადიცია არ მოითხოვდა ამას. მხოლოდ ერთხელ არის თხზულების ამ ნაწილში ნახსენები ისტორიული წყარო.

ჯალალ ად-დინი რომ საქართველოსკენ დაიძრა, მეფე რუსუდანი იმერეთში გადავიდა, თბილისის დაცვა კი მემნა და ბოცო ბოცოს ძეებს მიანდო. 1226 წ. 9 მარტს ქალაქის მუსლიმან მცხოვრებთა ღალატის შედეგად ხორეზმელებმა აიღეს თბილისი, ციხე კი კიდევ დიდხანს უწყვედა მტერს წინააღმდეგობას. „ხოლო ვინათგან არღარა იყო ღონე და ლხინება ქალაქისა მცველისა ბოცოს და სხუათა მცველთა ქალა-

<sup>36</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 255; კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია, II, გვ. 301—302; ს. ყაუხჩიშვილი. ქართლის ცხოვრების მეორე ტომის შედგენილობა. — წიგნში: ქართლის ცხოვრება, II, გვ. 035—036; კ. გრიგოლია. ჟამთააღმწერელი და მისი თხზულების სამეცნიერო მნიშვნელობა, გვ. 86—92. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ისტორიული ანალოგიებისათვის ჟამთააღმწერელი იყენებს აგრეთვე ძველ ბერძნულ და ბიზანტიურ წყაროებსაც.

<sup>37</sup> მ. ჩხატარია. წყაროების მითითების წესი ლეონტი მროველის თხზულებებში. — მაცნე, ისტორიის სერია, 1982, № 2.

ქისათა, წარმოუვლინა მეფემან რუსუდან კაცი ბოცოსა და სხვა მცველთა ქალაქისათა, რათა დაუტევონ ისანი და წარვიდენ. და ვითარ მრავალგზის მოავლინა დასტური მეფემან დატევებად ქალაქისა, ძალითა დაარწმუნა ბოცოს წარსლვა, ვითარცა სწერს ვინმე ბერი მღვმელი“ (გვ. 61).

ამგვარად, როგორც ვნახეთ, ჯალალ ად-დინის შემოსევების ვრცლად აღწერისას ქამთაღმწერელმა საჭიროდ არ ჩათვალა დაესახელებინა წყარო, საიდანაც ამოიღო მთელი ეს მასალა. მან წყარო დაასახელა მხოლოდ იქ, სადაც ბოცოს მიერ თბილისის ციხის მტრისათვის დათმობაზე იყო საუბარი. თანაც სავარაუდებელია, რომ რამდენიმე წყაროდან მხოლოდ ერთი მოიხსენია სახელდებით, კერძოდ, ის, სადაც ნათქვამია, ციხის დათმობა რუსუდანის ბრძანებით მოხდაო. ამ შემთხვევაში ქამთაღმწერელს უთუოდ სურს ბოცოს, სამცხის დიდგვარიანი ფეოდალის, რეაბილიტაცია. ამიტომაც არის, რომ წყაროს დამოწმებისას ყურადღების ცენტრში მხოლოდ და მხოლოდ ერთი ცნობაა მოქცეული.

ჩინგიზ ყაენის უმცროსი ვაჟის, თულის, დასავლეთში ლაშქრობის შესახებ რომ მოგვითხრობს, ქამთაღმწერელი აღნიშნავს: „გამოვლო ჯეონი და მივიდა ნიშაბურს, სადაც ნიშაბურელთა სამგზის წყობა-ყვეს ბრძოლისათვის. პირველსა ომსა ჯელად-იგდო ქალაქი, სადა-იგი სამასი ათასი კაცი თავ-დაკუთით მოკლა, ხოლო მეორესა ჯერსა — ასი ათასი, და მესამესა ომსა — ოცდათორმეტი ათასი. უკეთუ არა ჯერ-ხართ, სამართლადცა არს, დიდისა საჰიბ-დივანისა ხოჯა შამსადინისა ძმა თანადამხუდარი იტყოდა ამას ნიშაბურისა მოიკრებასა“ (გვ. 66).

ცნობები მონღოლთა შემოსევების შესახებ ქართველ ანონიმს ამოღებული აქვს XIII საუკუნის ირანელი სახელმწიფო მოღვაწისა და ისტორიკოსის ათა მალიქ ჯუვეინის თხზულებიდან<sup>38</sup>. ის მასალითაც უხვად სარგებლობს და ზოგიერთ ფრაზასაც პირდაპირ თარგმნის, მაგრამ საჭიროდ არ თვლის წყაროს დასახელებას. ჯუვეინის თხზულებას ქამთაღმწერელი იმოწმებს მხოლოდ მაშინ, როცა მკითხველი სურს დაარწმუნოს, რომ ნიშაბურის აღების დროს მონღოლებმა მართლაც რამდენიმე ასეული ათასი მცხოვრები გამოასალმეს სიცოცხლეს. შესაძლებელია მას თვითონაც ეპვი ეპარებოდა ამ ცნობის სისწორეში.

წყაროს ხსენების კიდევ ერთი შემთხვევა მონღოლთა ურდოდან ორი დავითის დაბრუნებას ეხება. ქამთაღმწერლის ცნობით, მონღოლთა უზენაესი ყაენის რეკომენდაციის საფუძველზე ილხანმა ჰულაგუმ

<sup>38</sup> რ. კიკნაძე. ქამთაღმწერლის სპარსული წყაროები, გვ. 152.



თითქოს ორივე დავითი დაამტკიცა მეფედ<sup>39</sup>. აქვე ჩვენი ისტორიკოსი აღნიშნავს: „ხოლო მოწვევულ არს ესეცა სიტყუა, რომელ სხუაჲსაჲსა ყოველთა აღმწერელი იტყეს, ვითარმედ: „ყარაყურუმს ყოფასა ორთავე მეფეთასა გუიუქ ყაენმან ესრეთ ვაბჰო, რომე მეფობა ლაშას ძესა დაუმტკიცონ. და ესრეთ წარმოავლინა, და რუსუდანისა ძე, დავით, მაშინვე ლტოლვილი ღამით განიბარა და წარვიდა აფხაზეთს“. და მე არა შევიწყნარებ ამას“ (გვ. 107).

ამგვარად, ამ შემთხვევაში ისტორიკოსს მეცნიერული ობიექტურობის დაცვით მოაქვს მის მიერ მოთხრობილი ვერსიის საწინააღმდეგო ცნობა „ყოველთა აღმწერელისა“ და არ ეთანხმება მას<sup>40</sup>.

დასასრულ, დავით VI ნარინის წინააღმდეგ რომ შეითქვენენ მონღოლი ღალღური და რაჰის ერისთავი კახაბერი, ისინი „წარვიდეს ყაენს აბალას წინაშე. და ეზრახნეს ალინაყს ბადურს, რომელი დგის მთათა ჯავახეთისათა, და მან აცნობა ყაენსა. ხოლო მან ნიჭნი დიდნი აღუთქუნა. და წარვიდა ღალღურ და კახაბერის ძე, კახაბერი, რომელი იყო თესლით ბოროტი, ვითარ გუაუწყებებს წიგნი მეფეთა, ბალუშისთა და ნათესავთა მისთა“ (გვ. 157).

როგორც ესედავთ, ეამთაღმწერელმა აქ მხოლოდ იმისთვის დაიმოწმა წყარო, რათა ეჩვენებინა, საიდან ჰქონდა აღებული კახაბერის ასეთი მკაცრი დახასიათება, რომ ის იყო „თესლით ბოროტი“<sup>41</sup>.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ეამთაღმწერელი ფართოდ სარგებლობს თავის წინამორბედ, როგორც ქართულ, ისე უცხოელ მემატრიანეთა თხზულებებით (თავისი „ასწლოვანი მატრიანის“ უდიდესი ნაწილი მას სწორედ წყაროების მიხედვით აქვს დაწერილი), შუა საუკუნეთა ისტორიოგრაფიის ტრადიციისამებრ, ის მხოლოდ განსაკუთ-

<sup>39</sup> სინამდვილეში ეს ამბავი ჰულაგუ-ხანის ირანში მოსვლამდე ათი წლით ადრე მოხდა.

<sup>40</sup> გამოთქმულია მოსაზრება, რომ ეს ყოველთა აღმწერელი არის XIV საუკუნის ცნობილი სახელმწიფო მოღვაწე, ექიმი და ისტორიკოსი რაშიდ ად-დინი, რომლის „ისტორიათა კრებული“ მსოფლიო ისტორიის ტიპის თხზულებაა (რ. კიკნაძე, ეამთაღმწერლის სპარსული წყაროები, გვ. 155). რაშიდ ად-დინს, ისევე როგორც ჯუვეინისა, მოეპოვება ცნობა იმის შესახებ, რომ გუიუქ ყაენმა საქართველოს მეფე დავით ლაშას ძე დაამტკიცა, ხოლო დავით რუსუდანის ძე მის ბრძანებას დაუმორბილა (ჯუვეინის ცნობები საქართველოს შესახებ. სპარსულ ტექსტს შესავალი წაუძღვარა, ქართული თარგმანი და შენიშვნები დაურთო რ. კიკნაძემ. თბ., 1974, გვ. 25; Рашид ад-Дин. Сборник летописей, II. М.-Л., 1960, с. 120).

<sup>41</sup> კ. გრიგოლია ფიქრობდა, რომ ეს წყარო იყო „ქართლის ცხოვრების“ ის მონაკვეთი, რომელიც „მატიანე ქართლისას“ პირობითი სათაურით არის ცნობილი მეცნიერებაში (კ. გრიგოლია. „მატიანე ქართლისა“ და მისი დასათაურების საკითხისათვის. — ივ. ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო კრებული. თბ., 1976, გვ. 223—225).



რებულ შემთხვევებში იმოწმებს ამ წყაროებს. ქართველ ისტორიკოსებში შემუშავებული აქვს საკუთარი პრინციპები და მათი დაცვით, მხოლოდ გარკვეული მიზნით, რომელიმე კონკრეტული ცნობისთვის ასახელებს გამოყენებულ წყაროებს: როდესაც სურს მკითხველს აუწყოს, რომ ესა თუ ის ცნობა რომელიმე წყაროდან აქვს ამოღებული, როცა მკითხველს ურჩევს, თვითონ შეამოწმოს წყაროში ცნობა და, დასასრულ, როცა არ ეთანხმება წყაროს მონაცემებს.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ უამთაღმწერელი დოკუმენტურ წყაროებსაც იყენებს და მათი მონაცემებით ცდილობს „სხუა ვინმე ყოველთა აღმწერელის“ ცნობის გაბათილებას. ის მოვეითხრობს, რომ დავით ლაშას ძე და დავით რუსუდანის ძე „ორნი დასხდეს ტახტსა ზედა და აზომ, რომელ მრავალი სიგელი იპოვების და თვთ მე მინახავს, რომელ სიგლისა თავსა სწერია: „მეფენი ბაგრატიონნი“, და „ნებითა ღრთისათა, დავით და დავით“, და კელიცა ორთავესი რთავს: „ჩემ დავითისგან მტკიცე, და ჩემ დავითისგანცა მტკიცე არს“ (გვ. 108).

ამით დასტურდება, რომ ქართველი ისტორიკოსი თბრობით წყაროებთან ერთად დოკუმენტურსაც იყენებდა და კრიტიკულად ამოწმებდა მათ ცნობებს ერთმანეთთან შედარებით. ივ. ჯავახიშვილის აზრით, მას ხელთ უნდა ჰქონოდა აგრეთვე ხალხის აღწერისა და შემოსავლის დაფორებიც და გადასახადისა და ბაჟის წიგნები<sup>42</sup>. ეს პირველი შემთხვევაა ძველ ქართულ ისტორიოგრაფიაში დოკუმენტური მასალის გამოყენებისა.

\*  
\* \* \*

„ასწლოვანი მატთანე“ ოსტატურად შედგენილი თხზულებაა. აქ არ იგრძნობა განსხვავება კომპილაციურ და ორიგინალურ ნაწილებს შორის. მთელი მასალა მარჯვედ არის გაერთიანებული როგორც კონცეფციის მიხედვით, ისე სტილისტურად და შინაარსობრივად.

უნდა ითქვას, რომ, ფორმის მხრივ უამთაღმწერელს არაფერი შეუქმნია ახალი. მის თხზულებაშიც ისევე არ არის გამახვილებული ყურადღება ნაწარმოების სტრუქტურაზე, როგორც სხვა ძველ ქართულ ისტორიულ ძეგლებში. „ასწლოვან მატთანეში“ სულ ორი სათაურია გამოყოფილი. პირველი („აწ ვახსენოთ შვილთათესცა ჩინგიზ ყაენისათა მცირედ რამე“) აშკარად ჯუჯეინის თხზულების გავლენით

<sup>42</sup> ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 256.



არის შეტანილი<sup>43</sup>, მეორე სათაურის მსგავსი წინადადება — „აქავერცხულნი აენის (ვანის) ვაკეს“ — უადგილოდ არის ჩართული შუა წინადადებაში და, როგორც ჩანს, ამიიდან მოხვდა ტექსტში (იხ. შენიშვნები, II, 9). კიდევ ერთი სათაურის მსგავსი წინადადება თხზულების ბოლოში გვხვდება და გიორგი ბრწყინვალის აღზევების ამბავს გვამცნობს: „ხოლო აქა დაიწყო აღმოცისკრებად ძემან მეფისამან გიორგი, რომელი აღეზარდა პაპასა მისსა დიდსა ბექასა“ (გვ. 217).

შუა საუკუნეთა ქართულ ისტორიოგრაფიას არ გააჩნდა ტრადიციული მნიშვნელოვანი საკითხზე სათაურის მეშვეობით ყურადღების გამახვილებისა. დასათაურებას ძველ ქართულ ისტორიულ თხზულებებში რამდენადმე შემთხვევითი ხასიათი აქვს<sup>44</sup>. ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებშიც, გარდა მეფეთა სათვალავისა, სულ ერთი დამატებითი სათაურია შეტანილი „ასწლოვან მატიანეში“, ისიც დასაწყისში („ამბავი ჩინგიზ ყაენისანი, თუ ვითარ გამოჩნდეს ქუეყანასა აღმოსავლეთისასა“. — შენიშვნები, I, 2).

მონღოლთა ბატონობის ხანას მნიშვნელოვანი ძვრები მოჰყვა ქართველი ხალხის საზოგადოებრივ ცხოვრებაში. ახალმა ურთიერთობებმა ბევრი ახალი ცნებისა და ტერმინის გაჩენა გამოიწვია ცხოვრების სულ სხვადასხვა სფეროში. უმთავრესი გრძნობს, რომ ზოგჯერ აღცილებელია მკითხველისათვის ამ ტერმინების ახსნა და საგანგებო განმარტებას იძლევა. ასეთი გლოსები მას საკმაოდ ხშირად აქვს ჩართული თავის თხზულებაში. ზოგჯერ საჭიროდ მიაჩნია განმარტოს გეოგრაფიული სახელებიც. ასე აქვს ქართველ ავტორს განმარტებული ნოინი, სალინ-ბეგი, ქოუნი, იერლაცი, სიბა და სხვ., გეოგრაფიული სახელები: ბერდუჯი (საგიმი), ბაბილოვანი (ბაღდადი), ყარაბალი (მულანი), ჩალანუსუნი (თეთრი წყალი). მკითხველის ინტერესებზე ზრუნვა ავალებს ისტორიკოსს, მსგავსი განმარტებებით გასაგები გახადოს შედარებით უცნობი ტერმინები და ცნებები, დაეხმაროს მკითხველს თხზულების შინაარსის სრულად და სწორად აღქმაში.

„ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში, როგორც ეს აღნიშნულია ქართულ ისტორიოგრაფიაში, შედარებით ნაკლებად გვხვდება ქრონოლოგიური მონაცემები. ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა „ასწლოვანი მატიანე“, სადაც არც ერთი ისტორიული მოვლენის თარიღი არ არის პირდაპირ ნაჩვენები. მაგრამ ეს სრულიადაც არ ნიშნავს, რომ მოვლენები ამ თხზულებაში საერთოდ არ იყოს დროში განსაზღვრული. უმთავრესი დათარიღების თავისებური წესი აქვს გა-

<sup>43</sup> „ჩინგიზ-ხანის შეილები შესახებ“ (იხ. რ. კიკნაძე. უმთავრესი სპარსული წყაროები, გვ. 146).

<sup>44</sup> ამ საკითხზე დაწვრილებით იხ. Г. Г. Аласанна. Классификация грузинских письменных исторических источников, с. 99—104.

მოყენებული. ზოგჯერ ის ასახელებს მსოფლიო ისტორიაში კანონობილ და დათარიღებულ მოვლენას და იქიდან გამომდინარე განსაზღვრავს საქართველოს ისტორიის ფაქტებსაც<sup>45</sup>. ამის მიხედვით, უცხოური წყაროების მონაცემების გათვალისწინებით, შესაძლებელი ხდება მის მიერ მოტანილი ზოგიერთი ფაქტის სისწორის შემოწმება და დათარიღება.

ამ უკანასკნელ ხანებში საგანგებოდ იქნა შესწავლილი რიცხვის სიმბოლოცა ძველ ქართულ ისტორიულ მწერლობაში, კერძოდ, „ქართლის ცხოვრების“ თხზულებებში, და გამოიკვია, რომ „ასწლოვან მატინანში“ საგრძნობლად შემცირებულია, თუმცა მთლად გამჭრალი არ არის საკრალური რიცხვები<sup>46</sup>. ყურადღებას იქცევს, მაგალითად ის ვარემოება, რომ ჟამთააღმწერლის ცნობით, მონღოლები შვიდი წელი იბრძოდნენ ალამუთის ციხის წინააღმდეგ, დავით ლაშას ძე შვიდ წელიწადს იყო ხაროში ჩაგდებული. აბუსაიდი შვიდი წლისა ავიდა ილხანის ტახტზე. ამ შემთხვევაში განსაკუთრებით ნიშანდობლივი ის არის, რომ არცერთი ამ ქრონოლოგიური მონაცემის სისწორე არ დასტურდება წყაროებით.

სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთხელ ყოფილა გამახვილებული ყურადღება იმ ვარემოებაზე, რომ ჟამთააღმწერლის თხზულებაში გვხვდება სერიოზული ანაქრონიზმებიც, მოვლენების გადასმა დროში, ურთიერთშენაცვლება. მაგალითად, ცნობილია, რომ მონღოლთა დიდი ყაენის კარზე მყოფი, მეფობის მაძიებელი ორი ქართველი უფლისწული — დავით ლაშას ძე და დავით რუსუდანის ძე — საქართველოში გამოგზავნა გუიუქ ყაენმა, რომელიც ტახტზე იჯდა 1246—1249 წლებში. ჟამთააღმწერლის მიხედვით კი ორი დავითი საქართველოში მოსულა ილხან ჰულაგუს დროს (1256—1264), ე. ი. მთელი ათი წლით გვიან. რაც მთავარია, აქ უბრალო ქრონოლოგიური შეცდომა კი არ არის დაშვებული, არამედ მთელი თხრობა ასეთი თანმიმდევრობით არის აგებული.

მსგავსი ანაქრონიზმების მიზეზი დღემდე ახსნილი არ არის ჩვენს ისტორიოგრაფიაში. ამ მხრივ შეიძლება სასარგებლო აღმოჩნდეს ბიზანტიური ქრონიკების შესწავლის შედეგების გათვალისწინება. არსებობს, კერძოდ, შეხედულება, რომ მასალის განლაგებას ისტორიულ თხზულებებში არცთუ იშვიათად კომპოზიციის თავისებურებანი განაპირობებენ. ამდენად, წერილობითი ძეგლის ქრონოლოგიური ქარგის განსაზღვრისათვის აუცილებელია კომპოზიციის კანონების ცოდნა.

<sup>45</sup> რ. კიკნაძე. XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან. — მაცნე, ისტორიის სერია, 1973, № 4, გვ. 142.

<sup>46</sup> Г. Г. Аласаниа. Классификация грузинских письменных исторических источников, с. 174.



მაგალითად, ადრებიზანტიურ ქრონიკებში თხრობის ქრონოლოგიის პრინციპს ხშირად არღვევს სიუჟეტურ-თემატური პრინციპი. ამის შედეგად ზოგჯერ გაერთიანებული გამოდის და ერთი წლის ამბებშიც კი აღიწერება ერთმანეთს ათეული წლებით დაშორებული მოვლენები. საგანგებოდ ხაზგასმულია ის გარემოება, რომ განსაკუთრებით ხშირად ხდება ეს კომპილაციურ ნაწარმოებებში. ასეთი თხზულების შედგენის დროს კომპილატორი მოვლენებს კი სწორად გადმოსცემს, მაგრამ ყოველთვის არ იცავს მათ შორის არსებულ ქრონოლოგიურ და აზრობრივ კავშირებს, ანდა სულაც ახალი კავშირებით ცვლის მათ<sup>47</sup>. ამ თვალსაზრისით უთუოდ ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ანაქრონიზმები „ასწლოვანი მატიანის“ სწორედ კომპილაციურ ნაწილში, XIII საუკუნის ამბების აღწერაში გვხვდება. შესაძლებელია ეს მართლაც თხზულების კომპოზიციური თავისებურებებით, ავტორის შეჩოქმედებითი მეთოდის დამახასიათებელი ნიშნებით იყო გაპირობებული. სამწუხაროდ, ქართული ისტორიული თხზულებების კომპოზიციის კანონები შესწავლილი არ არის. ამ მიმართულებით საფუძვლიანი კვლევის გაშლა უთუოდ პერსპექტიული ჩანს და, იქნებ, ქამთაალმწერლის ანაქრონიზმებსაც მოეძებნოს დამაჯერებელი ახსნა.

„ასწლოვან მატიანეში“ აღწერილია საქართველოს ისტორია მონღოლთა შემოსევებისა და მფლობელობის ხანაში. დიდ ყურადღებას უთმობს ისტორიკოსი აგრეთვე მეზობელი ხალხებისა და ქვეყნების ისტორიასაც. თხზულებაში ასახულია ქართველი ხალხის გმირული ბრძოლა მომხდური მტრის წინააღმდეგ, ნაჩვენებია შიდაკლასობრივი ბრძოლის მაგალითები, აქა-იქ გამოსჭვივის ავტორის სიმპათია მოსახლეობის დაბალი ფენების მიმართ (გავიხსენოთ, მაგალითად, ქალაქის გლახაკებისა და ქვრივ-ობოლთა მიერ მესტუმრე ჭიჭურის დაკრძალვის ამბავი). მემატიანეს უპირატესად პოლიტიკური ისტორიის მოვლენები აინტერესებს, მაგრამ საკმაოდ გვხვდება აგრეთვე ცნობები ქვეყნის ეკონომიკური ცხოვრების, გადასახადების, მართვა-გამგეობის, ყოფის, ზნე-ჩვეულებების შესახებ, კულტურის ისტორიისათვის.

XIV საუკუნის ქართველი ქამთაალმწერლის „ასწლოვანი მატიანე“ XIII—XIV სს. საქართველოს ისტორიის ძირითადი და ფრიად სანდო წყაროა.

<sup>47</sup> Я. Н. Любарский. Композиция византийских хроник и их источниковедческий анализ. — Актуальные проблемы изучения и издания письменных исторических источников. Всесоюзная научная сессия. Батуми, 17—19 октября 1985 г. Тезисы докладов. Тб., 1985, с. 71.



ქამთაალმწერლის თხზულების სრული ტექსტი სამჯერ არის გამოცემული ქართულ ენაზე „ქართლის ცხოვრების“ შემადგენლობაში.

1849 წელს მ. ბროსემ პეტერბურგში გამოსცა „ქართლის ცხოვრების“ პირველი ტომი, რომელშიც დაბეჭდა ქამთაალმწერლის თხზულების ტექსტი<sup>48</sup>. მ. ბროსეს ხელთ ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ თეიმურაზისეული, რუმინანცევისეული და ფალავანდიშვილისეული ხელნაწერები. პუბლიკაციას საფუძვლად დაედო ფალავანდიშვილისეული ნუსხის ტექსტი, რომელშიც დამატებით შეტანილ იქნა განსხვავებული ადგილები დანარჩენი ნუსხებიდან, მაგრამ ყველა შემთხვევაში არ ყოფილა ეს აღნიშნული შენიშვნებსა თუ კითხვასხვაობებში<sup>49</sup>.

1906 წელს ე. თაყაიშვილმა თბილისში დაბეჭდა „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეული ხელნაწერის ტექსტი<sup>50</sup>. ეს არის ეგრეთწოდებული დიპლომატიკური გამოცემა, რომელშიც ტექსტი და, კერძოდ, ქამთაალმწერლის თხზულება (გვ. 536—785) დაბეჭდილია უცვლელად, ყველა შეცდომითა და დამახინჯებით, სქოლიოებში კი მოტანილია კითხვასხვაობანი მ. ბროსეს გამოცემული „ქართლის ცხოვრებისა“ და ზოგიერთი ნუსხის მიხედვით.

1959 წელს ს. ყაუხჩიშვილმა „ქართლის ცხოვრების“ მეორე ტომში გამოაქვეყნა ქამთაალმწერლის თხზულება<sup>51</sup>. ტექსტი დადგენილია „ქართლის ცხოვრების“ როგორც ძველი, ისე ვახტანგისეული რედაქციის ყველა ძირითადი ნუსხის მიხედვით, კითხვასხვაობათა ჩვენებით. გამოცემას ახლავს ვრცელი გამოკვლევა, ლექსიკონი და საძიებლები.

ქამთაალმწერლის თხზულების თარგმანები, გამოკვლევებითა და შენიშვნებით გამოცემულია ფრანგულ და სომხურ ენებზე<sup>52</sup>. მ. ბროსემ

<sup>48</sup> ქართლის ცხოვრება დასაბამითგან მეთცხრამეტე საუკუნემდის, I, გამოცემა მ. ბროსეს ი. სპბ., 1849, გვ. 339—447 (ეს გამოცემა 1897 წ. უცვლელად გამოეორა ზ. კიკინაძემ).

<sup>49</sup> მ. ბროსეს მიერ გამოცემული ტექსტის შესახებ იხ. კ. გრიგოლია. ახალი ქართლის ცხოვრება, თბ., 1954, გვ. 190—194; შ. ხანთაძე. მარი ბროსე, თბ., 1966, გვ. 92—94.

<sup>50</sup> ქართლის ცხოვრება, მარიამ დედოფლის ვარიანტი, გამოცემული ე. თაყაიშვილის რედაქტორობით. ტფ., 1906

<sup>51</sup> ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 151—325.

<sup>52</sup> Histoire de la Géorgie, trad. du georgien par M. Brosset, I. SPb., 1849, p. 481—643; *ქართველთა ანასკაფიციის* (1207—1318); *ქართველთა ენციკლოპედია*. შიკაგო, 1971.

ფრანგულად თარგმნა მის მიერვე გამოქვეყნებული ტექსტი, ხილთ პ. მურადიანმა სომხურ თარგმანს საფუძველად დაუდო ს. ყაუხჩიანის მიერ დადგენილი ტექსტი.

ამგვარად, ღღემდე დაბეჭდილია ქამთაალმწერლის თხზულების ძველი რედაქციის (უცვლელად), ვახტანგისეული რედაქციის და ორივე რედაქციის შერევის შედეგად მიღებული ტექსტები.

წინამდებარე პუბლიკაცია არის „ასწლოვანი მატიანის“ ტექსტის რიგით მეოთხე გამოცემა, დაფუძნებული, ძირითადად ძველი რედაქციის ნუსხებზე. გამოცემას წინ უძღოდა საკმაო ხანგრძლივი ტექსტოლოგიური მუშაობა, რის შედეგადაც დაზუსტდა, გასწორდა ან განიმარტა ქამთაალმწერლის თხზულების არაერთი შერყვნილი და ბუნდოვანი ადგილი, საგანგებოდ დამუშავდა აგრეთვე ისტორიული ტექსტის გამოსაქვეყნებლად მომზადების მეთოდის საკითხები, შეირჩა წერილობითი ძეგლის მეცნიერული პუბლიკაციის ტიპი — კრიტიკული გამოცემა.

ქამთაალმწერლის თხზულების ტექსტმა გადამწერთა მიერ დამზებული შეცდომების წყალობით დამახინჯებული სახით და ნაკლულად მოაღწია ჩვენამდე და მისი აღდგენა-გამართვა დიდ შრომასა და ცოდნას მოითხოვს.

„ასწლოვანი მატიანის“ ძველი რედაქციის ტექსტი შემონახულია „ქართლის ცხოვრების“ მარიამისეულ (M), 1697 წლის (Q), თეიმურაზისეულ (T) და მაჩაბლისეულ (III) ნუსხებში. ოთხივე დასახელებული ხელნაწერი არსებითად თხზულების ერთნაირ ტექსტს შეიცავს, რომელიც ერთი არქეტიპიდან მომდინარეობს. ამდენად, მხოლოდ ამ ნუსხების საფუძველზე შეუძლებელია ტექსტის საბოლოოდ გამართვა.

დიდი მუშაობა გასწია „ქართლის ცხოვრების“, კერძოდ, ქამთაალმწერლის თხზულების ტექსტის რედაქტირებაზე ვახტანგის კომისიამ. „სწავლულ კაცთა“ საქმიანობის შედეგად ტექსტის ბევრი ადგილი გასწორდა და გასაგები გახდა, მაგრამ უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კომისიის წევრებმა ვერ შეძლეს ყველა დამახინჯებული ადგილის გასწორება, ამიტომ ზოგი წინადადება სულ გამოტოვეს, ზოგიც სხვაგვარად გაიაზრეს.

ამგვარად, შეიქმნა ახალი რედაქცია ტექსტისა, რომელიც რიგ შემთხვევაში საგრძნობლად განსხვავდება ძველი რედაქციის ნუსხებით ცნობილი ტექსტისაგან.

„ასწლოვანი მატიანის“ კრიტიკული ტექსტის დასადგენად საფუძველად იქნა აღებული ძველი რედაქციის შემცველი ყველაზე ადრინდელი ხელნაწერი, ე. წ. მარიამისეული ნუსხა, გადაწერილი 1634—1645 წლებში (დაცულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში: S-30). მისი მცდარი და

ბუნდოვანი ადგილების გასასწორებლად პირველ რიგში გამოყენებული იქნა ამავე რედაქციის შემცველი „მცხეთური ქართლის ცხოვრების“ პირი, გადაწერილი 1697 წელს (დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში: Q-1219), აგრეთვე XVIII საუკუნეში შესრულებული ნუსხები: 1. თეიმურაზისეული, რომელშიც თამარის ცხოვრების მეორე ნახევარს და ჟამთააღმწერლის თხზულებას არ გაუვლია ვახტანგის კომისიის რედაქცია (გადაწერილია XVIII ს. პირველ მეოთხედში, დაცულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის ლენინგრადის განყოფილებაში: ქართულ ხელნაწერთა ფონდი, M 24, ძველი შიფრები: G 1, M 13). 2. მაჩაბლისეული ნუსხა, გადაწერილი არჩილის ნაქონი „ქართლის ცხოვრებიდან“ 1736 წელს მოსკოვში, გიორგი მაჩაბლის მიერ. ამჟამად დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში (H-2135).

როგორც ითქვა, ძველი რედაქციის ტექსტის შემცველი ნუსხების საფუძველზე ვერ ხერხდება ჟამთააღმწერლის თხზულების ყველა დამახინჯებული ადგილის გასწორება, საჭირო ხდება ვახტანგისეული რედაქციის მოშველიებაც. ეს მით უფრო დასაშვებია და აუცილებელია, რომ, როგორც ირკვევა, ყველა განსხვავება, რაც ძველი და ვახტანგისეული რედაქციის ტექსტებს შორის გვხვდება, არ არის სწავლულ კაცთა საქმიანობის შედეგი. მათი ერთი ნაწილი დაფუძნებულია ძველი რედაქციის ისეთი ნუსხების ჩვენებებზე, რომელთაც ვერ მოაღწიეს ჩვენამდე. ამდენად, „ასწლოვანი მატინის“ ტექსტის დადგენის დროს გამოყენებულ იქნა ვახტანგისეული რედაქციის ყველაზე ადრინდელი, რუმინანცევისეული (R) ნუსხა, გადაწერილი 1703 წლამდე (დაცულია კ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტში: H-2080). კითხვა-სხვაობებიც ამ ნუსხის მიხედვით არის მოტანილი. ოღონდ ისეთ შემთხვევებში, როცა ძველი რედაქციის ნუსხებში ტექსტი კარგად არის გამართული, ვახტანგისეული რედაქციის არასწორი ან გადასხვაფერებული ჩვენებებით კითხვასხვაობების გადატვირთვა საჭიროდ არ ჩავთვალეთ. საგანგებოდ უნდა აღინიშნოს, რომ „ქართლის ცხოვრების“ ამა თუ იმ ნაწილის ადრინდელი ტექსტის დადგენის დროს საფუძვლად უნდა იქნეს აღებული ძველი რედაქციის ხელნაწერთა ჩვენებანი. თუ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებს მივანიჭებთ უპირატესობას, ან თუნდაც, ძველი რედაქციის ნუსხებთან თანაბარი უფლებით გამოვიყენებთ, თუ ძველი ტექსტის ცალკეულ სიტყვებს ვახტანგისეული რედაქციის „უკეთესი“ წაკითხვებით შევცვლით, მიიღება მოზაიკური, შერეული, შუალედური ტექსტი. ეს არ იქნება არც პირვანდელი რედაქცია და არც ვახტანგის კომისიის მიერ რედაქტირებული ტექსტი.



ჟამთააღმწერლის თხზულების ბოლო ნაწილის ტექსტი ძველ ნაწილში დაქცეის ნუსხებში ნაკლულია. ამ ხარვეზის შევსება ხერხდება XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ნუსხების საფუძველზე. ესენია: ბარათა-შვილისეული (b; ხელნაწერთა ინსტიტუტი: S-25), დადიანისეული (d; ხელნაწერთა ინსტიტუტი: S-354), ფალავანდიშვილისეული (p; ხელნაწერთა ინსტიტუტი: H-988). რამდენსამე შემთხვევაში გათვალისწინებულია აგრეთვე ჯანაშვილისეული (D), ჭალაშვილისეული (c) და სხვიტორული (s) ნუსხების ცალკეული წაკითხვები.

ჟამთააღმწერლის თხზულების ჩვენამდე მოღწეული ტექსტის საკმაოდ მძიმე მდგომარეობის გამო „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერთა საფუძველზე ვერ ხერხდება ყველა დამახინჯებული ადგილის გამართვა, ზოგჯერ აუცილებელი ხდება დამხმარე წყაროების მოშველიება. ერთ-ერთი ასეთი დამხმარე წყაროა XVII საუკუნის ავტორის ფარსადან გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრება“, რომლის ე. წ. მეორე ნაწილი<sup>33</sup> თამარის პირველი ისტორიკოსისა და ჟამთააღმწერლის თხზულებათა მიხედვით არის შედგენილი. გორგიჯანიძეს, რომელიც შორეულ ისტორიაში წერდა თავის თხზულებას, როგორც ჩანს, ხელთ ჰქონდა „ქართლის ცხოვრების“ საკმაოდ შერყვნილი ხელნაწერი (ან ხელნაწერები). ბევრი ადგილი მას ვერ გაუგია და ისევე დამახინჯებულად გადმოუწერია, ბევრიც საკმაოდ უცნაურად გადაუსხვაფერებია<sup>34</sup>. მაგ-

<sup>33</sup> ფ. გორგიჯანიძის ნაშრომი შეიცავს ძირითადად საქართველოს ისტორიის თხრობას ქართლში ქრისტიანობის გავრცელებიდან XVII საუკუნის ბოლომდე. ავტორის მიერ გამოყენებული წყაროების მიხედვით ივ. ჯავახიშვილმა თხზულება ოთხ ნაწილად გაყო და თითოეული მათგანის შეფასება-დახასიათებაც მოგვცა. პირველ ნაწილად მან მიიჩნია თხრობა დასაწყისიდან თამარის გამეფებამდე. მეორე ნაწილი „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით არის შედგენილი. იგი თამარის გამეფებით იწყება და XIV საუკუნის დამდეგამდე გრძელდება. მესამე ნაწილი მოიცავს XIV—XVII ს. პირველი მესამედის ამბებს და ძირითადად სპარსული წყაროების მიხედვით არის დაწერილი. უკანასკნელ, მეოთხე ნაწილს, ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, შეადგენს თხრობა 1636 წლიდან ნაწარმოების დასასრულამდე. აქ ავტორი აღწერილი ამბების თვითმხილველი და თანადამხდურია (ივ. ჯავახიშვილი. ძველი ქართული საისტორიო მწერლობა, გვ. 287—297). ასეთი დანაწილება ფ. გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრებისა“ ძირითადად გაზიარებულია ჩვენს ისტორიოგრაფიაში, თუმცა უკანასკნელ წლებში სერიოზული კორექტივებიც არის შემოთავაზებული ცალკეული ნაწილების შედგენილობისა და მათი შეფასების საკითხში (იხ. მაგ., რ. კიკნაძე. ფარსადან გორგიჯანიძე და „ისტორიანი და აზმანი“ შარავანდედთანი“. თბ., 1974, გვ. 18—23; P. K. Kiknadze. Parsadan Gorgidjanidze и «Картлис цховრება», с. 17—21).

<sup>34</sup> ამის გამო ჩვენს ისტორიოგრაფიაში იმთავითვე დამკვიდრდა ჰიპერკრიტიკული დამოკიდებულება ფ. გორგიჯანიძის თხზულების ძველი ნაწილის მიმართ. მკვლევარნი იშვიათად მიმართავენ ამ ნაწილს, რის გამოც ის დიდი ხნის განმავლობაში თითქმის სრულიად შეუსწავლელი და ობიექტურად შეუფასებელი იყო, ხოლო იქ დატული მდიდარი მასალა — გამოუყენებელი.

რამ ამჯერად ჩვენთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანი ის არის, ფ. გორგიჯანიძის მიერ გამოყენებულ ხელნაწერში ტექსტის ბევრი ადგილი უფრო სწორად და სრულად ყოფილა შემონახული, ვიდრე დღეისათვის ცნობილ ნუსხებშია. სწორედ ამიტომ ფ. გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ საფუძველზე შესაძლებელი ხდება „ასწლოვანი მატიანის“ არაერთი შერყენილი ადგილის გასწორება. რიგ შემთხვევაში ფ. გორგიჯანიძე ადასტურებს ვახტანგისეული რედაქციის წაითხვებს.

უამთააღმწერლის თხზულების ჩვენამდე მოღწეულ ტექსტს რამდენსამე ადგილას აშკარად ემჩნევა ნაკლულობა, ფ. გორგიჯანიძესთან კი შესაბამისი ადგილები სრულად არის შემონახული. მართალია, ერთი და ისიც საკმაოდ დამახინჯებული ხელნაწერის ამარა დარჩენილ ფარსადანს ყოველთვის ვერ მოუხერხებია ტექსტის სწორად გაგება და შეცდომებიც დაუშვია, მაგრამ მაინც, მისი წყალობით დღეს შესაძლებელი ხდება „ასწლოვანი მატიანის“ ნაკლული ადგილების შინაარსის მეტნაკლებად სრულად და სწორად წარმოდგენა.

„ასწლოვანი მატიანის“ დამახინჯებული და ბუნდოვანი ადგილების გასწორება და განმარტება ზოგჯერ კონკრეტული ისტორიული ვითარების ანალიზითა და ლოგიკური მსჯელობით შეიძლება, რამდენადაც „ქართლის ცხოვრების“ ნუსხები და დამხმარე წყაროები არ იძლევა ყველა ასეთი ადგილის გამართვის შესაძლებლობას. ტექსტის აზრობრივ-ლოგიკური აღდგენის რამდენიმე შემთხვევა ქვემოთ შენიშვნებშია მითითებული.

ტექსტის დადგენის დროს მასში მრავალი მართებული, დასაბუთებული ცვლილება იქნა შეტანილი: გასწორდა, აღდგა და განიმარტა არაერთი დამახინჯებული, ნაკლული და ბუნდოვანი ადგილი. ყველაფერი ეს მომავალში ხელს შეუწყობს ძეგლის შინაარსის უფრო სრულად აღქმას, გააფართოებს მის საინფორმაციო შესაძლებლობებს და გაზრდის სანდოობის ხარისხს.

უამთააღმწერლის თხზულების კრიტიკულ ტექსტს დართული აქვს შენიშვნები, რომლებშიც ნაჩვენებია გამოყენებული ნუსხების ზოგიერთი თავისებურება, მოკლედ არის დასაბუთებული ესა თუ ის გასწორება და მითითებულია სამეცნიერო ლიტერატურა.

შენიშვნებით სარგებლობის გაადვილების მიზნით ტექსტი, პირობითად, რამდენიმე მონაკვეთად დავყავით (ძირითადად მეფეთა ზეობის მიხედვით). ამ შემთხვევაში გათვალისწინებული იყო ის გარემოებაც, რომ თავებად დაყოფა და მეფეთა სათვალავით დასათაურება უკვე



ვახტანგამდელი რედაქციის ნუსხებში დაწყებული<sup>55</sup>, და ისიც, რომ ივ. ჯავახიშვილს აუცილებლად მიაჩნდა გამოსაცემად მომზადებული ტექსტის შედარებით მცირე მოცულობის მონაკვეთებად დაყოფა<sup>56</sup>.

---

<sup>55</sup> ს. ყაუხჩიშვილი. ქართლის ცხოვრება და მისი ანასეული ხელნაწერი. — წიგნში: ქართლის ცხოვრება. ანა დედოფლისეული ნუსხა. თბ., 1942, გვ. XXXVI—XXXVII.

<sup>56</sup> ივ. ჯავახიშვილი. ქართული საისტორიო ძეგლების ახალი გამოცემის შესახებ. — მრავალთავი, V. თბ., 1975, გვ. 267.



შამთააღმწერელი

ასწლოვანი მატეიანი

I

ამას სანატრელსა სიცოცხლეშიგან დაედგა გვრგვნი  
 მისა მათისა გიორგისდა, რომელსა ლაშობითცა უწო-  
 და. იყო წლისა | ათცამეტისა, რაჟამს დაიდგა გვრგვნი  
 მეფობისა და მეფემან თამარ მიულოცა მეფობა, ხოლო  
 რაჟამს მიიცვალა თამარ, იყო თანა ლაშა ა|თვრამეტი- 5  
 სა | წლისა. დაუტევა მეფობა ძესა თვსსა, ხოლო ნათე-  
 საესა ქართველთასა — ცემა, მწუხარება, ვაება და  
 გლოვა, რამეთუ ცოცხალნიცა ჩასრულ იყვნეს ჯოჯო-  
 ხეთს მკვდრნი სამეფოსა მისისანი და ეგრეთცა ჯერ იყო.  
 შემდგომად მისისა დაიპყრა მეფობა ძემან თამარის- 10  
 მან ლაშა გიორგი, რომელი იყო ტანით ძლიერი, მკნედ  
 მოისარი, ნადიმობათა შინა მოსწრაფე, ლალი და თვთ-  
 ბუნება და უმეტეს ამისთვის განლაღებულ იქმნა, რამე-  
 თუ დაემორჩილნეს ყოველნი წინააღმდეგომნი მისნი კე- 15  
 თილად მოკსენებულსა და ღმრთისმოყუარესა დედასა  
 მისსა და უშფოთველად და წყნარობით დაეტევა სამე-  
 ფო და ყოველნი მახლობელნი მათნი მოხარაჯე შეექმნეს,  
 ვითა განძელნი და მიმდგომნი, ნახჭევნელნი და კარნუ-  
 ქალაქელნი, და სხუანი მრავალნი ძლუნითა და ხარაჯი- 20  
 თა მოვიდოდნან მისსა მას ყამსა, იშუებდა, იხარებდა  
 და ყოველგან იყო მხიარულება.

1 სიცოცხლეშიგან] სიცოცხლესა შინა თვსსა R. 2 ძესა მათისა გიორგისდა] ძესა  
 მათისა გიორგის MQTm. 2 ლაშობითცა] ლაშობითცა Mm, ლაშობითცა QT. 5 თანა]—R.  
 7 ცემა] თავცემა R. 8 და გლოვა]—MQTm. 8 ცოცხალნიცა T] ცხოველნიცა MCM,  
 ცოცხლებ R. 9 ეგრეთცა ჯერ იყო] ჯერეთვეცა აგრე (T: ეგრე) იყო MQm. 11 მკნე  
 და მოისარ MQTm. 12 ლალი და თვთ ბუნება] ლალად თვით შეგნება (QT: ბუნება)  
 Mm. 13 განლაღებულ იქმნა]—MQm. 14—15 კეთილად] კეთილად MQm. 16 და  
 უშფოთველად] დაუშფოთველად MQm. 16 და წყნარობით] დაწყნარებით R. 16—17 სამე-  
 ფო]+ თვსი R. 17 მახლობელნი] მახლობელნი (T: მსგებელნი) MQm. 20 მისსა] მისა  
 (m: მის)MQT. მას]—MQTm. 20—21 იშუებდა იხარებდა და ყოველგან იყო მხიარულე-  
 ბა] იყო იშუებდა და ყოველგან (ყველგან m, ყველგან M) მხიარობელი MQTm.

- და იწყეს განძით განდგომა, არღარა მოსცეს მეფე
- R 343a ხარკი. ამისმან მცნობელმან მეფემან ლაშა მოუწოდა  
 ყოველთა სპათა საქართველოსათა, იმერთა და ამერთა,  
 მკარგრძელსა ივანეს, რომელსა მაშინ პატივი ათაბაგო- 5  
 ბისა მინებებოდა დედისა მათისა თამარისაგან, რამეთუ
- M 724 იყო ათაბაგობა ისრე განდიდებულნი, იყო უმეტეს  
 სხუათა ერისთავთასა. ესე იყო ვაზირი კარსა მეფისასა,  
 თქუა მეფემან: „ვინათგან მეფეთა შორის ბრწყინვალე-  
 მან და სანატრელმან დედამან ჩემმან დამიტევა მეფობა,  
 ყოველნი წინააღმდეგომნი პაპათა და მამათა ჩემთანი 10  
 მოხარაჯედ შექმნა და დღეისმომდე შორილნი ბრძა-  
 ნებისა ჩუენისანი არიან. აწ განძის ათაბაგს საწუნელ  
 უქმნიე და ხარკისა არღარა ნებაეს მოცემა. მე ესრეთ  
 განმიზრახავს, რათა შური ვაგოთ განძასა ზედა და თქუენ  
 შრომასა შეგამთხვო. ძალითა და თანადგომითა თქუე- 15  
 ნითა დაუცემია სანატრელთა პაპათა და მამათა ჩემთა  
 დიდთა სულტანთა ძლიერებანი. აწ მიიღეთ ჩემგან პა-  
 ტივი და ნიჭი და აღვიმკვდროთ განძასა ზედა, რათა  
 სხუათა მტერთაგან არა საწუნელ ვიქმნეთ. შეწევნითა  
 ღმრთისათა და წარძღუანებითა პატიოსნისა ჟუარისა- 20  
 თა | და სიქველითა თქუენითა ვსძლიოთ მტერთა“.
- R 343b ვითარ ესმა ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსათა,  
 განიხარეს და დაუმტკიცეს და რქუეს, ვითარმედ: „დი-  
 დი ნუგეშინისცემა მოგუემატა ღმრთისა მიერ, რამეთუ  
 გპოვეთ ახოვანი და გოლიათი, გორგასლიანი და დავი- 25  
 თიანი, მსგავსი მათი. მინდობითა ღმრთისათა და ძალი-  
 თა თქუენითა დავიმორჩილნეთ ურჩნი მეფობისა თქუე-  
 ნისანი და შევანანოთ ყოველთა ურჩება თქუენი“ დაამ-  
 ტკიცეს ლაშქრობა და განძის დარბევასა წარემართნეს  
 თვთ მეფე სპითა დიდითა. ვერ წინააღუდგეს განძელნი 30

1 და იწყეს] მაშინ იწყეს R. 1 განდგომა] +და R. 2 ხარკი] +ხოლო R. 2 მცნო-  
 ბელმან] მსმელმან R. 4 ივანეს] იოანეს R. 5 მინებებოდა] მინიჭებოდა R. 6—7 ისრე  
 განდიდებული, იყო უმეტეს სხუათა ერისთავთასა] უმეტეს სხუათა ერისთავთასა განდი-  
 დებული R. 8 თქუა]+მაშინ R. 8 მეფემან]+ვითარმედ R. 11 მოხარაჯეთ] მოხარკეთ  
 R. 11 დღეისმომდე]+და R. 12 ჩუენისანი] ჩემისანი R. 15 შეგამთხვო]+რამეთუ R.  
 16 ჩემთა] ჩუენთა R. 17 ძლიერებანი] ძლიერებათა Mm. +ყოველთაჲთა და R. 20 წარ-  
 ძღუანებითა] წარმოძღვანებათა Mn. 20.—21 პატიოსნისა ჟუარისათა ~QTR. 21 სიქვე-  
 ლითა] სიქადულითა MQTm. 21 ვსძლიოთ] ვებზნოთ m, ვსძლიოთ R. 22 წარჩინებულ-  
 თა]+ყოველთა QT. 23 ვითარმედ] რამეთუ (M: რამეთო) QTm. 24—25 რამეთუ გპო-  
 ვეთ]—MQTm. 25 გოლიათი] გულით (Q: გლითი) MTm. 28—29 მაშინ დაამტკიცეს R.  
 29 წარემართნეს] წარმართეს MQTm.

- M 725 და მოაოკრეს განძის ქუეყაბა, აღიღეს ტყუე და ნატყუ-  
ენავი ურიცხვ | და მოადგეს ქალაქსა განძისასა, მოადგეს  
გარე და მრავალ დღე ებრძოდეს, და ყოველთა დღეთა  
გამოვიდინა ქალაქის კარსა ბრძოლად ჩალიშად, აქათცა  
და მუნითაც ურჩეულესნი ებრძოდინა. 5
- m 501 (მაშინ ინება მეფემან გარეშემოვლა ქალაქისა მცირე-  
დითა ლაშქრითა, და ვითარ | მოვლიდა მტკურისაკენ  
ქუემოთ, ცნეს ესე განძის მყოფთა, ყოველნივე აღიჭურ-  
ნეს, კაცი ჭურვილი ვითარ ათი ათასი. ხოლო მეფეს |  
R 344a ჰყვა ოთხი ათასი კაცი ოდენ, ამათ შინა უმეტეს მესხნი, 10  
რამეთუ ერთკერძო მკარგრძელნი დგეს, ერთკერძო  
პერ-კახნი და სომხითარნი, ქართველნი და თორელნი;  
ერთკერძო აფხაზნი, დადიან-ბედიანნი და ლიხთიქითნი  
ზედმოკიდებით ურთიერთას.  
ვითარ მოვლიდა მეფე, იცნეს, განახუნეს კარნი და, 15  
ვითარცა მკეცნი, ზედამიუჯდეს. და იხილა მეფემან  
T 248a ლაშა სიმრავლე მათი უშიშითა | გულითა, განმკნობითა  
სპათა მისთა, ეგრეთვე სპანი მეფისათვის სიკუდილად  
განმწირველნი ეტყოდეს: „სიკუდილამდის ვილუაწოთ  
და დავდეთ თავი სასიკუდილოდ და არა ვარცხვნოთ 20  
პირველსა ომსა მეფობისა შენისასა“ და მყის მიეტევნეს  
Q 157a უ|რთიერთას და იქმნა ბრძოლა ძლიერი და დიდად სას-  
ტიკი. და მიეცნეს პირსა მახვლისასა უმრავლესნი რჩე-  
ულნი განძისანი. თვთ მეფე ლაშა წინამიეტევა მკნედ  
და ძლიერად, თვთ გოლიათი მკლავითა სვანითა და ჯე- 25  
ლითა გოლიათითა, რომლის თანა წინამბრძოლობდეს  
M 726 ძლიერად ყუბარყუბარე | ჭაყელისა შვილი პირმშო, ბი-  
ბილა გურგელი. ბოცო ბოცოს ძე, მემნას ძმა, რამეთუ  
R 344b ესენი წინაგანეწესნეს ვითარ იხილეს სიმკნე | მათი გან-  
ძელთა. სწრაფად ივლტოდეს პირისაგან მათისა, და 30  
m 502 სდევნეს ვითარ კართამდე | ქალაქისად, მცირედლა შე-

2—3 მოადგეს გარე]—Mm. 14 გამოვიდინა] გამოვიდოდეს Mm. 4 ჩალიშად]  
ჩლიზდ MQ, ჩალიზად Tm. 9 ათასა] ათასნი Mn. 10 მესხნი] +იყუნეს R. 12 პერ-  
კახნი] ერნი (m: ერთნი) კახნი MQT. 13 დადაან-ბედიანა] დადაანი ბედიანი MQTm.  
13 ლიხთიქითნი] ლახტს (ლაჭტს m) იქათა MQT. 15 ვითარ] ხოლო მაშინ ვითარ R.  
15 იცნეს] +იგი და მსწრაფლ R. 15 კარნი] +ქალაქისანი R. 16 მუქედეს] მეუტევნეს R.  
18 მისთა] მათითა R. 19 განმწირველნი] +თავთა მათთა R. 22 დადად] ფრაად R.  
23 მიეტევნეს] ეცნეს MQTm. 27—28 ბაბილა] ბაბილა M, შაბლა m. 28 მემნას] მემნის  
MQTmR. 29 ვითარ] ხოლო ვითარ R. 30 მათისა] მკნეთასა. (MQT. მკნეთას m:)  
30—31 და სდევნეს] დასდევს MQm, და სდევს T.

ივლტოდეს ქალაქად, და უმრავლესი ტყუე-ყვეს ზოგნი მოისრნეს.

საქონელო  
ანგარიშობა

ამისნი მხილველნი დედანი ძლიერად იცემდეს მკერდ-  
სა მათსა და საყელოსა თმითურთ იფხურიდეს, და გა-  
ნაძლიერეს ყივილი და ზრიალი. ყოველგნით გარემომ-  
დგომთა ლაშქართა ესმა და მეფესა მომართეს, ხოლო  
მეფე, უვნებელად დაცული ღმრთისა მიერ, იგი და მის-  
ნი წინამბრძოლნი თავადნი სახელოვანნი მოეგებნეს,  
რომლისათეს ლაშქარნი და თავადნი მბრძოლნი დაამ-  
ტკიცებდეს არლარა ყოფად მოლაშქრედ და არცა კარსა  
მეფისასა ყოფად. ხოლო მეფე იგი ჰუნისაგან ჩამოვდა  
და ევედრა შენდობა უმეცრებით ქმნულებისა. ესრეთ  
მივიდეს კარვად სიხარულითა. მსგეფსამდი იყო მზი-  
არულობა და გაცემა ლაშქართა ზედა.

T 248b  
R 345a

ესრეთ შემჭირდა ათაბაგი განძისა და ევედრა, რათა  
განუჩინონ | ხარაჯა პირველი, რომელი ისმინა მეფემან  
და უკუსცა ტყუენი ფასითა და მრავლითა ძღუენითა.  
თუალითა და მარგალიტითა, ოჭროთა და ვეცხლითა.

M 727

მივიდა თვთ მეფე ტფილისს და აღავსო საქართველო  
ძღუნითა. ტრამეთუ იყო ყოველთა მეფეთა უმეტეს უხვ  
და | არავისთვის მოშურნე, მლოცველ, მმარხველ, გან-  
მკითხველ და მოწყალე. არამედ უკანასკნელ მიდრკა  
სიბოროტედ თანამიყოლითა უწესოთა კაცთათა. ვი-  
თარცა სოლომონისათეს წერილ არს, რომელი შეაღ-  
თუნეს დედათა. ეგრეთვე ესე უწესო კაცთა. ვითარცა  
ქუემორე სიტყუამან საცნაურ-ყოს. ვითარ განისუენებ-  
და ნადიმობითა და მსმურთა თანა, მიდრკა სიბოროტემ-  
დი, ვითარ წერილ არს ისრაილთათეს: „დასხდა ერი  
იგი ჭამად და სმად, და აღდგეს სიმღერად“.

ხოლო სმამან მღერასა და სილოდასა და ნაყროვანე-  
ბამან სიბილწესა უმეტეს გარდარია, განიშორნა ვაზირ-

1 ქალაქად|ქალაქით MQTm. 3 ამისნი|ხოლო ამისნი R. 3 მხილველნი|მხილვებელ-  
ნი და MQTm. 4 მათსა|მისსა MQTm. 5 ლოცველნი|+ცსმარაა. ცე ლოცველნი R. 7 უვნ-  
ებელად|უნებლიედ MQM. 8 სახელოვანნი|+და მრავალთა [სახელოვანი MQTm.  
10 მოლაშქრედ|მოლაშქრეთა MQTm. 11 ჰუნისაგან|უნისაგან MQM, [ონისაგან T.  
12 შენდობა|+და MQTm. 16 განუჩინონ|განუჩინა MQTm. 19 და აღავსო|სულა  
MQTm. 20 ძღუნითა|+მიმღები მივიდა MQTm. 22—26 არამედ უკანასკნელ... საცნაურ  
ყოს|—MQTm. 27 ნადიმობითა ჩე. კონიექტი. ნადირობითა QTR, ნადირობდა|Mm.  
28 ისრაილთათეს|—MQTm. 29 და სმად|—MQTm. 30 სმამან|სამმან MQT. 30 მღერასა|  
მღერალსა MQTm. 30 სილოდასა და|სალოდასა MQ, სალოდასა T, სალოდასა m. 31  
უმეტეს გარდარია|—MQTm. 31 განიშორნა|განებრნა MQT, განებრნა m.

- m 503 ნი სანატრელისა დედოფლისა და | მეფისა წესითა მსწავლელნი, შეიყარა თანამოასაკენი მსმურობითა და დედათა უწესოთა თანააღრევად, რომელ ესოდენ უსახურობად მიიწია, რომელ | ოდესმე მსმელი ფრიადისა ღვნისა, ტფილისს მყოფი, წარიყვანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი. ხოლო რინდნი, მეფისა მისლვისა | არამგონებელნი და ღვნით უცნობოქმნილნი, ზედამოეტევენს მგუემელნი ძლიერად, ვიდრემდი ერთიცა თვალი მარჯუენე ხედვისაგან უხედვოყვეს. 10
- Q 157b
- R 345b
- სამისნი მცნობელნი თავადნი საქართველოსანი ფრიად მწუხარენი, და უმეტეს ივანე ათაბაგი და ვარამ გაგელი, ზაქარიას ძე, განეყენებოდეს დარბაზს ყოფისაგან: ლარა თავს-ვიდებთ შენსა მეფედ ყოფასა, უკეთუ არა განეყენო ბოროტთა კაცთა სიახლესა და ავსა წესსა, რომელსა იქმ“. ხოლო მეფემან შეინანა და აღთქუა სიმტკიცეთა მიერ აღარა ქმნა ტვნიერ მათისა განზრახვისა, დაღათუ აღასრულებდა, არამედ ძლიერებდა მტერი უჩინო ვერ არწმუნეს ცოლისა სმა, ვითარცა არს გულისთქმის მიერ | შემწველობა დედათა მიმართ. მისრულმან კახეთს, სოფელსა ერთსა, ველისციხესა, იხილა ქალი ფრიად ქმნულკეთილი და მყის აღტაცებულ იქმნა გულისთქმათა მიერ და დამეიწყებელმან დავითის და ურიის ცოლისა მიმართისა საქმისამან მსწრაფლ თვსად მიიყვანა და შეიყუარა. და მუცლად-ილო დედაკაცმა და შვა ყრმა, რომელსა | უწოდეს დავით. ესე იგი არს დავით, რომელ უკანასკნელსა დიდთა განსაცდელთა შემდგომად მეფე იქმნა, რომელ ქუემორე სიტყუამან საცნაურ-ყოს. ესე ყრმა აღსაზრდელად მისცა დასა თვისსა რუსუდანს, რომელი-იგიცა მხოლო ესუა თამარა, რომელი 20 25 30
- T 249a  
M 728
- R 346a  
m 504

1 სანატრელისა] სანატრელნი MQTm. 2 და]—MQTm. 3—4 უსახურობად] უსახურობდა MQ. 5 ტფილისს] თფლქესა T. 6 მუნ] მან MQTm. 6 რინდნი] რინდნიმან MQm, რინდის მუნ T. 12 მწუხარენი] მზროლნი MQTm. 12 ივანე]—MQm. 13 განეყენებოდეს] განეყენებოდეს MQTm. 14 თავს-ვიდებთ] თავს ვედრებთ MQTm. 14 ყოფასა] წყალობასა MQTm. 15 კაცთა სიახლესა] კაცისა სახლსა MQTm. 16 რომელსა] რომელი MQTm. 18 ძლიერებდა ყ ა უ ხ ნ., ძლიერებდა MQTm. 19 ცოლისა სმა] ცილისა (ცილსა) სამა Mm, ცლისა სმა QT. 20 შემწველობა] შემწველება MQTm. 21 კახეთს] კს QT, კარგს Mm. 24 ურიის] ჰურის MQTm. 29 ყოს] ქმნა Mm. 29 აღსაზრდელად] აღიზარდა და MQTm. 30 რომელი] ძალი Mm. 30 ესუა] + და იგიც Mm.



მელთა ძმებრივისა და დებრივისა სიყუარულისა უქმობა აქუნდა ურთიერთას.

ამათ წარმართებულობათა და დაწყნარებულობათა შინა იყო მეფე და ყოველგნით ნიჭი და ძლუენი მოუვიდოდეს მოხარკეთა მიერ კარვად მეფისა. მხიარულითა პირითა მოვლიდის სამეფოსა მისსა განსაგებელთა საქმეთათს. გარდავიდის ქუეითი აჯამეთს, ნადირობდის ცხუმს და აფხაზეთს და განაგნის საქმენი მანდაურნი, და სთუელთა შთავიდის ტფილისს, ხოლო საზამთროდ დადგის დურს სომხითისასა და მიერ ბრძოდის განძელთა. ზაფხულის აღვიდის თავად მტკურისა, დადგის კოლას, და მოვიდოდინა წინაშე მისსა მოხარკენი ძლუნითა ხლაითთა და საბერძნეთით.

M 729  
Q 158a  
R 346b

ამათ განსუენებასა შინა მყოფმან არა ინიება ქორწინება ცოლისა. ამისთვის შეკრბეს კათალიკოზნი, ევისკოპოზნი და ვაზირნი, მოაჯენებდეს: „არა ჯერარს, რათა მკვეალი ვესვას და არა ცოლი, ვითარცა დასწერს მოციქული, პირი ქრისტესი. პავლე: „ქორწილი წმიდა არს და საწოლი შეუგინებელ. ხოლო მსიძენი და მემრუშენი საჯნეს ღმერთმან“. ხოლო მეფესა არა ენება. წარგვარეს ქალი იგი, დედა დავითისი, და ქმარსავე მისსა მისცეს. ხოლო არცა მამინ ექორწინა მეუღლესა, არამედ ეგო უქორწინებლად. რამეთუ იყო ესე ლაშა გიორგი მკნე, ახოვანი, ძლიერი, ლალი, ამპარტავანი, თავკედი, თვბუნება, ვითარცა მითქუამს, უხვ, სახიობისმოყუარე, ღვინისმოყუარე და გემოთმოყუარე და მშვდობა იყო სამეფოსა შინა მისსა და შექცეული იყო სმასა და ჭამასა, რომლისათვის დასწერენ მამანი: „სამნი არიან მიზეზნი ვნებათანი, რომელთაგან იშვებიან ყოველნი ბოროტნი: გემოთმოყუარებანი, ვეცხლისმოყუარება და დიდებისმოყუარება. ამათნი პირმშონი არი-

T 249b

m 505

1 ძმებრივისა და დებრივისა] ძმებრივისა და ებრივისა QT, რომებრივისა და ებრაისა Mm. 3 ამათ] ამით MQTm. 6 მოვლიდის] მივლიდის Q, მივლიდეს MTm. 6 განსაგებელთა] განსაგებელთა MQTm. 7 ნადირობდის] ნადირობდა Q, ნადირობად MTm. 8 განაგნის] განაგეს MQTm. 9 შთავიდის] შევიდით MQTm. 11 თავად მტკურისა] თვად მტკვარსა, დედა მტკვარს (მტკვარს) Mm. 13 ხლაითთა] ხალიათთა M, ხალიათით m. 14 ამათ] ამით Mm. 16 ჯერ] ჯერა MQm. 17—18 დასწერს] დასცეს MQm. 18 მოციქული] მოციქულნი MQm. 18 პავლე] პირველვე MQm. 18 ქორწილი] ქალწული MQTm. 19 და საწოლი შეუგინებელ]—MQTm. 19 მსიძენი] მსიძენი Mm. 26 სახიობის] სხეობისა MQTm. 29—30 მიზეზნი ვნებათანი... ბოროტნი]—MQTm. 31 და]—MQTm. 31 პირმშონი] ქმრუშებანი MQTm.

- ან სიძვა, მრუშებანი, რისხვა, მწყინარობა, ამპარტავა-  
ნება. ამათ ბოროტთაგან გამოვლენ კორცნმოყუარება-  
ნი, უწესოდ | ნებისა მიდევნებანი, რომლისა თვთეულად  
არა არს ჟამი აღწერად, ვითარცა წინასწარმეტყუელიცა  
იტყუს: „ჰამა იაკობ, განძღა, განსხუა, განსუქნა და დაუ-  
ტევა ღმერთი, შემოქმედი თვისი, და განუდგა ღმერთსა  
მაცხოვარსა თვისსა“.
- ღვრეთვე იქმნა ნათესავსაცა ამას შინა ქართველსა,  
რამეთუ განძღეს და იშუებდეს, უწესოებად მიდრკეს  
სიძვათა და მთრვალობათა შინა უ|გუნურნი კაცნი, ღმ-  
ფის კარსა ზედა არა ყოფის ღირსნი და აწ კარსა ზედა  
მყოფნი, დაღათუ კათალიკოზთა ორთავე და თავადთა  
ამის სამეფოსათა და უმეტეს ივანე ათაბაგსა უმძიმდა  
საქმე ესე, არლარა ინებეს მას თანა სამარადისო ყოფა,  
არამედ განეშორნეს და თვის-თვისად იყოფოდეს, ამის-  
თვის აღმოსცენდეს მიზეზნი ცოდვათა სიმრავლითა სა-  
ქართველოსა მოოჯრებისანი, რომელი ქუემორე სი-  
ტყუამან ცხად-ყოს<sup>2</sup>.
- ქუეყანასა მზისასა აღმოსავლეთით კერძო, რომელსა  
ეწოდების ჩინ-მაჩინი<sup>3</sup>, გამოჩნდეს კაცნი ვინმე საკურ-  
ველნი ადგილსა, ყარაყურუმაღ<sup>4</sup> წოდებულსა, უცხო | სა-  
ხითა, წესითა და შესახედავადცა, | რამეთუ არცა ძუელ-  
თა წიგნთა სადა იპოების ამბავი მათი, რამეთუ არიან  
უცხოენა, უცხოსახე, უცხოცხორება. პურისა გემო არა  
იციდიან, კორცითა და პირუტყუთა | სძითა ცხოვნ-  
დებოდეს. ხოლო იყენეს ტანითა სრულ. გუამითა ახოვან,  
ძლიერ ფერჯითა, შუენიერ, სპეტაკ კორცითა, თუალითა  
მცირეჭურბიტ და გრემან, განზიდულ და საჩინო, თავითა  
დიდ, თმითა შავი და ჯშირ, შუბლბრტყელი, ცხვრითა  
მდაბალ ესოდენ, რომელ დაწუნი უმაღლეს იყენიან  
ცხვრითა, და მცირედნი ოდენ ნესტუნი ჩნდიან ცხვრი-  
თა, ბაგენი მცირე, კბილნი შეწყობილნი და სპეტაკ,

2 გამოვლენ] რომელ არს MQTm. 3 მიდევნებანი] მიმდგომლობანი MQTm. 4  
ჟამი] ღამე MQm, ღში T. 5—6 ჰამა იაკობ... თვისი] განძღა, განსყენა იაკობ MQTm.  
7 თვისსა]—MQTm. 9 რამეთუ] რათა MQTm. 9 იშუებდეს] იშოებდეს Mm, იშობ-  
დეს T. 9 მიდრკეს] მიდრიკეს MQ. 10 სიძვათა] + მრუშებათა და m. 12 მყო-  
ფნი M] მწნი Q, მეუენი Tm. 13 ათაბაგსა] ათაბაგისა MQTm. 15—15 უმძიმდა...  
ყოფოდეს]—MQTm. 20 გამოჩნდეს] გამოჩნდეს MQTm. 21 ყარაყურუმაღ] ყარყუმო-  
რად MQTm. 23 არიან] არა MQTm. 24 სახე] სახედ MQTm. 27—28 თუალითა... და  
საჩინო] ჰრეტ და გრემან თვალთა მცირე და ძალითა საჩინო და განზიდულ MQTm.  
31 ცხვრითა] დაწუთა MQm. 31~ცხვრითა მცირედნი ნესტენი ოდენ ჩნდიან MQm.

- ყოვლად უწუერული. ესევეთარი აქუნდა უმსგავსო სხე. და ნუ ვის გიკვრს, რომელ აღმატებული რამე შეენიერება აქუნდა ამათ მამათა და დედათა. ამას თანა მოეგო სიმკნე, მოისარნი იყვნეს რჩეულნი, მაგრითა მშვლდითა უცდომრად მსროლელნი, რომელთა ნაკრავსა ვერამან საჭურველმან უმაგრის. უფროს ცხენსა ზედა იყვნეს მკნე, რამეთუ აღზრდა მათი ცხენსა ზედა იყვის, საჭურველისა არასა მქონებელნი, მშვლდისა და ისრისა კიდე.
- ესე იყვნეს კაცი განსაკრვებელნი, რამეთუ იხილნი რა, სულელ საგონებელ იყვნინან, ხოლო ყოველი სიბრძნე იპოებოდა მათ შორის და ყოველი გონიერება მოეგო, მცირემეტყუელება. და ტყუილი სიტყუა ყოვლად არა იყო მათ შორის, არა თულ-ახუნინან პირსა კაცისასა, არცა დიდსა, არცა მცირესა, და უმეტეს საბჭოთა შინა, რამეთუ კეთილნი წესნი ეპყრნეს, ჩინგიზ ყაენისაგან განჩენილნი, რომელთა თვთეულად წარმოთქუმა გრძელ არს.
- ამათ აქუნდა სჯულად ერთისა ღმრთისა უკუდავისა თაყუანისცემა. პირი მზისა აღმოსავლეთით ქნიან და სამისა ჩოქისა ქნა და სამჯერ თაყუანის-ცემა და შუას თითისა ცერსა ზედა და ნებსა დადება და დატკაცუნება, და მეტი არარა.
- ხოლო უდიურნი კერპისმსახურნი იყუნეს, რომელთა ქუჯინად | უკმობდეს. ხოლო მოიპოეს წერილიცა ამა მცირედითა ასოთა, რამეთუ ათექუსმეტითა ასოთა დასწერენ წიგნსა, რომელ ადვილ სასწავლოცა არს და ადვილ გულისკმისსაყოფიცა. ამათვე შექნეს ქორონიკონისსახედ ათორმეტი წელიწადი ათორმეტთა პირუტყუთა ცხოველთა სახელსა ზედა და თვთოს პირუტყუს და | ცხოველს თვთოსა წლის მთავრობა განუჩინეს.

1—2 სახე] არს MQTm. 2 აღმატებული] აღმტვეებული MQ, აღმტვეებული T. 4 იყვნეს]—MQTm. 6 უმაგრის T] დაუდგნეს R.—MQm. 7 იყვნეს]—MQTm. 8 მქონებელნი] მქონებელი MQTm. 10 იხილნი T] იხილე (იხილვე) MQm. 12 გონიერება] გნბა Q. გონება MTm. 13 და]—MQTm. 14 მათ შორის] მას შინა Mm, მათ შინა QT. 14 თულ-ახუნინან] თულ ახუნანი (ახუნანი T) MQm. 16—17 ჩინგიზ ყაენისაგან] ჩინგის ყენისაგან Mm, ჩინგის ყნისგან Q. 19 სჯულად] სჯულოვად T, რჯულოვად MQm. 22 ცერსა] წუერსა R. 22—23 და დატკაცუნება] და ტკაცუნება MQT. 25 მოიპოეს] მოიპარეს MQTm. 30 სახელსა] სხლსა Q, სხლსა M, სახლს m.

- ვითარ ძუელ ოდესმე ელლინთა ბრძენთა ათორმეტთა ზოდთა, რომელ არიან ეტლნი მზისა და მთოვარისანი, ამათ ეტლთა თვთეულთა მისცეს მზისა საჯდომად ოცდაათ-ათი დღე, არათუ ცხოველნი არიან, არამედ ზოდნი, ეგრეთვე ამათ თვთოსა წელიწადსა მთავრობა განუჩინეს თვთოსა პირუტყუსა. რომელითა თორმეტივე გათავდების, თავსავე დაიწყებს, ვითარ ათცხრამეტული, ათცამეტური, ზედნადები და ზედექუსეული, რამეთუ ცხრამეტ წლად გააწევს და მერმე თავსავე დაიწყებს. და ეგრეთვე ესე თორმეტ წლად გააწევს, რომელსა უწოდენ სახელად ესრეთ: ყალღუნჯილ, უქურჯილ, ფარსინჯილ, თავლაინჯილ, ლუილჯილ, მოლილჯილ, მორინჯილ, ყონიჯილ, მეჩინჯილ, | თაღანჯილ, ნოხინჯილ, ყაყაინჯილ<sup>7</sup>. ესე არს სახელი ათორმეტთა ცხოველთა, რომელთა მისცეს მთავრობა თვთოსა წლისა თვთოსა პირუტყუსა, რომლისა პირველად თავ ყვეს ყალღუნ, რომელ არს თავუ, მერმე ზროხა, ავაზა, კურდღელი, ვეშაპი, გუელი, ცხენი, ცხოვარი, ყაპუზუნა<sup>8</sup>, ქათამი, ძაღლი, ღორი. ესენი აქუნდეს წელიწადის სათუალავად, ვითა ჩუენ ქართველთა ქორონიკონი. 5 10
- ხოლო აქუნდა წესად ერთისა ღმრთისა თაყუანისცემა, რომელსა თენგრი უწოდეს ენითა მათითა, და წიგნისა თავსა ესრეთ დასწერდეს: „მანგუ | თენგრი ქუჩუნდურ“, ესე არს, „უკუდავისა ღმრთისა ძალითა“. 15
- ესენი მცირედთა საზრდელთა განეშორებოდეს, ყოველსა სულიერსა ჭამდეს, ჯორცსა კატისა, ძაღლისა და ყოველსა. 20
- ამათნი ნათესაენი მრავალგუარად განყოფილ იყვნეს 25

T 251a  
M 733

1 ძუელ] ძალ MQTm. 1 ელლინთა T] ელლინთა MQ, ელლინთ m. 2 რომელ] რომელთა MQm. 2 ეტლნი|+ეტლნი Mm. 2 მთოვარისანი] მთვარისა MQ, მთვარის m. 3 მისცეს] მისცემს MQm. 3 საჯდომაჲ] საჯდომთად Mm. 4 ზოდნი]ზომანი Mm, ზომნი Q. 6 რომელთა] რომელთა M, რომელთა m, რა T, რათ Q. 6 თორმეტივე] თორმეტთვე MQ, თორმეტთვე m. 7 დაიწყებს] დაუწყებს MQTm. 7—8 ათცამეტური] ცამეტური MQTm. 11 ყურყუნიველ MQm, ყურყუნიველ T. 11 უქრჯალ MQT, უქრჩალ m. 11 ფარსინჯალ MQTm. 12 თავლაინჯალ MQ, თვლა ინჯალ T, თვლაინჯალ m. 12 მოლიჯილ MQTm. 19 წელიწადის MQ. 19—20 ჩუენ ქართველთა] ქუენა MQTm. 22 თენგარი Mm, თენგარი Q. 22—23 წიგნისა თავსა ესრეთ დასწერდეს] წიგნისათა ვის ესრეთ დამწერელნი MQTm. 23 მან ქუთენგარი MQ, მან ქუთენგარ m, მან ქუთენგრი T. 25 მცირედითა MQTm. 25 საზრდლითა MQ, საზრდლით m, საზრდელლითა T. 26 კატისა T, კაცისასა MQm. 26 ძაღლისა R] და ძაღლისასა T, ძაღლისა M, ძაღლს m.

და არიანცა ჯერეთ, ხოლო ათორმეტთა ოდენ მოვიცხმნოთ  
ნოთ სახელი. რამეთუ პირველი გუარი არს საყირთა,  
ქინდნი, ყათნი, ჯალირი, ოირადი, სულდუსი, ნიპიმნი,  
ყონღარდი, მანლუთი, თანლუთი, ყიათი და უილურნი<sup>9</sup>.

ხოლო უილურნი კერპისმსახურნი არიან, რომელსა 5  
უწოდენ ქუჯინად. ესენი ენითა მათითა უწოდიან თავსა  
მათთა მანლოლ, ხოლო ქართველნი თათრად, რომელთა  
ეგონებ ერთსოფელელად.

- ამათთა ნათესავთა ყიათთა გუარისათა გამოჩნდა  
R 349b კაცი ერთი, | სახელით თემურჩი, რომელ არს ჩინგიზ 10  
ყაენი; ჰაეროვან, შუენიერი, ტანითა ახოვანი, თმითა  
მომწითურო, ძლიერი, მკნე, შემმართებელი, მოისარი  
m 509 კელოვანი, ღრმად გამგონე, განმზრახავი სვანი. ესე 15  
წარვიდა ნიჭისა და პატივისა მოღებად უმთავრესისა  
მათისა, რომელსა ხანობით უკმობდეს კელმწიფესა მათ-  
სა, რომელსა ერქუა ონ-ხან<sup>10</sup>. ვითარ იხილა, შეიყუარა  
სიკეთისა მისისათვს, დიდსა პატივსა აღიყვანა, უწარ-  
ჩინებულეს ყოველთა სწორთა მისთა, და მკედართა  
M 734 მოწყუედლიან ურჩთა და გამდგომთა მისთა, ვინაცა 20  
ყოვლგნით გამარჯუებულნი მივიდის პატრონსა მისსა  
Q 159b ონ-ხანს კელმწიფეს წინაშე. ხოლო მან უაღრესსა პატივ-  
სა აღიყვანის. ესე შეიშურვა | ძმამან ონ-ხანისმან, სახე-  
ლით უთქინ, და შვილმან ქურაქ, და შეასმინეს: „ნებავეს  
T 251b დაპყრობა შენი მეფობისა, რომელსა ხანობით ვინა ყაე- 25  
ნობით უწოდენ“. და მან განიზრახა მოკლვა მისი. გარნა  
R 350a აგრძნა თემურჩი, რამეთუ უთხრეს ორთა ვიეთმე კაც-  
თა, რომელთა სახელი ერთისა ქალექ და მეორესა ბად<sup>11</sup>:  
„ჰნებავეს სიკუდილი შენი“. ხოლო იგი იელტოდა და

1 მოიკსენოთ MQTm, 3 ქენდნი Mm, პინდნი R. 3 ჯალილი Mm. 3 ნაპინა T.  
4 სულყოღარდი Mm, ყონიარდი T. 4 ყიათა MQ, ყითა T, ყითთ m. 5 ხოლო  
უილურნი—MQTm. 5 რომელსა| ძალთა Mm. 6 ქუჯინათ MQT, ქუჯენთა m,  
ქუნჯითად R. 8 ერთ სოღელელად ერთ საველელად MQm. 10 ერთი—MQTm. 10 თემურჩი  
MQTm. 10—11 ჩინგინ ყანს MQ, ჩინგინ ყანას m, ჩინგიზ ყანას T. 11 აეროვან  
MQTm. 12 ღრმად| ღრმა და MQTm. 16 ონხნი MQm, ონხნად T, ონხანად R. 17  
აღიყვანა| და MQTm. 18 მკედართა| + მკეღართა M. 19 მისთა| ამისთა MQTm.  
20 მოწყუედლიან| ასწავლილიან MQTm. 20 და|—Mm. 20 მისთა|+ხეთა MQTm.  
21 პატრონ MQTm. 23 ონახნისმან MQ. ონახნისმან m. 25 მეღობესა რომელსა| მე-  
ფესა მათსა MQTm. 26 და მან განიზრახა R, განიზრახა QT. 27 ვითემ MTm. 28  
ქლექ M, ქლქ Q, ქლაქ T. 28 ბდ MQ, შდ. T.

- ორნიცა იგი კაცნი მის თანა. მივიდა სახლსა და ხარგთა შინა, აპყარა დედა-წული და იარა ერთი დღე და ერთი ღამე. და მერმე დაყარა დედა-წული. ბარგი და ხუასტაგი წყლისა მის პირსა, რომელსა ჰქევან ბალჯუნი. და განუშორა ლაშქარი მცირედ და უკუდგა კევსა რასამე. 5
- და ცნა ონ-ხან სივლტოლა თემურჩისა, დევნა-უყო და მოეწია დედა-წულსა და ბარგსა მისსა. აღიღეს ტყუე ურიცხვ და დამძიმდეს ალაფითა ლაშქარი. ზედამოუტედეს თემურჩი ყოველთა თანა ლაშქართა. იქმნა ბრძოლა სასტიკი და ძლიერი, მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ, და იძლია ონ-ხან. დევნა-უყვეს, შეიპყრეს, მოკლეს ონ-ხან. და მსწრაფლ დაესხა დედა-წულსა ონ-ხანისასა და კელთ-იგლო ცოლი და შვილი და ყოველი სიმდიდრე მისი, თვნიერ ქურაქ, უხუცესისა შვილისა, ონ-ხანისნი. 10
- და დაჯდა ტახტსა ონ-ხანისასა, უწოდეს სახელად ჩინგიზ ყაენი. 15
- M 735  
R 350b     || და ბრძოლა-უყო ყონღარდთ კელმწიფესა ალთუხანს<sup>12</sup>, და სძლო და მოაკუდინა იგი და დაიპყრა მეფობა მისი. მერმე ქურაქ, შვილი ონ-ხანისი, მივიდა გორხანსა<sup>13</sup> ვისმე თანა და ბრძოდა ჩინგიზ ყაენს. ხოლო მან ბრძოლა გორ-ხანს და მასცა სძლო. და მოკლა გორ-ხან და დაიმორჩილა გორ-ხანის ლაშქარნი. 20
- T 252a     ამისა შემდგომად უიღურთა ზედა წარემართა, რამეთუ უიღურნი | კელმწიფესა მათსა ედიყუთობით უკმობდეს. და ამას ეამსა სარჩუყ<sup>14</sup> ვინმე იყო მთავარი უიღურთა, რომელთა გუარისა საქმენი განსაკვრებულ არიან, ვითა ზღაპარნი და არიან ზღაპარ და ცუდ, ამისთვის უჯერო არს აწ თქუმა. ჩინგიზ ყაენმან შეიწყნარა და პატივითა დაიჭირა, აღიხუნა მრავალგუარნი თათარნი და დაიმორჩილნა, და ყარყითიცა<sup>15</sup> დაიმორჩილა. 25  
30

1 მის] მისთა MQTm. 4 რომელსა]—MQm. 4 ბლაჯუნი MQT, ბალჯუნი m, ბლაჯუნი R. 6 ონხან MQT, ონახან m. 6 თემურჩისა MQTm. 9 თემურჩ MQTm. 10 ორგნითვე M. 11 იძლია ონ-ხან] + და იძლია MQm 14 ქულაქ MQTmR. 15 ონხანისა MQT, ონხანისს m. 16 ჩინგისყინ MQTm. 17 უყო] ყო MQTm. 17—18 ალთოხნას MQ, ალთოხნასა T, ალთოხანს m. 19 ქოლქლაქ Mm, ქოქლაქ Q, ქოლაქ T, ქულაქ R. 19 შვილი ონ-ხანისი]—MQTm. 19—20 გორხანასა MQT, გორხანას m. 20 მბრძოდა MQT. 20 ჩინგისყანს MQm (ყ'ნს Q), ჩინგის ყანას T. 20—21 ხოლო მან] და MQTm. 21 გორხანას MQTm. 21—22 გორ-ხან] ლეღვან მისმან MQTm. 22 დამორჩილნა MT, დიმორჩილნა m. 24 იღუიღელნი Mm, იღუიღერნი QT. 24 ედუთობით MQTmR. 25 მთავარი R, ემაურთა Mm, ემურთა QT. 28 ჩინგიზ ყაენმან კონიექტ. ჩინგის ყანსა MQTm, ჩინგიზ ყაენს R. 28 შეიწყალა Q, შეეწყალა R 28—29 და პატივითა] პავითა Mm 29 ახენა M, ახუნა QTm.



- და ვითარ მოიწყო თათართა ზედა, გამოჩნდა კაცნი ვინმე საკრველი, რომელსა თებ-თენგრობით უკმობ-  
დეს. ესე მივიდა ყაენს წინაშე, იტყოდა თუ: „მე მას  
Q 160a მთასა, რომელსა უწოდო ბალიყი, წარვალ, ღმრთისა  
R 351a სიტყუა | მესმის. ამას ბრძანებს, ყოველი ქუეყანა თე- 5  
მურჩის და მისთა ლაშქართათს მიმიცემია, და სახე-  
ლადცა ჩინგიზ ყაენ ერქუას“.
- ხოლო თქმულ არს ესე: ვითარ ჩინგიზ ყაენი აღვიდა  
მთასა მაღალსა, და გამოუჩნდა უფალი იესო ქრისტე,  
M 736 ღმერთი ყოველთა. და მან ასწავა სამართალი, სჯული,  
სიწმიდე | და სიმართლე, ტყუვილისა, პარვისა და ყოვე-  
ლისა ბოროტისაგან განშორება და რქუა თუ: „მცნება-  
ნი ესე დაიმარხე. ყოველი ქუეყანა შენთვის და ნათესა-  
ვისა შენისათვის მიმიცემიეს. წადი და | აღილე ყოველი  
m 511 ქუეყანა, რაოდენი გეძლოს“. 15
- ხოლო იქმნა რა ყაენად და მივიდა რა ხატაეთს, და  
შევიდა რა ხილვად ეკლესიისა, იხილა ხატი მაცხოვრი-  
სა იესო ქრისტესი, და მეყსეულად თაყუანი-სცა და  
თქუა: „აჰა, კაცი იგი, რომელი მთასა ჩინეთისასა ვიხი-  
ლე, ამ სახითა იყო, ამან მასწავა ყოველი წესი“. ესე 20  
შეიყუარა ჩინგიზ ყაენმან და მას ჰკითხვედის და ამის  
მცნება, რაოდენიცა ამცნო, ყოველივე მტკიცედ დაი-  
ცვა.
- მერმე ებრძოლა ხატაეთის კელმწიფესა არსლან-  
ხანსა<sup>16</sup> ზედა და სძლო. ესრეთ კელთ-იგდო, რომელ 25  
R 351b ორას ათასი კაცი | მოაკუდინა არსლან-ხანისა. ამისმან  
მცნობელმან არსლან-ხან, სახლსა შინა შესრულმან ცო-  
ლითა და შვილითურთ, ცეცხლისა მოდება უბრძანა |  
T 252b მსახურთა მისთა, რომელთა ყვეს ეგრეთ და დაიწვა  
არსლან-ხან დედა-წულითურთ. შევიდა ჩინგიზ ყაენი და 30  
დაჯდა ტახტსა მას ზედა, დაიპყრა ხატაეთი. ესე აქამომ-  
დე იყავნ<sup>17</sup>.

2 თებთუნ გვარობით MQTm, თებ-თენგრობით კონიექტ. 3 მოვიდა M. 3  
ყანს შე MQ, ყანს წუ T, ყანას წინაშე m. 7 ჩინგიყან MQT, ჩინგი ყაენ m. 8 ესე  
ვითარ] ესე ედ QT. 8 ჩინგიყან MQT, ჩინგი ყაენ m. 10 სამართალი] სიმართლე  
MQTm. 15 რაოდენი] სადგან MTm, სდგნ Q. 16 ყანად Mm, ყნდ QT. 17 ეკლე-  
სიისათა M, ეკლესიათა T, ეკლესიისა R. 18 თაყუანი-სცა და]—MQTm. 21 ჩინგიყან  
Mm, ჩინგის (ჩნ-ვის T) ყნ QT. 21 ჰკითხვედის] აკურთხვედის R. 21 და (ამის)—MQTm  
22—24 რაოდენიცა... ებრძოლა] — MQTm. 24 არსან Mm, არსლნ QT. 25 რომელი  
MQTm. 26 არ სულან Mm, არსლნ Q, არსლანი T. 27 ასლან ხან MTm, ასლა ხნ Q.  
29 ეგრეთ R] ებათი MQTm. 29 ჩინგის ყან MQT, ჩინგიყან m. 31 ტახტსა მას ზედა  
R] ხატაეთზედა MQTm.

აწ ვახსენოთ მცირედ შვილთათვისცა  
ჩინგიზ ყ:ენისათა<sup>18</sup>

- M 737 ამა ჩინგიზ ყაენსა ცოლნიცა მრავალი ესხნეს და შვილნიცა. და უხუცესის ცოლის სევენჯებისაგან<sup>19</sup> ესუა შვილი, რომელსა ერქუა თუში, რომელსა ქართველნი ჯოჩიდ უწოდდეს. მეორე ჩალათა, მესამე ოქოთა, მეოთხე თული. ესე ოთხნი ყაენად განაჩინნა ხატაეთს მყოფმან. უხუცესსა თუშის მისცა ლაშქრისა ნახევარი და წარავლინა დიდსა საყვიჩაყეთსა ზედა, ხაზარეთს, რუსეთსა, ოვსეთსა, ვიდრე ბნელეთამდე. და ესე ყოველი ამას მისცა, და ამათ სხუათა უკანასკნელ ვაჯსენოთ.
- R 352a ესე მალალმან და ყოველთა კელმწიფეთა უდიდე|სმან ხუარაზმშა, რომელი მაშინ დღეთა სიმრავლითა მიმკცოვნებულ იყო და შვილისა ჯალალდინისდა კელთედვა სულტნობა და ქუეყანანი, რომელნი ეპყრა ჯეონს აქათ ხუარასნისა და ერანისა, ცნა რა მოახლება თათართა, მოუწოდა სპათა მისთა, ვითარ ექუსასი ათასთა |
- m 512 კაცთა, და წარემართა ჩინგიზ ყაენსა ზედა. ხოლო იგი ხუარაზმშას წინადაემთხ|ვა. იქმნა ძლიერი და ფიცხელი
- Q 160b ომი, რომელ მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ სიმრავლე, და იძლიენეს ხუარაზმელნი. დაშთა რაზმსა შინა ბერი ხუარაზმშა მცირედითა ლაშქრითა, და თათარნი გარემოადგეს.
- T 253a ცნა ესე სულტანმან ჯალალდინმან, რომელი იყო კაცი მკნე, ქველი, შემმართი, უშიში ვითარ უჯორცო, ძალითა საჩინო, წყობათა შინა უცხო. მივიდა მცირედითა კაცითა შუელად | მამისა და მყის წარიყვანა მამათვისი, და ივლტოდეს ხუარასნად.
- ამისა შემდგომად ებრძოლა კუალადცა სულტანი ჯალალდინ მრავალჯერ, რამეთუ სამჯერ ჯეონს იქით

2 ჩანგი ყანისათა M, ჩანკი ყანისათა m, ჩნგის ყნისათა Q, ჩინგის ყენისათა T. 3 ჩინგი ყანს MQm. 4—5 ესუა შვილი, რომელსა ერქუა თუში (თუბის R)]—MQTm. 6 უწოდეს MQTm. 6 მეორე]—MQm, მორე T. 6 ოქროვა MQTmR. 7 ყაენად] ვენდა MQm, ყნდა T. 8 თუშის T, თუბის MQmR. 9 ხარაზეთის MQTm. 10 ბნელადე MQTm. 10—11 და ესე ყოველი ამას]—MQTm. 14 შვილი ჯალალდილისად MQm. 15 რომელსა MQTm. 16 ერანისა] + და MQTm. 17 და ვითარ MQTm. 17 ექუსი ათასთა MQTm. 18 ჩინგიყანს MQ, ჩინგიყანსა m, ჩინგი ყნს T. 19 ხორაზმშის M+ ზედა QT. 19 შინა დემთხვიენეს MQm, დაემთხვნეს T. 20 მოსწყვიდა MQTm. 26 წყობასა Mm. 27 შუელად] შვილად MQTm. 28 ხუარაზმად m.



M 738 შე|ება და ოთხჯერ ხუარასანს, ჯეონს აქათ. ვინათჳს  
 R 352b ღმერთსა ცოდვათა|ჩუენათჳს მიეცა ყოველი ქუეყანა,  
 იძლია სრულიად და ივლტოდა. ცნა რა სივლტოლა ამისი  
 და სიმაგრეთა შინა შევლტოლა ჩინგიზ ყაენმან, წარმო-  
 ავლინნა ორნი თავადნი ზემოვსენებულნი, იამა და სან- 5  
 პიანი<sup>20</sup>, რომელთა ქართველნი სება-ჯებობით უწოდიან,  
 რათა მოვლონ ქუეყანა ხუარასნისა და ერაყისა, სადამ-  
 დი ეძლო სლვად, და განიხილონ ქუეყანა.  
 ესენი წარმოვიდეს ათორმეტი ათასითა მკედრითა და  
 თვნიერ საქურველისა და საზრდელისა ქონებისა, არა- 10  
 მედ მშკლდნი ოდენ, უკრმლოდ. განვლეს თურანი, ჯეო-  
 ნი, ხუარასანი, ერაყი, ადარბადაგანი, და მოიწივნეს გან-  
 ძას. და ვერავენ წინააღუდგა. თუ ვინ სადა გამოჩნდის,  
 ყოველთა სძლიან.  
 და მოიწივნეს საზღვართა საქართველოსათა, ქუეყანა 15  
 გაგისა, იწყეს დარბევა. და ცნა ესე ვარამ გაგელმან და  
 ივანე ათაბაგ|მან, და აცნობეს მეფესა უცხოთა ნათესა-  
 ვისა მოსლვა, უცხოთა ენითა, ოკრებად სომხითისა. მე-  
 ფემან მოუწოდა სპათა თვსთა, იმერთა და ამერთა. და  
 R 353a შეკრიბა ოთხმოცდა|ათი ათასი მკედარი, და წარემარ- 20  
 თნეს თათართა კერძ, გაგისა ბოლოს მდგომთა. იქით  
 ივანე ათაბაგი და ძმისწული მისი, ზაქარიას ძე ამირ-  
 სპასალარისა, შანშე, და ვარამ გაგელი, მსახურთუხუ-  
 ცესი, მოერთნეს დიდითა ლაშქრითა. და წარემართნეს.  
 ხოლო ივანი დაბანაკებულნი წყალსა ზედა ბერ- 25  
 M 739 დუჯსა, და აწ საგ|იმად წოდებულსა, მყის ამკედრდეს  
 და ეწყვნეს ურთიერთას. და იქმნა ძლიერი ბრძოლა.  
 T 253b ნახევარნი | ივლტოდეს თათარნი და ნახევართა | მზი-  
 Q 161a რი ეყო. უკანით მოუყდეს. მაშინ მოიწია რისხვა ზეგარ-  
 დმო უსჯულოებათა და ცოდვათა ჩუენათჳს, და ივლ- 30  
 ტოდეს ქართველნი სპანი და თვთ მეფე ლაშა, და ური-

1 აქათ m. იქით MQT. 2 ღთისა MQTm. 2 ქუეყანა|+და MQTm. 3 და ივ-  
 ლტოდა. ცნა რა R]-MQTm. 4 შინა]-MTm, შა Q. 4 ჩინგის ყან MQTm. 5-6  
 სლპიანი R, სანპიანი m, სანპიანი M, სანპიანი T. 7 რათა მოვლონ| რომელთა მრ-  
 ვალი MQTm. 7 თა]-და MQTm. 8 და განიხილონ| განახლონ MQTm. 10 თვნი-  
 ერ]-MQTm. 10 საქურველთა MQTm+და R. 10-11 არამედ| მიმ ზგომი MQTm. 11  
 ოდენ]-MQTm. 12 აიდარბაგანი MQTm. 14 ყველთა M, ყველთა m. 17 უცხოთა Mm.  
 17-18 ნათესავსა MQTm. 18 ოკრებად| ოქრობად MQTm. 20 ათასნი მკედარნი MQ,  
 ათასი მკედარნი T, ათასნი მკედარი m. 23 მსახურთა უხუცესი MTm. 25-26 ბერდაჯსა  
 MQm, ბერდაჯ სა T. 26 საგიმად| სგიმად MQ. 27 ბრძოლა| ომი Mm. 30 ურჯულობათა  
 MQT, ურჯულობათა m. 31 ქართველნი|+და MQTm.

ცხუ სული ქრისტიანე მოკუდა. სადა-იგიცა დიდი ივანე ათაბაგი ძლით ცოცხალი განერა. და სამცხისა სპასალარის, მეჭურჭლეთუხუცესის ყუარყუარეს შვილი ბექაი მოიკლა ძლიერად მბრძოლი. და აქა იქმნა მოწევნა სრულიადისა ღმრთისა რისხვისა და განწირვა ქართველთა ნათესავისა სიმრავლისათუს უსჯულოებათა ჩუენთათუს. და იქმნა უკუჭეცევა სუესვანისა ბედისა, მადლისა და საჩინოსა დავითიანისა დროშისა გამარჯუებულისა, რამეთუ, რადგან მიეცა ღმერთსა დიდსუესა და დიდბედისა დავითისდა გამარჯუება, აქა ქამამდი სვანი იყო ბრძოლათა შინა დროშა დავითიანი და გორგასლიანი. ხოლო აქა, ვითარ იქმნა ცვალება ბედისა ქართველთა ნათესავისა. არღარა მიეცა ძლევა თათართა ზედა ვიდრე ქამამამდე ჩუენთა.

R 353b

m 514

M 740

R 354a

T 254a

ესრეთ ღტოლვილნი მოიწივნეს ქალაქსა ძლიერნი იგი და სახელოვანნი, რომელნი სულთქმითა და მწუხარებითა შეიციებოდეს. ხოლო თათარნი მოიწივნეს სამშვილდამდე და მიერ უკუნჩქეს, რომელთა ქმნეს საკრველი ესე საქმე: წარვიდეს გზასა დარუბანდისასა, ვერცა შარვანშა წინაღულდა და ვერცა დარუბანდელნი. განვლეს კარი დარუბანდისა და შევიდეს ყივჩაყეთს, რომელთა ბრძოლა აჰკიდეს. და მრავალგან შემოებნეს ყივჩაყნი და ყოველგან თათარნი მძლე ექნეს. და წარვიდეს ომითა, უსაჭურლონი, ვითარცა მითქუამს, უჭედელითა ცხენითა ესოდენ გზათა მავალნი, განვლეს ყივჩაყეთი და შემოუარეს ამა დარუბანდისა ზღუასა გარე და მიიწივნეს გელმწიფესა მათსა ჩინგიზ ყაენს წინაშე ყარაყურუმს. და ქმნეს საკრველი ესე საქმე, მოუსუენებლად სლვა ამა ყოველთა გზათა უჭედელითა ცხენითა, ყარაყურუმით წარმოსრულნი მუნვე მიიწივნეს.

2 ათაბაგი ვითარცა MQTm. 2 ძლით... და—MQTm. 3 მეჭურჭლეთა უხუცესის MQTmR. 9 რადგან რადგინ MQm, ვინათგან R. 9 ღმრთისა MQm. 10 დავითსდა და დავითს MQTm. 10 გამარჯუებულისა MQTm. 14 ღმრთე Mm, ღმრთემდე T. 16 სახელოვანი MQTm. 17 შეცვლებოდეს MQ. 18 სამ მშვილდამდე MQ, სამშვილდამდე T, სმა შვილთამდე m. 19 დარუბანდისა MT, დარუბანდისა Q, დარუბანდისა m. 20 შარვანშა MQT, შარვანშა m. 20 დარუბანდელი MQTm. 21 ყივჩაყეთისასა MQTm. 22 აჰკიდეს აუარეს MQTm. 23 ყივჩაყნი MQm. 23 ყოველგან MR. 23 მძლე მძლე Mm, მრგ T. 26 შემოუარეს შემოყარეს MQm. 27 მწივნეს MQT. 27 ჩინგიზის MQTm. 28 დაყარა ყომორს MQ, და ყარაყომორს T, და ყარაყომორს m. 28 ქმნა MQTm. 30 ყარაყუმორითა MQm, ყარაყუმორითა T.

- ამისმან მცნობელმან ჩინგიზ ყაენმან, რომელ ყოველგან სძლიეს თათართა, წარმოავლინა შვილნი მისნი ხუარასანს სულტანისა ჯალალდინის ძებნად. ცნა ესე სულტანმან ჯალალდინ, შეიყარა და მრავალჯერ ბრძოლა ქმნა, ვითარცა ვთქვ. და იგრძნა რა სრულიად ძლეულება, აიყარა დედა-წულითა და ლაშქრითა, თანაჰყვა დედა-წულით კაცი ასორმოცი ათასი, და ივლტოდეს პირისაგან თათართასა.
- Q 161b | ვითარ გარდაცდა წელი, არავე დასცხრა გულისწყრომა უფლისა, რომლითა განვარისხეთ, დასნეულდა<sup>21</sup> მეფე ლაშა. მოუწოდა ყოველთა წარჩინებულთა სამეფოსათა, შევედრა დაჲ თვისი რუსუდან ცრემლითა მომდინარემან და თქუა: „უწყი უმანკოება და ერთგულება მეფეთა ნათესავისაგან თქუენ მკვდრთა საქართველოსათა. შეხედვებითა ღმრთისათა მიგათუალავ დასა ჩემსა, რქუსუდანს, რათა შემდგომად ჩემსა მეფე-ჰყოთ, ვითარ არს ჩუეულება ნათესავისა თქუენისა, ერთგულებით მონებდით და სიმკნითა თქუენითა დაიცევით ტახტი მტერთაგან უვნებელად. დაღათუ არა მამაკაცი არს, არამედ დედაკაცი, არა აკლია სობრძნესა და სამეფოთა საქმისა ცნობასა. თქუენ, წარჩინებულთა ამის სამეფოსათა, იცით და გავსოვს წყალობა და ნიჭი და პატივი სანატრელისა და კეთილად მოვსენებულისა, მეფეთა შორის ბრწყინვალისა დედისა ჩემისა. ეგრეთვე, თუ ღმერთსა უნდეს, დამანცა ჩემმან | იცის პატივი თქუენი. აწ შეგვედრებ წინაშე ღმრთისა, რათა მეფე-ჰყოთ იგი შემდგომად ჩემსა. ხოლო დასა ჩემსა, რუსუდანს, ვამცნებ წინაშე ღმრთისა და სასმენელად თქუენდა ყოველთა, რათა აღზარდოს შვილი ჩემი დავით. რაემს ეძლოს მეფობა და მკვდრობა, რომელ დავით მეფე-ყოს,
- R 354b
- M 741
- m 515
- R 355a
- T 254b

1 ჩანგიჯან MQTm. 2 სულტანს ჯალალდინს MQ, სულტანს ჯალალდინს T, სულტანსა ჯალალდინს m. 3 ესე] და M. 4 სულტან ჯალალდინმან MQT. 5 შეიყარა] შეიყუარა M. 6 ძლეულება] გრძნეულება MQTm. 6 აიყარა] იპყრა Q. 6 ლაშქრითა T, ლაშქართა Mm. 7 დედაწულით R, დედაწული MQTm. 10 რომლითა განვარისხეთ] ძალითა (m: ძლითა) განვარახეთ M. 10 დასნეულდა გორგ.] და სრულდა M, და დასრულდა QT, და ასრულდა m, აღისრულა R. 12 დაჲ Mm, და T. 14—15 საქართველოთა Mm, საქართველოსთა Q. 15 მიგათუალავ R] მიგათუალე MQm, მიგითუალე T. 19 უვნებელად] უვნებლად Mm, უვნებლად T, უვნებლად Q. 20 არამედ] და MQTm. 21 ცნობასა] მცნობასა MQTm. 22 ნიჭი] ჰური m. 23 კეთილად] კვალად MQm, კლ T. 24 შორის] შორს MQ. 25 ჩემმან] ჩემან MQ, ჩემნი T. 26 ჰყოთ]—MQm. 27 ჩემსა] რათა Mm. 27 აღზარდოს MQTm.]

და იგი დაადგინეთ მეფედ და შემკვდრედ მეფობისა ჩემისა. დალათუ ყრმა არს, და ინებოს ღმერთმან აღზრდა მისი, ვჰგონებ, რომე შემძლებელ არს პყრობად მეფობისა, კეთილითა ასაკითა არს და ჰაეროვან“.

R 355b ვითარ დაასრულა ბრძანება, შეისუენა<sup>22</sup>, რომლი- 5  
M 742 სათვს არს გლოვა და მწუხარება მიუთხრობელი, რომელ დამან მათმან რუსუდან აღასრულა გოდებანი მრავალ დღე. და წარიყვანეს სამკვდროსა მათსა გელათს.

## II
ვიდრე წარმოავლენდა მეფე ძესა თვისსა, ენება აღმკედრებად დიდსა სულტანსა ყიასდინსა, ნათესავითა სალჩუქიანსა, რათა დაიმორჩილონ, რომელსა აქუნდა საბერძნეთი. და წარავლინეს ბიხო ნოინი, და თანაწარიყვანა დიდნიცა იგი მთავარნი საქართველოსანი. ვითარ მიიწიენეს ქუეყანასა სევასტიას | და ეზიჩქისასა, იწყეს ოკრებად. მაშინ სულტანმან ყიასდინ მოუწოდა ყოველთა სპათა და შემოიკრიბა მკედრები თვისი. კაცა ორმოცი 25

M 770  
Q 170b  
T 267a  
R 375a

ბევრი, რომელ | არს ოთხასი ათასი. და განაჩინა მკედართა თავად შარვამის | ძე აფხაზი, სახელით დარდინ, რომელი სიმცხისა მისისათეს პირველვე დიდსა დიდებასა აღეყვანა, და მტკიცედ ეპყრა სჯული. ამას თანა ფახრადავლა, თორელისა ახალციხელისა შალვას ძე, რომელი ლტოლვილი წარსრული იყო სულტანსა წინაშე, კაცი მცნე და წყობათა შინა სახელოვანი. ესენი მკედართა მთავარ- 30

1 ოკრებისაგან] + და MQTm. 3 ქუნესა Q. 3—4 წარმოგზავნა + დასტური ჯ ა ე ა ხ. 4 მაშინ წარვიდა ივანე R]—MQTm. 5 ჩაღატ MQm, ჩაღ T. 8 ეგრეთ MQTm. 13 ამიერ MQTm. 13 განვზრახა Mm. 16 ვრეთის MQTm. 17 მანისი ფერობისათეს MQTm, სიშვიისათეს R. 22 ბიჩინოინ MQT, ბიჩი ნოინ m. 22 და (თანა) R] რამეთუ MQTm. 25 ყიასდინ MQm, ყდინ T. 27 ოთხასი] ბოხასი M. 28 აფხაზი]—m. 30 ფახრადავლა Mm, ფხარდელა T, ფხარდელა Q, ფარადავლა R, ფახრადინ ვ ო რ გ. 33 წყობათა T, წყობათა Q, წყალობათა Mm.

ყვანა და წინამბრძოლად განაჩინნა. და მოეახლა, მახლობელად მათსა დაიბანაყა.

- ვითარ ესმა თათართა მოსლვა სულტნისა წყობად მათდა, ესეზომ განლაღებულ იყვნეს და განრისხნეს, რომელ ამისი მსმენელი ბიჩო ნოინი მივიდა თხრობად ქართველთა მუნ მყოფთა მოსლვასა სულტნისასა, და იხილა ძისწული ყუარყუარე ჯაყელისა. სახელით სარგის, კაცი მკნე და შემმართებელი, კელოვანი ბრძოლათა შინა, და კმა-უყო ბიჩო და რქუა: „მახარობელად ვიდრემე მოვალ, ვიდრე თა იყოს ნიჭი ჩემი, რამეთუ დიდსა სულტანსა ასმიეს მოსლვა ჩუენი და ხლებულ არს, და, ესერა, ახლოს დაუბანაკებებს დიდითა და უამრავითა ლაშქრითა. და ხვალე ეგულების წყობად და ბრძოლისა ყოფად ჩუენდა“.
- ესმა რა ესე სარგის, განკვრეებულმან რქუა: „უწყი წყობათა შინა სიმკნე და გამარჯუება თქუენი, მ ნოინო, გარნა სიმრავლისათეს მათისა არას ეგონებ სიხარულევანსა“. ხოლო ბიჩო განიღმნა და რქუა: „არა კეთილად მეცნიერ ხარ ნათესავსა ჩუენ მოლოლთასა, რათგან მოგუცა ღმერთმან ძლევა; არად შეგვრაცხია სიმრავლე სპათა, | რამეთუ უმრავლესთა უმჯობესად ვიდრემე ვსძლევთ და უმრავლესითა აღვივსებით აღაფითა. აწ განემზადენით ხვალისა ბრძოლად და ვიხილოთ, ვითარ ვებრძვით მტერთა“. ეზომ განლაღებულ იყვნეს ყოველთა ნათესავთა ზედა.
- ვითარ განთენდა და მივიდა სულტანი სპითა საზარელითა, რამეთუ იყო ოთხასი ათასი მკედარი, და განაწყვეს რაზმი. აქეთ თათართა განაწყვეს რაზმი და ურჩეულესი | მათი მარცხენასა მხარსა დააწესნეს. ესრეთ აქუნდა წესად, უმჯობესთა ვიდრემე მარცხენასა კერძოსა დააწესებდინ ამის ძალითა, რომელ სხუანი ნათესავნი ყოველნი უმჯობესთა და უმკნეთთა მარჯუენით |

2 მათსა m, მათსა MQT. 4 ესზომ Mm, ესე ზომ Q, ესრეთომ T. 5 ბიჩონ M, ბიჩი ნოინ m, ბიჩ ნოინ Q, ბიჩონ T. 6 მუნ] მან MQm, მუნ T. 7 ჯაყელისა R] მდგომარე MQTm. 9 მახლობელად MQTm. 12 დედთა MQTm. 12—13 უმრავლესთა Mm, უმრავლეთა T. 13 ლაშქართა MQTm. 14 ეოდთა MQm, ეოდთ T. 15 სარგის Mm. 17 მათსა]—MQTm. 17 სიხარულევანსა R. 19 მოლოლთასა ბრძოლეს, მომავალთასა MQTm, მოლოლთასა R. 20 შეგვრაცხეს MQ, შეგვრაცხნეს T, შეგვრაცხნეს m. 22 ვსძლევ MQTm. 24 იყო MQTm. 26 მოვიდა R, ყაუხჩ. 29 დაწესნეს MQm, დაწესნეს T. 31 დაწესებდინ Mm, და წესებდინ T.

აქუნდა დაწესებოდა, რათა ურჩეულესნი ურჩეულესთა შეემთხვენენ. ხოლო დროშათა მათთა სიმეწამულე მოასწავებდა სისხლისა დამოღურელობასა მტერთასა.

ამათ რა ესრეთ ყოველი ნათესავი ქართველთა წინამბრძოლ-ყვეს და ვითარცა მიიახლნეს ურთიერთას, იწყეს თათართა ვმითა მალლითა თქუმაღ: „აჰლა, აჰლა, აჰლა“, რომელ ძნელად სათარგმანებ არს და უცნაურ, და სამსა ვიდრემე |ჯერსა აქუნდა წესად თქუმა ამისი: „აჰლა, აჰლა, აჰლა“, და მყის მიეტევნეს. ხოლო ქართველნი უპირატეს და უმცნეს ძლიერად ეწყუნეს და იქმნა ომი სასტიკი. მოსწყდა სიმრავლე ურიცხვ სპათაგან სულტნისა, სადა სახელოვანიცა შარვა|შის ძე დარდინ აფხაზი. მკედართმთავარი მათი, მოიკლა. და ივლტოდეს სპანი სულტანისანი, და დევნა-უყვეს რა თათართა და ქართველთა, | ურიცხვ მბრძოლი მოსრეს და შეიპყრეს. ხოლო ახალციხელი სულტნისა მიერ მოიკლა შურითა ქართველთა. ესოდენ ეწყუნეს პირველ, განკვრდეს ყოველნი მკედართმთავარნი მათნი ძლიერად მბრძოლობასა ქართველთასა, სიყუარულსა და პატივსა და ნიჰსა წინაუყოფდეს და ქებასა შეასხმიდეს.

| ხოლო აღივსნეს ქართველნი და თათარნი ყოვლითა სიმდიდრითა, ოქროთა და ვეცხლითა, სასმურთა და სამზარეულოსა ოქროსა და ვეცხლისათა უტეხელისათა, უცხოთა ღარითა და სამოსლითა. ცხენისა და ჯორისა და აქლემისა არა იყო რიცხვ, რაზომი აღიდეს. ესრეთ სავესენი მივიდეს საბერძნეთსა დევნად სულტნისა და მიპყვეს ვიდრე იკონიადმდე, რომელ არს ქალაქი დიდად დიდი და ზღუდეთა მტკიცეთა მიერ განმაგრებული, სად-იგი შელტოლვილ იყო სულტანი. და კუალად კართა ქალაქისათა იქმნა ომი ძლიერი, რომელ თვთეულად არა არს მოთხრობად, რამეთუ უმრავლესთა დღეთა გამოვიდინ ჩალიშად და ე|სრეთ იბრძოდიან, სადა-იგიცა

M 772

m 541

T 268a

R 376b

M 773

2 სიმეწამულე — MQTm. 5 მიიახლნეს R, დაესრულნეს MQTm, დაეახლნეს ყ ა უ ხ ჩ. 6—7 აჰლა აჰლა აჰლა R, აღილითა აღილითა აღილითა MQm, აილი ალა T, ალაჰ ალაჰ ალაჰ გ ო რ გ. 8 ჯერასა MQT, [ჯერ არს m, სამჯერ R. 9 აღილითა აღილითა MQm, აილა აილა T. 10 იწყეს MQTm. 14 რა R] რათა MQm, რა T. 17 ეწყუნეს R] იწყეს MQTm. 18 მბრძოლობას Q, მბრძოლობს MT, ბრძოლასა m. 25 რაზომი] რაზომითა (რაზომისა m) ცხენისა Mm. 26 მოვიდეს MQTm. 26—27 მიყუანეს MQm, მიყვანეს T. 27 იკონიადმდე MQTm. 31 უმრავლესნი MQTm. 32 ჩალიშად ჩ. გ. კ ო ნ ი ე ქ ტ., ჩალიზად ყ ა უ ხ ჩ., ჩლისდ MQ, ჩლისად Tm.

ძლიერი და სახელოვანი ჩალიშობა გარდაიკადეს მკვრივად ვალთა დღეთა ქართველთა.

- Q 171b ხოლო | სულტანმან, შეიწრებულმან ომითა, ითხო-  
ვა ზავი, აღუთქუა ხარაჯა დიდი და მძიმე, და მრავალთა  
ძღუენთა და უფასოთა თუალთა და მარგალიტთა ძღუ- 5  
ნად მიმცემელმან მოამშვენა, და ითხოვა მცველნი და  
ესრეთ: ეამ რაოდენმე არა იხილონ სულტანი, ვიდრემე  
R 377a ვანიზრაბონ უმჯობესი. ამისი შემწყნარებელნი თათარ-  
T 268b ნი უკმოიქცეს და მივიდეს ხლათს, | ხოლო სულტანმან  
ხლათისამან ითხოვა ზავი და წინამოეგება ძღუენთა ური- 10  
ცხუთა მომღებელი, რომელი კეთილად შეიწყნარეს,  
მცველნი ქუეყანისანი, რომელ არიან შანანი, დაუდგინ-  
ნეს.
- და წარვიდეს საზაფხულოსა ადგილსა ველაქუნს და  
არარატის მთათა, და წარუვლინეს მოციქული მეფესა 15  
რუსუდანს, რათა ზავი იქმნას მათ შორის, და მოსცეს  
მე მისი, დავით, და მისცენ მეფობა, და ტფილისი | და  
ყოველი საქართველო. და ვითარ ესმა რუსუდანს, სინდა  
სიტყუა ესე და გულსავსე იყო ამისთვის, რომე ფიცსა  
მტკიცედ იპყრობდეს და მინდობილსა შეიწყნარებდეს. 20  
გარდამოვიდა თვთ მეფე და წარმოგზავნა მე თვისი, და-  
ვით, რომელთა წინამიეგებნეს შანშე, ავაგ და ეგარსლან,  
რომელი თათართა დიდად პატივითა შეეწყნარა, არარა-  
თა ნიჭთა და ზნეთა სამამაკაცოთა მქონებელი?, შოთა  
M 774 კუპარი. გაგელი ვარამ, ქართლის ერისთავი სურამელი 25  
გრიგოლ, სამცხის სპასალარი და მეჭურჭლეთუხუცესი  
ყუარყუარე ციხისჯუარელი, თორელნი, თმოგუელნი,  
შავშ-კლარჯნი და ტაოელნი, და წარიყვანეს მეფე, მე  
რუსუდანისი, დავით. ხოლო მეფემან რუსუდან თანა-  
R 377b წარიტანა ყოველნი მთავარნი ლიხთ-იმერქელნი, დადი- 30  
ანი ცოტნე, კაცი პატიოსანი და სათნოებანი და ბრძო-

1 ძლიერი] თათარი MQTm. 1 ჩალიშობა] ჩელის MQTm, ჩალისობა R, ჩალი-  
ბობა ყ ა უ ხ ჩ. 7 ესრეთ R, ესერა MQTm. 9 ხლათს MQ, ხლათსა T, ხლათს m.  
10 ხალთისმან MQTm. 10 ითხოვა ზავი]-- MQTm. 10 ძღუენთა ჩვ. კონიექტ.] —  
MQTm, ძღუენთა დიდითა R, ყ ა უ ხ ჩ. 10—11 ურცხუთა] ურცხვითა MQm, ურც-  
ხვითა T. 11 შეიწყნარეს R, შეიწყალეს MQTm. 12 შანანი QTR, ბანანი Mm. 14 წარვი-  
დეს R, მოიუფანეს MQTm. 16 მათ შორის] შორს მათსა M, შორს მათსა m, შს  
მათსა QT. 20 შეიწყალებდეს MQTm. 22 შანშა MQm, ბავა T, შანშე და R. 22  
ეგარსლან გ ო რ გ.]—MQTmR. 23 შეწყნარა M, შეწყნარა Q, შეწყნარ m, შეიწყნარა  
T. 25 გაგელი ყ ა უ ხ ჩ.] თორელი MQTmR. 28 კლარჯ MQTm.

- ლათა შინა სახელოვანი, ბედიანი, რაჭისა ერისთავი, გურიელი და ყოველნი წარჩინებულნი. წარემართნეს და შევიდეს ტფილისს და წარვიდეს ბარდავს, სადა დაეპა-  
 ნაკა ნოინთა. მიიყვანეს დავით დიდითა პატივითა და  
 T 269a ლაშქრითა. ვითარ იხილეს ჩორმაღონ, ჩაქლატა, იოსურ 5  
 და ბიჩო, განიხარეს და პატივი უყვეს მეფესა და მთა-  
 ვართა საქართველოსათა, მოსცეს ყოველი საქართველო,  
 ტფილისი, სამშვლდე, რომელი პირველი ომითა აედო  
 Q 172a იოსურ ნოინს და ანგურგას თანადახლომითა აევაგისთა.  
 და ესრეთ კეთილად შეიწყნარეს დავით მეფე, რომელ- 10  
 სა ნარინ დავითობით<sup>18</sup> უწოდეს, ესე იგი არს, სეფის-  
 პირი დავით.  
 მამინ წარავლინეს მოციქული წინაშე დიდისა ყაე-  
 ნისა, რომელი იჯდა ყარაყურუმს, ტახტსა ჩინგიზ ყაე- 15  
 ნისა, რამეთუ ჩინგიზ ყაენი გარდაცვალებულ იყო და  
 კელთ-იგდო ძემან მისმან, სახელით ოქოთა, ყაენობა,  
 რომელი იყო კაცი კეთილი და დიდად უხვ, და მოსამარ-  
 R 378a თლე. და იგიცა გარდაიცვალა. | და დასუეს ძე ოქოთა-  
 სი ყაენად, სახელითა ქუქ. და იგიცა მოკუდა და კელთ-  
 იგდო ყაენობა ძემან | ქუქისმან, | მანგუ. წარავლინეს 20  
 m 543 მოციქული და აუწყეს აღება სპარსეთისა, საქართვე-  
 M 775 ლოსა, საბერძნეთისა, და ყოველთა თემთა ქუდი და ა-  
 ჯარი და ტანისამოსი გაუგზავნეს და წესი მიუმცნეს  
 ესეგითარ: „ქართველნი სრულიად მოვიდეს, მეფე და  
 ერთობილნი მთავარნი, რომელთა აქუს სჯული კეთილი, 25  
 და ტყუილსა ევლტიან, მწამლველი არცა თუ სახელ  
 იდების მათ შორის“. და სპარსთათს მიუმცნეს ესრეთ:  
 „არიან სპარსნი ცრუ, მოღალატე და ფიცის არშემნა-

1 ერისთავნი MQTm. 2 გურიელი Q. 2 წარემართნეს და|+აწ m. 3 ბარდავს MT. 5 იხილა MQTm. 5 ჩილატმან MQ, ჩილატამან m, ჩილატამნ T, ჩილატარ R. 6 ბიჩე MQTm. 6—7 მთავარსა Mm. 8 პირველ MQm. 9 ანგურგას mR, ანგურჩავას MQT. 9 თანა დასხდომითა Mm. 10—12 მეფე... დავით|—Q. 11 ანრინ დიდებთა M. ანრინ დიდებთა m. ანრინ დ<sup>2</sup>ით T, ნარინ დავითობით R, ნარინ დავითობით გორგ. 13—14 დიდსა ყარსსა Mm, დიდსა ყარსსა QT. 14 ყარყურუმს MQTm. 14—15 ჩინგის ყანსა M, ჩინგი ყანსა Q, ჩინგეს ყანს T, ჩინგეს ყანასა m. 15 ჩინგი ყან MQT, ჩინგი ყანა m. 16 ოქონთინმან MQT, ოქონთინმან m. 16 ყაენობა| და ყანიობ Mm, და ყანობ Q, და ყნობით T. 17 უტყუი Mm, უტყუ Q, უხვ TR. 18 რა დასუეს| და საჩეს MQTm. 19 ყაენად R| ყოველი და MQTm. 20 ყანაბა MQT, ყანაბ m. 20 მანგუ|—MQTm. 21 სპარსეთსა Mm. 22 საბერძნეთსა Mm. 23 მიუმცნეს|+და MQTm. 24 ესე ვითა MQT. 24 სრულიად მოვიდეს| საღ (სადა) მოვიდეს MQTm. 26 სახელი M, სხელ Q. 27 სპარსთათს ყ ა უ ხ ჩ., სპარსთა MQTm.



ხველ, და მრავალხი იპოვებიან მწამლველნი და მავალ ურცხვნიოლ“.

- T 269b მიიწია რა ელჩი პირველად ბათოსისა, რომელი იყო შვილი თუშისი, პირმშოსა ჩინგიზ ყაენის შვილისა, რამეთუ მაშინ უპირატესობა | ყოველთა ბათოს ყაენს ეპყრა, რომელსა აქუნდა ოვსეთი და დიდი ყივჩაყეთი, ხაზარეთი, რუსეთი ვიდრე ბნელეთამდის და ზღუადმდე დარუბანდისა. და ამან წარავლინა მანგუ ყაენისა. და ვითარ იხილა მოციქული, განიხარა, | და ჩაბალახისა ხილვასა განკვრდა. და ესრეთ მიუძმცნო ნოინთა მანგუ ყაენმან: „ვითნაგან ქართველნი წყობათა შინა კეთილად გიხილვან და ტყუილი არა არს მათ შორის და მინდობა იციან, თქუენ თანა იპყრენით მტერთა თქუენდა ბრძოლად, ხოლო სპარსნი მოსწყვდენით, და მის ქუეყანისა თავადნი წარავლინეთ ყაენთა წინაშე“.
- R 378b ესე მოციქული რა მოიწია, ავავ, რომელი ამირსპასალარობისაგან ათაბაგ იქმნა მეფისა რუსუდანის მიერ, წარავლინა ჩალატა ნოინმან წინაშე დიდისა ყაენისა ბათოსისა, და ხლათისა სულტანი. წარვიდეს უცნაურსა და ყოვლადვე ქართველთა ნათესავისაგან უვალსა გზასა. და ვითარ მიიწინეს წინაშე ბათოსისა, რომელი იყო მას ეამსა უმთავრესი ყაენთა და უზეშთაესი და უაღმატებულესი შუენიერებითა, თანაწარეყვანა ათაბაგსა ავავს ივანე ახალციხელის ძე, სახელით დავით, ეჯიბი ავავისი, რომელმან რქუა ავავს: „ვინათგან უცხოთა ნათესავთა მომართ მოიწიე და არა უწყი, თუ რა ყოფად არს ჩუენდა, ესრეთ განგაზრახებ, რათა ვიქმნე მე, ვითარცა | პატრონი და მთავარ შენდა, | და შენ იქმნე მონა. უკე-
- M 776
- Q 172b
- m 544  
R 379a

3 რომელი იყო]—MQTm. 4 თუშისი] თუ შიში MQm, თუშობი T, თუბისი R, ყ ა უ ხ ზ ჩ. 4 ჩინგის ყანისი MQm, ჩინგის ყანისა T. 5 ბათოსყანს MQm, ბათოს ყანას T. 6 დიდი და შიგაყეთი (ყივჩაყი m, ყივჩაყეთი T) MQTm. 7 ვიდრე ბნელეთამდის და]—MQTm. 8 მანგეყანისა (ყაენისა) MQTm. 11 ყან MQT. 11 ვინათგან ქართველნი წყობათა] რათა რა წყალობათა (წყობათა T) MQTm. 12 გიხილავს MQTm. 12 შორის] შინა MTm. 12 მინდობა]—MQTm. 13 იციან MT. 13—14 ბრძოლად R, გრძლად MQTm. 14 სპარსნი R, სპანი MQTm, 14 მოსწყვდნა MQTm. 15 წარავლინეთ ჩვ. კ ო ნ ი ე ქ ტ., წარავლინა MQTm, წარმოგზავნენით R, ყ ა უ ხ ჩ. 18 ჩალატ ნოინ MQTm. 18—19 ყანბათოსისა MQTm. 19 ხალთისა MQ, ხალათისა m, ხილთისა T. 24 ივანე... ავავისი]—T. 24 დავით] + და MQm. 24 ავავს MQm. 26 მოიწია Mm, მოიწიე Q. 27 განგზრახებ Mm, გნგზრახებ Q, გნგზრახებ T.



თუ ენებოს მოკუდინება შენი, მე მოვიკლა და არა შენ. არღარა ვგონებ, უკეთუ ბატონი მოიკლას, ყმათაცა და-  
 კოცად“. და ესრეთ მრავლითა ვედრებითა და იძულებითა დააარწმუნეს ავაგ ამისდა ყოფად. ვითარ შევიდეს  
 წინაშე ბათოსა, წინაწარიდლუნა დავით, ვითარცა უმ- 5  
 თავრესი. და ესო|დენ სათნოება ქმნა დავით, განმწირ-  
 ველმან თავისამან პატრონისათვის სიკუდილად. იხილა  
 ყაენმან ბათო, განიხარა და დიდად პატივ-სცა მრავალთა  
 დღეთა. და ვითარ ცნეს კეთილის-ყოფა ბათოსაგან და  
 უშიშ იქმნეს სიკუდილისა, ერთსა დღესა შეუწოდა ბა- 10  
 თო, და ავაგ წინაწარუძღუა, რომელი იხილა რა ყაენმან,  
 განკვრევითა შემხედველი ეტყოდა ავაგს: „არა სადამე  
 მეცნიერ ხარა, რომელ პატრონი არს შენი, რომელი უკა-  
 ნის შენსა დგას და წინა წარმოსძლომიხარ?“ ხოლო და-  
 ვით ღიმილით ეტყოდა: „დიდო, დიდო განმარჯუებულო 15  
 კელმწიფეო! ეგე არს პატრონი და მე მო|ნა მისი“. და  
 განკვრევებული ყაენი ჰკითხვიდა მიზეზსა მისსა ყოფად.  
 რომლისთვის დავით თქუა: „მის ძალითა ვყავ, დიდო  
 ყაენო, რომელ არა მეცნიერნი ვართ შენნი, და არა  
 უწყოდით, რას შეგუამთხუევდით. უკეთუ გენება მოკუ- 20  
 დინება, მემცა მომკუდარ ვიყავ უწინარეს და არა პატ-  
 რონი ჩემი“. რომლისათვის დიდად განკვრდა და აქო  
 დავით და თქუა: „უკეთუ ნათესავი ქართველთა ეგევი-  
 თარი არს, ვბრძანებ, რათა ყოველთა ნათესავთა, რო-  
 მელნი არიან მორჩილებასა ქუეშე მოლოლთა, უმჯობეს 25  
 და უწარჩინებულეს იყვნეს, და მოლოლთა თანა მკე-  
 დართა აღრაცხონ, მამული და საქონელი მათთა კელთა  
 შინა იყოს და ყოველსა შინა მისანდოდ იყვენენ“. ამის-  
 თვის ბრძანება დააწერინა და წარმოსცა, და ესრეთ გა-  
 ნაჩინა წარვლენა დიდსა მანგუ ყაენისსა ხატაეთს და 30

T 270a

M 777

R 379b

1—2 და არა შენ... მოიკლას]—T. 2—3 ყმათაცა დაკოცად R]—MQTm. 4  
 ამისად T. 6 დავით|ვითარცა უმთავრესი MQTm. 8 ყაენმან MQTm. 8 ბათოი  
 Mm, ბათო T. 8 და]—MQT. 10 სიკუდილისა|და MQ. 11 რა|რათა Mm, რა  
 T,—Q. 11 ყაენმან MQT, ყაენმან m. 13 ხარა Mm, ხარ T. 15 დიდო დიდო|დიდო  
 და R. 16 მე]—T. 18—19 დიდო ყაენო|ყან (ყანა, ყანი) დიდო MQTm. 19 შენი T.  
 25 მოლოლთა ჩე. კონიექტ., მაღალთა Mm, მღლთა QT. 26 მაღალთა Mm, მღ-  
 ლთა QT. 28—29 ამისთვის|ამისი რომელსა MQm, ამისი რლ არს T. 29 ბრძანება|ბუ-  
 ნება MQTm. 29 დააწერინა R, დაწერა ყ ა უ ხ ჩ., დააჯერა MQTm. 30 მანგუყაენის-  
 სა (ყაენისასა m) MQTm.

- Q 173a ყარაყურუ|მს. ესე | აქამდინ იყავნ. ხოლო, ჩუენ დამაინსული  
m 545 თომილისა სიტყუსა მიმართ აღვიდეთ.
- T 270b | გარდამოვიდა მეფე რუსუდან ლიხით და მივიდა  
ტფილისად და მოეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი სა-  
მეფოსა მისისანი. და წარავლინა ძე თვისი, დავით, ნოინ- 5  
თა წინაშე, რომელთა პატივითა შეიწყნარეს და მოსცეს  
R 380a ყოველი სამეფო, წარჩინებულნი და | ყოველნი მთავარ-  
ნი საქართველოსანი. და ესრეთ კუალად ეგო სამეფო  
ბრძანებასა ქუეშე რუსუდან მეფისასა.  
კუალად აქაცა ვინებე დუმილად, ვინათგან მეგულე- 10  
ბის განსაკრთომელისა მოთხრობისა, დაღათუ არა საკად-  
რებელ არს თხრობა მეფეთათვს უშუერსა რასმე, რა-  
მეთუ იტყვს მოსე, მხილველი ღმრთისა: „მთავარსა ერი-  
M 778 სა შენისასა | არა ჰრქუა ბოროტი“. გარნა ვინათგან  
წიგნი ესე შუამდებარე არს კეთილისმოქმედთა და ბო- 15  
როტისმოქმედთა, შენდობილ იყვენენ სიტყუანი ჩემნი, რა-  
მეთუ ეამთა აღმწერელობა ჭეშმარიტისმეტყუელება არს  
და არა თუალახმა ვისიმე. რამეთუ ამათ ეამთა დაივიწყა  
შიში ღმრთისა და ანდერძი ძმისა და ფიცი იგი, რომელ  
ამცნო ძმამან მისმან რუსუდან მეფესა, განიზრახა ზრახ- 20  
ვა უცხო, რათა დაუმტკიცდეს მეფობა ძესა მისსა, და-  
ვითს. და წარავლინა კაცი საბერძნეთს, სულტანსა სიძეს  
და ასულსა თამარს წინაშე, რათა ძმისწული მისი, და-  
ვით ყრმა, რომელ პირველ წარავლინა მათდა, რათა  
ბოროტი რა ეყოს მათ მიერ, და არა ბოროტ ეყო, აწ | 25  
R 380b რომელ წარსწყმიდონ და მოაკუდინონ, და უზრუნვე-  
ლად ეპყრას მეფობა მას და ძესა მისსა, დავითს.  
ხოლო მათ არა ისმინეს. და კუალად სხუა წარავლი-  
ნეს მოციქული ამავე პირისათვს. ხოლო იგინი არა ერჩ-  
T 271a დეს. და | მესამედ სხუა სავედრებელი წიგნი წარგზავნა 30  
შვილისა და ძმისწულისა. გინა ძმისმკლველობითა სავსე.

1 ყარაყურუს MQT, ყარაყურუს m. 1 ხოლო—MQTm. 2 მიმართ მიერ MQTm. 9 რუსუდანისასა მეფესა MQm. 10 დუმილი R. დაღმაღავად MQTm, დუმილად კონიექტ. 12 მეფეთათვს R, მისთვის MQTm. 16 სიტყუანი MT, სიტყუნი Q. 17 ეამთა აღმწერელობა R, ეამთა აღმწერელობით MQTm. 17 ჰრქვისა QT. 17 მეტყუელობა MQm. 18 თუალხუ-  
მით MQTm. 18 ვისიმე კონიექტ., ვისმე MQTm, ვისთვისმე R, ყაუხჩ. 21 დაუმ-  
ტკიცდეს MQTR, დაუმკვდროს m. 24 პირველ—MQTm. 24—25 რათა ბოროტი თანა  
ჭეშმარიტი MQTm. 25 ეყოს ყაუხჩ., უყოს MQTm, უყონ R. 25 ბოროტ ქეშმარიტ  
MQTm. 26 და მოაკუდინონ—QT. 27 არა რა MQTm. 30 წარგზავნა R, ასწავეს  
MQTm. 31 ძმისწულისაგან MQTm.

m 546

და იგინი არცა მაშინ ერჩდეს. ამისგან განცვობებულ-  
მან, | გულისწყრომითა აღვსებულმან დაივიწყა სჯული-  
ცა და ლმობა ნათესავეთა და თვთ შვილის სიყუარული  
დედობრივი, ვითარცა იტყვს ბრძენი სოლომონ, ვითარ-  
მედ: „გულისწყრომამან კაცისამან სიმაართლე ღმრთისა

5

M 779  
Q 173b

არა ყვის“. ვითარ ამანცა, კეთილთა ძირთა მორჩმან,  
არა ყო სიმაართლე, დაწერა წიგნი სიძეს სულტანსა |  
ყიასდინს თანა. და ესრეთ მიუშენო, ვითარმედ: „ამის-  
თვის მენება მოკლეა მძისწულისა ჩემისა დავითისი,  
რომე ცოლსა შენსა და ასულსა ჩემსა მძისწული ჩემი,

10

R 381a

დავით, თანა-ყუფვდეს, და ამისთვის არა ნებაეს ასულსა  
ჩემსა ბოროტი მისი“. შ გონება, მკვეცთა უმძვნვარესი,  
ვაჲ მკლველობა, ოდესმე სმენილთა და გარდასრულ-  
თა მკლველობათა უბოროტესი, რომელი აღასრულა  
შვილსა და მძასა ზედა დამვიწყებელმან დედობრივთა

15

და ძმებრივთა ლმობათამან!  
და მიიწია წიგნი სულტანს წინაშე. მყის აღშფოთთა  
და შევიდა სახლსა სადედოფლოსა, და უბატოდ განი-  
არია ცოლი თვისი მოფხურითა თმათა, ფერკითა ძლიე-  
რად უხეთქნა პირსა მისს შეუენიერსა, და ტანი ფრიადი-  
სა ცემისაგან სისხლისფრად იყო. და ხატნი იგი, რომელი  
სამარადისოდ აქუნდა წინაშე მათსა, შეაგინნა და და-  
მუსრნა და ყოველნი მის წინაშე მყოფნი მსახურნი და  
მოკლენი ექსორია-ყვნა და რომელნიმე მოსწყვნა.

20

და ცოლსა მისსა შეშინებით უთქმიდა უწყალოდ სიკუ-  
დილსა, უკეთუ | არა დაუტეოს სჯული ქრისტესი და  
მუსულმან იქმნას. და მრავალნიცა ტანჯვანი შეამთხვენა,  
რომლისა შემდგომად მრავალთა ტანჯვათა მიერ მომედ-  
გრებულმან უარ-ყო სჯული ჭეშმარიტი, რამეთუ აქა-  
მომდე მტკიცედ ეპყრა სჯული ქრისტესი, რამეთუ ხუ-

25

ცესნი და ხატნი წინაშე | მისსა აქუნდის არა ფარულად,  
არამედ განცხადებულად.

30

T 271b

R 381b

1 განცვობებულმან mR. 6 ამანცა| აშენა m. 7 სულტანთა MQTm. 8 ყი-  
ასდინს თანა| ყადინსა MTm, ყსდინსა Q. 13 ვაჲ T, ვაჲ Mm, ვაჲ Q. 13 მკლვე-  
ელობა M. 15 დამვიწყებელმა MQ, დამვიწყებლმნ Q, და მივიწყებლმნ T. 16 ძმებ-  
რივთა R, ძმებრთა MQm, ძმებრთა T, ძმებრივთა ჟ ა ვ ა ხ., ყ ა უ ხ ნ. 22 შეაგინნა  
R, შეაგინნის MQm, შეაგინნეს T. 23 და ყოველნი| ყოველივე MQTm. 24 მოკლენი|  
მკველნი R. 27 მუსულმან MT, მუსულმნ Q, მუსულმან m. 28 შემდგომად|+მიერ Q.  
28 მიერ—MQTm.



- m 547 | ხოლო ყრმა დავით შეიპყრეს და მრგვალი ტანჯვანი შეამთხვენეს, რათა ჭეშმარიტი აღიაროს.
- M 780 ხოლო იგი იტყოდა: „უბრალო ვარ, მოწამე არს ღმერთი, დაღათუ ესე ცილი დამწამა მამიდამან ჩემმან, და დასაჯებელ არს, გარნა საქართველოთა ბრალისა და შეცოდებისათვის ექსორია-მყო და სიკუდილი ჩემი მოგიმცნო. აწ იხილე, მოწყალეო და მაღალო სულტანო, რომელ პირველითგანვე მკლველობისა ჩემის გული აქუნდა“. ესე ვითარ ესმა სულტანსა, მცირედ ღმობიერ იქმნა. მაშინ სიკუდილი არა ინება მისი განგებითა ზეგარდამოთა, რამეთუ მსჯავრნი და განგებულებანი ღმრთისანი გამოუკულეველ არიან, ვითარცა წერილ არს: „ვინ ცნა განგება უფლისა, ანუ ვინ თანამზრახველ ეყო მას?“. გარნა არავე დამშვდნა გულისწყრომა სულტნისა, ვითარცა ალითა მძაფრითა ენ|თებოდა გული მისი. ამისთვის მოუწოდა მენავეთმოძღუარსა და მისცა დავით კელთა მათთა, და ამცნო, რათა წარიყვანონ ზღუად და შთააგდონ სიღრმესა ზღვსასა. უკეთუ არა ყონ, იავარ-ყონ სახლი და დედა-წული მათი, და იგინი ბოროტად მოისრნენ. ხოლო მენავეთა მათ წარიყვანეს, შთასვეს ნავსა და მიმართეს პელენგოდ, მიწიწივნეს სიღრმედ დიდად განშორებულ ქუეყანისაგან, და ენება შთაგდება დავითისი. ევედრა მენავეთა, რათა ილოცოს მცირედ. ხოლო მათ დრო-სცეს. ვითარ აღდგა და აღმოიღო უბითგან ხატი ყოვლად წმიდის ღმრთისმშობელისა, რომელი ვედრებისსახედ დასახულ იყო, და მარადის თანა აქუნდის, და მისა მიმართ აქუნდა სასოება. ესე დაიდვა პირსა და თუალთა და ცრემლნი სიმწარისანი გარდმოსთხივნა: „ყოვლად წმიდაო დედაო მკსნელისა ჩუენისაო იესო ქრისტესო, ცოდვილთა შესავედრებელო და ნუგეშინისმცემელო, შეივედრე სული ჩემი, რამეთუ შენ ხარ ნუგეშინისმცემელი მწარისა ამის სიობლისა ჩემისა და უმსჯავროსა || სიკუდილისა, რომელ სამარესა და მიწასა შინა დაფლვად არავინ ღირს-
- Q 174a წყრომა სულტნისა, ვითარცა ალითა მძაფრითა ენ|თებოდა გული მისი. ამისთვის მოუწოდა მენავეთმოძღუარსა და მისცა დავით კელთა მათთა, და ამცნო, რათა წარიყვანონ ზღუად და შთააგდონ სიღრმესა ზღვსასა. უკეთუ არა ყონ, იავარ-ყონ სახლი და დედა-წული მათი, და იგინი ბოროტად მოისრნენ. ხოლო მენავეთა მათ წარიყვანეს, შთასვეს ნავსა და მიმართეს პელენგოდ, მიწიწივნეს სიღრმედ დიდად განშორებულ ქუეყანისაგან, და ენება შთაგდება დავითისი. ევედრა მენავეთა, რათა ილოცოს მცირედ. ხოლო მათ დრო-სცეს. ვითარ აღდგა და აღმოიღო უბითგან ხატი ყოვლად წმიდის ღმრთისმშობელისა, რომელი ვედრებისსახედ დასახულ იყო, და მარადის თანა აქუნდის, და მისა მიმართ აქუნდა სასოება. ესე დაიდვა პირსა და თუალთა და ცრემლნი სიმწარისანი გარდმოსთხივნა: „ყოვლად წმიდაო დედაო მკსნელისა ჩუენისაო იესო ქრისტესო, ცოდვილთა შესავედრებელო და ნუგეშინისმცემელო, შეივედრე სული ჩემი, რამეთუ შენ ხარ ნუგეშინისმცემელი მწარისა ამის სიობლისა ჩემისა და უმსჯავროსა || სიკუდილისა, რომელ სამარესა და მიწასა შინა დაფლვად არავინ ღირს-
- R 382a
- T 272a
- M 781
- m 548  
R 382b

3 ხოლო იგი იტყოდა TR]—MQm. 4 მამიდამა M, მშვიდამნ QT. 10 მისი]—MQTm. 11 რამეთუ] რომელნი MQTm. 12 ღმრთისანი]—MQTm. 13 განგება MQT, გონება mR. 14 გარნავე არა m. 21 პელაგონად R. 25 უბითგან QTR]—Mm. 26 ევედრების MQT. 26 დახატულ R, და სახელ Mm, დასახულ Q, დასზლ T. 28 ესე] ამის მიმართ MQTm. 28 თვალსა Mm. 34 დაფლვად MTm, დაფლვად Q.

მყო, არამედ საჭმლად თევზთა. არცალა საფლავი ჩემი  
საცნაურ იქმნების, არამედ მოწყალეებათა შენთა მინდო-  
ბილი ვითხოვ უკანასკნელსა ამას ოხჳანსა შინა, რომელ  
მივსნა ჰაერისმკველთა კელთაგან და საშინელთა მათ  
სატანჯველთაგან, რომელსა მოელიან ჩემებრ ცოდვილნი 5  
და ბრალეულნი ყოველნი“.

რამეთუ ამას და ამისა უმრავლესსა ილოცვიდა  
ლმობიერად და ცრემლთა მწარეთა დამომდინებელი,  
აღჯადეს შესამოსელი და ხატი წარუღეს, რომლისათვის  
ლმობიერად ევედრა, რათა მისცეს ხატი ყოვლად წმი- 10  
დისა და თანა აქუნდეს, რომელი ისმინეს მენავეთა და  
მისცეს ხატი იგი და დაჰკიდეს ყელსა. ხოლო ვითარ  
ეგულეობდა შთაგდება, ერთმან მენავეთაგანმან ყო  
წყალობა განგებითა ღმრთისა და ყოვლად წმიდისა და 15  
ვედრებისა ღმრთისმშობელისათა და მცირე რამე ფიცა-  
რი |მისცა კელთა მისთა. და ესრეთ შთაგდეს ზღუად.  
ხოლო დავით მოეხვა ფიცარსა მას, და მოჰბერა ქარმან  
ძლიერმან და უჩინო იქმნა თულთაგან მათთა. და მი-  
მოაქუნდა | ლეღვათა, ვითარ კიდობანი ნოესი, და მყის  
R 383a  
Q 174b  
განაგდო კმელად. და იხილა იგი ვაჰარმან ვინმე მგზავრ 20  
მავალმან და მიავიღა მან მცურველი, რამეთუ ჯერეთ-  
ვე შორს ვიდრე იყო ქუეყანისაგან, ვითარ უტევან. და  
M 782  
გამოიყვანა ვაჰარსა მას თანა. მყის შემოსეს და | საზ-  
რდელი მოართუეს და ნუგეშინის-სცეს. და განძლიერ-  
და შიმშილისა და წყურვილისაგან შეიწრებულნი, რომელ 25  
თულთაცა კამკამებად ძლითა ეძლო. იწყო კითხვად  
ვაჰარმან მან მიზეზი შთაგდებისა მისისა ზღუად. ხოლო  
მან ყოველი ესე ზემოკსენებული აუწყა, რომლისათვის  
განიხარა ვაჰარმან და სახლად თვსად წარიყვანა და იწყო  
m 549  
პატივის-ცემად, ვითარ საყუარელსა შვილსა, | ესრეთ 30  
ფუფუნებად. დაყო მას ვაჰართანა ექუსი თუე ოდენ,

3 ოხჳანსა TR, ოხჳნსა Q, უოხჳნსა Mm. 5 მოვლიან Mm. 6 და]—T. 6  
ყოველნი—T. 7 რამეთუ] +ყოველნი T. 7 რამეთუ]—R. 8 ღმობიერად R, ღმობი-  
ერთა MQTm. 8 და ცრემლთა მწარეთა] ცრემლთა მწარითა MQTm. 8 დამომდინე-  
ბელი QTR]—Mm. 10—12 ყოვლად წმიდისა... მისცეს ხატი]—Q. 14—15 და ვედრებისა  
QTR]—Mm. 18 და უჩინო იქმნა თულთაგან]—T. 19 ნოესი] მოსესი Q. 20 განაგ-  
დო] განვიდა MQTm. 20 იგი]—MQTm. 21 ჯერეთვე m, ჯერეთვე MQ, ჯრთა T, ჯე-  
რეთ R. 22 შორს ვიდრე] შორსვე MQ, შს ვე T, შორსვე m. 26 კამკამებ-  
და Mm, კმკამებრ Q, კმა კმებად T. 26 ძლითა ეძლო QT, ძლითა შეძლო Mm.  
27 ვაჰარმან მან]—MQTm. 31 დღო QTR, და იყო Mm.

- და განცხადანა საქმე ესე ყოველთა თანა, ვითარ ვაქარმა  
ვისმე ზღუასა შთაგდებული ქართველთა მეფის ძე უპო-  
ვნიეს. და მიიწია სიტყუა ესე და ესმა სულტანსა ყიას-  
დინს. გულისწყრომითა აღესილმან წარავლინნა მკედარ-  
ნი, | მიიყვანა დავით და ვაჭარიცა იგი, და მენავენი 5
- R 383b იგი პერობილ-ყენა, და სიკუდილსა აქადებდა. ხოლო  
ისწავა რა ვაჭრისაგან ზღვთ გამოყვანება, განუტევენა  
მენავენი.
- ხოლო დავითისთვის არავე დასცხრა გულისწყრომად  
და შესძინა, ვითარცა ჰეროდე, კაცის-კლვად, რამეთუ 10
- T 273a კაცის-კლვასა ზედა კუალადცა კაცის-კლვა შესძინა, და  
უბოროტესი სატანჯველი განაჩინა. რამეთუ იყო ჯურ-  
ღმული ღრმა, რომელსა შინა წყალი არა იყო. ამას შინა  
იყვნეს გუელნი შთაყრილნი, რომელი სავსე იყო გან-  
ძნებულთა და ცოფითა გუელითა. და ზედა იდგა ღო- 15
- M 783 დი და არა იყო ნათელი, და ესრეთ მწარითა სიკუდი-  
ლითა მოჰკლვიდა. სულტანმან მას შიგა შთაგდება  
ბრძანა დავითისი. და ვითარ წარიყვანეს, თანავე აქუნ-  
და ხატი იგი. და აღიღეს ორმოსა მისგან ქვა, შთააგდეს.
- R 384a და დაცულ იქმნა, ვითარცა დანიელ პირისაგან | ლომი-  
სა, ყოვლად არა ავნეს ესოდენ ყოვლად გესლიანთა.  
დაბურეს ქვა ზედა.
- დავითს პირველვე წარტანებულ იყო ვინმე, სახელით  
სოსან. რომელი მიეცა მამასა მისსა ლაშას. ესე შეუდ-  
გა, რაემს წარიყვანებდეს შთაგდებად ჯურღმულსა 25
- მას. ამან იხილა ჯურღმული იგი. ხოლო კაცთა მათ  
სულტნისათა რაემს დაუტევეს ჯურღმული იგი, გათხა-  
რა სოსან მცირედ ქვა|ს ქუეშეთ, და მიერ შთაუტევე-  
ნის პური, რომელი ითხოვის. და ესრეთ ზრდიდა ხუთ  
წელ. რა დაწვის, გუელნი რომელნიმე მიეხუევის ყელ- 30
- სა, რომელნიმე ფერკსა, სხუანი უბესა, სხუანი გუერდ-  
სა უწვიან. და ვითარ ეძინა, და გარდაიქცეოდა რა გუ-

1 განცხადანა Mm. 2 ზღვის Tm, ზღვის MQ. 3 და ესმა QT]—Mm. 3—4 სულ-  
ტნისა ყასდანს Mm, სულტანსა ყასდინს QT. 7 რა]—MQTm. 7 ისწავა რა ვაჭრისაგან]  
ვაქარმა ყოველივე აუწყა m. 10 ეროდე MQT, ეროდე m. 14 ჩაყრილნი MQTm. 15—  
16 ლოდი|+ დიდი ფრიალ m. 17 ჩავდება Mm, შთაგდება Q, შთაგდებად T. 19 აღი-  
ღეს TR, ააღეს MQm. 19 ქვა R, ქუე MQm, ქუშ T. 19 შთააგდეს| შთავიდა  
MQTm, მას შინა შთააგდეს R. 23 იყო|+უყუარდა MQTm. 24 სოსან| სოსონ MQm,  
სოსონ T, სასნა გო რ გ. 27 რაემს დაუტევეს| რათა დაუტეონ MQm, რათა დაუტე-  
ონ T. 28 სოსან| სოსმან MQTm, სოსნა R, სასნა გო რ გ. 28 ქვას Q, ქალაქსა MTm.  
23—27 შთაუტევენს MQT.

ერდსა ზედა, მკარითა დააჭირა გუელსა ერთსა, რომელ-  
მან მკარსა სასტიკად უკბინა. ხოლო სხუათა გუელთა  
დაიჭირეს გუელი იგი, მკბენელი დავითისი, და იწყეს  
ენითა ლოკად | და მყის | განკურნეს დავით, და გუელი  
იგი შექამეს მათ გუელთა. ესრეთ საკვრველებით განა-  
რინა ღმერთმან ყოვლისა წარსაწყმედელისაგან, რომელ-  
ნი მოიწივნეს მას ზედა.

რამეთუ ესრეთ განიზრახა მეფემან რუსუდან თავით  
თვსით დამტკიცებად მეფობისა ძისა თვისისა, არამომ-  
კსენებელმან სიტყვსა წინასწარმეტყუელისა ესაიასა,  
რომელსა იტყვის: | „და მოხედნეს უფალმან განგებასა  
მას ზედა დიდსა მთავარსა ასურასტანისასა და სიმალ-  
ლესა მას ზედა დიდებისა თუალთა მათ მისთასა. რამე-  
თუ თქუა: ძალითა გელთა ჩემთათა ვყო, და სიბრძნით  
გულისკმის-ყოფისა ჩემისათა მოვიპყრნე საზღვარნი  
თესლებისანი და ძალი მათი წარმოვიღო და შევიძრნე  
ქალაქნი დამკვდრებულნი, და სოფელი ყოველი დავი-  
პყრა გელითა ჩემითა ვითარცა მართუენი, და ვითარცა  
კუერცხნი დაშთომილნი აღვიხუნე. და არავინ იყოს, რო-  
მელი განმერეს მე ანუ სიტყუა-მიგოს. აწ უკუე იდი-  
დოს-მე ცული თვნიერ მკუეთელისა, ვითარცა თა-  
ვითა თვისითა ჰკუეთდეს, ანუ ამაღლდეს ხერხი თვნი-  
ერ მზიდველისა მისისა? ეგრეთვე ვინ აღიღის კუერთხი  
გინა შეშა? არა ეგრეთ, | არამედ მოავლინოს უფალმან  
საბაოთ შენსა პატიოსნებასა ზედა უპატიოება, დიდება-  
სა შენსა ზედა ცეცხლი აგზებული ატყდებოდეს“, ვი-  
თარ აღესრულა პატიოსნისა მეფისა რუსუდანს ზედა.

რამეთუ სირცხვლ-მიჩნს კადრებად და კუალად ვერ  
მიძლავს ღუმელად, რამეთუ უპატიო-ჰყო თავი თვისი

R 384b  
m 550

T 273b

M 784

R 385a

1 დააქირა| გაჭრა MQTm. 3 დაჭრეს T. 5 მათ—QT 5 საკურლობითა  
MQT, საკურლობითა m. 9 მეუბობისა|+მეუბო MQTm. 9 თვისისა|+არა MQm. 10  
ესაიასა|—MQTm. 11 და|+ და MQ. 11 მოხედნეს m. 12 ასურასტანისასა R,  
სულტნისასა MQTm. 13 მას ზედა|+დიდსა მთავარსა სულტნისა და სიმალლესა T.  
13 ზედა|+დიდისა MQm. 14 ძალითა R, ძლითათა T, რომლითათა MQm. 14 ჩემთა-  
თა|—MQTm. 15 გულისკმის-ყოფისა ჩემისათა| გულის კმის ყოფითა ჩვენისათა MQTm.  
15 მივპყრნე MQm, მივიპყრნე T. 16 თესლებისანი|—MQTm. 17 ქალაქნი ყაუხ ჩ. |—  
MQTm. 19 კუერცხი MQTm. 19 აღვიხვენ MQ, აღვიხვენ m. 19—20 რომელნი MQm.  
20 განმერნეს m. განერეს T. 20 აწ|—MQTm. 21 მოკუეთილსა MQTm. 22 ანუ| რათა  
MQTm. 23 აღიღის MQTm. 24 მოავლინა MQTm. 25 საბაოთ| საბოთ Q, სბოთ T,  
საშოთ Mm. 25 პატიოსნებასა| პატიონობასა MQTm. 26 აგზნებული MQTm. 27  
მეფისა|—MQTm. 29 მიძლავს QT, მიძლევებს Mm. 29 ჰყო|—MQTm.



Q 175b  
T 274a  
M 785  
m 551

ბოროტითა ამით, რომელ აღადგინა ძმისწულსა თგანა  
 ზედა. გარნა განაქარვნა ზრახვანი მისნი ზეგარდამომან  
 განგებამან, ვითარ აქიტოფელისნი დავით წინასწარმე- 5  
 ტყუელის ზე, და არა გულისწმა-ყო, რამეთუ „განაქარ-  
 ვნის ზრახვანი კაცთანი ზრახვამან ღმრთისამან“, | ვი-  
 თარ ფარაოსი მოსეს ზე, ვითარ განერა კელთ|ავან|  
 მისთა ლტოლვილი პირველად, ვითარ იტყვს ჟამთა|ალ-  
 მწერელი იოსიპოს, და კუალად ვითარ განერა დავით  
 კელთაგან საულისათა, რამეთუ ცუდად იქმნა განზრახვა 10  
 მისი. და სხუაცა მოვიკსენო, რომელ იქმნა განზრახვითა  
 მეფისა ასტუეავისათა. არა ცუდ იქმნა წარვლენა ასუ-  
 ლისა მისისა მანდანისი სპარსთათვს, ყოვლად ამას შინა  
 მოცემა ძისა მისისა კკროსისი, რომელი შემდგომად  
 ასტუეავისა მეფე იქმნა? ანუ არა ამო იქმნა ხრიზმო- 15  
 ზიცა იგი აპოლონის დელფელისა შენისა კრისოის გან-  
 ცდილი მე თბოლი მთხრობლი ძლეული კრისოსა მიერ  
 შეპყრობილ იქმნა კკროსისა მიერ, და უმეტეს ამისსა  
 არა განცუდნა ხრიზმოზიცა იგი პრიამოსისი მეფის  
 ასულთასა და ყოვლისა აღმოსავლეთისა პირისა მთავ- 20  
 რისა ალექსანდრე პარიდოსისა ზედა, რომელი იპყრა  
 წელთა ოცდაათორმეტთა უწინარეს, რომელმან, მიმტა-  
 ცებელმან ელენესმან ცოლისა, აღამემნონის ძმისა მენე-  
 ლეოსისგან, ოცდარვად წლად უმშუდებელნი ბრძოლა-  
 ნი მოუგნა ტროველთა სრულიად მოსპოლვად ნათესავსა 25  
 მისსა?<sup>19</sup>.

2 მისნი] — MQTm. 3 აქიტოფელისანი Mm. 3 — 4 წინასწარმეტყუელის-ზე  
 ყ ა უ ხ ჩ., წინასწარმეტყუელისანი M, წინასწარმეტყუელისა QT. 5 კაცთანი] + და  
 MQTm. 9 საულისათა R, სულტნისთა MQTm. 10 მათი Mm. | 11 მეღესა] — Mm. 11  
 წარვლენა ჭავახ., წარვლენა MQTm. 11—12 ასულსა + მისსა ჭავახ. | 12 მან-  
 დანისი ჭავახ., მან და ანისი MQ, მან ანისი m, მან და ანისი T. 12 ამას შინა  
 ყ ა უ ხ ჩ., ამა შინა MQ, ამას შინა m, ამა შინა T. 13 კკროსისი Q, კკროსისთი T,  
 კკროსისი M, კკროსისს m. 14 ქმნა Mm. 15 დელფელსა გამყრ., დელფისა QT,  
 კკროსისი Q. 15 კკროსისი Mm, კკროსის QT. 16 კკროსისა Mm, კკროსისა T,  
 კკროსისი Q. 17 მიერ] + არ Mm. 18 არა გაცუდნა ინგო რ., არა გაცუდნა ჭავახ.,  
 არგანცრდნა MQm, არგანცრდა T. 18 ხრიზმამოც MQm, ხრიზმამოც T. 18 პრიამო-  
 სისა ჭავახ., პრიამოსი MQTm. 20—19 მეღესა ასულთასა ინგო რ., მეღეს ასულ-  
 თასა MQTm. 19 აღმოსავლეთისა ინგო რ.] — MQTmR. 19 პირისათა MQTm.  
 20 პარიდოსისა ჭავახ. 21 უწინარეს ინგო რ.] — MQTm. 21—22 მიმტაცებელმან T.  
 22 ელენესმან ინგო რ., ელენისამან MQTm. 22 ცოლისა ჭავახ., წლისა MTm,  
 წილისა Q. 22 აღმემნონისა MQm, აღმემნონისა T. 22 ამას ინგო რ., ძისა MQTm.  
 22—23 მენელეოსისგან ჭავახ., მენელეოსისგან MQTm. 24 მოსპოლვად ინგო რ.,  
 მოსპვა MQTm.

ესე ყოველი არა თვთ განზრახვით იქმნა, მ ბრძენო, კეთილთა და პატიოსანთა ძირთა მორჩო, დედოფალთ დედოფალო, მეფეო რუსუდან. გარნა რა მოივადრე? იხი-  
ლე, რამეთუ ხუთისა წლისა ჟამნი დაყვნა ულხინობთა  
ქირთა შინა ჭურღმულსა ღრმასა გუელთა თანა, რამე- 5  
თუ ესე ზემოვსენებულნი ზრახვანი დაჯსნა ზენამან გან-  
გებამან ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისამან, ვითარცა  
აწცა.

R 385b  
M 786  
T 274b

| ჩუენ პირველსა სი|ტყუასა აღვიდეთ.

მოიწია მეფე ტფილისს | და ძე მისი, დავით, ნოინ- 10  
თა წინა წარავლინა. და მათ ინებეს დავითის წარვლი-  
ნება დიდსა ყაენს ბათოსასა და მიერ ყარაყურუმს მან-  
გუ ყაენისსა. და ვითარ ცნა რუსუდან წარვლინება ძისა  
თესისა უცხოთა ნათესავთა, შორთა და უცნაურ გზათა,  
ტკივილითა და უზომოთა მწუხარებითა შეიცვებოდა და 15  
დაუწყუედელთა ცრემლთა მოადინებდა, და მოივსენებ-  
და | რა-იგი უყო ძმისწულსა თესსა დავითს; ვითარ ექ-  
სორია-ყო, ეგრეთვე თათართა წარავლინეს ძე მისი ვი-  
თარ ექსორიად წინაშე ბათოსსა.

m 552

Q 176a

ხოლო ვითარ არღარა იყო ღონე, წარვიდა | ნარინ 20  
დავით. და თანაწარატანა მეფემან რუსუდან მცირედ  
თანაზრდილნი მისნი, ქართლისა ერისთავის სურამელის  
გრიგოლის შვილი, ბეგა, გურკლელი მახუჯავის ძე, ამი-  
რეჯიბი ბეშქენ. და თუალნიცა ორნი დაუმაღნა ძვრად  
საფასონი. და წარვიდა შემდგომად კუალსა ავაგისსა და 25  
ხლათის სულტნისასა, რამეთუ პირველ იგინი წარავლი-  
ნეს თათართა. და მიიწივნეს წინაშე ზემოვსენებულისა  
ბათოსსა, რომელმან კეთილად იხილნა ნარინ დავით  
მეფე, | ორი წლისა ჟამთა თანა იპყრა და მიერ წარავ- 30  
ლინა ჩინ-მაჩინს და ყარაყურუმს მანგუ ყაენს წინაშე,  
რომელი მიიწია რა, კეთილად შეიწყნარა. და ავაგს შეე-  
ყარა და მის თანა იყოფვოდა.

R 386a

2 და| რათა Mm, რა T. 3 მოვადრე MQTm. 11 მათ|—MQTm. 11 ინებოს  
MQTm. 12 ყარაყურუმს MQ, ყარაყურუმს T. 12—13 მანგუყაენისსა MQT. 14 შორთა QT,  
შორის mR, შორს M. 15 ტკივილთა MQTm. 15 და (უზომოთა)|—MQm. 15 შეიცე-  
ბოდა QR, შეცვლებოდა m, შრცვლებოდა M, შერცვლებოდეს T. 15 და|—MQTm.  
16 დაუწყუეტელთა MQm. 17 თესსა|—MQTm. 20—21 ნარინდვით MQ, ნარინ დვით  
T. 21 წარატანა ჯავა ხ., წარატანა MTm, წარატნა Q. 22 თანა მზრდილნი MQTm.  
23 ბეგი MQTm. 23 და სავგურკლელი MQTm. 26 ხალთს MQ, ხალათის m, ხლთის  
T. 26 პლ იგნი QT, პრველვე იგინი m, პრვე იგინ M. 30 ყარაყურუმს MQ, ყარა-  
ყუმს m, ყარა ყურუმს T. 30 მანგუყაენს MQm, მნგუყაენს T. 31 შეიწყალა MQTm.

ხოლო თათართა მათ ოთხთა ნოინთა მოეცენა ბე-  
 რიტი აღმუთელთა, რომელი შეამთხვეს მოლოლთა, და  
 აღიმკედრეს მათ აღმუთსა ზედა. და თანა მბრძოლობა  
 განაჩინეს ქართველთა, და წარმოუვლინეს მოციქული  
 მეფესა რუსუდანს, | რათა მისცენ საყოფი საქართვე- 5  
 ლოსა ლაშქრად აღმუთს. ხოლო მეფე რუსუდან მას  
 ეამსა ტკბილისა შვილისათვის მწარედ ილევოდა, და და-  
 სნეულეებული გარდაიცვალა ტფილისს<sup>20</sup>. და წარიყვა-  
 ნეს მთავართა დიდითა პატივითა და ტყეებითა, | და  
 დამარხეს სამარხოსა მამათა მათთასა მონასტერსა გე- 10  
 ლათს.

### III

და გავდეს ქართველნი უნუგეშინისცემოდ და უმე-  
 ფოდ. რამეთუ არღარავინ იპოვებოდა ნათე|სავი მეფე- 15  
 თა, რამეთუ ნარინ დავით ყარაყურუმს წარავლინა და  
 სხუა იგი დავით საბერძნეთს მკუდრად საგონებელ იყო  
 და არა უწყოდეს, თუ რა შემთხუეოდა. ამისთვის თვთე-  
 ული თავისა თვისისათვის განგებად ზრუნვიდა, რამეთუ  
 თვთეული ერისმთავარი თვთოსა ამას ნოინსა შეუდგა. 20  
 და განაჩინეს თათართა ბევრისა მთავარნი, რომელ-  
 თა დუმნისა თავად უწოდეს. და გამოარჩიეს მთავარნი,  
 პირველად ეგარსლან ბაკურციხელი, კაცი ღრმად მოუ-  
 ბარი, ხოლო არა ნიჭთა მქონებელი სამკედროთა<sup>1</sup>, და  
 მას კელთ-უდვეს სპა ჰერეთისა და კახეთისა და კამბე- 25  
 ჩიანისა ტფილისითგან და აღმართ ვითარ მთამდე შამ-  
 ხისა. და შანშეს | კელთ-უდვეს მამული მისი და ავა-  
 გისი. ვარამს კელთ-უდვეს ყოველი სომხითი, გრიგოლ  
 სურამელს — ქართლი, გამრეკელს თორელსა, მსგავს-  
 სავე ეგარსლანისასა საქაბუკოთა | შინა, კელთ-უდვა 30

2 აღმუთელთა R, აღმუთელთა Mm, აღმუთელთა Q, აღმუთელთა T. 2 მო-  
 ლოლთა ჩ ვ. კონიექტ., მომავალთა MQTm. 3 აღმკედრეს MQTm. 6 აღმოთს  
 MQTm. 7 ხა|—MQTm. 8 ტფილისისა MQT. 10—11 გელთს QT, გოლთს M, გოლ-  
 თას m. 16 რამეთუ| რომელა M Q T m. 15 ნარანათ M m, ნარან დო Q, ნარი დო  
 T. 16 ყარაყურამს MQ, ყარაყურუმს T. 18 უწყოდეს| უწოდა MQm. 18 თუ|—  
 MQTm. 19 თავისა თვისისათვის| თავისათვის M, თავისათვის QTm. 20 ამას|—Mm.  
 21 ბაპერისა M, ბპერისა m, ბერისა T. 21—22 რომელსა MQTmR. 23—24 პირველად...  
 მოუბარი|—MQTm. 24 სამკედროთა ჯავახ., საქმართა ყაუხჩ., სამკროთა  
 MQTm. 25 მას კელთ უდვეს ყაუხჩ., რა სახელ უდვეს MQTm. ამას მათვალეს R.  
 25 ერეთისა MQTm. 26 აღმართა MQTm. 26 მთა მთამდე MQTm. 30 ეგარსნისასა  
 MQ, ეგარსნისასა m, ეგარსნისა T.

- R 387a ჯავახეთი, სამცხე და აღმართ ვიდრე კარნუქალაქამდე, ხოლო ცოტენ დადიანსა | და რაჭის ერისთავსა — ყოველი იმერი სამეფო<sup>2</sup>.
- T 275b და ესრეთ განაჩინეს თათართა | და განიყვეს საქართველო, წარვიდეს ბრძოლად აღმუთს და ქართველნი თანაწარიტანეს, რომელნი განყვეს ორად. ნახევარნი ერთსა წელსა და ნახევარნი მეორესა წელსა იყვიან აღმუთს, რამეთუ შვდ წელ განგრძებულა ბრძოლა აღმუთისი, რომელნი არიან კაცისმკლველნი მიპარვითა, რომელთა მულიდად უწოდიან. და ამით ჰბრძოდეს თათარნი ჩორმალონ, ჩალატა, იოსურ და ბიჩო მოუწყენელად ზაფხულ და ზამთარ. ხოლო ქართველნი განყოფილნი თვითელი მისსა წელიწადსა ხუდის და იყვის აღმუთს, და კუალად წარვიდიან სხუანი ხუედრსა მისსა, წელიწად ერთ იყვის აღმუთს, და კუალად | სხუანი — ხუედრსა მათსა. და ესრეთ შვდისა წლისა ეამთა განგრძებულა ყოფა და ომი აღმუთს.
- m 554 დღესა ერთსა წარმოგზავნეს აღმუთელთა მულიდი კელოვანი. მივიდა ღამით და შემოეპარა მცველთა ჩალატა ნოინისათა, შევიდა კარავსა მისსა, მძინარესა დასდვა დანა გულსა მისსა და მოკლა იგი, რომელ ვერავინ ცნა. და ქთარ განთენდა, იხილეს კარვისმცველთა | ჩალატა ნოინი მოკლული, იწყეს ტირილად და ტყეზად და ვაეზად. რომელ იხილეს სპათა ჩალატა ნოინისთა, მირბოდეს. და იხილეს მათცა, რომე მომკუდარ იყო ჩალატა და არა უწყოდეს ვისგან მოკლულ იყო.
- R 387b მაშინ თქუეს ყოველთა: „ვინათგან ქართველნი დიდსა ჰირსა შინა არიან ჩუენ მოლოლთაგან, შურით ქართველთა მიერ მოიკლა უცილოდ“. ამას ყოველნი დაამტკიცებდეს, თვნიერ ჩორმალონ ნოინისგან გარეშე. ხოლო იგი ეტყოდა: „დასწყენა|რდით, კაცნო, რა|მეთუ არა
- T 276a  
M 789

6—7 ნახევარნი ერთსა წელსა და|—T. 7 მეორესა m. ერთსა MQT. 8 აღმუდს MQT. 9 განპლიერდა MQTm. 9 რომელი MQT. 11 ჩალტ MQm, ჩლტ T. 11 ბიჩო| ბიჩუ MQm, ბაჩუ T. 11—12 მოუწყენლად MQm. 12 ქართველი T. 12—13 განყოფილი MQTm. 14 მხუედრსა m. 16 მხუედრსა MQ, მხუდრსა m, ედრსა T. 18 დღესა|ერთსა|—MQTm. 18 აღმუთელთა|—MQTm. 19 შამოეპარა Mm. 19—20 ჩალატონისთა MQ, ჩალატონისათა m, ჩალატნოსთა T. 20 შევიდა M. შვიდა Q. 23 მოკლულ T, მოკლულ იყო MQm. 23 ტყეზად QT. 23 და (ვაეზად)—QT. 24 ჩალატონისთა QT. 24 მირბოეს QT. 25 ჩლტ QT. 26 და|—QT. 28 მოლოლთაგან ჩ. კონიქტ., მოალთაგან MQ, მოალთაგან m, მოალთაგან T. 31 დასწყენარდით|+ დასწყენარდით M.

- არს ნათესავი ქართველთა კაცისმკლველი და არცა სჯუ-  
ლი უც ესევეთარისა საქმისა ქმნად. ხოლო იგინი აღ-  
შფოთებულნი, სიკუდილისათვის პატრონისა განძვნებულ-  
ბულნი, წარმოემართნეს ბანაკისა მიმართ ქართველთა-  
სა, რამეთუ მახლობელად ჩალატა ნოინისასა დაბანაკე- 5  
ბულ იყვნეს. და ვითარ მომართეს, განკრთეს ქართველ-  
ნი და უღონოებასა მოეცვნეს, და არა უწყოდეს, რამცა  
ყვეს. ხოლო ზოგნი ომისა მიმართ განეშხადებოდეს, და  
R 388a ზოგნი აყენებდეს, რამეთუ ფრიად მცირე იყვნეს. | მა-  
შინ გრიგოლ სურამელი, ქართლის ერისთავი, იტყოდა: 10  
„არა არს უამი ბრძოლისა, რამეთუ მცირე ვართ. და  
უკეთუ ვებრძვით, დიდით მცირემდი მოგუწყუედენ.  
და თუ არ ვებრძვით, ჩუენ წარჩინებულთა ოდენ, ვგო-  
ნებ, მოკუდინებად. და უმჯობეს მიჩნს, რათა ჩუენ მო-  
ვოცლნეთ და არა ყოველი ესე ძალი. გარნა შევრდომა 15  
ღმრთისა ჯერ-არს, რამეთუ არავინ არს მცხნელი ჩუენი  
თვნიერ იესო ქრისტე, ძე ღმრთისა, და ყოვლად წმიდა  
მშობელი მისი, მარადის ქალწული მარიამ, რომელი  
m 555 მარადის მცველი არს მოსავთა ძისა მისისათა და უმე-  
ტეს ჩუენ ქრისტიანეთა. აწ ყოველთა სამ-სამი მუჯლი 20  
მოიდრიკეთ, შევრდომით ყოვლად წმიდისა ღმრთისმშო-  
ბელისა მიმართ, და რომელთა უწყით, თქვთ შესხმა  
ესე მისი: „მოწყალეებისა კარი განგვლე, კურთხეულთ  
ღმრთისმშობელო“, და შემდგომი.  
ვითარ აღასრულეს ლოცვა ესე სამადლობელი და 25  
R 388b ქება ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა, და მოახლე-  
ბულ იყვნეს ბარბაროზნი იგი, უწყალოდ მსპოლავნი  
M 790 ქართველთა, მაშინ გამოვიდა კაცი ერთი ლერწმონით,  
რომელსა აქუნდა ლახუარი წუდილი, შეღებილი სის-  
T 276b ხლითაჲ. და ლახუარი იგი აღიპყრა ზე, და ძლიერად 30  
კმა-ყო: „მან ქუშტემ ჩალატა“, რომელ არს ენითა სპარ-  
სულითა: „მე მოვკალ ჩალატა“.

2 ესევეთარისა საქმისა ქმნად]—MQTm. 5 ჩალატა m, ჩალატ MQ, ჩიხ T. 6 განკრ-ნეს M, განკრთეს Q, განკრეს T. 7 მოცვნეს M, მოც ნეს T. 7 რათამცა MQm, რა-მცა T. 10 სურამელმან MQTm. 10 ქართლის QT, ქართველთ Mm. 10 ერისთავი]—MQTm. 10 იტყოდა] მიუგო MQTm. 15 და]—MQTm. 15 ძალი T, რომელი MQm. 16 ჯერა M. 16 არა ვინა MQm. 17 და]—M. 23—24 კურთხეულთ ღმრთისმშობელო]—MQTm. 27 მსპოლავნი ყაუხ ჩ., მსპოლავი MQTm. 31 მენქუტ-მა MQm, მენაქუტმ T. 31 ჩალატ MQ. 32 მოვკალ MQ, მოვკლა T, მოვკალ m.

ვითარ იხილეს თათართა, მიეტევნეს, ხოლო იგი ივ-  
 ლტოდის ლერწამთა მიმართ. ხოლო მათ შეუდევს ცე-  
 ცხლი და გამოიყვანა ცეცხლმან ლერწამთაგან კაცი იგი.  
 და მოიყვანეს ჩორმალონ, იოსურსა და ბიჩოსა წინამე.  
 ხოლო იგინი ჰკითხვიდეს, ვითარ მოაკუდინა ჩალატა 5  
 ნონი. და მან ესრეთ აუწყა: „მე ვარ მულიდი, მულიდ-  
 თა შორის საჩინო. მათ მულიდთა თავადთა მომცეს  
 ოქრო ფრიადი, რათა თქუენგანი ვინმე მოვაკუდინო  
 ოთხთა მავათგან. წარმოვედ, მოვკალ და დავიმალე“. 10  
 იგინი ეტყოდეს: „რა იყო მიზეზი გამოსლვისა შენისა  
 და ყვილი მალღად სიკუდილი | დიდისა ნონისა, ვი-  
 ნათგან დამალულ იყავ?“ და კუალად მულიდი მიუგებ-  
 და: „ლერწამთა იმათ უცშირესსა შევედ და დავიმალე.  
 Q 177b მყის მოვიდა დედაკაცი ვინმე სიტურ|ფეაღმატებული 15  
 m 556 და მრქუა მე: „რა ესე ჰქმენ, კაცი? შენ | მოჰკალ კაცი  
 და დავიმალე. აწ მრავალი სული მოკუდების მიზეზად  
 შენდა და იგი უბრალონი მოსწყდებიან“. და მე ვარქვ:  
 „რა გყო, დედოფალო?“ ხოლო მან მრქუა: „აღდეგ და  
 შემომიდეგ მე, წარვედ და თქუ, რამეთუ შენ მოჰკალ  
 კაცი იგი, და განარინე ურიცხვ სული სიკუდილისაგან“. 20  
 მსწრაფლ აღვდეგ და შეუდეგ, სადა-იგი მომიყვანა წი-  
 ნაშე თქუენსა. ვითარ ჯმა-გყავ და მიხილეთ, დედაკაცი  
 იგი უჩინო იქმნა, და არა უწყი, ვინა მოსრულ იყო. და  
 მე, ესერა, ვარ წინაშე თქუენსა“.

ვითარ ესმა სიტყუა კაცისა მისგან თათართა, განკვრ- 25  
 დეს და | კაცი იგი მულიდი ჯრმლითა ორად განკუე-  
 თეს. და ესრეთ იგნა | ერი თვისი ყოვლად წმიდამან  
 ღმრთისმშობელმან და განარინა უმსჯავროსა სიკუდილი-  
 საგან, ვითარ ოდესმე იგნა ქალაქი იგი დიდი კოსტან-  
 ტინეპოლი<sup>2</sup>, რაჟამს-იგი ბარბაროზთა მძუნვარედ გარე- 30  
 მოიცივეს, მკედართმთავრობასა სავრონისასა | და მძუნ-  
 ვარედ აღგომასა ხალან სკვთთა მთავრისასა, ვითარ და-  
 ინთქეს ზღუად მბრძოლნი ქალაქისა მის მისდა მინდო-

2 მიმართ R, მიერ MQTm. 5 ჩალატ MQ, ჩალატა T. 6—7 ვარ... თავადთა] —  
 MQTm. 9 მკვალ M, მოვკალ QT. 12 მულიდი QTR, მულიყავ m. 13 შევედ Mm.  
 15 და მრქუა მე]—MQTm. 19 ვთქუ MQm. 22 ჯმა გყავ R, ჯელ ყავ MQTm. 22 და]  
 —MQTm. 23 მოსულიყო MQTm. 24 ესერა] ესე MQTm. 26 მალიდი Mm, მწლიდი  
 QT. 26 ჭლმითა Mm. 27 ერი] ერთი Mm. 29—30 კოსტანტიპოლუ MQTm. 31  
 სავარონისსა T, სარვანოსსა R, სარვარონისასა ყ ა უ ხ ჩ. 31—32 მძუნვარედ R, უნდა  
 MQTm. 32 ხათან MQm, ხთნ T. 32 სკვთთა]—MQTm. 32 მთავარსა MQTm. 32—  
 33 დაინთქეს ყ ა უ ხ ჩ., დაინთქენ MQTm.



ბილისანი, რამეთუ აღდულნა ზღუა და განდნა ზღუა და ნავისა და დაინთქნეს ზღუად შეწვევნითა ყოვლად ზღუად ღმრთისმშობელისათა, და მკდომთა ზედა წკმა აწკმა, ვითარ ძუელ ოდესმე სოდოჰელთა. ამათ საკრველებათა არა უდარეს ვგონებ, რომელ აწ იქმნა მსწრაფლი და ანასდათი ვსნა ქრისტიანეთა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისა მიერ. გარნა წინამე ვინმე შეუძლოს დიდებისმეტყუელებისა მიერ სამადლობელისა შესხმა საკრველებისა ამისთვის, რომელ დაიცვა ურიცხვ სული ნათესავისაგან ქართველთა ყოვლად უბიწომან სიტყვისა ღმრთისა მშობელმან ღმრთეებისა და კაცობრისა გუამოვნებითა და შეერთებითა შემაერთებელმან ღმერთად სრულად და კაცად სრულად, ორთა შინა ბუნებათა და ორთა ნებათა შეუქრვენელად.

m 557

M 792

R 390a

T 277b

Q 178a

R 390b

ამის | უბიწოებისაგან დაცულნი ქართველნი დიდსა ჭირსა შინა იყვნეს თათართა მიერ, რამეთუ მიმდები და მოუწყინებელი ბრძოლა აქუნდა აღმუთელთა მიმართ. და ქართველნიცა თანაწარჰყვიან, და ორად განყოფილნი იყვიან, და თვითელი ერისმთავარი თვითსა ნოინსა დაავნეს ურთიერთას. ზემოგსენებული ესე ეგარსლან, კაცი საკრველი და მკედრობის წესთაგან ცარიელი. ეზომ განდიდნა, | რომელ კნინდადა სახელის-დებად-ცა | მეფისა იკადრა, და ყოველი ქართველთა ნათესავი ბრძანებასა მისსა მორჩილობდეს, ვითარცა მეფესა, თვით დიდი და პატიოსანი შანშე მანდატურთუხუცესი, და გაგელი ვარამ და ყოველნი მთავარნი.

ამათ ჟამთა შინა სხუანიცა ბოროტნი აღმოსცენდეს. ვითარ ცნეს თურქთა, შამს მყოფთა, უმეფობა ქართველთა და ლაშქართა აღმუთს წარსლვა თათართა თანა და უცალოება ქართველთა. შეკრბა სიმრავლე ფრიადი, კაცი ვითარ სამოცი ათასი, რომელთა მთავრად და პატრონად ჰყვა კაცი ვინმე სახელოვანი, სახელით ყარა-ხან. გამოემართნეს ოკრებად საქართველოსა. და მოიწივნეს ქუეყანასა ვალაშკერტისასა, რომელი მას ჟამსა ოდენ

1 აღდულიან MQ, აღდულიან Tm. 1 მძივით MQTm. 2 ნავისა]—MQTm. 2—3 შეწვევნითა... ღმრთისმშობელისათა]—m. 3 და]—MQTm. 3 კდომითა MQTm. 6 ვსნა]—MQTm. 8 შესხმა]—MQTm. 9 ამისთვის მისსა MQTm. 10—11 სიტყვისა TR, სიტყუება MQm. 20 ეგრასელნი Mm, ეგრასლნ Q, გრასლნ T. 22 რომელ ყაუხან., რომელი MQTm. 27 აღმოსცენდეს] და MQTm. 28 შამის MQTm. 29 არმუთს M. 30 უცილოება MQTm. 33 გამოემართნეს]—MQTm. 33 მოიწია MQTm. 34 ოდეს Mm.



- M 793 აღელო შანშეს, და იწყო ოკრებად ვალაშკერტისა და რაკსს იქით ქუეყანათა ვიდრე სურმანადმდე, რომელი- იგიცა ოდენ დაეპყრა შანშეს მანდატურთუხუცესსა. ამან ვითარ იხილა ოკრება, მო|უწოდა სპათა თვსთა და ავაგ ათაბაგისათა, და შეკრბეს მკედარი ვითარ ოცდაათი ათასი. განვლეს რაკსი და მივიდეს ვალაშკერტს, სადა დაებანაკა ყარა-ხანს. 5
- m 558 ვითარ მიეახლნეს, დააწყვეს | რაზმი და მიეტევენეს. ხოლო შანშე უპირატეს ყოველთასა მიეტევა, რომელ- მან ჰორლითა განგურბომა სახელოვანი თურქი. იქმნა ომი ძლიერი და მოსწყდა სიმრავლე ურიცხვ სპათაგან თურქთასა, ხოლო სპანი შანშესნი კეთილად დაცულ იყვნეს შეწევნითა ძელისა ჰემმარიტისათა, რომლისა მიმართ მინდობილ იყო. 10
- T 278a და შენივთდა ომი, იძლია ყარა-ხან იგი, და სპა მისი ივლტოდეს. და | დევნა-უყვეს ვიდრე ხლათამდე, მოს- რეს და ტყუე-ყვეს სიმრავლე ურიცხვ, და აისავსნეს 15
- R 391a ცხენითა, ჯორითა და აქლე|მითა, კარვითა და ხარგითა, ალაფითა ურიცხვთა. ესრეთ სახელოვანი და გამარჯუე- ბული მივიდა ანისსა, სახლსა და ტახტსა მისსა. 20
- გარნა ვინათგან განითქმოდა ყოველგან უმეფობა საქართველოსა, აღიძრვოდეს ყოველნი ნათესავნი ოკრე- ბად ქართველთა. მაშინ აღიძრნეს საბერძნეთს მყოფნი თურქნი და სულტანი ეზინკისა და სხუათა ქალაქთა შინა მყოფნი ამირანი, და შეკრბა სიმრავლე ურიცხვ, 25
- Q 178b და წარმოემართნეს საქართველოს. ვითარ ესმა მყოფ- თა | ტაოსთა, და შავშ-კლარჯთა, და კოლა-არტან-კარ- ნიფორელთა, განკრთეს და წარმოავლინეს კაცი სამცხეს, ყუარყუარე ციხისჯუარელ-ჯაყელთანა, რათა შეეწიოს<sup>7</sup>. ხოლო მან მოუწოდა ყოველთა მესხთა ერისთავთა და | 30
- M 794 ყოველთა | ტაძრეულთა, და შეკრბა მკედარი, ვითარ m 559 ათი ათასი, და წარმოემართნეს. ხოლო იგინი მოსრულ იყვნეს და ბანას გარემოსდგომოდეს, რამეთუ ოლთისნი

1 ოკრებად]+საქართველოსა და Mm. 2 რაკს MQTm. 2 სურმანადმდე MQTm. 3 იგიცა ოდენ R, იგი იცოდენ MQTm. 4 ამან]-MQTm. 5 ათაბაგისთა]MTR. 8 დააწყულს R, განყვეს MQTm. 10 ჰორლითა M, ჰორლითა Qm. 11 მოსწყვდა MQTm. 11-12 სპათაგან თურქთასა]-MQTm. 13-14 რომლისა მიმართ R, რომელი MQTm. 16 ხალთამდე Mm, ხლთამდე QT. 20 ანისისა MQ, ანისის T. 24 თურქნი] თურქმანნი R, ყ ა უ ხ ჩ. 28 სამცხეს]+და MQTm.



- და ბულათაყური ყოველი მათ აქუნდა, და აოჯრეჲნი  
ტაოსა. და წინამძღუარ ექმნა ყუარყუარე სპათა მესხთა  
და მოვიდეს თავსა კალმახისასა. ვითარ ესმა თურქთა  
მოსლვა მესხთა, აღიჭურნეს, რომელთა თავადნი იყვნეს  
R 391b ალთუ-ხან და | ორ-ხან<sup>8</sup>. აქათ მესხნი ჩავიდეს მინდორ- 5  
სა მას, რომელსა ეწოდების<sup>9</sup> ავნისვაკე. და შეკრბეს  
ურთიერთას, და იქმნა ომი ძლიერი და სასტიკი. და ბერ-  
T 278b ძენნი და თურქნი. | მინდობილნი სიმრავლისათვის, არა  
გარეუჯუნქცეოდეს. და ეგრეთვე მესხნი, მინდობილნი  
სიმკნისანი არა უკუნნიქცეს, ძლიერად ბრძოდეს, რამე- 10  
თუ კაცმან ვინმე აზნაურმან კაცსა ერთსა თურქსა მუზა-  
რადსა შინა კრმლითა თავი გაუპო<sup>10</sup> და მოკლა, და მეო-  
რესა ორ-ხანის მკნეთავანსა ზურგსა უხეთქნა, გაკუეთა  
და ზურგნი განუწყეტნა, ვითარ მკუდარი დაეცა<sup>11</sup>. და  
ესრეთ განგრძელდა ომი და ორგნითვე მოსწყდა ური- 15  
ცხვ. იძლიენეს ბერძენნი და თურქნი და ივლტოდეს.  
აღიღეს ტყუე და იავარი ურიცხვ, ცხენი და ჯორი, აქ-  
ლემი, კარვები, ყოველი სიმდიდრე, რომელი აქუნდა,  
და ესრეთ სავსენი და სახელოვანნი მივიდეს სამცხეს,  
და ესოდენ გამარჯუებულნი, რომელ ესევეითართა სპა- 20  
თა | შინა არავინ მოიკლა სახელდებული კაცი. ხოლო  
მ 795 ამას ომსა უწოდდენ ბანასჯარად, | რომელ ესოდენსა  
m 560 სიმრავლისა მათისათვის ეწოდა ბანასჯარი, რომელ ძალი-  
R\_392a თა დაეტევენეს ბანას | და ავნისვაკეს სიმრავლისათვის.  
ვითარ იქმნა ესე, ამან ერისთავმან, სამცხის სპასა- 25  
ლარმან ყუარყუარე წარავლინა ძისწულნი თვისნი ივანე,  
რომელსა ეწოდა პაპა<sup>12</sup>, და უმრწამესი მისი სარგის.  
ორნივე იყვნეს ძმანი ძლიერნი და მკნენი უმეტეს ყო-  
Q 179a ველთა, წყობათა შინა უშიშნი და შემმართველნი. და  
ბრძოდეს ოლთისთა და აიღეს ოლთისნი და ბულათა- 30  
T 279a ყურის ციხე იგი ძლიერად განმაგრებული. | ნაომარი  
ომთა დიდთა შინა. მართალ არს მოთხრობა.

1 ბულათა ყური R, ბალთა ყური Mm, ბლთყური Q, ბალთაყური T. 3 თურქთა ჩვ. კონიექტ., თურქმანთა MQTmR. 5 ალთუხნ MQT. 5 ორ-ხან ჩვ. კონიექტ., ონხანისნი Mm, ონხანისი QT, ორ მკარ გორგ. 6 ვანის ვაჟე ყაუხჩ. 7—8 ბერძენი MQTm. 11 აზნაურმან R, გორგ.] — MQTm. 12 და მოკლა] — Mm. 13 ორკნის MQm, ორკნისა T. 15 მოსწყედნა Mm. 16 ბერძენი MQTm. 16 და (ივლტოდეს)] — MQTm. 19 სახელოვანი MQm. 20 გამარჯუებული MQm. 23 ბანასჯარი MQT, ბანასჯარი m. 26 ძისწული Mm. 26 თესი MQm. 27 რომელ Mm. 30—31 ბალათურის MQm, ბალთყურის T, შურთა ყურის გორგ. 31 განმაგრებული ჩვ. კონიექტ., მაგარი გორგ., გამარჯუებული MQm, გამარჯუებულნი TR. 32 მოთხრობა] +ჟამთა MQm.

ქამთა ამათ შფოთთა შეკრბეს ყოველნი მთავარნი  
საქართველოსანი კობტასთავსა<sup>13</sup>, იმერნი და ამერნი:  
ეგარსლან, ცოტნე დადიანი, ვარამ გაგელი, ყუარყუარე,  
კუპარი შოთა, თორღაი, ჰერ-კახნი, ქართველნი, თორღელ  
გამრეკელი, სარგის თმოგუელი, მესხნი, ტაოელნი, და 5  
ყოველნი იტყოდეს: „რაჲ ვყოთ? არღრა არს ნათესავი  
ქართველთა მეფეთა, რათა წინამძღუარ გუექმნას და  
ვბრძოდეთ თათართა. და ჩუენ ერთი ერთისაგან განდგო-  
მილ ვართ, ვერ წინააღუდგებით თათართა. და იგინი  
R 392b | ყოველთა 10  
M 796 წელთა აღმუთს წარვალთ ჭირთა და ყოველთა | ბო-  
როტთა შემთხუევად, არა არს ღონე. დაღათუ უმეფო  
ვართ, არამედ შევეკრბეთ და ვბრძოდეთ თათართა“. და-  
ამტკიცეს ომი და დადვეს პაემანი ქართლს შეკრებისა,  
და განიყარნეს. უშორეს მყოფნი აფხაზნი, დადიანი 15  
ცოტნე და ბედიანი, კაცი კეთილი და სრული საღმრთო-  
თა და საკაცობოთა, და რაჰის ერისთავი წარვიდეს კაზ-  
მად.

m 561 ვითარ ესმა თათართა | ერთგან შეკრება ქართველთა,  
წარმოვიდეს ბიხო და ანგურაგ და მივიდეს კობტასთავ- 20  
სა. დახუდეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსა-  
ნი. რამეთუ ლაშქარი გაყრილ იყო და ვერღარა წინა-  
აღუდგეს, წარასხნეს ქუეყანასა ანისისასა და ადგილსა,  
რომელსა ეწოდების შირაკავანი. ვითარ მიიწვივნეს ჩო-  
რმალონ ნოინს წინაშე, ჰქუა: „რა არს შეკრება თქუენი, 25  
T 279b უკეთუ არა იქმთ განდგომილებასა?“ | ხოლო მთავარ-  
ნი მიუგებდეს: „არა განდგომად შევეკრბით, არამედ  
R 393a რათა განვაგოთ საქმე თქუენი და ხარკი | განგიჩინოთ“,  
რომელსა-იგი უწოდდეს ხარაჯად.

ესე რა ესმა, არა სრულიად ირწმუნა და ბრძანა 30  
განძრცვა ყოველთა, მჯართა შეკრვა ყოველთა, სიცხესა  
შინა შიშველთა მუგლთა ზედა დასხდომა. და ყოველ-  
თა დღეთა ჰკითხვიდეს მიზეზსა შეკრებისასა, და უკეთუ  
არა აღიარონ, სიკუდილსა მისცნენ ყოველნი ესე ზემო-

1 ქამთა]—MQm. 4 ერ კახნი MQT, ერა კახნი m. 6 რაჲ ჯავახ., რა ყალხჩ.,  
რათა MQm, რა T. 7 ქართველთა]—QT. 11—12 ბოროტთა R, ღუაწლთა MQTm.  
14 შეკრბეს MQTm, შეკრებისა ჯავახ. 16 ბენდიანი M, ბედანი Q. 24 შირაკევენი  
MQm, შირაკევენი T. 24—25 ჩორმალონს ნოინსა MQm, ჩორმალონს ნოინსა T. 25 წინა-  
შე]—MQTm. 26 უკეთუ]—MQTm. 29 ხარაჯად]—MQTm. 31 მჯართა] მკედართა  
MQTm. 32 მუხლთა გორგ., მკედართა MQTm, მოედანთა ყალხჩ.

7. ქამთაღმწერელი



კსენებულნი მთავარნი. ხოლო იგინი დაამტკიცებენ  
 „რათა განვაჩინოთ ხარაჯა“. და ამას ჰყოფდეს მრავალ  
 დღე, რამეთუ არა არწმუნებდეს.

M 797

Q 179b

და ვითარ | მოეახლა პაემანი, მივიდა დადიანიცა  
 ცოტნე ლაშქრითა მთასა ლადოსა, შორის სამცხესა. [და 5  
 გურისას], რომელ არს რკინისჯუარი. და ვითარ აუწყეს  
 წარსხმა ყოველთა მთავართა საქართველოსათა ანისად,  
 და შეკრებულთა ყოფა სატანჯველთა შინა ბოროტთა  
 ვითარ ესმა, მწუხარე იქმნა უზომოდ და თვსად სიკუ-  
 დილად და სირცხვლად შერაცხა საქმე იგი. და წარავ- 10  
 ლინა ლაშქარი თვსი და ორითა კაციითა წარვიდა ანი-  
 სად, დამდები სულისა თვსისა და აღმსარებელი მცნე-  
 ბისა უფლისასა, რომელი იტყვს: | „უფროს ამისსა სი-  
 ყუარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვსი  
 მოყუსისა თვსისათვს“, | რომელ ყო პატიოსანმანცა 15  
 ამან კაცმან ცოტნე სათნოება მაღალი და განსათქმელი.  
 საქმე საკვრველი და ყოვლისა ქებისა ღირსი. განვლო  
 სამცხე და ჯავახეთი და მივიდა ანისსა<sup>14</sup>.

R 393b

m 562

რამეთუ ქალაქად შესრულ იყვნეს ნოინნი, ესე წარ-  
 ჩინებულნი მოედანსა შინა. დაკრულნი მკრითა, შიმ- 20  
 ველნი, მს|ხდომარე იყვნეს. ვითარ იხილნა ცოტნე წარ-  
 ჩინებულნი, ესრეთ უპატიოდ სიკუდილად განწირულნი.  
 გარდაცდა ჰუნისაგან, და დააბნია სამოსელი თვსი, გან-  
 შიშულდა და შეიკრა მკარი და დაჯდა წარჩინებულთა  
 თანა. და ვითარ იხილეს თათართა, განკვრდეს და 25  
 მსწრაფლ აუწყეს ნოინთა, ვითარმედ: „ცოტნე დადია-  
 ნი მოვიდა ორითა კაციითა, და განიდარცუა სამოსელი  
 თვსი და შეკრული დაჯდა ქარ|თველთა თანა“. რამეთუ  
 კეთილად მეცნიერნი იყვნეს ცოტნესი, რომლისათვს  
 განკვრდეს თათარნი, და წინაშე მათსა მიუწოდეს და 30  
 ჰკითხვიდეს მიზეზსა მუნ მისლვისა მისისასა. | ხოლო  
 იგი ეტყოდა, ვითარმედ: „ჩუენ ყოველნი ამაღ შევი-  
 კრიბენით, რათა განვაგოთ ხარაჯა თქუენი და ბრძანება

T 280a

M 798

R 394a

5 ლაშქართა MTm. 5 მათდა MQTmR, მთასა გორგ. 5 ლადოსა]+რომელ არს  
 MQTm. 5—6 და გურისასა გორგ. 6 რომელ არს R]—MQTm. 9—10 სიკუდილით Q,  
 სიკუდილით T. 10 და (სირცხვლად) ყ ა უ ხ ჩ. 10 სირცხვლად]—QT. 11—12 ანისად]—  
 MQTm. 12—13 მცნობსა MQTm. 13 რომელსა MQTm. 13—14 სიყუარული] საყდარ  
 MQTm. 19 ნოინნი] ნონხანი Mm, ნონხანი QT. 22 უპატიოდ]+და MQTm. 22 სი-  
 კუდილად]+მსხდომარე Mm. 2123 იყვნეს... სიკუდილით]—m. 23 პონისაგან MQm,  
 მნისაგან T. 29 ცუნეს M. 31 მიზეზსა]—MQTm. 32 იგინი ეტყოდეს MQTm.

თქუენი აღვასრულოთ, ესე იყო შეკრება ჩუენი. აწ  
 თქუენ ძვრისმოქმედთა თანა შეგურაცხენით, და მე ამის  
 ძალითა მოვედ წინაშე თქუენსა. უკეთუ მოიციტხო და  
 ღირსი რამე სიკუდილისა უქმნა, მეცა ამათ თანა მოვ-  
 კუდე, რამეთუ თვნიერ ჩემსა არა უქმნიეს; უკეთუ  
 ცხოვრდენ. მათ თანა ვიყო“. და ვითარ ესმა ესე ცოტ-  
 ნესაგან ნოინთა, განკვრდეს სათნოებისათვს და თქუეს:  
 „ვინათგან ნათესავნი ქართველთანი ესოდენ კეთილ  
 არიან, და არა განცრუვდებიან, რომელ აფხაზეთით  
 მოვიდა კაცი, რათა დადვას სული თვისი მოყუარეთათვს,  
 და არა განცრუვნეს, ესრეთ განწირა თავი თვისი სიკუ-  
 დიდ, არა არს სიცრუევე მათ შინა, და ამის ძალითა |  
 უბრალო ვბოვებთ და განუტეოთ ყოველნი“. რქუეს  
 ცოტნეს: | „განდგომილება ვგონეთ თქუენ, ქართველ-  
 თა, და აწ, ვინათგან ჰყავ სათნოება კეთილი, ყოველთა  
 ქართველთა შენ მოგანიჭებთ, შენდა მონდობილ ვართ“.  
 და განუშუენეს ყოველნი ესე წარჩინებულნი.

და განიყვნეს მთავარნი საქართველოსანი და წინა-  
 აღმდგომ იქმნეს ურთიერთას. მაშინ შეკრბეს დიდებულ-  
 ნი ამის სამეფოსანი, რამეთუ ეგულეობდა მთავარ-  
 ყოფა მათ ზედა ეგარსლანისი, არასაწუნთთა გუარით-  
 გან აღმოჩენილისა<sup>15</sup>. ამისთვის შეკრბეს მთავარნი ამე-  
 რის საქართველოსანი — შანშე, ვარამ გაგელი, ყუარ-  
 ყუარე ჯაყელი, სარგის თმოგუელი, კაცი მეცნიერი და  
 ფილოსოფოსი და რიტორი, სურამელი გრიგოლ, ქარ-  
 თლის ერისთავი, გამრეკელი თორელი, ორბელნი, და  
 მრავალნი ერისმთავარნი, და ძებნა-ყვეს ლაშას ძისა და-  
 ვითისათვს. და ეუწყა ვიეთგანმე ვაჭართა, ვითარმედ  
 ჭერეთ ცოცხალ არს, გარნა პყრობილი ჭურღმულსა  
 შინა ღრმასა გუელთა თანა მყოფობს. ვითარ ეუწყა,  
 წარვიდეს<sup>16</sup> ჩორმალონს, იოსურს, ბიჩოს და ანგურავს  
 თანა, რამეთუ ჭერეთ ყაენი არა მოსრულ იყო ქუეყა-  
 ნასა ამას, არამედ ესე ზემოვსენებულნი ნოინნი განა-

m 563  
 Q 180a  
 R 394b  
 T 280b  
 M 799

5  
 10  
 15  
 20  
 25  
 30

3 მოიციტხონ MQm, მოიციტონ T. 5 რამეშუ—MQTm. 6 ცხოვრდენ+მეცა m.  
 11—12 სიკუდილად და m. 14 ვგონით MQ, ვგონით Tm. 18 განიყუანეს Mm,  
 გნიყვნეს Q, გნიყვანეს T. 19 იქმნა Mm. 19 მაშინ—T. 21 ეგარსლანისი MTm, ეგარს-  
 ლანისა Q. 21—22 გრთვენ T, ვარეთგან MQm. 22 აღმოჩენილსა MTm, აღმოცენებლსა  
 Q. 26 ორბელნი MT. 28 ეუწყავა Q. 28 ვიეთგანმე MQTm. 30 გულთა Mm.  
 30 თანა მყოფობასა Mm. 31 იოსურასა MQT. 31 ბიჩოს M. 31 დანგურავს Mm,  
 და ანგურავს Q, და ანგურავს T. 32 ყაენი ყნი Q, ყენი T, ყოველნი Mm. 32—33  
 ქუეყანასა+წარავლანა Mm. 33 მასა M.

- გებდეს ქუეყანათა, და მოაჯენეს: „ვინათგან წარავლინეთ მეფე ჩუენი, ნარინ დავით, ყაენს წინაშე, და არა უწყით, რა შეემთხვა, და დედა მათი, რუსუდან, გარდაიცვალა, და არა არს ნათესავი მეფეთა, და ჩუენ ურთიერთას დაუმორჩილებელ ვართ, და არა ეგების, თუმცა დავემორჩილენით ვისმე, უკეთუ არა იყოს ნათესავი მეფეთა. აწ გუასმიეს თუ, არს შვილი მეფისა ჩუენისა ლაშასი, სახელითა დავით, რომელი დაუტევა მამან დასა თვისსა, რუსუდანს, რათა იგი დაადგინოს მეფედ, ხოლო რუსუდან მეფემან წარავლინა საბერძნეთს, სულტანს თანა, რათა წარწყმიდოს. და გუასმია, რომე ცოცხალ არს, და პატიმრად ჰყავს. აწ გევედრებიით<sup>17</sup>, რათა წარავლინოთ ერთი ვინმე სახელოვანი კაცი და მოიყვანოთ დავით და მეფე-ჰყოთ ჩუენ ზედა“.
- და ვითარ ესმა ნოინთა, განკვრდეს საქმისა მისთვის, რომელი ექმნა მეფესა რუსუდანს. და მსწრაფლ წარავლინეს ანგურაგ მოციქული, და ვარამ გაგელი და სარგის თმოგუელი. მცირედთა დღეთა მიიწივნეს საბერძნეთს სულტანს თანა, და აუწყეს, ვითარმედ: „დავითის ძეზნად მოვსრულ ვართ, რათა მოგუცეთ და წარვიყვანოთ“. ხოლო იგი არღარა ჰგონებდეს სიცოცხლესა მისსა, და ეტყოდა, ვითარმედ: „ყრმა დავით წარმოევლინა მეფესა ქართველთასა, რათა ექსორია-ვყო, და ძუელ ოდესმე ექსორია-ვყავ. აწ არს შვიდი წელი, არა უწყი, ცოცხალ არს, ანუ მკუდარ“.
- ხოლო მათ აუწყეს, ვითარმედ: „ჩუენ უწყით, რომე ცოცხალ არს, ჯურღმულსა შინა მყოფი გუელთა თანა“, რამეთუ სოსანს ასმოდა მისლვა მათი და ეხილნეს ვარამ და სარგის და ეუწყა სიცოცხლე დავითისი. ხოლო ვითარ ცნა სულტანმან, წარავლინა კაცი და გამოიყვანა დავით, კნინდა სულიერ მყოფი, რამეთუ ვითარ უსულოდ რადმე, განყინულად ანუ მკუდრად მოძრავად საგონე-

1—2 წარავლინთ M, წარვლინეთ QT, წარავლინა m. 2—4 და არა უწყით... გარდაიცვალა—Q. 3 დედა და M. 5 ვართ არის Mm. 6 დამემორჩილენით Mm. 8 ლაშასი სახელითა დავით—Mm. 9 იგი—Mm. 10 მეფემ MQm. 10—11 საბერძნეთს—Mm. 14 და (მეფე)—MQTm. 14 მეფე+და MQTm. 16—17 წარავლინა MQTm. 17 ანგურაგ MQm, ანგურაგ T. 17 ანგურაგ+და T. 17 და (სარგის)—MQTm. 18 მიიწივნეს მიყვეს MQTm. 28 სსნასა T, სასნისა Q. 29 და (ეუწყა)—MQTm. 30 და გამოიყვანა—Mm. 31 სულიერ სითმე Mm. 31—32 უსულო რადმე R, აეგებდა რადმე T, აეგებდა (აშიაზე; აებგდ) რადმე Q, აებგდრადმე Mm. 32 განყენილად MQTm. 32 უძრავად R, ყ ა უ ხ ჩ.

- T 281b  
m 565  
M 801
- R 396a
- Q 181a
- R 396b
- M 802  
T 282a
- m 566
- ბელ იყო მხილველთა მიერ, და უცხო იყო სახილველად, რამეთუ ფერი პირისა მისისა დაყვლებულ, და თმანი | ვიდრე | მსხვილბარკლამდე, და ფრჩხილნი ფრიად გრძელ. რომელ იხილეს, განკვრდეს სიცოცხლესა მისსა სულტანი, და ვარამ და სარგის დიდად ცრემლოოდეს. ხოლო სულტანი ლმობიერ იქმნა, განბანა და მრავალი ნიჭი მიანიჭა: შესამოსელი, ცხენნი რჩეულნი, ოქრო და ვეცხლი, ფრიად პატივ-სცა | და შენდობასა ევედრებოდა. და ესრეთ წარმოავლინა. და ვითარ მოიწივნეს საქართველოს, მიეგებნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი, შანშე და ძე მისი, ზაქარია ამირსპასალარი, კაცი სიკეთითა აღმატებული, ყუარყუარე ჯაყელი, სურამელი გრიგოლ, ქართლის ერისთავი, ორბელნი, გამრეკელი, შოთა კუპარი, და ყოველნი მთავარნი, თვნიერ ეგარსლანისა.
- და წარვიდეს ნოინთა წინაშე. ხოლო მათ იხილეს და განიხარეს. მეფობა ვერ დაუმტკიცეს, არამედ წარავლინეს დიდსა ბათო ყაენისასა. და წარჰყვეს თანა შანშეს ძე ზაქარია, ვარამის ძე აღბულა და სარგის თმოგუელი. წარვიდეს ბათოს წინაშე.
- ვითარ მიიწივნეს, კეთილად შეიწყნარნა ბათო<sup>18</sup>, შანშეს ძე ზაქარია და აღბულა თვსად დაიჭირნა და მეფე დავით მანგუ ყაენს წინ წარავლინა. და წარჰყვა თანა სარგის თმოგუელი ყარაყურუმს. მიიწივნეს მანგუ ყაენს წინაშე, რომლისადა მიემცნო ბათოს, რათა განიხილოს და განბჭოს, რომელსაცა ორთაგან დავითს ხუდებოდეს | მეფობა, მას დაუმტკიცოს.
- ხოლო მი-რა-იწივნეს, დახუდეს მანგუ ყაენისსა | ნარინ დავით მეფე, ათაბაგი ავაგ, სურამელი, გურკლელი<sup>19</sup>, ამირ|ეჯიბი ბეშქენ. და ესრეთ მრავალ ჟამ იყოფოდეს ხატაეთს და ყარაყურუმს.
- მაშინ ინებეს თათართა ნოინთა, საქართველოს მყოფთა, მიყვანა | სულტნისა ყიასდინისა წინაშე მათსა, და

1 და]—Mm. 5 ცრემლოოდეს ყ ა უ ხ ჩ., იცრემლოოდეს Mm, იცრემლოოდეს T, ცრემლოოდეს R. 7 რჩეული M. 8 პატივ-სცა] პატივსა MQT. 8 შენდობასა] შენობასა M. 13—14 ორბელი MQTm. 18 ყანისასა MQ, ყნისსა T. 18 თანა]—MQTm. 19 აღბლა T, აღბელ Mm, აღბა Q. 19 და]—MQTm. 22 ძე]+და MQm 22 და (აღბულა)]—MQTm. 22 აღშუა Mm. 23 წინ]—MQTm. 25 რომელ ისადა MQTm. 25—26 განიხილოს R, განიხაროს MQTm. 26 და განბჭოს]—T. 27 დაუმტკიცო MQm. 27 მას დაუმტკიცოს]—T. 28 მანგუყენისა MQ. 29—30 გამრეკელი MQTmR. 33 მიყვანა]+და MQTm. 33 სულტანის MQm. 33 ყასდინის MQTm.



მოუწოდეს ელჩთა, მსწრაფლ წარავლინეს. ვითარ ინი-  
 ლეს სულტანი სიმდიდრითა უზომოთა და განსაკრთო-  
 მელითა, ინებეს მისიცა წარვლენა ყაენს ბათოს თანა,  
 და წარავლინეს იგიცა. და თუ სადა ვინ იყო კელმწიფე,  
 დამორჩილებული მათი, ბათოსთან წარავლენდიან, და  
 ბათო მანგუ ყაენს თანა წარავლინის, ვითარ ესე სულ-  
 ტანი ყიასდინცა წარავლინა მანგუ ყაენისასა. და იყო-  
 ფოდეს ორნი იგი დავით და დავით, ყიასდინი, სულტანი  
 საბერძნეთისა, ხლათისა სულტანი, და ათაბაგი ავაგ  
 ხატაეთს და ყარაყურუმს, და დაყვენეს ვითარ ხუთისა  
 წლისა ყამი.

R 397a

ხოლო ამათ ყამთა იქმნა საქმე ესე. ამას მანგუ ყაენს  
 უსხნეს ძენი ორნი: უხუცესი ვითარმე ყუბილ ყაენ,  
 უმცირესი ულო<sup>20</sup>, რომელსა ეჯანობითცა უწოდდეს.  
 ამან მანგუ ყაენმან განაჩინა ყაენად პირმშო ძე თვისი,  
 ყუბილ ყაენ, და უბრძანა ლაშქრობა დასავლეთით კერძო,  
 ბაბილოვანსა, რომელ არს ბაღდადი, და ეგვპტისა  
 და ყოვლისა დასავლეთისა კერძოთა. ხოლო ულოს  
 უბრძანა წარსლვა დიდთა ინდოეთად და მუნ განლაშქ-  
 რობა. გარნა ძნელად აღუჩნდა ყუბილ ყაენს წარმოს-  
 ლვა დასავლეთით, ულოს წარსლვა ინდოეთის კერძო-  
 თა. მაშინ ევედრა ულო ძმასა, რათა განცვალონ ლაშქი-  
 რობა და ულო დასავლეთით კერძო წარმოვიდეს და  
 ყუბილ ყაენ — ინდოეთს. ვითარ ცნა ყუბილ ყაენმან,  
 სიხარულით შეიწყნარა სიტყუა ულოსი და განცვალეს  
 ლაშქრობა. და მოაკსენეს მანგუ ყაენს, მამასა მათსა,  
 სალაშქროსა განცვალეზა და ულოსი ბაბილოვანს და  
 ეგვპტეს წარსლვა, რომელსა ნება-სცა მანცა. და მოუ-  
 წოდა ძესა თვისსა ულოს და მისცა ლაშქარი ვითარ ექუ-  
 სი ბევრი მკედარი დედა-წულითა მათითა და ხუასტა-  
 ვითა, და განაჩინა მკედართმთავრად, რომელთა-იგი

T 282b  
M 803

Q 181b  
R 397b  
m 567

1 წარავლინეს]—MQTm. 2 სულტანი]—m. 5 წარვლენ MQm, წარვლენ<sup>2</sup>დან T.  
 5 და]—MQTm. 6 ბათო მანგუ ყაენს] ბათომან გაუყონის (გაუყნის T) MQTm.  
 6 თანა]—MQTm. 6 ვითარ] + ვითარ m. 7 ყიასდინცა MQm, ყსდინცა T. 7 მან-  
 გუყანისასა MQ, მნგუყანისსა T. 8 ყასდანი MQT, ყასდნი m. 9 ხლათისა Mm,  
 ზლასა Q. 10 და (დაყვენეს)]—MQTm. 12 იქმნა]—MQTm. 12 მანგუყანს MQT.  
 13 ვითარიმე MQm. 13 ყუბილიყან MQTm. 14 ეჯანობითცა MQm, ეჯანობთა T. 14  
 უწოდეს MQTm. 15 მანგუყან MQT, მანგუ ყაენ m. 15 ყანად MQTm. 16 ყუბ-  
 ლიყან MQTm. 18 კერძოთა MQTm. 19 მან MTm. 20 ყუბილიყანს MQTm. 21  
 ულოს] + უბრძანა MQTm. 24 ყუბილიყან MQm. 24 ყუბილიყანმა MQ, ყუბილიყან m,  
 ყუბილიყან T. 26 მანგუყანს MQT. 28 ნება-სცა] ნებასა MQTm. 29 ულოს]—Mm.

ულუს-ნოინობით უწოდეს და აწ ბეგლარბეგად, სა-  
ხელად ელგა ნოინ, ნათესავით ჯალაირი, კაცი პატიო-  
სანი და სათნოებიანი, სიმართლისმოქმედი. ამას მოსცა  
ვითარ მკედარი ათი ათასი. წარვიდეს ულო და მკე-  
დართმთავარი მათი ელგა ნოინი, განვლეს თურანი და  
ჯეონი, მოიწივნეს ხუარასნის არესა, და მიერ აღმუთს.

5

ვითარ მოიწივნეს ბრძოლად აღმუთისა, მოკუდა მან-  
გუ ყაენი. და დასვეს ტახტსა მამისა მისისასა ყუბილ  
ყაენი. რომელი მამასა მისსა დაედგინა ყაენად. და დარ-  
ჩეს ყარაყურუმს ზემოვსენებულნი ესე კელმწიფენი,  
დავით და დავით, უცალოებისაგან თათართასა.

10

ხოლო ულო მოიწია ადარბადაგანს მკედრითა სამოცი  
ათასითა. ვითარ ცნეს ნოინთა ჩორმაღონ, იოსურ, ბიჩო,  
ანგურაგ, წარემართნეს მიგებებად ულოსა, და თანაწა-  
რიტანნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველოსანი,  
და უმეტეს ეგარსლან, რომელსა, ვითარცა | მეფესა,  
მორჩილობდეს ყოველნი მთავარნი საქართველოსანი.  
და მიეგებნეს ადარბადაგანს. და შეკრბეს ორნივე თა-  
თარნი, პირველ მოსრულნი. რომელთა თამაზობით უწო-  
დეს, და ულო ყაენს თანა მოსრულნი<sup>21</sup>.

15

20

და წარჩინებულნიცა საქართველოსანი მივიდეს  
ულოს წინაშე. იხილნა და კეთილად შეიწყნარნა, და აამ-  
კედრა, მათ, თანავე მბრძოლად განაჩიხა, და უბრძანა  
რომელსამე ულდაჩად, რომელ არს მეგრმლე, რომელსა  
არტყია კრმალი და კარსა ზედა მდგომარე არს; რომელ-  
სამე სუქურჩად, ესე იგი არს, რომელსა საგრილობე-  
ლად შექმნული მრგული შესაკეცელი და გასაშლელი  
აქუნდა თავსა ზედა ყაენისასა, მაღალსა შეშასა, ვითარ-  
ცა ბუნსა დროშისასა ზედა განრთხომილი | იყვის. ამას  
სუქურად სახელ-სდებდეს, და უკეთუ არა ყაენთა ნათე-

25

30

M 804  
T 283a

m 568

1 ულოს ნოინობით MQm. 7—8 მანგუყან MQT. 8 და|—M. 8—9 ყუბლი-  
ყან MQTm. 9 ყანად M, ყნად QT. 11 დავით და დავით|—MQTm. 11 უცი-  
ლოებისაგან M, უწლოებისაგან QT. 12 აიდარბაგანს MQTm. 13 ჩორმაღონ MQ, ჩორ-  
მაღონ T. 13 ბაჩო Q, შაიხო T. 14 ანგურგ MQTm. 16 ეგარსელნი Mm, ეგარსლან Q,  
ეგარსლან T. 18 აიდარბაგანს MQTm. 19 თამაზობით Mm, თმზობით Q, თამზობით T.  
20 ყანს MQ, ყნს T. 24 რომელსამე ულდაჩად | რათა სამეულად უჩნდა და Mm. რლ  
სამეულდ უჩნდა და QT. 25—26 რომელსამე სუქურჩად | რომელიმე სუქაღდა და  
Mm, რლმე სუქაღდა და QT. 27 მრგული | მიერ გული MQm, შრ გული T. 27  
შესაკეცელი შესაკერელი MQm, შესკერელი T. 27 და|—MQTm. 27 გასაშლელი  
გაშისვლებული MQTm. 28 ყანისასა MQ, ყანისსა m. 29 განრთხომილსა MQm, გან-  
რთხომილისა T. 30 სუქურად MQTm.

- სავი იყვის, არავის კელ-ეწიფებოდა დაჩრდილება მათი; სხუათა ყუბჩაჩად, რომელთა აქუნდის ტანისამოსი და ალაქ-ბაშმალი; სხუათა ეგვდანჩად, რომელ არიან კარის-მცველნი მეკარენი; სხუათა ყორჩად, რომელთა აქუნდა მშვლდ-ქარქაში. ესევეითართა უშუერთა პატივითა 5
- M 805 პატივ-სცა ყაენმან დიდთა | ამათ მთავართა საქართვე-  
ლოსათა და თვთეულსა პატივად განუჩინა.
- Q 182a და წარმოვიდეს ადგილსა, რომელსა ეწოდებდის ალა-  
ტალი. და მივიდეს ყოველნი მორჩილნი წინამე მისსა,  
და დაჯდა ტახტსა საკელმწიფოსა, და ილოცეს წესისა- 10
- R 398b ებრ მათისა | და უწოდეს ყაენად. აქა იწყო ყაენობა  
ამათ ზედა ულოსი.
- T 283b რამეთუ პირველ ამათ თამაჩთა ნოინთა ოთხთა მიერ  
განეგებოდა ქუეყანა საბრძანებელისა მათისა. პირვე-  
ლად რომგური, რომელ არს ხუარასანი, ერაცი, ადა|რბა- 15  
დაგანი, მოვაკანი და ბარდავი; შირვანი, საქართველო  
ყოველი, ხლათი და საბერძნეთი დიდი ვიდრე ასიადმდე  
ამათ ოთხთა ნოინთაგან განეგებოდა და მათი საურავი  
იყვის, ვითარ ძუელ ოდესმე შემდგომად სიკუდილისა<sup>22</sup>  
რიმოისა, რომოსიონთა ქუეყანათა განაგებდეს ოთხნი 20  
იპატოსნი. და ვინათგან მოიწია ულო, იწყო საურავად  
ქუეყანათა და განაგებდა წესთა ყაენობისათა აღსრულე-  
ბად.
- მათვე უამთა წარმოავლინეს სხუათაცა ყაენთა შვილ-  
ნი მათნი, რომელთა ქოუნ უწოდინან: ბათო — ვიდრემე 25  
ტუთარ, ჩალატა ყაენის შვილმან, ურყან<sup>23</sup>, — ყული და  
თულის ნათესავისგან — ბალალა<sup>24</sup>, რათა ქუეყანა მათი

2 ყუბჩჩდ QT, — Mm. 3 ალაქაბაში M, ალაქაბაში Qm, ილაქაბაშლი T, ალაქ ბაშმალი გორგ. 3 ევდრჩად Mm, ევდრჩდ QT, ევდაჩად გორგ. 4 მეკარენი—M. 5 ესევეითართა—MQTm. 5 უშუერთთა უშურველითა Mm, უშურველითა QT. 6 ყრმაჲან MQTm. 8 შარვიდეს MQTm. 10 ტახტსა ადგილსა m. 11 იწყეს MQm. 11 ყანობჲან M, ყანობჲან m, ყნობჲან T, ყნობჲან Q. 12 ულოსი—MQTm. 13 რამეთუ პირველ ამათ—MQTm. 13 თამაჩთა MQTm, თაჩუთთა ჯავახ., ყაუხჩ. 14—15 პირველად არამედ MQTm. 15 აიღარბაგანი MQTm.\*16 მეკარნი MQTm. 17 ხლათი Mm, ხლათი QT 17 ასადმდე Mm, ასადმდე T, ასიადმდე Q. 18 განეგებოდა და მათი საურავი საგონებელ MQTm. 19 ძუელ ძალთა Mm, ძლთა QT. 19 შემდგომად შემდგომჲა Mm, შდ QT. 19 სიკუდილისა გორგ., საკადრებელისა MQTm 20 რიმოისა] + და MQTm. 20 რომოსიონთა Mm. 21 იპატოსნი] პატოსანი Mm. 21 საურავად სვრად Mm, სურავი T, სურვდ Q. 22 ყანობისთა MQT. 25 ქონ Mm. 25—26 ვიდრე მეტურ MQTm. 26 ჩალატ MQTm. 26 ყანის MQm, ყანი T. 26 ურყან უმან MQTm. 27 შლალა Mm, ბლალთა T. 27 ქუეყანა ყენა MQm, ყენა T.

წილბდომილი ყაენის შვილთა დაიბჱრან და ხარაჯასა იგინი აიღებდეს. და ოქოთა ყაენის შვილისშვილი, ყუბილ ყაენის | ძმა, ულო, აქა დახუდა პირველ მოსრული. | ვითარ იხილა ულო სამნი | ესე ქოუნნი, შეიწყნარან და მისცა ქუეყანა ხუედრი მათი, და ესრეთ მშუდობით იყოფოდეს.

ხოლო ქუეყანა სამეფო, საყდარნი და მცხეთა და მისი მიმდგომი ქუეყანა და მონასტერნი არავისაგან იცეებოდეს, რამეთუ წარჩინებულნი სამეფოსანი თვისისა ქუეყანისათვის ზრუნვიდეს. ამისთვის წარვიდა ულოს წინაშე კათალიკოზი ნიკოლოზ, მხილველი კაცი, ანგელოზთა მობაძე, მრავალთა მოღუაწებათა შინა საკვრველი, მართლმადიდებელი, ძლიერი და თუალუხუავად მამხილებელი მეფეთა და მთავართა, რამეთუ იყო უმანკოცა, და არვის თუალნი აუხუნის. იხილა რა ყაენმან, განკვრდა წესსა და ხილვასა შესახედავსა მისსა, რამეთუ არა მეცნიერ იყო ნათესავსა ქართველთასა, | თვნიერ არქუანთა. და ვითარ პატივსცა, დაუწერეს იერლაცი<sup>25</sup>, რომელ არს ბრძანება. შეუქმნეს და მოსცეს შანად ჯუარნი ოქროსანი და შეუქმუნა თუალითა და მარგალიტითა, და უბოძა ერთი თვთ | კათალიკოზსა და ერთი — მოძღუარსა ვარძიისასა, რომელი თანაჰყვა | კათალიკოზსა. და არგანიცა იგი, ოქროთა შემკული, მოანიჭა კათალიკოზსა ოდენ, ჯუარიანი იგიცა. და ესრეთ პატივითა წარმოავლინეს, და დაიცვნა ყოველნი საყდარნი და მონასტერნი.

ხოლო იყვნეს ორნივე დავით და დავით ყუბილ ყაენს წინაშე და იურვოდეს ორნივე მეფობასა. თმოგუელი სარგის<sup>26</sup> ძლიერად წინააღუდეგებოდა თვთ ნარინ დავითს და რომელნი მის წინაშე იყვნეს, თანაზრდილნი მისნი, რამეთუ იტყოდეს: „არა ჯერ-არს, რათამცა ნაშობმან

m 569  
M 806  
R 399a

T 284a

R 399b  
Q 182b

M 807

1 დიბჱრან]—MQm. 1 ხარაჯასა] და აქისა MQ. 1—2 და... აიღებდეს] — T. 8 მიმდგომი]+და MQTm. 8 ქუეყანა]—Mm. 9—10 ქუეყანისანი MQm, ქუ ეყონისა ნიუი T. 11 ნიკოლოზ m, ნიკ<sup>2</sup> T. 13 თვალ უხვად MQTm. 14 უმანკოცა] თემანკოც Mm. 15 აუხუნეს MQm. 15 ყაენმან] ყრამამან MQTm. 17—18 არქენა MQm, არქუნა T. 18 იარულეცი MQT, იარულეცი m. 19 ბრძანება] ბაბა Mm, ბ<sup>2</sup>ბა QT. 19 ჯუარი MQTm. 21~თვთ ერთი MQTm. 23 არგანიცა იგი] იგიცა MQm. 23 და არგანიცა... მოანიჭა კათალიკოზსა]—T. 27 ყუბულყანს MQ, ყუბლა ყანს m, ყუბლუყანს T. 30 იყუნეს MQm, იყვნეს T. 31 ჯერა Mm. 31 ნაშობმან] ნაშრომმან MQTm.

- მ 570 დედაკაცისამან დაიპყრას მეფობა და არა ძემან მტე-  
მპყრობელისა | მეფისა მამაკაცისამან“. ხოლო იგინი  
მიუგებდეს, ვითარმედ: „დალათუ ნარინ დავით დედა-  
კაცისა ნაშობი არს, არამედ მეფევე იყო გვრგვონოსანი  
რუსუდან, ძმისა მისისა გიორგისაგან დატყეებული, და 5  
მეფისავე ძე არს ნარინ დავით“. და ვითარ განგრძელდა  
ცილობა, ავგ ამირსპასალარი წარმოავლინეს და მისცეს  
იერლაცი შეწყალებისა, და ქალი ქმნულკეთილი, ნათე-  
სავი წარჩინებულთა, სახელით ესლომ, და ელჩი ულოს  
R 400a ყაენს თანა, | რათა კეთილად შეიწყნაროს ავგ. და ეს- 10  
რეთ მოიწია ულო ყაენს წინაშე, ხოლო მან პატივითა  
შეიტკბო და წარმოავლინა საქართველოს, მამულსა  
თესსა.
- და ვითარ ცნეს ქართველთა მოსლვა ავაგისი, ამირ-  
სპასალარისა, წინამოეგებნეს ყოველნი მთავარნი და 15  
წარჩინებულნი, თვთ შანშე და ეგარსლან, | რომელსა  
T 284b კნინლადა სახელიცა მეფობისა ეპყრა. და ვითარ მიეახ-  
ლა ავგ, ჰგონებდა ჰუნისაგან გარდამოვდომად და  
ეგრეთ ხილვად ეგარსლანისაგან. ხოლო იგი განლაღე-  
ბულ იყო, არა ინება წესისაებრ პატივით ხილვა და ამ- 20  
M 808 ბორის-ყოფად ავაგისა. და ვითარ იხილა ავგ, | გან-  
ძუნდა, თავსა მათრავითა უხეთქნა და უბრძანა მის ქუე-  
შე დაწესებულთა, რათა ცხენისაგან უპატიოდ დაამკუან  
ქუეყანად, და ყვესცა ეგრეთ, პატივისაგან უპატიო-ყვეს  
და განძრცკლი განაძეს, და მიერითგან უპატიო იქმნა. 25  
და ესრეთ განაგდეს შანშე და ავგ და თავადთა საქარ-  
თველოსა.
- ხოლო ჩუენ პირველივე სიტყუა მოვიცენოთ. და  
ვითარ ცილობა იყო მეფეთა შორის და არა განეჩინეს  
R 400b ყუბილ ყაენს, თუ რომლისა იყოს მეფობა, ამისთვის 30

1—2 თვთმპყრობელისა|+და Mm. 2 მეფისა|—Mm. 4 ნაშობი არს|—MQTm. 5 და-  
ტყეებული| დავლტოლელი MQT, დალტოლელი m. 8 არა რაცი Mm, არლი QT.  
8 ქმნილ კეთილი MQTm. 10 ყანთანა MQm. 11 ყანს M, ყნს QT. 12 მამულსა|  
მამასა MQTm. 13 თესსა|+დავითს წინა MQTm. 16 ეგარსელნი M, ეგრესელნი m,  
ეგრსლან T, ეგრსლნ Q. 16 რომელსა| რომელნი MQ, რომელი Tm. 17 კნინლა Mm.  
18 ონისაგან MQTm. 18 ვა დამკდომად MQ, გარდავდომად m. 19 ეგარსელნისაგან  
M, ეგარსელისაგან m, ეგარსელისგნ QT. 20 და|—MQTm. 21—22 განძუნდა| გაბრუნდა  
Mm, გნძუნდა QT. 22 მის| მას MQTm. 23 დაამკუნა MQT. 24 ყვეს| ყო MQTm.  
25 ქმნა MQTm. 26 და თავადთა|—MQTm. 29 შორის| შინა MQTm. 30 ყუბლიყან  
Mm, ყუბლუნ QT.

- m 571 დაშთეს მრავალთა წელთა ყარაყურუმს. ხოლო სულ-  
ტანი ყიასდინი და ხლათელი წარმოავლინეს | ავაგსავე  
თანა, და მივიდეს სახლსა სამეფოდ მათდა. და ვითარ  
Q 183a განგრძელდა | ყოფა ყარაყურუმს და ხატაეთს ორთავე  
მეფეთა, მაშინ ინება ყაენმან ყუბილმან, წარმოავლინა 5  
ორნივე მეფენი ძმასა მისსა ულოს თანა, და მიუმცნო  
ესრეთ, რათა, უკეთუ სთნდეს, ორთავე მისცეს მეფობა,  
რომელ ყოცა ულო უკანასკნელ. და ესრეთ მოიწივნეს  
ულოს წინაშე, რომელი იხილა და შეიწყნარა, და ორთა-  
ვე მეფობა დაუმტკიცა და მისცა ყოველი სამეფო მათი. 10  
და ვითარ ესმა ქართველთა მოსლვა მეფეთა, უზო-  
მთა სიხარულითა აღვსებულნი წინმიეგებნეს ალატაღს  
T 285a იმერნი და ამერნი წარჩინებულნი, და იყო სიხარული  
და მადლობა ღმრთისა. ვითარ დაყვეს მცირედი ყამი  
ულო ყაენს წინაშე, წარმოავლინა ქართლს, და მოვიდეს 15  
M 809 ტფილისს სიხარულითა. და შეკრბეს | კათალიკოზისა  
თანა ყოველნი ეპისკოპოზნი და ყოველნი მთავარნი და  
R 401a ერისთავნი, | დასხდეს ტახტსა მამათა მათთასა ტფილისს  
დავით და დავით, — ორნივე.  
ხოლო მოწვევულ არს ესეცა სიტყუა, რომელ სხუა 20  
ვინმე ყოველთა აღმწერელი იტყვს, ვითარმედ: ყარა-  
ყურუმს ყოფასა ორთავე მეფეთასა გუიუქ ყაენმან ეს-  
რეთ გაბჭო, რომე მეფობა ლამას ძესა დაუმტკიცონ, და  
ესრეთ წარმოავლინა, და რუსუდანიისა ძე, დავით, მა-  
შინვე ლტოლვილი ღამით განიპარა და წარვიდა აფხა- 25  
ზეთს. და მე არა შევიწყნარებ ამას. პირველად უწყო-  
დეთ, რომელ [გუიუქ] ყაენსა მას არა გაეყო, და არც  
მანგუ ყაენს, ყუბილის და ულოს მამასა, და მეფობა  
ორთავე მანგუ ყაენის შვილმან, ყუბილ ყაენმან, მოსცა  
m 572 და ულო ყაენისა წარმოავლინა, და მანცა ორთავე | 30  
დაუმტკიცა მეფობა<sup>27</sup>.

1 ყარყურუმს MQm, ყრა ყურუმს T. 2 ყასდინი MQTm. 2 ხლათი T, ხალ-  
ხთი Mm, ხლთი Q. 4 განგრძელდა] განძლიერდა MQTm. 4 ყარყურუმს MQm.  
5 ყანმან MQT. 7 უკეთუ] უკუე MQTm. 12 წინ მოეგებნეს MQTm 12 ალტაღს  
MQTm. 15 ყანს MQT. 16 ტფილის MQTmR. 16 შეკრბეს]+კეთილი Mm. კთლი  
QT. 17 თანა]—MQTm. 18 ტფილისისა MQm, ტფილისისა T. 22 გუიუქ ყაენმან] გვეუ-  
ნა MQm, გუყუნა T, გუაქვქ ყანმა ჟ ა ე ა ხ. 26 არა m, არ MQT. 27 ყანსა MQT.  
27 გაუყო MQTm. 27 არც გ ო რ გ.]—MQTm. 28 მანგუ ყაენს გ ო რ გ., მან გან-  
უყუნა MQm, მან განუყუნა T. 28 ყუბილის გ ო რ გ.]—MQTm. 29 ყანის MQT.  
29 ყუბილ ყაენმან] ყუბლიყან MQm, ყუბლა ყნ T. 30 ულვო ყანისა M, ულვო ყაე-  
ნისსა m, ულავო ყანისა QT.

და ორნი დასხდეს ტახტსა ზედა და აზომ, რომელ მრავალი სიგელი იპოვების და თვთ მე მინახავს, რომელ სიგლისა თავსა სწერია: „მეფენი ბაგრატიონნი“, და „ნებითა ღთისათა, დავით და დავით“, და კელიცა ორ- 5 თავესი რთავს: „ჩემ დავითისგან მტკიცე, და ჩემ დავითისგანცა მტკიცე არს“. ხოლო დასხდეს ორნივე მტკიცედ მეფედ, ვითარ ვთქუ, რომლისათვის საეჭუელ იქმნა შანშესგან ლაშას ძისა დავითის სიყუარული, და ავა- 10 გისგან რუსუდანის ძისა დავითის მიმდგომობა. და ვერ განაცხადეს, რამეთუ ორნივე, დავით | და დავით, სიყუარულსა ზედა ეგნეს და არა წინააღმდეგებოდეს ერთმანერთსა. და მორჩილობდეს ყაენსა ულოს და ხარაჯას მისცემდეს. | ხოლო უპირატესი პატივი და ზემოჯდომა 15 ლაშას ძესა, დავითს, ეპყრა | ლაშას ძეობისათვის, და ლაკათუ უხუცესობისათვის.

ვინათგან თათარნი არა დამშვდნეს ყოველთა ნათესავთა სრვად და ოჯრებად, და თანამბრძოლ აქუნდეს ქართველნი წყობათა შინა სიმჯნისა მათისათვის, ამის- 20 თვის დიდსა ჭირსა შინა იყვნეს მეფენი და მთავარნი. და უცხრომლად ებრძოდეს ურჩთა, და უმეტეს აღმუთს მყოფთა. რამეთუ შვდისა წლისა ყამთა განგრძელდა ბრძოლისა ყოფა მათი, ამისთვის წარავლინნა ულოცა ნოინნი და მათ თანა მეფე გიორგის ძე, დავით, ქართველთა სპითა, რათა ბრძოდენ აღმუთს. ხოლო იგინი, 25 ამისნი მცნობელნი, მრავალთა ომთა მიერ შეიწრებულნი, ყოვლისა ღონისძიებისაგან უღონოქმნილნი, ივლტოდეს ეგვპტედ, რომელ არს მისრი, რამეთუ აღიღეს დედა-წული და ხუასტაგი და ყოველი სიმდიდრე მათი, | და მუნ დაამკვდრნა სულტანმან მისრეთისამან. და აწ 30 რომელ მულიდნი მისრეთით გამოვლენ, იგივე აღმუთელნი არიან, მუნ დამკვდრებულნი<sup>3</sup>.

m 573

4 სიგლისა თავსა] საგებულისათვის Mm, სიგელისათვის Q, სიგებლის თვის T. 4 ბაგრატიონნი M, ბაგრატიონნი m. 8 მეფედ]—Q. 9 დავითისი MQm, დავითისა T. 10 დავითისი MQm, დავითისა T. 11 განცხადეს M, განცხადნეს Q, გნცხადნეს T. 12 ეგნეს] —MQTm. 12—13 ერთმანერთსა]—MQTm. 13 ყაენსა და MQTm. 13 და (ხარაჯას)] —MQTm. 17—18 ნათესავთათვის MQTm. 18 სრვად და]—MQTm. 18 ოჯრობად MQm. 19 მათისათვის]—MQTm. 21 უმეტეს]—MQTm. 22 წლისა] +მყოფთა MQTm. 23 ულოცა] უცხო MQTm. 26—27 შეიწრებული MQm. 28 იღეს MQm. 30 მუნ] მან MTm, მწ Q. 31 მისრეთი MQTm. 32 მუნ]—MQTm.



- და ესრეთ რა კელთ-იგდო ულო აღმუთი და ყოვე-  
ლი ხუარასანი, ინება ამკედრება ყოველთა ნათესავთა  
R 402a ურჩთა, | და მოსრვიდა კაცთა ესოდენ, რომელ ათორ-  
მეტი დღე ოდენ დაყვეს ერთსა სადგურსა ზედა ამის-  
ტუს, რომე მოკლულითა კაცითა აღყროლდის ადგილი 5  
M 811 იგი, | რომელ დგის. ხოლო უმეტეს სპარსთა მოსწყუ-  
ედდის, რამეთუ საძაგელ-უჩნდის სჯული მუსულმანთა.  
T 286a | ხოლო ამას თანა აქუნდა სამართალი განმკითხველო-  
ბისა.
- ამას ულოსა თანა იყენიან მარადის მეფენი ორნივე, 10  
დავით და დავით. ხოლო იყო ესე ლაშას ძე დავით ტა-  
ნითა დიდ და ახოვან და სხვლ, და მოისარი მაგრითა  
მშვლდითა, უმაჲყო, წრფელ, მალემრწმენ, შემნდობელ  
ბოროტისყოფთა. და რუსუდანის ძე დავით იყო ტანითა  
ზომიერ და თხელ, ფერთა ფეროვან და შვენიერ, და 15  
თმითა თხელ, ფერკითა მალე, მონადირე რჩეული და  
კეთილად მსროლელი ნადირთა, ენატკბილ და სიტყვიერ,  
უხუ და მდაბალ, ცხენსა ზედა მკნე, და ლაშქრობათა  
შინა გამგონე და სამართლისმოქმედ, უმეტესობის მო-  
ლუაწე. ესენი უმრავლესსა ეამსა ულოს ყაენს წინაშე 20  
R 402b იყენენ. და ულო | ლაშას ძისა დავითისთვის უმეტეს მო-  
Q 184a ყუარულ იყო და რუსუდანის ძისა დავითისთვის მოძუ-  
ლე. ხოლო ვითარ იყო რუსუდანის ძე ალატალს ულოს  
წინაშე, დაიპყრეს და წარმოავლინეს საზამთროსა ად-  
გილსა ბარდავს. და ვითარ მოიწიენეს ნახჭევანს, მიერ 25  
წარვიდეს დავით რუსუდანის ძე სამითა\* ოდენ კაცი-  
m 574 თა, | რომელი იყო გურკლელი, და ამირეჯიბი, და სუ-  
რამელი ბეგაი, რომელსა თათარნი სალინ-ბეგობით უკ-  
მობდეს, ესე იგი არს კარგი ბეგაი, წარვიდა აფხაზეთს,  
რამეთუ ლაშას ძე დავით ტფილისს იყო მას ეამსა. და  
ვითარ მოიწია ნარინ დავით ქუეყანად ავაგ ათაბაგისა 30

3 მოსრვიდა] მმოსრავთა MQ, მომსრავთა m, მოსრვი T. 4 სადგურსა] ადგილსა Mm. 6 სპარსთა] სპათასა MQTm. 7 რამეთუ]—MQTm. 7 უჩნდის] არს MQTm. 10 (ძე) დავით]—m. 11 მოისრი MQT, 12 მალემრწმენ] მალი Mm. 14 ფეროვან და] ფე-  
როვანად T, ჰეროვანად MQm. 19 ყანს MQT. 20 და ულო] ულო და MQTm. 20—21  
მოყუარულ] მყოლ MQTm. 21—22 მძლე MQm, მძლევარ T. 22 ხოლო]—MQTm. 22  
ალტალს MQT. \*23 დაიპყრნეს MQT. 24 და ვითარ]—MQTm. 25 წარვიდეს] წარვიდა  
აფხაზეთს MQTm. 26 გურკლელი MQT, გურკლელნი T. 26 და ამირეჯიბი] დამირეჯიბი M.  
27 ბეგი MQm. 28 წარვიდა აფხაზეთს R]—MQTm. 29 ტფილის MQT. 29 იყო] იღვა  
m. 30 ნარინ დავით]—MQTm.



- M 812** შეურაცხითა | შესამოსლითა, იხილა იგი მომავალთა დირობას მყოფმან სუმბატ ორბელმან.
- T 286b** რამეთუ მოწყუედასა მას ორბელთასა მეფისა მიერ ლტოლვილი წარსრულ იყო ნახჭევანს, სახელითა ლიპარიტ. ესე მოიწია ქუეყანად ელიგუნისად. ხოლო ელიგუნ იხილა რა ლიპარიტ ორბელი, სიძედ შეიყვანა და ასული თვისი აქორწინა, რომელმან შვნა ორნი ძენი, რომელსა უწოდეს ერთსა ელიგუნ და მეორესა სუმბატ. და შვილად მიიყვანა ელიგუნ სუმბატ. ამის სუმბატის შვილმან შვილისამან, სუმბატ, შეიმთხვა დავით და წარიყვანა სახლად თვისად. | ხოლო დავით ევედრა სუმბატს, რათა არა განაცხადოს, და წარავლინოს აფხაზეთს, და თუალიცა მისცა იგი სახელოვანი, რომელი წარეტანებინა დედასა მათსა რუსუდანს. და წარმოავლინა უნდოთავე შესამოსლითა შიშისათვის თათართასა. და მოიწია თორს, ლიპარიტ თორელისასა, რომელსა დევისყურცა ეწოდებოდა. და მან უძღუნა ცხენი და შესამოსელი, წარჰყვა ქუთათისს. ხოლო ვითარ ცნეს აფხაზთა, სუანთა, დადიანმან, ბედიანმან, რაჰის ერისთავმან და სრულად ლიხთ-იმერელთა, შემოკრბეს სიხარულითა დიდითა და მეფე-ყვეს დავით აფხაზთა ვიდრე ლიხთამდე.
- R 403a** და აქა შინა შეიქმნა სამეფო ესე ორ სამთავროდ, გარნა ეგრეთცა იყვნეს სიყუარულსა ზედა ერთმანერთისასა დავით და დავით. და დარჩა ლიხთსაქათი ლაშას ძესა დავითს, და ლიხთიმერი რუსუდანის ძესა. და მოიწყო ყოველი ქუეყანა, და მოიგო სიმდიდრე უზომო, და წარმართა სახლი სამეფუჯო კეთილად, და | მონებდა ყაენსა.
- M 813**  
**m 575**

მაშინ წარმოავლინა ელჩი დიდმან ყაენმან ბათონ,

1 მამავლი MQTm. 2 სუმბატ]—MQTm. 2 ორბელმან] ორბელმან MQTm. 3 რამეთუ ყაუხჩ., რომელი MQTmR. 3 ორბელთა MQTm. 5 მოიწია MQTm. 5 ელაგუნისმან MQT, ელაგუნისა m. 5 ხოლო]—MQTm. 5 ხოლო] + მან m. 5—6 ელაგუნ Mm. ელაგუნ T. 8 მეორესა m, ერთსა MQT. 9 სუმბატ]—MQTm. 9 ამისი MQTm. 10 შეიმთხვა MQTm, შეიმთხვა გორგ. 13 რომელ MQTm. 13—14 წარეტანებინა MQM, წარეტანებინა T. 18 სვიანთა Mm. 19 დადიანმან გორგ., დადიანთა MQTmR. 19—20 და სრულად mR, და სრულდ QT. დასრულდა M. 22 სამეფო ესე] სამთავრო MQTm. 22 სამთავროდ] სამეფოდ MQTm. 23 ეგრეთცა M, ეგრეთ m. 23—24 ერთმანერთისასა Mm. 24 აქათი Q, აქეთი T, აქით m, აქით M. 25 და ლიხთიმერი რუსუდანის ძესა]—MQTm. 26 უზომო] უზო Mm. 27 წარმართა MTm. 27 და მონებდა] ამონებდად Mm. 28 ყენს QT, ქვეყანასა Mm. 29 ყენმან M, ყანენ QT. 29 ბათონ]—MQTm.

R 403b  
T 287a  
Q 184b

რომელსა ეპყრა | ყიფჩაყეთი და ოცსეთი, ხაზარეთი, რუსეთი, ბორღალეთი ვიდრე სერბეთამდე, და რუმბან-დამდე და ხატავთამდე, და მოუწოდა მეფესა დავითს. და წარვიდა წინაშე ბათოსა მეფე დავით ნიჭითა უზომოთა, და დაუტევა განმგებელად სახლისა სამეუფოსა დედოფალი ჭიგდა-ხათუნ და მესტუმრე ჭიქურ, რამეთუ იყო ესე ჭიქური ერთგული მეფეთა უმეტეს ყოველთა კაცთა, რამეთუ სრულიად სამეფოსა შინა მპარავი და ავაზაკი არ იპოებოდა, და თუ სადა ვაჩნდის, ძელსა ჩამოჰკიდებდა; და სხუად არარა ნიჭთა მჭონებელი. ესე განდიდნა მეფისა დავითის მიერ დიდად ერთგულობისათვის, ჳელთ-უღვა სამეფოსა და სახლისა განგება, და დაუტევა ტფილისს დედოფლისა წინაშე, რომელმან აღაშენა ისანთა პალატი განგებითა დიდითა, და ფხოველნი მოხარკე-ყვნა და მეჯორედ ყვნა კაცნი იგი მკეცისა ბუნებანი.

5

10

15

R 404a

და წარვიდა მეფე წინაშე ბათოსა, პატივითა შეიწყნარა და ყოველი სათხოველი აღუსრულა. და იყოფოდა მეფე წინაშე ბათოსა ჟამთა მრავალთა. და თუთეული თემისთემისა ადგილი თუთეულსა კაცსა შევედრის, რომლისათვის კახეთიცა პანკელსა თორღუას შევედრა, და ამცნო, რათა ბრძანებასა დედოფლისასა ერჩიდეს. ჳგონა თორღუამან არღარა მოსლვა მეფისა, უკუღვა პანკისსა ციხესა, თუსად დაიჭირა კახეთი, არღარა მორჩილდებოდა დედოფალსა და მესტუმრესა | ჭიქურსა.

20

M 814

25

მაშინ შეიწყალა ყაენმან მეფე დავით და მოსცა სუჭური საჩრდილობელი, რომელი სხუასა არავის აქუნ-

2 ბორღალეთი R, ბოძილეთი MQTm. 2 სერგეთამდე MQm, სერგეთამდე T. 2-3 და რუმბანამდე MQ. 3 და მოუწოდა მეფესა დავითს—MQTm. 4 ბათოსისა T, ბათოსის Q, ბათოსის M. 5 დუტევა M. 5 განმგებელად MQT, განმგებთა და m. 5 სამეფოსა T. 6 ჭიგდ ხათუნ QT, ჭიგდ ხათუთუნ Mm. 6 ჭიქური M. 8 რამეთუ—MQTm. 8 სრულად MQTm. 8-9 და ავაზაკი დავაზაკი M, და ავაზაკი Q. 9 და—MQTm. 9 თუ სადა + თუსადა M, თუ სად QT. 11 დავითს M, ოთხს T. 12 სხლისა MT. 12 ოა—MQTm. 13 ტფილისი MQTm. 13 დედოფალსა MQm. 14 ისანთა TR, ისნთა Q, სონთა m, ტსონთა M. 14 პალტი M, პლატ T, პლტი Q. 15 მოხარკე M, მოხრკე Q, მოხარაკე T. 16 ბუნებანი შეუნბნი Mm. 17 წინაშე—MQTm. 17 ბათოსა | ბათოს MQT, ბათოსის m. 17-18 შეიწყნარე MQm. 18-19 იყოფდა MQm. 19 წინაშე—MQTm. 19 ბათოსა | შთოსს Mm, ბთოსისა T. 19 ჟამთა მრავალთა და—MQTm. 20 თემისთემისა | თემის თემის თემისა T. 20 ადგილი—MQTm. 21 თორღუარს MQTm. 23 ერჩიდეს—MQTm. 23 თორღუმან MQTm. 24 თუსად | თუ სამ MQTm. 26 ჭიქარსა MQTm. 28 სხუასა არავის სხუასადა MQTm.



T 287b  
m 576

დის, თვნიერ ყაენთა და ნათესავსა მათსა. და მოუმცნო  
 ულოს, რათა თვნიერ ულუსისა ნოინისა კლდე უთღოს  
 შესლევასა | მეფისა ზედათ არაინ დადგებოდის, რა-  
 მეთუ ესე იყო წესი თათართა, რომელ ყაენს წინაშე  
 არაინ დაჯდებოდის, არცა პურისჭამასა შინა. ესრეთ 5  
 პატივ-სცა მეფესა და წარმოავლინა სამეფოდ ქართლად.  
 და ვითარ მოიწია ჰერეთს, მიეგებნეს ყოველნი წარჩი-  
 ნებულნი სამეფოსა მისისანი. ხოლო თორღუა შეშინე-  
 ბული უკუდგა პანკისს<sup>7</sup>. და მეფე მოიწია ტფილისს და  
 იყო სიხარული ყოველთა მკვდრთა საქართველოსა. 10  
 ხოლო თორღუას მოუწოდა მეფემან დავით, და არა  
 მოვიდა კარად მეფისა | შიშისათვის. და მრავალჯერ  
 უწოდა, და ვერ ეძლო გულპყრობად მოსლვად. მაშინ  
 განზრახვითა ჯიქურისათა წარვიდა ხორნაბუჯელი, მი-  
 ვიდა თორღუას სახლსა, რათა მას მიენდოს ფიცითა 15  
 მტკიცითა. ხოლო თორღუამან რქუა: | „წარვალ ალა-  
 ვერდს გიორგის წინაშე, და მუნ შემომფიცე და მუნ  
 მიმინდევ“. და წარვიდეს ორნივე, და თორღუა გამოება  
 ფესუსა სამოსლისა ალავერდისა მთავარმოწამისასა. და  
 მივიდა ხორნაბუჯელიცა, შეპფიცა და გამოცხნა ფესუსა- 20  
 გან<sup>8</sup>. ხოლო თორღუამან რქუა: „რა-იგი ჰყო ჩემ ზედა,  
 ამა წმიდამა გიორგი გიყოს შენ, რამეთუ მარტო | ვარ  
 და სიკუდილითა ჩემითა უმკვდრო იქმნების მამული  
 ჩემი, და ვგრეთვე უმკვდრო-ყოს წმიდამა მთავარმოწა-  
 მემან სახლი შენი“. და წარმოიყვანა ხორნაბუჯელმან, 25  
 ფიცთა მტკიცეთა მიერ შეკრულმან, ტბაჰმელას, და  
 შეურაცხ-ყო აღთქმა და ფიცი იგი, და შეიპყრა ჯიქურ-  
 მან განზრახვითა დედოფლისათა, თვნიერ მეფისა ცნო-  
 ბისა, და წარიყვანეს კლდეკართა | და გარდმოავდეს.  
 ხოლო ვითარ მიეგო ბოროტი ხორნაბუჯელსა ალა- 30  
 ვერდის მთავარმოწამისა აღთქმისა და ფიცის გატეხი-

R 404b

Q. 185a

M 815

T 288a

R 405a

1 თვნიერ ყაენთა] თუნრაცანთა MQTm. 2 ულო MQTm. 4 წესითა MQTm. 7 ჰე-  
 რეთს] ვრეთს MQTm, მრეთს R. 8 თორღოლო MQT, თორღო m. 8—9 შეშინებული] +  
 მოიწია Mm. 9 პანკისის Mm, პანკის QTR. 9 ტფილისს MQm. 10 ყო სიხარულ Mm,  
 ყო სიხარული QT. 10 ყოველი მკვდარი MQT, ყოველი მკუდარი m. 11 თურღუას MQTm.  
 11 დავით]—MTmR, დ'თ Q. 12 კარვად MQTm. 15 თურღას MQTm. 15 მიენდო  
 MQTm. 17 წინაშე]—Mm. 17 მუნ] მან Mm. 17 შამომფიცე M. 17—18 მ'ნ მომენდევ  
 და მუნ მომენდევ Q. 18 მომენდევ MTm. 18 წარვიდეთ MQTm 18 თორღუა]—  
 MQTm. 21 თორღურმან M, თორღურამ m. 26 ტ'ბაჰმელას MQ, ტბაჰმელსა T.  
 27 იგი]—Mm. 28 განზრახვითა დედოფლისათა]—T. 28—29 მეფისა ცნობისა მეფობისა  
 ცნობილმან MQTm. 29 გარდმოავდეს MQ m.

- m 577      სათვს, იხილეთ, რამეთუ ესუა მვილი ხორნაბუჯელსა, სახელით შალვა, სიკეთელმატებული. ამას შალვას ეს- ხნეს შვილნი და მყის დაიკოცნეს, | და ეგრეთ ბერი ხორნაბუჯელი მოკუდა მწუხარებითა, და ხედავთ უმკვდრობასა სახლისა მისისა. და დარჩა მათი შვილი, 5 სახელით შალვა, რომელი უკანასკნელ თათართა მიერ მოიკლა, და უმკვდრო იქმნა სახლი მისი. და ესრეთ შური იგო ალავერდისა მთავარმოწამემან.
- ხოლო ვითარ მოიწყო დავით მეფემან სამეფო, წარ- ვიდა ყაენს ულოს წინაშე ნიჭითა დიღითა, რომელი იხი- 10 ლა რა ულო ყაენმან, პატივითა შეიწყნარა, და ნოინთა თანა დააწესა წინასადგომად და ჯდომად, და განმკი- თხველად და ბჰედ.
- ამათ ყამთა ინება ულო ყაენმან აღმკედრება ბაბი- ლოვანს ზედა, რომელ არს ბაღდადი, და კელმწიფესა 15 ბაბილოვნელთასა ხალიფას ზედა<sup>9</sup>. და მოუწოდა ყო- ველთა სპათა მისთა და წარემართა ბაღდადს | ბრძოლი- სა ყოფად ხალიფასა. მივიდა ქუეყანასა ბაბილოვნისასა, და ვერ წინააღუდგა ხალიფა, არამედ შეივლტოდა ბაღ- 20 დადს. ხოლო ყაენი გარემოადგა და მოიკცა იგი. ერთ- კერძო თვთ ყაენი მოადგა წყალს აქეთ, და წყალს იქით ელგა ნოინი, და ერთკერძო მეფე დავით, რამეთუ მის წინაშე იყვნეს ყოველნი წარჩინებულნი საქართველო- სანი. და ბრძოდეს ძლიერად არა მრავალთა დღეთა, არამედ ათორმეტ დღე, აღიღეს ბაღდადი. 25
- მეფემან დავით უბრძანა ლაშქართა მისთა, | რათა შეთხარონ ზღუდეთა ქუეშე. და შეთხარეს, | ზღუდესა შიგან შევიდეს ქართველნი და იქმნა ძლიერი ბრძოლა, და მოსრვიდეს სპათა ბაღდადელთა, და შიში ფრიადი აქუნდა ბაღდადელთა. და ესრეთ განუხუნეს კარნი ქა- 30 ლაქისანი ქართველთა და თათარნი შევიდეს. ამისი

1 იხილეთ]—MQTm. 1 ხორნაბუჯს MQTm. 3 მყის]—MQTm. 4 ხორნაბელი MQ, ხურანაბელი T, ხორანბელი m. 4 და ხედავთ] დახედვად MQTm. 5 უმკვდრობს MQT. 5 სახლსა მისსა Mm. სახლსა მისისა Q, სახლსა მისისასა T. 5 დარჩა]—MQTm. 9 დავით]—MQTm. 9 მეფემან]—m. 10 ყანს MQT. 11 რა] რათა MQm. 11 ულო- ყან MQT, ულო ყაენ m. 12 დააწესა]—MQTm. 14—15 ბაბილოვანს] ბათონას MQm, ბთონსა T. 16 ბათოენათასა MQTm. 16 ხალიფაზედა MQT, ხალიფაზედა m. 18 ხალი- ფისასა M, ხალიფასასა m, ზღუდესა T. 19 ხალიფ MQT. 20—21 ერთკერძო] + დავით მეფე ერთკერძო MQTm. 21 ყაენი] ყოველნი Mm. 22 ელგან MQTmR, ელგონ ყა უ ხ ჩ. 22 ნოინ MQT. 23 საქართველოსანი]—MQTm. 25 არამედ]—MQTm. 26 რათა] რ ლ- თა T. 31 თათარნი ჩგ. კონიგეტ., თათართა და MQTm.



- მცნობელი ხალიფა, რომელ შევიდეს ქალაქად თავისი ივლტოდა ნავითა წყალსა მას ზედა, რომელი ქალაქსა | სდის. იხილა ელვა ნოინმან, რომელი იყო წყალსა იმიერ კერძო, მოუჯდა, და ვერ უძლო წარსლვად, უკუნ- 5  
 იქცა ბალატად თვსად. ესრეთ ადვილად რა კვლთ-იგდეს სახელგანთქმული იგი ქალაქი ბაბილოვანი, ვინმე მი-  
 უთხრნეს განსაცდელნი და ჭირნი, რომელ მოიწივნეს ბაღდადს ზედა? მოსრნეს მახვლითა ესოდენი სიმრავლე, 5  
 რომელ | არა იყო რიცხვ, სავე იყვნეს უბანნი, ფოლო-  
 ცნი და სახლნი მკუდართა მიერ. ხოლო სიმდიდრისა და 10  
 ალაფისა, მაშინ პოვნილთა, ვინმე მიუთხრნეს? რამეთუ  
 აღივსნეს თათარნი და ქართველნი ოქროთა, ვეცხლი-  
 თა, თუალითა, მარგალიტითა პატიოსნითა, ლარითა და 15  
 შესამოსლითა, სამსახურებელი ჭურჭელითა ოქროსა და  
 ვეცხლისათა, რომელ არაგინ აღიღებდა თვნიერ ოქ-  
 როსა და ვეცხლსა, თუალსა და მარგალიტსა, და შესა-  
 მოსვლთაგან კიდე. სხუანი ჭურჭელნი, ჩინეთით და ქა-  
 შანით მოხმულნი და მუნ შექმნილნი, სპილენძი და რკი-  
 ნა უპატიოდ იზნეოდა. და ესრეთ აღივსნეს ლაშქარნი, 20  
 რომელ უნავირნი და კურდანი, და ყოველი შეურაცხი  
 სამსახურებელი თუალითა და მარგალიტითა და წითლი-  
 თა ოქროთა განტენიან, და ზოგთა კრმალთა ვადისპირსა  
 მოსტეხდიან და ქარქაშნი წითლითა განტენიან და |  
 ზედა ნატეხნი კრმლისა ჩააგნიან. ზოგთა მკუდარი კაცი 25  
 ბაღდადელი გამოწლიან და წითლითა ოქროთა, და თუა-  
 ლითა და მარგალიტითა განტენიან და. ვითარ თვისი მკუ-  
 დარი, განიყვანიან ვარემე ქალაქსა. და ესრეთ აოჯრებ-  
 დეს და ჰკოცდეს | და ტყუე-ჰყოფდეს.

1 ხალიფ MQ, ხლივ T. 3 ელვა ნოინმან| გომომ Mm, გორინ Q, გონონ T, ელვონ ნოინმან R. 4 იმერ კერძო MQm, ამრ კერძო T. 4 კერძო|+იყო MQTm. 5 ესრე MQT. 5 რა|—MQTm. 6—7 სახელგანთქმული... მიუთხრნეს|—MQTm. 7 რომე MQT. 8 ესოდენი ყაუ ხ ჩ., ესოდენ R|—MQTm. 9 რომელ|—MQTm. 9 არა| რა MQTm. 10 მკუდართა ყაუ ხ ჩ., მკუდარნი MQTm. 10 ხოლო|—MQTm. 10 სიმდიდრე MQTm. 10—11 და ალაფისა| და აღდსა T, დაჰუფსა Mm. 11 ბოვნილთა|+თანა MQTm. 11 ვინმე მიუთხრნეს|—MQTm. 11 რამეთუ| რომელნი MQTm. 12 აღივსნეს თათარნი და|—MQTm. 12 ოქროთა|+ და m. 13 თუალითა|+ და m. 13 თა|—T. 15 რომელი MQTm. 15 თვნიერი Mm. 16 მარგალიტსა|+და მარგარსა QT. 17 ჭანეთით MQm, ჭინეთით T. 17—18 ქაშნით M. 18 სპილენძნი MQT. 20 და (ყოველი)|—MQTm. 20 შეურაცხი| შერაცხილ MQTm. 21 სამსახურებელი| სასხურებელი MQTm. 22 განტენნეს Mm, გნტენეს QT. 22 და|—MQTm. 25 ოქროთა|+ განტენიან Mm. 26 განტენიან|—Mm. 27 განიყვან Mm, განიყუნიან T, გნიყვინან Q. 28 და (ჰკოცდეს)|—MQm.

მიიწინეს პალატად ხალიფისა, გამოიყვანეს ხალიფა და ჰე მისი, და ყოველი სიმდიდრე მისი განსაკვრებელი, და მოიყვანეს წინაშე ყაენის ულოსა. და ვითარცა წარადგინეს წინაშე მისსა, ეტყოდეს ხალიფას, რათა თაყუანის-სცეს | ყაენსა, ხოლო მან არა თავს-იღვა, დაღვა და ეტყოდა: „ველმწიფე ვარ თვთმპყრობელი და მონებასა ქუეშე არავის მყოფი. უკეთუ განმიტეო, დავემორჩილები, და თუ არა განმიტეოთ, არღარავის მონებასა ქუეშე | მყოფი მოვკლუდები“. ხოლო იგინი აიძულებდეს თაყუანის-ცემად, გამოუხუთნიან ფერკნი მისნი და პირალმართ დაეცის, და არა თაყუანი-სცა. ბრძანა განყვანება გარე და წარავლინა ელგა ნოინი, რათა მოკლან ხალიფა და შვილი მისი. ვითარ რქუა ხალიფას, „ყაენმან შეგიწყალა“, მზიარულ იქმნეს და ეტყოდა: „ვითარ შემიწყალებს, განმიტეოს და ბაბილოვანივე მომცეს“. ხოლო ელგა ნოინმან რქუა: „არა, არამედ ყაენი თვთ მისითა კელითა და კრმლითა მოგაკუდინებს, და ყაენის შვილი აბალა შენსა შვილსა მოპკლავს“. და ხალიფა განკვრებულნი ეტყოდა: „უკეთუ მომკლავთ, გინებს, ძალმან, და გინებს, კაცმან მომკლას“. და ესრეთ მოიკლა ხალიფა ყოველითა სახლეულითა მისითა, და შეიწყალნეს დაშთომილნი ბაღდადეღნი, და ბრძანა შენება, და დაყარნეს შანანი. და ესრეთ სავსენი ტყუე-ალაფითა მივიდეს სადგურს.

ამათ ქამთა შინა იქმნა ესეცა, რამეთუ ყაენმან ბათო, რომელ უდიდეს იყო ყოველთა ყაენთა, ინება განსწორება და აღთუალვა ყოველისა ქუეყანისა<sup>10</sup>, და პოვა კაცი ვინმე, ნათესავით თირადი, სახელით არლუნ, სამართლისმოქმედი და მართლის მეტყუელი, და ღრმად

1 ხალიფ MQ, ხალიფ T. 3 ყანის M, ყნის QT. 3 ულოსა MQTm. 3 ვითარცა]—MQTm. 4 ხალიფს MQT. 5 ყანის M, ყანს Q, ყნს T. 6 და ღვა M. 6 ვარ] ვითარ Mm, ვრ QT. 6 თვთმყოფელი MQTm. 8 და m]—MQT. 9 ხოლო იგინი]—MQTm. 11 პირალმართ R, პირდაღმა MQTm. 13 ხალიფ MQT. 13 შვილი Mm, შვილნი QT. 13 მისი ჩე. კონიექტ., მისნი MQTmR. 14 ხალიფს MQT. 14 ყანმან MQT, ყანმა m. 14 იქმნეს M, იქმნის m. 15 ეტყოდეს MQm. 16 მომცენ Mm. 16 ელგანონ Mm, ელგნონ QT. 17 მისითა]—Mm. 17—18 მოგაკუთინებს MQTm. 18 ყანის MQT. 18 აღბულა MQTm. 20 გენებოს R, გენებავს m, გენებსა T. 20 გენებავს m, გენებსა T. 22 და]—MQTm. 23 დაარნეს Mm. 24 სავსენი]—Mm. 24 მივიდეს] +სავსენი Mm. 25 რამეთუ] არა თუ MQT, არა m. 25 ბათოს MQTm. 26 უდიდეს Mm. 26 ყანთა MQT. 27 ყოველისა] ვამისა და Mm, ყრისა QT. 28 თრდი და MQTm, თრდი R, ყაუხნ.



- გამგონე, და განმზრახი რჩეული. ესე წარავლინა ველსა საბრძანებელსა მას მისსა რუსეთს, ხაზარეთს, ოვსეთს, ყივჩაყეთს, ვიდრე ბნელეთამდე, და აღმოსავლით ვიდრე ჩინეთამდე და ხატაეთამდე, რათა აღ|თუა-  
**M 819** ლოს და განაჩინოს მკედარი და მეომარი | ლაშქრად 5  
**m 580** განმავალი ნოინთა თანა, დიდთა და მცირეთა, ღირსე-  
 ბისაებრ მათისა ულუფა, რომელ არს ძღუენი მიმავალ-  
 თა გზად, ქირა ცხენისა და საპალნისა.
- R 407b** ვითარ განაჩინა | საბრძანებელსა ბათოსსა, მიერ  
 წარავლინა ყარაყურუმს ყუბილ ყაენს წინაშე, რათა 10  
 მანცა ესრეთ განაჩინოს კელსა ქუეშე არღუნისასა. და  
 მი-რა-იწია ყუბილ ყაენს წინაშე, ინება მანცა ესრეთ  
 ქმნად და წარავლინა იგივე არღუნ განგებად საბრძანე-  
 ბელისა მათისა. და განუწესა იგივე წესი და მივიდა 15  
 ტახტსა ჩალატა ყაენისასა და ურყანს წინაშე. ინება მან-  
 ცა და განაწესეს თურანს, და განაგო მანდაური ყოვე-  
 ლი. და გამოვლო ჯეონი და მოვიდა ხუარასანს, ერაცს  
 და ყოველსა | რომგურსა, და განაგო ესრეთვე.
- Q 186b** და მოიწია ყაენს ულოს წინაშე, და მან პატივითა  
 შეიწყნარა და წარმოავლინა საქართველოს, მეფეს და- 20  
 ვითს | წინაშე, და საბერძნეთად, და ყოველსა საბრძა-  
 ნებელსა მათსა ზედა, განაჩინა აღწერად და განგებად.  
 და ვითარცა მოიწია საქართველოსა, დიდსა ქირსა მი-  
 ეცნეს ყოველნი მკვდრნი სამეფოსა დავეთისნი. და 25  
 იწყეს აღწერად კაცითგან და პირუტყუთამდე, ყანით  
 ვენაჯამდე, წალკოტით ბოსტნამდე. და ცხრასა გლეხსა,  
 სრულისა მიწისა მქონებელსა, ერთი ლაშქარს წარმავა-  
 ლი კაცი შეაგდიან. და გამოვდა სამეფოსაგან დავეთისა  
 ცხრა ღუმანი მკედარი თათართა თანა წარმავალი, რო-

1 განმზრახვი T. 3 და]—MQTm. 4 ჩინეთამდე ჩვ. კონიექტ., ჩრდილოეთამდე MQTm. 6 თანა]—MQTm. 6—7 ღირსებისაებრ] ჰრსებისაებრ T, ჰრსბისა ებრ MQm. 9 ვითარცა]—T. 10 ყარყუმს MQT, ყარაყუმს m. 10 ყუბლიყანს MQm, ყბლაყანს T. 10—12 რათა მანცა... წინაშე]—Mm. 11 ქუეშე]—QT. 11 არღუნისთა QT. 12 ყუბილ ყაენს Q, ყბლაყანს T. 14 და (განუწესა)]—T. 15 ჩალატანისსა MQT, ჩალატანის ტახტსა m. 15 უყანს M, უყანს QTm. 16 და (განაწესეს)]—MQTm. 16 განაწესეს თურანს]~თურანს და განაწესეს MQTm. 16 და (განაგო)]—MQTm. 16—17 განაგო მანდაური] განგომანდური MQm, გნაგო მანდაური T. 17 ჯეონი MQTm. 19 ყანს MQT. 21 საბერძნეთსა MQTm. 22 განჩენად MQT, განაჩენდა m. 23 და ვითარცა] რომელი MQTm. 25 კაცითგან R, კაცთამდე MQT, კაცთამდე m. 26 ცხრა MQm, ცხრას T. 26 გლეხსა] გლახაკსა T. 27 სრულს MQTm. 29 ღუმანი]~კაცი Mm. 29 მკედართა Mm.

- M 820  
R 408a მელ არს || ცხრა ბევრი. და განაწესეს ძღუენი სოფლი-  
საგან ათასისა მკედრისა მთავარსა კრავი ერთი და დრაპ-  
კანი ერთი, ხოლო ბევრისა მთავარსა ცხოვარი ერთი და  
დრაპკანი ორი, და მიზდი ცხენისა თეთრი სამი, — დლი-  
სა ერთისა. და ესრეთ განუწესა და წარვიდა საბერძნეთს 5
- m 581 ამან არლუნ განაწესა, რა-იგი ჯერ-იყო, ოთხსავე  
საყაენოსა შინა, რამეთუ იყო კაცი ესე სამართლის|მოქ-  
მედი. ხოლო ხუცესთა და მონაზონთა და საეკლესიოთა  
განწესებათა არა შეაგდო საზღავი, არცა ყალანი, ეგ- 10  
რეთვე შეიხთა და დავრიშთა, და ყოვლისა სჯულისა  
კაცნი, საღმრთოდ განჩენილნი, განათავისუფლნა.
- T 290b და მას ჟამსა ინება ყაენმან ულო აღმკედრება ეგვპ-  
ტეს ზედა, და მოუწოდა მეფესა ყოვლითა სპითა მისი-  
თა, და წარვიდა ბრძოლად სულტნისა. და მიიწია შუა- 15  
მდინარედ, და იწყო ოკრებად ყოველსა შუამდინარესა  
და შამსა. და ვითარ ესმა სულტანსა ეგვპტისასა, აღ-  
მკედრდა წინა|განწყობად თათართა და მოიწია მდინა-  
რესა ზედა ეფფრატსა ყოვლით მკედრებით მისით. და  
R 408b მივიდეს თათარნი და განვლეს მდინ|არე, რამეთუ არა 20  
მოახლებულ იყო სულტანი პირსა მდინარისასა. და წინა-  
მიეგებნეს, სულტანი წინა განეწყო და იქმნა ომი ძლიე-  
რი, სადა-იგი დავით მე|ფე და სპანი მისნი წინამბრძო-  
ლობდეს ძლიერად. და მოსწყდეს ორგნითვე, და ივლტო-  
დეს მეგვპტელნი, ხოლო ერი მრავალი მოსწყდა სულ- 25  
ტნისა. და ესრეთ ყაენმან დაიბანაკა მრავალ დღე პირსა  
ეფფრატისასა, სადა-იგი იხილა ქალაქი მცირე მდინარე-  
სა ზედა ეფფრატისასა, ძლიერად | განმაგრებული, რო-  
მელ ერთკერძო კლდე იყო და ერთკერძო მდინარისა  
Q 187a ეფფრატისა მიერ შეცუული. და ვითარ იხილა ყაენმან 30  
სიმაგრე ქალაქისა, ულონო იქმნა ბრძოლად, გარნა მოი-

2 მთავარი MQTm. 2 კრავი M, კრავი QT 4 მზდი Mm. 8 სამართლის T.  
10 საზღავი QR, საზღავარი MTm. 11 შეხთა MQ, შეხთათ T, შეხთა m. 11 დავ-  
რეშთა და დარეშთა M, დავრეშთა QT, დავრიშთა m. 11 რჯულისა Mm. 12 განათა-  
ვისუფლა]—MQTm. 13 ულო]+განათავისუფლნა MQTm. 18—19 მდინარესა R, მინ-  
დორსა MQTm. 19 ეფფრატის MQm, ეფფრატესსა T. 21 წინა]—Mm. 24 და (მოსწყ-  
დეს)]—MQTm. 26 ყანმან MQT. 26 პირსა]+ეგვპტისასა და Mm. 27 ეფფრატისასა  
MQ, ეფფრატესსა m. 13 ერთკერძო|კრ კერძო M. 29 კრკერძო კლდე იყო]—m.  
29 მდინარესა ჩე. კონიექტ., მინდორსა MQTm, მინდორსა R. 30 შეცუული]—  
MQTm. 30 ყანმან MQ, ყანმან T, ყანმან m.



გონა საქმე საკვრველი, რამეთუ ეტყოდა მის დაწესებულთა: „არა არს ღონისძიება ბრძოლისა ყოფად ქალაქისა. მნებაეს, რათა აღმგვედრდეთ და გარემოვიცვათ ქალაქი და, ვითარ ძაღლთა, ვიწყოთ ყუილი და ყვირილი“. და ვითარცა ესმა ესე, განკვრდეს, და აღმგვედრდეს და, ვითარცა ძაღლთა, იყუველეს<sup>11</sup>. და რა მიიწია კმა ესე ქალაქად, იქმნა საქმე საკვრველი, რამეთუ განსქდა ქალაქი ორად, ნახევარი წარიქცა კლდითურთ წყლისაქენ და მოისპო სული | ურიცხვ. ესრეთ კელო-იგდო და წარვიდა შამად და შუამდინარედ. და მოეგებნეს ყოველნი მკვდრნი შუამდინარისანი და შამისანი, სავსენი ურიცხვთა ძღუნითა.

R 409a  
m 582

ხოლო მეფე დავით და ქართველნი იაჯნეს ყაენისაგან წარმოსლვასა, რამეთუ მრავლით ეამითგან იყვნეს ლაშქრობათა შინა. მაშინ ყაენმან ულო მისცა თავისუფლება და წარმოემართნეს, და ესრეთ სავსენი ურიცხვთა ნიჭითა და ალაფითა გამდიდრებულნი მეფე დავით და ქართველნი | მოიწივნეს ადარბადაგანს და მუნით მოვიდეს ტფილისს, სავსენი სიხარულითა.

T 291a

ამათ ეამთა შინა მწუხარე იყვნეს წარჩინებულნი მეფისანი, რამეთუ ჯიგდამან არა შვა შვილი. ამისთვის ინება მეფემან მოყვანება შვილიერების ძლით ალთუნ, ნათესავით ოვსი, მეუღლედ, აღმოქმელმან, უკეთუ მიეცეს ყრმა წული, არღარა შეიწყნაროს, არამედ განუტეოს. და ვითარ გამოკდა მცირე ეამი, მუცლად-ილო ალთუნ ძე და შვა, და უწოდეს სახელი გიორგი, რომელი აღიქვა და შეიყვანა შვილად დედოფალმან ჯიგდახათუნ. და შემდგომად მცირედისა მიუდგა და შვა | ასული, და უწოდა სახელი თამარ. და აქა შინა განიშორა საყუარელი თვისი ალთუნ, ნათესავით ოვსი, რომელი ფრიად ქმნულკეთილი იყო. და შემდგომად მცირედისა

M 822

R 409b

3 მნებაეს (მანგავს Mm. 3 რათა|—MQTm. 4 ყუილი გორგ., ყვილი MQTm, ყვილი R. 6 იყუველეს Q, იყიველეს MTmR. 6 რა| არა Mm, რაჲ T. 8 ორად T, ორგან MQmR. 9 მოსპო MQm. 10 და (შუამდინარედ)|—T. 13—18 ხოლო მეფე... და ქართველნი|—MQTm. 18 მოიწია MQTm. 18 ადარბაგანს MQm, დარბავს T. 18 ადარბადაგანს|+მეფე დავით ფრიად პატივ ცემული MQTm. 18 და მუნით|—MQTm. 18—19 მოვიდეს| მიიწია MQTm. 19 სავსენი სიხარულითა|—MQTm. 22 მოყვანებაჲ Q, მოყვანა T,—Mm. 22 ძაღლთ Mm. 24 შეიწყნარნეს MQTm. 25 გამოკდა|—m. 25 ილო|—m. 27 აღიქვა MQTm. 27 შეიყვანა QT, შეიწყნარა Mm. 27 ჯივი MQTm. 29 სახელი|—Q. 31 ფრიად|—MQTm.

გარდაიცვალა დედოფალი ჯიგდა-ხათუნ, და წარიყვანეს სამარხოსა დედოფალთასა მცხეთას, და დაკრძალეს.

მას ეამსა წარვიდა მეფე დავით ულო ყანს წინაშე მულანს, რამეთუ იგი აქუნდა სადგურად საზამთროდ, და მიერ წარმოჰყვა სადგურსა საზაფხულოსა, და მუნით წარმოავლინა მეფე ქართლად, რათა მზა იყოს ლაშქრად ეგვიპტესა, რომელ არს მისრეთი. და შემოიარა ქუეყანა ავაგ ათაბაგისა, ივანე ათაბაგის ძისა, რამეთუ მას ეამსა გარდაცვალებულ იყო ავაგ, და არა დაშთა ყრმა წული, არამედ ქალი ერთი, სახელით ხუაშაქ. და მივი-

Q 187b

T 291b  
M 823  
m 583

R 410a

და |მეფე ბიჯნისს ტირილად, და იხილა ცოლი ავაგისი, კახაბერის ძეთა, რაჭის ერისთავთა ასული, სახელით გუანცა, ქმნულკეთილი, ეტრფილა და შემდგომად მცირედისა მიიყვანა იგი || ცოლად და დედოფლად, წარმოიყვანა სამეფოდ. ხოლო ქალი იგი ავაგისი დაუტევა მამულსა თვისსა ზედა, და შევედრა მანკაბერდელსა სადუნსა, რომელი იყო კაცი ბრძენი და გონიერი, და კეთილისგანმზრახავი, და ჰაეროვანი, ძალითა ფრიად ძლიერი და მორკინალი რჩეული საჩინო და მოისარი კელოვანი, რომელი წარდგა წინაშე და თაყუანი-სცა ულოს და ჯელჰყრობილმან რქუა: „ვინათგან მოგცა თქუენ, ღმერთმან ძლევა ყოველთა მტერთა ზედა და ყოველთა კაცთა უმჯობესად გამოგაჩინა, და აწ აქა არს მკედარი ასი ათასი, ვინცა მერკინების, გინა მეღვინების, ანუ ისარსა განვასრევთ, მზა ვარ“. და არავინ იბოვა მსგავსი მორკინალი მისი, და ვინცა იბოვა, ყოველთა სძლო. ესე შეყუარებულ იქმნა ყან ულოსაგან, და იწყო განდიდებად. და გონიერებითა მისითა მეფემანცა დავით პატივ-სცა და შევედრა სახლი ავაგისი. ხოლო დედოფალი გუანცა მიუდგა და შვა ყრმა და უწოდა დიმიტრი. რომელი შემდგომად დავითისა მეფე იქმნა, რომელი ქუემორე სიტყუამან ცხად-ყოს.

1 ჯიგი MQTm. 2 და|—MQTm. 3 ყანს MQT. 4 მულანს MQTm. 5 მუნით|—MQTm. 6 იყოს|+მეფე MQTm. 7 შემოიარა R, შემარა M, შემრა m, შემორა T, შემიარა Q. 7—8 ქუეყანა| ყანა MQTm. 8 ავაგა T. 11 მეფე|—Mm. 14 და|—T. 18 აპეროვანი Mm. 19 ძლიერი და მორკინალი| და მორკინალი ძლიერი (QT: ძლიერი) MQTm. 19 საჩინო| სათნო m. 22 ზედა გორგ.|—MQTmR. 23 ყოველთა|—MQTR. 27 შეყუარებულ Mm, შეყრობილ QT. 28 განდიდება MQTm. 29—30 ხოლო დედოფალი R| და რამეთუ MQTm. 30—31 დიმიტრი| დატრ M, დტრ Q, დრ"ი T.

- ამის გუანცას დედოფლობა შობედ-უჩნდა მესტურის  
რესა ჯიქურს, რამეთუ მტერ იყვნეს. ამისთვის განზრახ-  
ვითა სუმბატ ორბელისათა შესმენილ იქმნა, ვითარმედ:  
„ჯიქურ წარავლენს კაცთა არლუნს წინაშე, რათა  
აუწყოს ყაენს ულოს სიმდიდრე მეფისა, და ეგულებს  
M 824 განდგომა“. | ხოლო ვინათგან დავით მეფე უმანყო იყო,  
რომლისათვის უმანკოსა ყოველი რწამს, წარავლინა  
R 410b მსწრაფლ წინაშე|მდგომელნი და ბრძანა წინაშე მოყვა-  
ნება მისი, და სახლისა მისისა იავარ-ყოფად. და ვითარ  
T 292a აღასრულეს მსახურთა მეფისათა, | და წარადგინეს 10  
წინაშე მეფისა ჯიქური ღამით, რამეთუ მეფე ჯდა ისან-  
m 584 თა მხედველი | მტკუარისა, და არა სიტყუა-ყო მის თანა,  
არამედ განუკითხავად ბრძანა შთადგებად მტკუარსა.  
ხოლო ვითარ განთენდა, იხილეს ჯიქურ, რიყესა ზედა  
განგდებული წყლისაგან, და განკვრდეს ყოველნი მხილ- 15  
ველნი ანასდათისა სიკუდილისათვის, და არავინ იპოვა  
დამფლველი მისი, რამეთუ არა ესუა შვილი. და შეკ-  
რბეს ყოველნი გლახაკნი და ობოლ-ქურივნი და ევედრ-  
ნეს მეფესა, რათა მიანიჭოს გუამი ჯიქურისი აჟად, რო-  
მე მრავალი კეთილი ექმნა მათ ზედა. ისმინა დავით და 20  
მისცა გუამი მისი, და მრავლითა გოდებითა წარიღეს  
Q 188a ეკლესიასა წმიდისა ქალწულისა ქრისტინასსა, რომელი  
ხუარაზმელთაგან დარღუეული ახლად აღშენებულ იყო,  
და მუნ დაფლეს დიდითა პატივითა, რაცა ოდენ გლა-  
ხაკთა ძალ-ედგა. 25
- ხოლო შემდგომად ამისა ინება ყაენმან აღმკვდრება  
სულტანსა ზედა მისრგეთისასა, და შეკრიბნა ყოველნი  
მთავარნი და სპანი მისნი, და მოუწოდა მეფესა დავითს  
M 825 და ს|პასა მისსა ეგვბტედ. ხოლო შეიწრებულ იყო მეფე  
და საბრძანებელი მისი არლუნის აღთუალვისაგან, და 30  
R 411a რომელი-იგი განეწესა, რაცა განისყიდებოდეს ტფი-  
ლისს, ასსა თეთრსა ზედა სამი თეთრი საყაენოდ დაიდე-  
ბოდეს. ამას ზედა ხოჯა-აზიზ ვინმე, ნათესავით და  
სჯულითა სპარსი, განეჩინა და დაეტევა ტფილისს,

4—7 წარავლენს... რწამს|—Q. არლუნს MT. არლუნს| + სიმდიდრე T.  
5 სიმდიდრე|+მათი Mm. 7 ყოველნი Mm. 10 წარდგეს T.. 11—12 ესნთა MQTm.  
12 მტკუარსა|—MQTm. 13 განკითხვად MTm. განუკითხვად Q. 16 ანასდათისა MQT,  
ანაზდათისა m. 22 წმინდასა M, წმინდასა m, წმინდაა Q, წა T. 23 დარღუეული ახ-  
ლად|—MQTm. 31 რომელი-იგი რა იგი MQTm. 32 ასსა R| ანსსსა MQm, ანსსსა T.  
34 განეჩინა MQ, გნეჩინა T. 34 ტფილისს MQm, ტფილისს T.

რომელი ესოდენ უწესოდ მიიწია, თუ სამზარეულოსა  
 მეფისასა ცხოვარი, გინა კრავი ისყიდებოდის, მას ზე-  
 დანცა ხარაჯა წაუღიან, რომელსა-იგი ტამლად უწოდ-  
 დეს. ამის მიერ შეიწრებული მეფე იგონებდა, „უკეთუ  
 წარვიდე ეგვპტედ, ანუ თუ განუდგე ყაენსა“, და ვერას  
 დაამტკიცებდა. გარნა წარემართა ლაშქრად, და ვითარ  
 მოიწია ქუეყანად ჯავახეთისად, დაამტკიცა განდგომა,  
 და მოუწოდა | თანაგამზრახთა მისთა და რქუა: „უკეთუ  
 ვისმე ნებავენ, დაუტევენ მამული და წარმოვედინ ჩემ  
 თანა. უკეთუ არა ნებავენ, წარვედინ მსახურებად ყაენისა  
 მისრს, რათა დაიცვას ქუეყანა მისი, რამეთუ ნება კა-  
 ცად-კაცადსა ზედა იყავნ, და მე არლარა მნებავენ მონე-  
 ბა თათართა მძლავრებისათვს ხოჯა-აზიზისა, რომელი  
 დაადგინა ჩემ ზედა არლუნ, რამეთუ ვერ თავს-ვიდებ  
 ესოდენსა შეუტაცებდასა“. ხოლო წარჩინებულნი ამის  
 სამეფოსანი რომელნიმე დაუმტკიცებდეს, და რომელ-  
 ნიმე — არა, გარნა ეგრეთცა დაამტკიცა განდგომილება.  
 და უმრავლესნი წარვიდეს ყაენს წინაშე: შანშეს ძე  
 ივანე, და გრიგოლ სურამელი, | თორელი კახა, ერისთა-  
 ვი ახალქალაქისა, თავნი და პირნი ქუეყანისანი წარვი-  
 დეს ყაენს წინაშე, და უმრავლესნი ჰერ-კახნი.  
 ვითარ' ცნა მეფემან წარსლვა დიდებულთა, მანცა  
 ნება-სცა, და წარვიდა განდგომად და მოუწოდა სარგის  
 ჯაყელს ციხისჯუარელსა<sup>1</sup>, რომელსა აქუნდა პატივი  
 სამცხის სპასალარობისა, და ეზრახა, რათა განუდგენ  
 ყაენს. ერჩიდა სარგის და წარმოიყვანა სამცხეს, სახლსა  
 მისსა, და ფრიადითა პატივითა განქუსუნენა უმეტეს  
 წესისა მეფეთასა, და აძლევდა ყოველთა ციხე-ქალაქთა  
 და ქუეყანათა მისთა გამოსაზრდელად მეფისა და ლაშ-  
 ქრისა მისისათვს, ხოლო მეფემან არა ინება. და დაყო  
 ზაფხული იგი მცირე ერთგულითა, რომელნი დადგეს

T 292b  
 m 585

M 826  
 R 411b

Q 188b

1 უწესოდ MQTmR. უწესობად ჯავახ., ყაუხჩ. 1 მიიწია] მიწა Mm, მიწია T. 3 ტამლად MQTmR, ტამლად ჯავახ., დამლათ გორგ. 3—4 უწოდეს MQTm. 9 დაუტევენ R, დაუტევეს MQTm. 9 მამულსა MQTm. 9 წარმოვედინ R, წარმოვიდენ MQTm. 10 წარვედინ TR, წარვიდენ MQm. 11 მისრს MQTm. 11 დაიცვას R] დასწვას MQTm. 12 და|—MQTm. 14 ჩემზედან Mm. 15 ესოდენსა Mm. 18 შანშას MQTm. 19 სურამელი]+ორბელი და თორელი R, გორგ. 21 ერ კახნი MQT, ერა კახნი m, ორ კახნი R. 22—23 დიდებულთა... და წარვიდა|—T. 23 წარვიდა R, წარვიდეს MQm. 24 რომელ MQTm. 28 ციხე ქალაქთა QTR, ქალაქთა Mm, 24 მეფისა M.

- ერთგულებასა მისსა ზედა, და ესრეთ იყოფოდეს  
**T 293a** ცხეს. | ხოლო დედოფალი გუანცა და ძე მცირე მისი,  
 დიმიტრი, დაუტევა სახლსა ავაგისსა ბიჯნისს.  
 ამას შინა მოვიდა ყაენი ულო განმარჯუებული ბრძო-  
 ლისაგან სულტნისა მეგვპტელისა, რამეთუ სძლო მათ  
**m 586** და აოტნა, სადა-იგი მუნ დამხუდართა | ქართველთა  
 ძლიერი ბრძოლა-ყვეს. ხოლო ვითარ მოიწია საზაფხუ-  
 ლოსა სადგურსა თვსსა, ალატალს, და მიერ სიაქუსა<sup>13</sup>,  
 და მერმე წარვიდა საზამთროსა ადგილსა, რომელსა აწ  
 ყარაბალობით და მულანობით უკმობენ, იკითხა საქმე  
**R 412a** დავითისი, და ცნა განდგომილება მისი. მოუწოდა არ-  
 ლუნს და ორასთა მთავართა, და აჩინა | მკედართმთავ-  
 რად და მისცა მკედარი ოცი ათასი, და უბრძანა ქარ-  
**M 827** თველთა, რომელნი ერჩდ|ეს მას, რათა წარჰყვენ არლუნ  
 თირადსა, და მივიდენ მეფესა ზედა სამცხეს და ბრძო-  
 ლა-უყონ. წარმოვიდა არლუნ მკედრითა ოცი ათასითა,  
 და შემოვლო განძა და სომხითი, და მოიწია ტფილისს.  
 და მუნ მოერთნეს ყოველნი ესე ზემოკსენებულნი მთა-  
 ვარნი საქართველოსანი და წარმოემართნეს სამცხეს  
 ბრძოლა-ყოფად მეფისა. და ვითარცა ესმა მეფესა და-  
 ვითსა მოსლვა არლუნისი და ყოველთა მთავართა ქარ-  
 თლისათა, მოუწოდა მესხთა, შავშ-კლარჯთა და ვინცა  
 დადგრომილ იყო ერთგულებასა ზედა მისსა, შეკრიბნა  
 მცირედნი კაცნი, მკედარი რვა ათასი, და აჩინა მკე-  
 დართმთავრად სარგის ჯაყელი, კაცი მკნე და შემმართე-  
 ბელი, და მრავალჯერ გამოცდილი და სახელოვანქმნი-  
 ლი წყობათა შინა, ტანითა ახოვანი, კელოვნად მბრძო-  
 ლი ცხენსა ზედა, მკნე მოისარი, საჩინოდ ნადირთა  
**T 293b** უტოომლად | მომსრველი, და მისდა მინდობილ იყო  
 მეფე, ერთგულებაცა დიდი აქუნდა მეფისა. და წარაე- 30

1 იყოფოდეს R| იპყრობდეს MQT, იპყრობდენ m. 2—3 მისი დიმიტრი—MQTm. 3 ბიჯნისს| ბიჯნისა MQm, ბიჯნისა T, ბიჯნის R. 4 ყაენი| ყაენ MQm, ყანა T. 8 სადგურსა QT, სადგომსა Mm. 8 მიერ| მის T. 8 სიაქუსა გ ო რ გ., საქოსა MQm, საქაოსა T. 9 მერმე|+და მერმე m. 10 და|—T. 10 მულანობით MQTm. 13 ოცი ათასი—MQTm. 15 თირადსა| თირდსა MQ, თირდსა Tm, თირდსა R. 15 მივიდა T. 17 შემოვლო Mm. 17 სომხითი M. 17 ტულიასს| ტფილისს MQm. 20 მეფისა M. 20—21 მეფესა დავითს|—MQTm. 22 მესხთა|—T. 22 შავშ-კლარჯთა| ბაგიშ კლარჯთა M, შავშ კლარჯლთა Q, ბაგიშ კლარჯთა m. 22 ვინცა| ვინცა T. 24 აჩინა M. 28 მო-სარ Mm. 29 მომსრველ MQm, მმუსრველი T, ყ ა უ ხ ჩ., მსროლელი R. 30 მი-ფილისა M.



- ლინა წინამიგებებად და წყობად არღუნისა, და წარე-  
მართნეს და დადგეს კევთა. ხოლო არღუნ შემოვლო  
ქართლი და დადგა სურამს, და წარმოავლინნა წინა-  
მბრძოლნი მკედარნი ექუსი ათასი. და არღუნ დადგა  
შინდარას და წინამბრძოლნი შივიდეს ტასისკარს და  
დადგეს სამდინაროსა | მას ზედა, რომელ არს შოლა.  
ხოლო აღიყარა სარგის კევთათ და წარავლინნა წინა-  
მბრძოლნი, კაცი რჩეული და გამოცდილი წყობათა  
შინა ათას ხუთასი მკედარი, არა უწყოდეს მოახლება  
არღუნისი. და წარემართნეს და განვლეს კიდი ახალდა-  
ბისა. იყო ყინელი და ზამთარი, ვითარ წესი არს თუესა  
დეკემბრისასა. და განვიდეს სივიწროისაგან წინა მავალ-  
ნი, იხილნეს რაზმი თათართა, და წინაგანწყუნეს ქარ-  
თველნიცა. და მყის ზედამიეტევნეს მესხნი, და პირ-  
ველსა შეკრებასა აოტნეს თათარნი და მოსწყვდნეს მრავალნი  
სახელოვანნი, და ესრეთ ძლიერად ბრძოდეს მესხნი,  
რომელ მცირედნიღა განერნეს და შეიხუეწნეს რაზმისა  
შინა არღუნისსა შინდარას გორისასა, და სდევნეს და  
მოსწყვდნეს პირითა მახლისათა, რამეთუ მკედართმთავარი  
სარგის და სპა მეფისა ვერღარა მოილოდინეს ამისთვის,  
რომელ თათართა რაზმი მახლობელად მდგომარე იყო.  
და ესრეთ ძლევიტა საჩინოთა შემოქცეულნი, მრავალთა  
სახელოვანთა თათართა თავისა მქონებელნი მოეგებნეს  
სარგისს და ლაშქართა. ვითარ იხილა სარგის განმხიარულება  
და უვნებელად დაცვა, განიხარა, გარნა მძიმედ აღუჩნდა,  
რამეთუ ვერ მიესწრა ომსა, რამეთუ იყო კაცი მძლე და  
შემმართებელი. კუალად სურვიელ იყო განწყობისა  
მესხთა, წარემართა არღუნს ზედა გულითა ქველითა.  
ხოლო არღუნ სპათა მისთა მოუწოდა და კუალად  
ქართველსა სპასა ზედა მისლვასა მხილველი იელტოდა,  
გარნა აყენებდეს ქართველნი წარჩინებულნი და არა  
უტევეს სიელტოლად, რომელთა უპირობდა თორელი  
კახა და ეტყოდა, ვი-

11 და|—MQm. 2 შამოვლო Mm. 4—5 მკედარნი ექუსი... წინამბრძოლნი] — T. 6 დადგა MQTm. 6 ბოლა T. 8—9 წყობათა შინა]—Mm. 11 ყინული m. 11 წეს Q. 15 მოსწყვდეს Mm. 16 სახელოვანი|+კაცი m. 17 განერნეს MQm, განერეს T. 19 მოსწყვდნეს| მოსწყვტნეს M, მოსწყვდეს Q, მოსწყდეს T. 20 მეფისა M. 21 რომე Mm. 23 თავისა M. 23—24 მქონებელი T. 25 სარგის MQm. 25 იხილეს MQTm. 25 განმხიარუებლ T. 28 სურვიელ იყო]—MQTm. 32 უტევეს MQTm, უტევებდეს R, უწვევდეს ყ ა უ ხ ჩ.



m 588 თარმედ: „ქართველნი | მეცნიერნი ვართ ომისა მსოფლიო  
სანი, ჩუენ ვებრძოდით თქუენ წილ“. და ესრეთ მლით  
არწმუნეს, და დადგა ადგილსა ზედა და განაწყო მკე-  
დარნი. ვითარ დაეახლნეს ურთიერთას, ზედამიეტევენეს  
მესხნი განლაღებულნი. ხოლო სარგის ჯაყელი უპირვე- 5  
ლეს ყოველთასა მიუჯდა რაზმსა და უმკნესი მათი, ჩინ-  
ბაადური, ჰოროლითა ცხენისაგან ქუეყანად დასცა. და  
Q 189b იქმნა | ძლიერი ომი, და მრავალნი მოისრვოდეს არღუ-  
R 413b ნის სპისაგან და სივლტოლად მიდრკეს. პირველსავე  
მიჯრასა სძლევდეს სპანი მეფისანი, და ვითარ არს ჩუე- 10  
ულეზა თათართა ლტოლვა და ვარე უკუნქევეა, ანაზ-  
დად გარეუკუნქეცეს. მაშინ სულმოკლექმნულნი სპანი  
მეფისანი ივლტოდეს მსწრაფლ. ესრეთ განწირულნი  
და მიმოდებნულნი თათართა მიერ მოისრვოდეს. ცოდ-  
ვათა ჩუენთა სიმრავლითა განწირნა ღმერთმან და მისცნა 15  
კელთა წარმართთასა. ხოლო უწყალოდ ჰკოცდეს, და  
მრავალნი სახელოვანნი მოსრნეს თათართა, რომელ  
მცირედნიღა ძლით განერნეს. და სდევნეს ახალდაბის  
კიდამდე, გინა უმეტესცა. ხოლო ზოგნი ტყუედ წარ-  
ყვანებულ იქმნეს, გურკლელი მურვან და სხუანი მრავ- 20  
ალნი.

და ესრეთ შეიქცა არღუნ ყაენს ულოს წინაშე გან-  
მარჯუებული, ხოლო სარგის და მესხნი მივიდეს მეფეს  
წინაშე აწყურეს, მეყვსთათვს მტირალნი, რამეთუ უმ-  
რავლესნი მოესრნეს, დაშთომილ იყვნეს მცირედნი. 25

| და დაყო მეფემან ზამთარი ნახევარი სამცხეს, და გარ-  
ღვიდა შავშეთს და კლარჯეთს, და წარვიდა ნიგალის-  
კევს. და ვითარ მოიწია თუე მაისი და აღმოსცენდა მდე-  
R 414a ლო, ყაენმან | იგივე არღუნ დევნად და ძებნად წარმო-  
ავლინა, რომელთა თანა იყვნეს ქართველნიცა, მიმდგომ- 30  
ნი ყაენისანი, და თუესა იენისსა მოვიდა სამცხეს. ხო-

1 მეცნიერნი R, მცირედნი MQTm. 2 ძალითა Mm, ძლითა QT. 3 დადგეს T. 6 უმკნეს MQTm. 6-7 ჩინ-ბაადური ჩუენდა ბაადური (ბაადური M) MQmR, ჩნდა ბაადური T, ჩინ ბაადურ გორგ. 8 მოისეროდეს Mm, მოსტოდეს T. 9 მიდრკეს QT, მიდგეს Mm. 10 მეფისანი M. 11 გარე უკუნქევეა MQm. გარე უკუნქევენა R. 11-12 ანასდა MQT, ანაზდა m. 12 სულმოკლე ქმნილნი Q. 13 მეფისანი M. 13 განწირული MQTm. 14 და მიმოდებნული MQm.-T. 14 მიერ]-T. 14 მოისეროდეს Mm, მოსტოდეს T. 18 ძლით QT, ძალით Mm. 20 გურკლელი გურკლელი MQTR, გურკლელი m. 23 სარგის]+ხოლო სარგის Q. 24 წინაშე]+გამარჯუებული ხოლო წინაშე T. 26-27 გარდავიდა m, გარდავიდეს T. 29-31 და ძებნად... ყაენისანი]-T.

m 589

ლო მესხნი რომელნიმე მიეგებნეს ა|რლუნს და რომელ-  
ნიმე წარჰყვეს მეფესა. და ესრეთ იწყო ოჯრებად და  
ტყუენვად სამცხესა და მოადგა ციხისჯუარსა, და უწყო  
ბრძოლა ძლიერად, რამეთუ არა ზღუდითა მტკიცითა  
განსრულებულ იყო. ხოლო ციხეს მყოფნი ძლიერად  
ბრძოდეს და მრავალი კაცი მოკლეს, და დიდად ავნებ-  
დეს გარეთ მყოფთა. დღისით და ღამით განვიდიან და  
ადგილ-ადგილად მოსწყვიდიან. და ვითარ იხილა სიმ-  
ტკიცე ციხისჯუარისა, რომელ არს ჯუარის ციხე, აიყა-  
რა და წარვიდა. და წიგნიცა მოუვიდა ყაენისა, მსწრა-  
ფებელი წარსლვად, ვინათგან ყაენი თურანისა ქუეყა-  
ნასა მყოფი ბრძოლად მოსრულ არს ხუარასანს. და ესრეთ  
იკსნა ღმერთმან ჰირთა ამათგან ქუეყანა სამცხისა, რო-  
მელ ოც დღე ძლით იყო არლუნ სამცხეს.

Q 190a

R 414b

M 831

T 295a

ხოლო მეფე დავით კუალად მოვიდა შავშეთს და  
სამცხეს, და ვითარ იხილა სამცხე მოოჯრებულო, მოუ-  
წოდა თანამზრახვეთა მისთა და ჰკითხა, თუ რა ყონ,  
რამეთუ ომი თათართა აღარ ეგებოდა. | მაშინ სარგის  
ჯაყელ-ციხისჯუარელმან მოაჰსენა, ვითარმე: „სამცხე  
მცირე არს და არა კეთილი სადგომი მეფეთა. აწ განგა-  
ზრახებ, რათა წარხვიდე ღიხთ იმერიოს რუსუდანის  
ძისა დავითის თანა, რამეთუ სწორედ ორთავე | არს  
სამეფო, იგი და ესეცა. და მე დავსდებ თავსა ჩემსა და  
საქონელსა ყოველსა, და ლაშქარსა ჩემსა შენთვის, ვი-  
თარ გენებოს, იკმარე. და უკეთუ კეთილად გისტუმროს  
დავით, კეთილ, და უკეთუ არა, აჰა, სიმდიდრე ჩემი მზა  
არს თქუენთვის. ნურცა შენ სწყალობ საჭურჭლესა შენსა,  
და ვეზრახნეთ თავადთა იმერთა და განვსცეთ საჭურჭლე,  
და ჩუენ კერძო დავიყენოთ“.

m 590

R 415a

სინდა ყოველთა განზრახვა ესე და წარავლინეს მო-  
ციქული წინაშე | რუსუდანის ძისა, რათა შეიწყნაროს  
თათართაგან მირიდებულო, ხოლო მან აღუთქუა. და  
წარვიდეს და მივიდეს ქუთათისს. სადა-იგი წინა|მიე-

2 მეფეს MQ. 3 სამცხეს MQ. 3 დაუწყო MQm. 6—7 იენებდეს Mm. 8 მოს-  
წყეტან MQm. 10 და (წიგნიცა)—T. 14 ძალით Mm. 16 მოოხრებულნი m. 18 ეგე-  
ბოდეს T. 19 ციხის ჯერელმან M. 21 წარხვიდეთ M, წარვიდეთ m. 22 ორთავესი m.  
7 სმედო M. 23 და (საქონელსა)—T. 25 კეთილი m. 27 ნუცა T. 32 მირიდებულ  
Mm. 33 ქუთათისს| ქუთათის MQT, ქუთათისად m.

- გება რუსუდანის ძე და კეთილად ისტუმრა, და დაწვინა წელიწადი ერთი. გარნა კეთილად თუ ისტუმრებდა რუსუდანის ძე, ეგრეცა კეთილადვე მართებდა ლაშას ძესა, დავითს, არამედ ვითარცა უცხო ვიდოდა მათ თანა.
- მაშინ ეზრახნეს კახაბერის ძესა, რაჟის ერისთავს კახაბერსა, ქუაბულის ძეთა, ფარჯანიანსა სარგისს, რათა ლაშას ძე, დავით, ყონ მეფედ, რომელნი ერჩდესცა და იქმნა განდგომილება ლიხთ-იმერით. და რომელნიმე წარმოუდგეს ლაშას ძესა, და რომელნიმე რუსუდანის ძესა.
- M 832 ეგრეთვე დადიანი ბედიანი, ჭუანჭერის ძე, და დგა ერთგულებასა ზედა რუსუდანის ძისასა, რამეთუ იყო ესე ბედიანი კაცი წარმატებული ყოვლითა ზნითა, უხუ უმეტეს ყოველთა კაცთა, სრული გონიერებითა. ამან დააწყო ოდიში, რომელ მპარავი და ძვრისმოქმედი არა იპოვებოდა, და სუანნი განიყვეს ორად. გარნა არას
- R 415b აენებდეს ურთიერთას ორნივე, დავით და დავით, და-  
T 295b ლაცათუ | ლაშქართა არა ენება, ამისთვის რომელ არა გასცემდეს ორნივე მეფენი საქუთრქლესა ლაშქართა ზედა. ესრეთ იყო ამლილობა და შფოთი მრავალი იმე-  
რიტ.
- მაშინ არღარა იყო ღონე, დაამტკიცეს, რათა განყონ სამეფო და საქუთრქლე ორად, და აჩინნეს თავადნი სამეფოსანი და განყვეს ორად, ტფილისი — ორად, ქუთაისი — ორად, და თავადები და ერისთავნი ურთიერთს შეასწორეს ნიკოფსით დარუბანდამდე. და განყვეს სამეფო საქუთრქლენი, გარნა ხუამლის ქუაბსა, რომელი იღვა, მცირე გამოიღეს და გაიყვეს, და უფროსი ქუაბსავე დაუტევეს. ხოლო ჯაჭვ იგი, სახელდებული სალმასური, და თუალი იგი პატრიცემული, გურდემლი, და მარგალიტი იგი დიდი, რომლისა სწორი არავის სადა უნახავს, ესე სამივე რუსუდანის ძეს, დავითს, მიხუდა.
- Q 190b
- m 591

1—3 და კეთილად... რუსუდანის ძე]—Q. 3 ეგრეთვე m. 3 კეთილადვე R, კ'დვე T, კვალადვე MQm. 3 მართებდა ჩე. კონიექტ.—MQTmR. 4 ძემან დავით Mm. 6 ფარჯანიანსა] ფარჯანიანთა MQTm. 9 რომელნიმე რუსუდანის ძესა]—T. 10 ბედიანი T. 10 ჭონჭერის MQTm. 10 დაღვა]+და T. 12 ბედნი T. 14 დაუწყო MQTm. 15 სუანნი] სხვანნი m. 15 განიყვეანეს T. 17—18 არა ენება... ლაშქართა]—T. 18 გასცემდა Mm. 18 მეფენი]—Q. 19 მრავალნი MQTm. 22 და საქუთრქლე ორად] ორად და საქუთრქლე m. 23 ორად (ტფილისი)]—m. 25 ნიკოფსით MQTm. 29 გურდემლი] გურდემლა გორგ. 4 სადა]—Q. 31 სამი T. 31 მიხუდა]—MQT, არჩა m, გორგ.

- R 416a | და აქა იქმნა განყოფა სამეფოსა, და მიერითგან შეიქმნა  
ორ სამეფოდ. მაშინ უმეფო იყო ამიერი საქართველო  
სამეფო, და დაიშალა ლაშქრობა და მსახურება თათარ-  
თა.
- M 833 ინება კუალად ყაენმან ზავი მეფისა. მოუწოდა არ- 5  
ლუნს, | რათა წარავლინოს მოციქული მეფეს წინაშე  
ზავის-ყოფად, და ფიცთა დაუმტკიცებდა უენებლობისა-  
თა. რამეთუ დედოფალი გუანცა, ავაგის ცოლყოფილი,  
და ძე თვისი, ყრმა მცირე, დარჩეს ველთა ულოსთა, რო- 10  
მელნი ტყუედ წარისხნეს ურდოს. ვითარ ეგულეზობდა  
ბოროტის-ყოფა ყრმისა, ნონის ვისმე ცოლმან აღიყვა-  
ნა და შვილად მიიყვანა, რამეთუ იყო უშვილო. ხოლო  
თქმულ არს ესეცა, ვითარმედ: მიიქუა რა ყრმა დიმიტ-  
რი წიაღთა, მეყსეულად საშო განელო დედაკაცსა და  
T 296a მუცლად-ილო | და შუა ყრმა წული. და ამის ძალითა 15  
კეთილსა უყოფდა ნონის ცოლი გუანცას და ყრმასა.  
მას უბრძანა არლუნმან<sup>14</sup>, რათა მან წარავლინოს კაცი  
წინაშე მეფისა ზავისა ყოფად. და წარმოავლინეს მოცი-  
ქული ზავისათვს, რათა მისცეს სამეფო მისი ყოველი  
და კუალად-ეგოს პირველსავე პატივსა დედოფლობი- 20  
სასა. რა მოვიდეს მეფის წინაშე მოციქულნი ყაენისნი  
და აუწყეს, ესრეთ მიუმცნო, ვითარმედ: „ხოჯა-აზიზ  
იქმნა მიზეზი ჩემისა წარმოსლვისა და სამეფოსა დატე-  
ვებისა. უკეთუ ნებაეს ყაენს შეწყყარება ჩემი, პირ-  
მშოსა ძესა ჩემსა, გიორგის, წარმოვაგლენ წინაშე მათ- 25  
სა, და | უბოძოს სამეფო ჩემი. და დედოფალი გუანცა  
და ძე ჩემი, დიმიტრი, წარმოავლინოს ჩემდა, და ხოჯა-  
აზიზ მომცეს, რათა სიკუდილითა მისითა შური ვიგო  
R 416b ნაქმართა მისთა, რომელნი ყვნა | ჩემ ზედა“.
- m 592 ვითარ მიიწიენეს ყაენს წინაშე, სთნდა სიტყუა მე- 30  
ფისა, და ითხოვეს ძე მისი, გიორგი, და დაუმტკიცეს  
M 834 ფიცთა მიერ. შესუბითა ოქროსა საფიცრისათა, რათა

2 ორ] ორთ M, ორთა m. 2 ცო]—T. 3 და დაიშალა] და იშალა m. 5 მე-  
ფისა M. 9 ულოს MQTm. 11 ვისმე m. 13 თქმულა M. 13 რა] რომელ Mm,  
რა Q. 13—14 დატრი MQM, დტრი T. 17 მას უბრძანა არლუნმან (ყაენმა b) გორ გ.,  
b]—MQTmR. 18 მეფისა ზავისა M. 19 ზავისა თვის M. 1 რათა] და არა MQTm,  
19 მისცა T. 21 მივიდეს MQTm. 21 მოციქული MQTm. 21 ყანისანი M. 22 და  
დაუწყეს M. 22 მიუმცნა m. 23 ჩემსა QTR, ჩემმერ M, ჩემერ m. 25—26 მათისა T.  
27 დატრე Mm, დტრე Q, დემეტრე T. 30 მიიწიენეს MQ. 30 ყანს T. 31—32 მეფისა  
M. 32 მიერო m.



მედ: „მეფე არღა მოვალს მსახურებად შენდა, არამედ კუალად ტყუილით გამშუდებს. აწ ამას განგზარახებ, წარსწყმიდე ძე მეფისა, და წარმგზავნე მე ლაშქრად მეფეს ზედა. შეკრულსა მოვიყვან წინაშე თქუენსა“.

ყაენმან დაიგერა და განაჩინნა კაცნი, რათა წარწყმიდონ ძე მეფისა და ყოველნი, რომელნი წარმოველინეს მეფესა ძისა მისისა თანა. ცნა ესე ენუქ არქუან, ადგა და მსწრაფლ | მივიდა ტონლუზ-ხათუნს წინაშე, და აუწყა სიტყუა ესე. ხოლო იგი მსწრაფლ მივიდა ყაენს წინაშე, და ენუქ არქუან იახლა და მოაკსენა: „დიდო, მალალო კელმწიფეო ყაენო, რასა უსამართლობისა იგი | ბრძანება განგიჩენია, სიკუდილი მეფის ძისათვს და მსახურთა მისთა? არა | უწყი შენ, რომელ წინასწარმეტყუელთა, რომელთა ეზრახებოდა ღმერთი, ბრწყინვალეთა და საჩინოთა გუართავან შთამომავალთა არს? და კუალად იხილე, რომელ ფიცით მოიყვანე იგი. და მე და ენუქ არქუან სიკუდილსა აღვირჩევთ, და აჰა, თავნი ჩუენნი იყვენ მეფის ძისათვს. და ესეცა უწყოდე, რომელ ძმა შენი, დიდისა ყაენისაგან ბათოს შვილი, მრავალსა მოციქულსა უგზავნის და დიდთა ნიჭთა | აღლევს, რათა მისცეს გზა დარიალანისა და დვალეთისა<sup>16</sup>, რამეთუ ორივე კელთა შინა მისთა არს. და ამასცა განგზარახებ. ერთისა ბერისა სპარსისა ვაჟრისათვს რად დიდსა კელმწიფესა გააძებ შენთა მტერთა ზედა, რამეთუ, უკეთუ ბათოს ულუსი და მეფე შეიერთნეს, დიდნი შფოთნი აღდგებიან“.

ვითარცა ესმა ულოს, განკვრდა და მსწრაფლ მოიყვანა გიორგი, | შეიყვანა და პატივი უყო და შემოსა შესამოსლითა ბრწყინვალითა. და მისცა ტონლუზ-ხათუნს

T 297a

R 417b

Q 191b

M 836

m 594

5

10

15

20

25

2 გამშუდებს] გამოუშვებს MQm, გამოშვებს T, გუაშორებს R, გუაშრომებს ყ ა უ ხ ჩ., გამშვიდებსო გ ო რ გ. 2 განგზარახებ Mm. 3 მეფისა M. 3 მე ლაშქრად] მელაშქრედ T. 5 ყაენმან MQ, ყაენნ T. 6 მეფისა M. 6—7 წარმოველინეს MQTm. 7 არქონ Mm, არქუნ QT. 8 ტუნლუზ ხათუნს QT, ტუნლუზ ხათუნს M, ტუნლუზ ხათუნს m. 10 ყანს MQT. 10 იახლა ჩე. კ ო ნ ი ქ ტ.]—MQTmR. 11 კელმწიფეო]—QTR. 11 ყანო MQ, ყანო T, ყენო m. 13 უწყი M. 15 ბრწყინვალთა MQm. 16 არს]—MQTm. 17 არქვან MQm, არქუნ T. 17 და]—Mm. 18 იყუნეს Mm. 18 მეფის M. 19 ყანისაგან MQ, ყანისაგან T. 21 რალამსა T, რალამსა Mm, რაჰიმისა Q, დარიალანისა R. 21 დვალეთისა გ ო რ გ., დასავლეთისა MQTmR. 22—23 განგზარახებთ Mm, განგზარახებ QT. 24 გააძებ] გარემ T. 25 უკეთუ]—MQTm. 25 ულუსი] ულოსი MQTmR. 25 შეიერთნეს T. 27 და]—T. 28 გიორგი] იგი MQTm. 29 მისცა] მოსცეს MQTm. 29 ტუნლუზ ხათუნს M, ტუნლუზ ხათუნს m, ტუნლუზ ხათუნს QT.





და ენუქ არქუანს და რქუა: „აჰა, ძე მეფისა ჩვენი მტკიცე ფიცითა. არას ვავენებ დავითს თვნიერ პატივისა. და შენ წარვედ, ენუქ, და ორნივე შვილნი და ძენი მეფისანი, გიორგი და დიმიტრი, და დედოფალი გუანცა, ვითარცა ტონლუზ-ხათუნს და შენ გნებაეს, ეგრეთ ყავთ, და მოიყვანეთ დავით“. ვითარცა ესმა, განიხარეს და თაყუანი-სცეს და მოაკსენეს: „თავნი ჩუენნი იყვენ ნაცვლად უკეთუ მოგუცე ხოჯა-აზიზ და | არ მოვიყვანოთ დავით. უკეთუ არ მოგუცემ ხოჯა-აზიზს, არ მოვა“. დაღათუ მძიმედ აღუჩნდა არლუნს, მისცა ხოჯა-აზიზ, და წარმოიყვანა ენუქ. და მოუწერა წიგნი ფიცისა ტონლუზ-ხათუნ მეფესა: „არა ევნოს ყაენისაგან. უკეთუ მოვიდეს ურდოსა, პატივითა დიდითა პატივ-სცეს და სამეფო დაუკლებლად მისცეს“.

T 297b  
R 418a

და წარმოვიდა ენუქ არქუან და მოვიდა ტფილისს, და მოასხნა ორნი ძენი მეფისანი. და წარმოუვლინა მოცოქული მეფესა და აუწყა ყოველი. და წარმოვიდა მეფე და მოვიდა, ქვიშხეთის ბოლოსა | და სურამს შუა დადგა, და მოუწოდა ენუქ არქუანს. და ძოვიდა და მოუსხნა შვილნი ორნივე და მოართვა წიგნი ფიცისა, და მოგუარა ხოჯა-აზიზ. ვითარცა იხილა მეფემან, ბრძანა თავისა მისისა მოკუეთა. და მოჰკუეთეს და წარგზავნეს თავი ტფილისს, და აღმართეს ძელი, და მოჰკიდეს თავი ხოჯა-აზიზისი.

M 837

და ესრეთ წარჰყვა მეფე | ურდოს ენუქს, და მოეგებნეს ყოველნი სამეფოსა მისისანი. და წარემართნეს ურდოს. ხოლო თანაწარჰყვა მეფესა სარგის ციხისჯუარელი ჯაყელი. დიდად ნამსახური, რომელმან ქმნა ესეცა სათნობა. რამეთუ ტფილისს ყოფასა მეფისასა მოვიდა ელჩი ყაენისა, ვითარმედ: | „მეფეს მოვინდობ, ხოლო პაპა სარგისს არა მივინდობ“. და არა სათნო-უჩნდა ბრძანება ესე სარგისს, და ეტყოდა მეფე გარე-უკუნ-

Q 192a

m 595

1 არქუნს MQTm. 1 მეფისა M. 2 დავითს]—Mm. 2 პატივისა M. 4 გიორგი და Dc, გორგ.]—MQTmR. 4 დარტრი M. 5 ტუნლუზ Q, ტუნლუზ m, ტუნლუ T. 6 მოიყვანა T. 10 მოსცეს MQTm. 12 ყანისგან MOT. 15 არქონ] Mm. 16 მოასხნა]—MQTmR, მოასხა გორგ. 16 მეფისანი M. 17 ყოველივე m. 17 და]—MQm. 18 ქუშუშხის T. 19 არქონს M, ერქონს m. 20 ორივე Mm. 20 წიგნი] + და m. 21 მეფემან]—m. 22 თავისა M. 23 ტფილისის T. 23 ძელ T. 23 და მოჰკიდეს MQm, დამოჰკიდეს TR. 25 ურდოსა T. 27—28 ციხის ჯვრელი M. 29 მეფისასა M. 30 ყანისა MQ, ყანისი T. 31 არა სათნო]—MQTm.

T 298a  
R 418b

ქცევად, ხოლო იგი არა ერხდა და ეტყოდა: „ნუ იყო-  
ფინ ქმნად ეგე ჩემ მიერ, რათა შევიქცე შინა. უკეთუ  
კოდვათა ჩემთაგან გვენოს | რაჲე თათართაგან, | ყო-  
ველნი კაცნი იტყვან, განზრახვითა სარგისისითა განუდ-  
გა მეფე თათართა, აწ იგი წარვიდა შინა და მეფე წარ-  
ვლინა მოკლვად ყაენს წინაშე. ნუ ყოს ესე ღმერთმან,  
რამეთუ ამით წარვდების გუარი ჩემი, არამედ მო-თუ-  
მკლან, ნაცვლად თქუენდა ვიყო, და თუ დავრჩე, თქუენ  
თანა დავრჩე“. დაიმადლა ესე მეფემან ეზომ, რომელ  
ქუაბულიანი თემი ერთი სამცხეს და საყდარი ტბეთისა  
შავშემოს სიგლითა სამამულოდ მიუბოძა.

M 838

და წარემართნეს ურდოსა და მივიდეს ყაენს ულოს  
წინაშე ბარდავს, რამეთუ იგი იყო საზამთრო სადგუ-  
რი, და არა უწყოდეს, რა ეგულების ყოფად მათთვის.  
და მცირედთა დღეთა მოუწოდა ყაენმან ხილვად მეფისა  
და მთავართა, და იკითხვიდა, რომლისა მიზეზისათვის  
განდგა მეფე. და ყოველნი ჰგონებდეს მეფისა და წარ-  
ჩინებულთა მისთა სიკუდილსა, და ევედრებოდეს ღმერ-  
თსა და ყოვლად წმიდასა მეტეხთასა და ვედრებისა  
ღმრთისმშობელს, რომლისა მინდობილ იყვნეს. და შევი-  
დეს ყაენს წინაშე, ხოლო მან მოსცა თვისთა კელითა  
ღვწო, რამეთუ ესე იყო წესი ყაენთა, თასითა დიდითა  
ოქროსათა. და ვითარ ჯდა მეფე მუტლმოყრილი და მის  
თანა ყოველნი მთავარნი, ჰკითხა ყაენმან, ვითარმედ:

R 419a

„რად ჰქმენ განდგომა ჩემი და ბრძანებასა ჩემსა რად  
ურჩ ქმენ, და არღუნს შემოები? არა დიდნი კეთილნი  
ექმენ შენ ზედა? დაკარგული და სიკუდილიად განწი-  
რული გუელთაგან აღმოგიყვანე ჭურღმულით და მეფედ  
დაგადგინე“. მაშინ ვითარ არღარა აქუნდა პასუხი მი-  
გებად მეფესა, მოიხედნა | უკანით კერძო სარგის ჯაყე-  
ლისა, ვითარმცა იგი ქმნულ იყო მიზეზი არღუნის შემო-  
ბმისა და თათართ მოსრვისა.

m 596

1 რათა]+მე QTR. 4 სარგისისთა MQm. 5 შინა]—m. 6 ყაენს MQ, ყაენს T. 9 რომელ]—MQTm. 10 ერთი] ერთა და Mm. 12 ყაენს MQ, ყაენს T. 12—14 ყაენს...  
ეგულების]—T. 14 მათ თვის M. 15 დღეთა]—Q. 15 ყაენმან T. 15 მეფისა M.  
16 მიზეზისათვის M. 17 ჰგონობდეს M. 17 მეფისა M. 19 და]—Q. 19 ევედრების m.  
21 ყაენს T. 22 ყანათა T. 24 ყანამან T. 25 რად (ურჩ)]—m. 26 ექმენ]+განდგომა  
ჩემი და ბრძანებასა T. 27 ექმენ] ექმნეს M, ექმნეს m, ექმენ T. 31 არღუნის Mm.



T 298b და იხილა | სარგის ბრდღვინვისა ლომისა მსგავსად  
 Q 192b მეფემან მას ზედა | მიუტევა საქმე იგი. არა არამედ უშიშად აღდგა და წარდგა ყაენს წინაშე გან-  
 არამედ უშიშად აღდგა და წარდგა ყაენს წინაშე გან-  
 მწირველი თავისა თვისისა მეფისათვის, რათა იგი მოიკლას  
 მეფისა წილ, და მუტლმოყრილი ეტყოდა: „მე ვარ, დი- 5  
 დო ყაენო, რომელი შემოვები არ|ღუნ-ალას“. ხოლო  
 M 839 მან ჰკითხა: „პაპა სარგის შენ ხარ?“, რამეთუ პაპა სარ-  
 გისს უწოდდეს თათარნი. და მან რქუა: „იგი ვარ“. 5  
 რქუა: „რასათვის განაყენე მეფე და არღუნს შემოვები?“  
 ხოლო სარგის არა მეცნიერ იყო ენასა მათსა, წარმოა- 10  
 ყენეს სადღუნი თარგმანად, რომელი ფრიად უყვარდა  
 ულოს, და დიდად პატივ-ეცა, რამეთუ იყო კაცი იგი  
 გონიერი და ენაკეთილი, სიტყვთა მარჯუე ყაენს წინაშე  
 მეტყუელებად. მაშინ სარგის მიუგო: „დიდო ყაენო, არა 15  
 იყო სხუა მიზეზი, რამეთუ მან მიიღო მეფობა დავითისი,  
 ქალაქი და სოფელი მან დაიჭირნა, ეკლესიანი და ციხე-  
 ნი ყოველნი დაარღვენა<sup>16</sup>. ბედნიერო ყაენო, არღარა-  
 ნა გაგაგონებდა უსამართლობასა ამას, შეკრა კარი  
 თქუენი ქრთამითა. ამის მიზეზისათვის მე წარვიყვანე  
 R 419b მეფე, რათა ბედნიერმან ყაენმან გაიგონოს და იკითხოს 20  
 საქმე ესე. ვითარცა აწ კითხვასა ღირს-მყო, ესეცა უწყო-  
 დი, ყაენო, რომელ სპარსნი ძუელითგან მტერნი არიან  
 ჩუენ ქართველთანი. ამისთვის არღუნს თანა ვყავ ბრძო-  
 ლა და ომი, რამეთუ საქმე და უსამართლობა მეფისა 25  
 მიმართ ხოჯა-აზიზისაგან ვერღარა დავთმეთ. აწ, ყაენო,  
 T 299a მეფე უბრალო არს, მე ვარ, რომელმან განვაყენე მეფე  
 m 597 კარისაგან თქუენისა“. და განმრავლდა სიტყუა | მათ  
 შორის და მრავალგუარად უბნობა, რომელთა არა | არს  
 ყამი თქუმად და წერად. და მეფეცა მრავალსა რასმე  
 იტყოდა, და ენუქ არქუან და დიდი იგი ნოინი სხდეს 30  
 შუა და სადღუნი კეთილად თარგმნიდა და კახმვიდა

1 სარგის]—T. 1 ბრდღვინვისა M, ბარდღოცნვისა T. 2 შეშინდა] + არა შეშინდა  
 T. 3 ყაენს T. 3—4 განმწირველნი M, განწირული m. 4 თავისა M. 4 მეფისა-  
 თვის M. 4 მოკლას T. 5 მეფისა M. 6 არღუნ-ალას] ღუნალას T. 7—8 სარგის  
 MQTm. 9 რასათვის M. 9 შემოვები M. 10 არა] არღარა Mm. 13 მარჯუე] + შინა  
 MQTm. 14 ყაენო T. 15 დავითის T. 16 დაიჭირა Mm. 17 ყაენო T. 18 გაგონებდა T.  
 20 ბედნიერმა Mm. 20 ყენმა m, ყაენმან T. 22 ყენო m, ყაენო T. 23 ქართველთა  
 MQm. 24 მეფის M, მეფისა T.—Q. 25 ვერღარა დავთმეთ]—MQTm. 25 ყაენო T.  
 28 რომელთა]—T. 29 და (მეფეცა)]—T. 30 არქონ Mm. 30 ნოინი Mm. 30 სხედ T.

- M 840 თქმულთა |მეფისათა, რამეთუ ძეფე ენამძიმე იყო მცი-  
რედ, მანკაბერდელი სადუნი კეთილმეტყუელებდა.  
და ყოველნი მოელოდეს ბოროტის-ყოფასა მეფისა-  
თვს და სიკუდილსა სარგისისსა. მაშინ მოუვლინა  
ლმერთმან წყალობა მოსავთა მისთა, და აწცა დაიცვა, 5  
ვითარცა მარადის ფარავს. და ვითარ სიტყუასა უგებდეს  
ყაენი და მეფე ურთიერთას, მოვიდა კაცი დარუბანდით  
გზისმცველთა ყაენისთა, რომელთა ყარაულობით<sup>17</sup>  
უწოდდეს, რამეთუ არღარა განსრულებულ იყო სიტყუა,  
Q 193a შევიდა ყაენის კაცი იგი ურდოსა ყაენს წინაშე და 10  
მოაგსენა: „არა არს ჟამი მეტყუელებად, რამეთუ შეიძ-  
რა ულუსი დიდი დიდისა ყაენის ბათოსი, და შვილი  
R 420a მისი, ყაენი დიდი ბერქაი მოვალს გზასა დარუბანდი-  
სასა უმრავლითა, დიდად დიდითა ლაშქრითა“.  
ესმა რა ყაენს, მსწრაფლ აწვია სპა თვისი, და მყის 15  
შემოკრბეს მის წინაშე. მას ჟამსა წარემართნეს წინა-  
განწყობად, და ვითარ დაეახლნეს ორნივე სპანი ურთი-  
ერთას, მაშინ ევედრა მეფე ყაენს, რათა წინამბრძოლად  
აჩინოს მეფე და სპა მისი, და წესადცა არს ქართველთა  
წინამბრძოლობა. ისმინა ულო და აჩინა წინამბრძოლად 20  
მეფე, მახლობელად მისსა დგომად. ხოლო სარგის ჯა-  
ყელი თვთ წინადაიყენა, და განაჩინა მარჯუენე და მარ-  
ცხენე. დამწყობელმან რაზმთამან მიჰმართეს.  
ხოლო იქმნა ესეცა, რომელ რაზმსა შინა გახლტა  
T 299b შუელი, სადა-იგი სარგის ჯაყელმან, აბჯარცმულმან, 25  
მოკლა. და მცირედ წარვლეს და მელი მოკლა, იგიცა  
სარგის, ისრითა. და წაიარეს და ყურდგელი მოკლა. და  
M 841 ამას სამსავე | ხედვიდა ულო ყაენი, და დიდად აქო  
m 598 სარგის, | და კეთილად უთქმიდა მრავალსა.

1 მეფისათა M. 2 კეთილმეტყუელებდა| კეთილად მეტყუელებდა (მეტყუელებდა T)  
mT. 3—4 მეფისათვის M. 5 დაიცვა|—T. 6 უგებს Q. 7 ყარხი T. 7 ურთიერთს T,  
ურთიერთსა m. 8 გზის მცველთა R, გზა მოციქულთა MQTm. 8 ყაენისთა|—Mm,  
ყაენისთა QT. 8 ყარაულობით ჩვ. კონიექტ., ყაქულობით MQm, ყა ქულობით  
T, ყაქულობით R. 10 ყაენს T. 10 ურდოსა|+ურდოსა m. 10 ყაენს T. 11 მეტყუე-  
ლებდა m. 12 დიდი R, დიდად MQm, დიდა T. 12 ყაენს MQ, ყაენს T, ყენს m.  
13 ყანი MQm, ყანი T. 13 ბექაი Mm. 13 და მოვალს MQTm. 15—17 ესმა რა...  
წინაგანწყობად|—MQTm. 15 რა R. 15 ყაენს R. 17—18 ურთიერთს Q T,—Mm.  
18 ყაენს T. 20 წინამბრძოლობა| მეწინაობდა m. 20 წინა ბრძოლა m. 22—23  
მარჯვენა და მარცხენა m. 24 რაზმსა T. 26 და მცირედ T, სადა იგი მცირედ M,  
და იგი მცირედ Q, მცირე რამე m. 27 კურდღელი m. 28 ყანი MQ, ყანი T. 29 უთ-  
ქმიდა|+უთქმიდა T.

მაშინ დაეახლნეს სპანი ორნივე ურთიერთას, რომელი  
 მოჩნდა კაცი ერთი სახელოვანი მათ შორის, რომელი  
 წარმოვევლინა დიდსა ყაენსა ბერქას, რამეთუ ყაენი არა  
 წარმოსრულ იყო. ესე მოეახლა მეფესა დავითს, რომ-  
 ლისათვის დიდად შეწუხნეს სპანი მეფისანი, რამეთუ 5  
 იყო კაცი ესე დიდი და მაგრიად და უცთომლად შიისა-  
 რი. ხოლო მეფემან აღმოიღო მშველდი ქარქაშით და  
 ჰკრა ცხენსა მისსა მკერდსა, და დაასო და გულსა გან-  
 ვლო. ხოლო ქართველთა განმხიარულებულთა აღი-  
 ზახნეს და მიეტევნეს. იქმნა ძლიერი და ფიცხელი ომი 10  
 ველსა ზედა შაბარნისასა. ძლიერად ბრძოდა მეფე და  
 სპანი მისნი, სადა-იგი სარგის ჯაყელმან სახელოვანი  
 ომი ყო წინაშე ულოსა, რომელ განკვრდა ყაენი. და  
 განგრძობდა ყოველგან ომი და მოსწყდა ორგნითვე 15  
 ურიცხვ. ივლტოდა სპა ბერქასი და დევნა-უყვეს ძლიე-  
 რად. ხოლო იქმნა ესეცა: დევნასა მას ლაშქართასა დაშ-  
 თა ყაენი ულო ოთხითა ოდენ კაცითა მცირესა რასმე  
 ბორცუსა ზედა. და ვითარ იხილეს ლტოლვილთა მათ,  
 შვდნი რჩეულნი კაცნი ზედამოეტევნეს ყაენსა. იხილა  
 ესე მიმავალმან სამითა კაცითა სარგის, შეუტია შვდთა 20  
 მათ კაცთა და სამითა კაცითა შეება, და ოთხნი ვიდრე-  
 მე დავოცეს სარგის და აზნაურთა მისთა და სამნი |  
 იგი ივლტოდეს. მაშინ იხილა თუალითა | მისითა სიმკნე  
 სარგისისი და ყმათა მისთა, განიხარა. და დევნა-უყვეს 25  
 კულადცა სპასა ბერქასსა დარუბანდის კარამდის, და  
 განვლეს დარუბანდიცა, და სამსა დღესა სხუასა დევნა-  
 უყვეს.

ესრეთ განმარჯუებულნი და სახელოვანნი მოვიდეს  
 სადგურსა მათსა ბარდავს. ხოლო მეფესა დავითს და  
 სპათა მისთა ფრიად პატივითა პატივ-სცა და მრავალი 30  
 ნიჭი მიანიჭა. ესეზომ, რომელ სარგის ჯაყელსა კარწუ-

R 420b

Q 193b  
T 300a  
M 842

R 421a

1 ურთიერთას T, ურაურთას m. 3 ყაენს MQ, ყაენს m, ყაენს T. 3 ყანი MQ, ყანი T. 4-5 რომესათვის M. 5 მეფესა QF, მანს Mn. 6 მაგრიად R, მაგრიად MQTm. 7 ქარქაშით-QTR. 8 და (დაასო)-T. 11 შაბარნისასა MQ, შაბარნისასა m, შაბარნისა T, შაბურანისასა ჯაყახ., ყაუხჩ. 13 ყანი MQ, ყენი m. 13 ყაენი-T. 14 ყოველგან QTR|--Mm. 17 ყანი Q, ყანი T. 17 ულო QT|--Mm. 18 მათ-T. 19 ყანს MQ, ყანს T. 20 შეუტია R, შვილა შევედრა MQTm. 21 და (ოთხნი)--m. 22 აზნაურთა QTR, აზნანისთა Mn. 24 უყო T. 25 კარამდი MQ, კარამდინ T. 31 ესე ეზომ MT, ესე ზემო m. 31 რომე m.

ქალაქი და მიმდგომი მისი ქუეყანა უბოძა იერლაციით. მასინ შეიშორვეს ვიეთმე მტერითა და მოავსენეს მეფესა: „აწ მეფობაცა სარგისს მიეც. ვინათგან ყაენმან ეზომ განადრდა, არლარა იქმნების მორჩილი მეფობისა თქუენისა“<sup>18</sup>. მასინ დაიჯერა მეფემან, რამეთუ იყო უმანკო და მალემრწმენი სიტყუათა კეთილთა და ბოროტთა, — ორთავე. და წარვიდა ღამით ელგა ნოინს წინაშე და მოავსენა: „უკეთუ ყაენი სარგისს კარნუქალაქს მისცემს, მეფობაცა მისცეს“. განკვრდა ელგა ნოინ და რქუა: „ყაენმან შენის მოდგომისათვის მისცა, და თუ შენ გიმძიმს, არლარა მისცემს. თქუენ, ქართველნი, არას კეთილს უყოფთ მცნედ მბრძოლთა წყობათა შინა? არა უწყვი, ყაენი სარგის დაარჩინა მტერთაგან, ძლიერი და სახელოვანი ომი ყო?“.

წარვიდა ნოინი და მოავსენა ყაენს ყოველი იგი თქმული, და არლარა მოსცეს კარნუქალაქი. ცნა ესე სარგის და შეიქმნა გულკლებით და ქუეგამხედვარად პატრონისაგან. ხოლო მას ზამთარსა დაიქმირა მეფე ბარდავს თავისა თვისისა თანა, და სარგის წარვიდა გულკლებული სამცხეს.

მას ეამსა გაადგა ულო ყაენს შანშეს ძე, ზაქარია ამირსპასალარი, კაცი ყოვლითა სათნოებითა შემკული და საჩინო, და ივლტოდა ქუთათისს ნარინ დავითისსა, რამეთუ ბერქას ლაშქართ გამოსლვა მას მიაჩემეს. ხოლო მეფემან კეთილად შეიწყნარა, დაყო მცირე ეამი. მერმე ფიცით მოიყვანა ყაენმან, გარნა არცა ეგრეთ დამშვდდა გული ულოსი და მოკლა ზაქარია ამირსპასალარი, კაცი პატიოსანი და სახელოვანი. და ცნა დიდმან შანში. მამამან მისმან, მწუხარებითა შეწუხებული იგიცა აღსრულდა.

m 599

M 843  
T 300b

R 421b

1 იერლაციითა | იერლაციითა ყაენ ხ ჩ., ერაციითა MQTmR, იერლუღის სივლითა გორგ. 2—3 მეფესა|—m. 3 ვინათგან DC, ვითარმედ MQTm,—R, რადგან გორგ. 3 ყაენმან T. 6 მალე მორწმუნე T. 7 და|—M. 7 ელგა| ელგო MQT, ელგონ m. 9 ელგა| ელგო MQT, ელგონ m. 10 ყენის Q, ყაენმან T. — Mm. 12 წყობათა| წყალობათა T. 13 უწყვი M. 13 ყაინი T. 15 ყანს MQ, ყენს m, ყაინს T. 17 გულკლებით| გლახაკობით T. 17 ქუედამხედვარად MQTm. 19—20 გულკლებით Mm. 21 განდგა Mm, გადგა QT. 21 ყანს MQ, ყანას T. 23 საჩინო| სათნო Q. 23 დავითისსა Q, დავითისსა m. 24 მას მიაჩემეს| მასშია ჩემეს M, მს მიაჩემეს Q, მასშია ჩემსა m, მს მიაკემეს T. 25 დაყო| და ყო M. 26 ყენმან MQ, ყაინმან T. 26 არცა Q, არეთა Mm, ამო T. 29 შანშა MQTm. 29 მისმანა M.

Q 194a

| ხოლო გუანცა დედოფალი, ავაგის ცოლყოფილ<sup>19</sup>, მოკლულ იქმნა თათართა შინა მყოფი<sup>19</sup>, რომელსა იტყვან, ვითა ასულისა მისისა ხუაშაქისა, რომელი იყო ცოლი საჰიბ-დივანისა ხოჯა შამსადინისა, მისითა განზრახვითა მოიკლათ. და ვითარ უცოლო იყო მეფე, 5  
იქორწილა ცოლი, სახელით ესუქან, ასული დიდისა ჩორმალონ ნოინისა, და დიდისა სირმონ ნოინისა. და წარვიდა ტფილისს და ქნა ქორწილი პატიოსანი.

m 600

M 844  
T 301a

ამას ეამთა გარდამოვიდეს ბერქას ყაენისაგან ლტოლვილნი ოგსნი, დედაკაცი საკვრველი, სახელით ლიმაჩავ, 10  
და მან მოიტანნა შვილნი მცირენი, ნათესავითა ახასარფაკაიანნი. პირმშო ფარეჯან და უმრწამესი ბაყათარ, და სხუანი თავადნი მრავალნი. გამოვლეს | კარი დარუბანდისა და მოვიდეს მეფეს წინაშე. ხოლო მან პატივითა ისტუმრნა | და წარავლინა ყაენს უ|ლოს წინაშე. და 15  
ყაენმან შეიწყნარნა ფრიად და უბოძა ხარაჯა, მოლაშქრედ და თანამბრძოლელად განაჩინნა და ესრეთ მეფეს თანავე წარმოავლინა. ხოლო მეფემან დასხნა რომელნიმე ქალაქსა<sup>20</sup>, რომელნიმე — დმანისსა და სხუანი — ეინოვანს.

R 422a

| და ვითარ მოიწია სთუელი, წარვიდა ყაენი ქუეყანად შარვანშასა, საზღვართა საქართველოსათა, ადვილსა, რომელსა უწოდიან ჩილან-უსუნი. ესე იგი არს, თეთრი წყალი. და შეკრეს ღობითა წყლისპირი, რომელსა სიბად უწოდეს. რამეთუ გონებდა გამოსლვასა ბერქა ყაენისასა. და ამით ეამითგან იწყეს სიბასა ზედა დგომად თათართა და ქართველთა სთულითგან გაზაფხუ- 25

1 ავაგის m, ავაგის QT, ავაგის M. 2 ცოლ თელი MQ. 2 იქუნა M. 2 რომელსა] რასა T. 3 იტყვან T. 3 ასულსა მისისა] ასულსა მისსა MQTmR. 4 საჰიბ დივანისა] ავაგის. სვეი ფარადა ვის MQm, სვეიფარადავის TR. 4 ხოჯა] ტოჯა Mm. 4 შამშადინისა MQTmR. 7 ესუქან R, ესუქნ T, ესუქნა MQm, იესუქა გორგ. 6 ასული ბროსე, ქალი გორგ.—MQTmR. 7 ჩორმალონ] ქორმალონ M, ქორმალონ QT, ქორმალონ m. 7 სრმონ] სრმა MQTmR. 9 გარდამოვიდა Mm. 9 ბერქას MQTm. 9 ყაენისგან T. 10 ოგსნი] ორნი MQTmR, ოსნი გორგ. — ყაუხჩი. 10 უდეაკაცი m. 10 საკვრველნი MQTm. 12 ფარეჯან m, ფარეჯან MQT. 15 ყანს MQ, ყენს m, ყანს T. 16 ყანმან Q, ყენმან m, ყანმან T. 17 წინა მბრძოლელად Mm. 17 ესრეთვე მეფეს T, ესრეთ მეფესავე Q. 19 ქალაქსა]—Mm. 20 ეინოვანს T, ეინვანსი m. 21 ყან M, ყან T. 22 შარვანშესა MQTm, შარვანს R, შარვანს გორგ. 23 ჩილან-უსუნი] ავაგის, ჩილანუსური MQTm, ჩილანოსანი გორგ. 24 ღობითა] ობითა MQTmR, (ღ)ობითა ავაგის, ღობით გორგ. 25—26 ბერქანთა ყაენისასა M, ბერქანთა ყაენისასა m, ბერქანთა ყაენისასა QT.



ლამდე, და გაზაფხულ წარვიდიან საზაფხულოთა საღ-  
გურთა.

ხოლო იქმნა ესეცა, რომელ ყაენთა შვილნი ზემო-  
ქსენებულნი, ულოს თანა წარგზავნილნი, ტუთარ, ყუ-  
ლი და ბალაღა დაიპყრა ყაენმან ულო და მოკლნა სამ-  
ნივე, და დაიპყრა ქუეყანა მათი და ყოველი სიმდიდრე  
მათი, და ცნეს სიკუდილი პატრონთა მათთა საბერძნეთს  
მღვთმთა დედა-წულითა, რომელთა თაყადი იყო ალა-  
თემურ ვინმე, კაცი სახელოვანი, აიყარა ბარგითა და  
დედა-წულითა, და ივლტოდა, და მომართა სამცხის  
კერძო.

ცნეს თათართა ულო ყაენისთა სივლტოლა ალათე-  
მურისა, დევნა-უყვეს და მოეწივნეს. და იგინი დაბ-  
რუნდეს და შეებნეს და მრავალი კაცი მოკლეს ულოს  
ლაშქრისა. და რათა არა განგრძელდეს სი|ტყუა, ვიდრე  
კოლისა მათთა მოსლვადმდე ათორმეტჯერ მოეწივნეს  
და ათორმეტჯერ | შეებნეს და ათორმეტჯერ ალათემურ  
მოერია და გააქცივნა. და ესრეთ მოიწივნეს ქუენაარ-  
ტანს, სოფელსა, რომელსა ჰქვან გლინავი. | და მუნ  
დახუდა მურვან გურკლელი მახუჯავის ძე, წინაშეგ-  
თხვა ნადირობას მიმავალი, რომელი შეიპყრეს თათარ-  
თა და კნილდა მოაკუდინეს. ხოლო იგი ვევედრა და აღუ-  
თქუა ლიხთ-იმერით წარყვანება მათა და ეგრეთ ბერქას  
ყაენს წინაშე წარსხმა. ხოლო იგინი მიენდვნეს. წარმოი-  
ყვანა და მოასხნა სამცხეს, მოასხნა გურკლისჭალას და  
ესრეთ განსცნა. წარავლინა კაცი | და ამცნო სარგის  
თმოგუელსა და შალვა ბოცოს ძესა, და ყოველთა მესხ-  
თა, და სარგის ჯაყელის ლაშქართა, რათა შეერბენ ერ-  
თად და შეიპყრან ალათემურ და მიჰგუარონ ულო ყაენს.  
და წარმოემართნეს, და ცნა ესე ალათემურ, აიყარა ბარ-  
გითა და დედა-წულითა, და გამოვლო მტყუარი და

Q 194b

M 845

T 301b

R 422b

m 601

3 ყანთა MQ, ყანთა T. 4 ულოსა m. 4 ტუთარ, ყული ხუტყული MQTm.  
5 ბალაღა| ბალაღი MQTm. 5 და დაიპყრა M. 5 ყანმან Q. ყენმან m, ყინმან T.  
5 ულო]-MTm. 10 სამცხით MQ, სამცხითა m. 12 ყანისთა MQT, ყენისთა m.  
14 შეიბნეს T. 15 რათა]-MQTm. 16 მათთა| მათთა m. 20 გურკელი Mm, გურკე-  
ლელი QT. 20 მახუჯავის ძე Mm. 21 შეიპყრეს Mm. 23 ლიხთ იმერით m, ლიხთ-  
იმერით T. 24 ყანს MQ, ყანას T. 25 მოასხა სამცხეს Mm. 25 გურკელის ჭალა Mm.  
27 შალვას T. 27 ბოცოს]-m. 29 მოგუარონ MQm. 29 ყანს MQTm. 31 და (გამოვ-  
ლო)]-T.

- მომართა ჯავახეთით კერძო. შემოიარა ელასის შემოღ-  
მართი და მივიდა ოშორას ქუეშეთ ადგილსა, რომელსა  
რქვან ლერძავნი, რამეთუ თმოგუელი მუნ დაუდგა წინა,  
რომელ იხილნა რა, მორიდნა. სარგის და ბოცოს ძე და  
ლაშქარნი ერთკერძო მოსდევდეს, და ძურვან გურკლე- 5  
ლი მართლ კუალსა შედგომილი მოსდევდა. და მოეწია  
გურკლელი მცირითა ლაშქრითა, რამეთუ ბოცოს ძე და  
სარგისის ლაშქარნი არ მოვიდეს, არცა თმოგუელი  
შუელად გურკლელისა. შეიბნეს ძლიერად, სძლეს თა-  
თართა და მრავალი ტაძრეული აზნაური მოკლეს, და 10  
ივლტოდეს გურკლელი.
- ხოლო თათართა განვლეს ჯავახეთი და თრიალეთი,  
და რუსთავს მტკუარს გავიდეს. | და მრავალგან მიეწიე-  
ნეს თათარნი და სომხითარნი ლაშქარნი, რომელთა თვ-  
თეულად არა არს ყამი მოთხრობად. ყოველგან ალათე- 15  
მურ მძლე ექმნა. და განვლეს კაძბეჩიანი, კახეთი, ჰერე-  
თი, ყოველგან ომითა, და წარვიდეს გზასა ბელაქნისასა,  
შევიდეს ლუნძეთს, რამეთუ წინაგანწყო მეფე ლუნძთა.  
და სძლეს თათართავე, და განმარჯუებულნი მივიდეს 20  
ბერქა ყაენს წინაშე. და ესრეთი საკრველი საქმე ქმნეს,  
და ამათანანი თათარნი სადაცა დარჩეს, აღნარობით  
უკმობდეს. ესე იგი, უფროსთანი, გინა უხუცესთანი.  
ამისთვის განძვნებული ბერქა განემზადა გამოსლვად. და  
ამათ თეთრსა წყალსა ზედა ღობე შეკრეს და მუნ იზამ-  
თრიან, ვითარცა მითქუამს. 25
- ხოლო ვითარ ამათ საქმეთაგან უცალო იყო მეფე,  
განდიდნა ჰყონდიდელი ბასილი და უჯარმელი, და იწყო  
საურავეთაჲ ქმნად თვნიერ მეფისა კითხვისა. და მეფისა

1—2 ელასის შემოღმართი ელასი Mm. 3 ლერძავნი m. 3 ~ წინა დაუდგა  
m. 4 და ( ბოცოს) —MQm. 5 და| —Mm. 5 მურვან| —Q. 5—6 გულკლელთა  
მურვან T. 6 შედგომილი| —Mm. 6 მოსდევდა MQm. 7 გურკლელი| — MQm.  
7 რამეთუ| —Mm. 8 სარგის MQm. 8 თმოგუელი| თმოგველი გ ო რ გ., —MQTmR.  
9 გულკლელისა Mm, გურკლელისა QT. 10 ტაძრეული| —Mm, ტბრეული Q, ტაძრე-  
ულ T. 11 გულკლელი Mm, გურკლელი QT. 14 თათარნი და| — Mm. 14  
რომელთა| რათა Mm. 15 ყოველგან MQ, ყოველგან T. 16 კაძბეჩიანი M, კაძბეჩ-  
ნი QT, კაძბეჩიანი m, კაძბეჩიანი R. 17 ყოველგან MQ, ყოველგან T. 18 შევიდეს| —Q.  
19 მოვიდეს MQTm. 20 ბერქა| —MQT, ბერქას m. 20 ყაენს MQ, ყენს m, ყაენს T.  
20 წინაშე| +ბერქას MQT. 21 აღნარობით MQm, აღნარობით T, აღნარობით  
გ ო რ გ. 22 უხუცესთანი ყ ა უ ხ ნ., უხუცესთა MQm, უხუცესთანი T. 26 უცალო  
ყო ჩ ვ. კ ო ნ ი ე ქ ტ., უბრალო არს MQTmR. 28 მეფისა M. 28 კითხვისა M. 28  
მეფისა M.

ომერთ ყოფსა შინა დიადი აწყინა სეფეთა ქუეყანათა,  
რამეთუ ვითარ თვსთა ხედვიდა, და სიტყუაცა ესრეთ  
იყო, ვითარმედ ესუქანს თანა-ეყო. ამისთვის შესმენილ  
იქმნა ბასილი წინაშე მეფისა, რომელმან მსწრაფლ მოი-  
ყვანა და ბრძანა | ძელსა დამოკიდება. დამოკიდეს ძელ- 5  
სა შუაქალაქსა, რამეთუ იყო მეფე მალემრწმენი და  
ლიტონიცა.

და ვითარ მოიწია სთუელი, კუალად | წარვიდა ყა-  
ენი სიბასა ზედა და მეფეცა მის თანა. | მოიწია რა გა- 10  
ზაფხული, წარმოვიდა ყაენი სიაქუსა, და ძე მისი, თან-  
ქუმ. წარმოვიდა გელაქუნსა, რამეთუ მას აქუნდა საზა-  
ფხულოდ სადგურად გელაქუნი, და მეფე თანწარმოი-  
ტანა, და მუნ იყო. მაშინ ევედრა მეფე თანქუმს, რათა  
უაჯოს მამასა მისსა ყაენს ულოს წინაშე და განუტეოს  
სამეფოდ თვსად. ხოლო მან ისმინა და წარავლინა კაცი. 15  
და ვითარ მიიყვანეს სიაქუდ, ყაენი ულო აღსრულებულ  
იყო. მაშინ ხათუნთა და ნოინთა მიუმცნეს თანქუმს,  
რათა განუტეონ მეფე სამეფოს. გამოუშვეს და მოვიდა  
ტფილისს და ყოველსა ქართლსა და სომხითსა, და განა-  
გნა საქმენი მანდაურნი. 20

ხოლო ნოინთა დასუეს ტახტსა ულოს ძე უზუცესი,  
სახელით აბალა, კაცი კეთილი, უხვ, მოწყალე, ტკბილი,  
მდაბალი, განმკითხველი, სამართლის მოქმედი, გლახაკთ  
მოწყალე და შემნდობელი ესეზომ, რომელ, დაღათუ  
დიდისა ბოროტისა მოქმედი კაცი იყვის, არავე მოჰკლე- 25  
ვდის, რამეთუ ესრეთ იტყოდის: „ყოველისა ქუეყანისა  
მპყრობელად დაუდგენივარ ღმერთსა და, რასაცა ვერ  
მივსცემ, არცათუ წაუღებ“. და მრავალგზის საქურტლე-  
ნი მისნი წარიხუნეს მპარავთა და არა მოაკუდინის, არა-

1 ეწყინა MQTm. 1 სეფე Q. 2 რამეთუ—MQTm. 2 ესრეთ—MQTm. 3  
ვითარმედ—MQTm. 3 ესე უქანის MT, ესუქანის Q, ესუქანის m. 6 მალე მორ-  
წმუნე MT, მალე მრწმენე Q, მალე მორწმუნე m. 7 ლატანიცა T. 8—9 ყანი MQ, ყენი  
m, ყანი T. 9 რა—Mm. 9—10 გაზაფხულ Mm. 10 ყანი MQ, ყენი m, ყანი T. 10  
სიაქუსა] საქოსა MQm, სააქოს T. 10—11 ძე მისი თანქუმ] ძე მისთანა ქაშუმ Mm, ძე  
მისთანა ქუმ Q, ძე მასთა ქბუ T, ძე მის თანქუმ გორგ, ძე მისი თანქუმ R.  
13 თანქუმს] თან ქუმს MQ, თანქუმს m. თა ნაქუმს T. 14 ყანს MQ, ყენს m, ყანს  
T. 16 საქოდ MQm, სიაქოდ T. 16 ყან MQ, ყენ m, ყანა T. 17 თანქუმს MQm,  
თანქუმს T. 19 ტფილისა M, ტფილისისა m. 19 და (სომხითსა)]—m. 22 აღბულა  
MQTm. 24 ესზომ M, ეზომ m. 26 იტყოდა MQT. 27 დაუდგინავარ m. 29 არა-  
გე m.

- Q 195b მედ იტყოდის: |არად მაკლს მე საჭურჭლე, ისი  
T 303a ღონ გლახაკთა, რამეთუ ნაკლულევან არიან, და მით  
R 424a იპარვენ“. კულად უბოროტო და კეთილი გონება აქუნ-  
M 848 და. მაშინ აბალა განაჩინა მკედართა მთავრად | კაცი საჩი- 5  
ნო წყობათა შინა, სახელით აბათა, და ურდოსა და სახ-  
ლისა თვისისა მოურავად დაადგინა ზემოკსენებულსა  
ჩორმადონის შვილი, სირმონ. კაცი განმარჯუებული და  
საჩინო ბრძოლათა შინა. ვინათგან ქრთამსა მძიმესა მი-  
იღებდიან მის წინაშე მდგომნი ყოველნი, გამოარჩია  
კაცი ერთი მოწყალე და სამართლისმოკმედი, მმარ- 10  
ხველი და მლოცავი. ქრისტიანეთა | და ეკლესიათა  
ღმრთისათა მოსავთა მოყუარე, სახელით აღუბალა. ესე  
განაჩინა უღონოთა და გლახაკთა განმკითხველად. არა  
თუ ულო ყაენის პატივცემულნი ნოინნი გამოცვალნა.  
არამედ უმრავლესნი აღსრულებულ იყვნეს, ვითარ ელგა 15  
ნოინი და სხუანი მრავალნი.  
ამას აბალას წინაშე წარვიდა მეფე დავით, და ფრი-  
ად პატივითა შეიწყნარა და პატივ-სცა. და დაემორჩილ-  
ნეს აბალას ყოველნი თათარნი, საბრძანებელი მამისა მი-  
სისა ულოსი. 20  
მას ეამსა გამოვიდა დიდი ყაენი ბერქა გზასა დარუ-  
ბანდისასა აურაცხელითა ლაშქრითა შურის-გებად ტუ-  
თარის, ბალაღას და ყულის საქმისათვს. ცნა ესე აბალა  
ყაენმან და მოუწოდა სპათა მისთა, და მეფეს დავითს,  
და წარემართა. ზოლო ვითარ | აგრძნა ძლიერება და 25  
სიდიდე სპათა ბერქასთა, არღარა განვიდა მტკუარსა.  
არამედ შეიარა ნაპირი და განსავალი ყოველი, და აღილო  
ზომი ყოველგან და დააყენა ლაშქარი, სადა შეკრბებიან  
მტკუარი და რაქსი, და მუნითგან ვიდრე მცხეთამდე.

1 საჭურჭლე]—Mm. 2 რამეთუ ნაკლულევან არიან და]—MQm. 2 მით] მისთვის T.  
4 აბალა] აღბულა MQ, აღბულა m. 4 განაჩინა]—MQm. 4 მთავრად] თავად Mm.  
5 სახელით] ასელით MQm. 5 აბათა Q, აშათა Mm. 5 და (ურდოსა)]—Mm. 6  
თვისისა]—MQm. 7 ჭორმადონის MQTm. 8 შინა]—MQm. 9 მას Mm. 10—11 მმარ-  
ხავი M, და მმარხვი Q, და მმარხველი T, მმარხველი m. 12 აღბულა m. 14 ულოს  
MQTm. 14 ყაენს MQ, ყენს m, ყაენს T. 15 ელგან Tm. 17 აშალას Mm. 19  
აშალას Mm. 19 საბრძანებელნი MQm. 21 ყაენი]—Mm, უნი Q, ყანი T. 21—22  
დარბანდისასა MQ, დარობანდისასა T. 22—23 ტუთარს] ხუთარს MQTm. 23 ბალ-  
ღას MQTmR. 23 აშალა Mm. 24 ყანმა MQ, ყანმან T. 24 მისთა] თვისთა T. 24  
დავითს M. 25 წარმართა MQm. 26 განვიდა]—Q. 27 შეიარა ნაპირი] შეიარა პირი  
Mm. 29 რაქსა MQm.

- M849 ბერქამან მოაოკრა | ქუეყანა შირვანისა, ჰერეთი, კახე-  
T 303b თი და ყოველი იორისპირი, და მოვიდა ლ|აშქარი ტფი-  
ლისამდე, და მრავალი სული ქრისტიანე მოსწყევდეს.  
ხოლო ბერქა ყაენი დადგა მათათა შინა გარეჯისათა. მა-  
შინ მოხედნა ღმერთმან ქუეყანასა წყალობით და ყაენსა 5  
აბალას, შეედვა საღმობა რამე ბერქას და მოკუდა. ვი-  
თარცა იხილეს სპათა მისთა სიკუდილი ყაენისა მათისა,  
წარიღეს მკუდარი და განვლეს კარი დარუბანდისა. ეს-  
რეთ დამშვნა ქუეყანა ესე.
- Q 196a ხოლო თათართა გულად აქუნდის შიში | მეფისა 10  
ბერქას ლაშქრისა გამოსლვისა, და ყოველთა სთუელთა  
წარვიდიან სიბასა ზედა. და ვითარ მოეახლის ეამი სიბას  
წარსლვისა, მოუწოდა მეფემან სპათა თვისთა და სარგის  
ჯაყელს ციხისჯუარელსა. ვითარ მივიდა სარგის დავით  
მეფესა წინაშე ტფილისს, ეგონა სარგისის განდგომი- 15  
ლება ყაენს წინაშე, და დაივიწყა ნამსახურობა | გან-  
ზრახვითა უკეთურთა კაცთათა. მოუწოდა პალატად და  
შეიპყრა და საჭურჭლესა შინა ტყუე-ყო. ცნეს ესე აზ-  
R 425a ნაურ|თა თანამყოლთა სარგისისთა, ივლტოდეს და წარ-  
ვიდეს ყაენს წინაშე, და მოაჯენეს აბათა ნოინსა, რათა 20  
მან განაჩინოს მეფისაგან დაჭირვა სარგისისი და მოაჯ-  
სენოს ყაენს აბალას და სთხოვოს სარგის<sup>21</sup>. ისმინა  
მსწრაფლ ვედრება აბათა ნოინისა და მოსცა ელჩი, და  
წარმოავლინეს, და მოიწია ტფილისს და წარიყვანა სარ-  
გის და მიჰუარა აბათა ნოინსა. და მიერთგან იქმნეს 25  
ჯაყელნი მორჩილნი ულოსისანი, ვიდრე ეამთამდე მეფე-  
თა შორის ბრწყინვალისა და საჩი|ნოსა გიორგისითა.
- M 850 ხოლო მეფე ჯერეთ არა წარსრულ იყო სიბასა, შე-  
T 304a ედვა საღმობა მტელისა ძესა მისსა პირმშო|სა, გიორ-  
გის, რომელიც სიკეთელმატებულეებითა საესე იყო. გან- 30

1 შარვანისა T. 1 ჰერეთისა m. 3 და|—m. 3 ქრისტიანი M. 3 მოსწყევტეს Mm.  
4 დაადგა MQm. 4 გარეჯისასა T. 5 ~ წყალობით ქუეყანასა ამას T. 5 ყანსა  
MQ, ყენსა m, ყაინსა T. 6 აშალას Mm. 7 ყანისა MQ, ყაი|ოსა T. 12 და|—T.  
13 შარვლისა m. 14 ციხის ჯვარელსა Mm. 15 მეფისა T. 15 ჰგონა Q. 16 ყანს  
MQ, ყენს m, ყაინს T. 16 რაივიწყნა Mm. 16 მსახურება Mm. 17 კაცთათა ყ ა უ ხ ჩ.,  
კაცთათვის MQTmR. 18 შეიპყრა|+შინა MQTmR. 18 საჭურჭლესა შინა|—Mm, სალა-  
როში გ ო რ გ. 20 ყანს MQ, ყენს m, ყაინს T. 20 აბათა T, აშალა Mm, აბალა Q.  
21 მეფისაგან M. 22 ყანს MQ, ყენს m, ყაინს T. 22 აშალას Mm. 23 აბათა| აბათან  
T, აბალა Q, აშალა Mm. 25 მიჰუარა| მოჰკვარა MQm, მიჰუარეს T. 25 აბათა|  
აბათან T, აბალა Q, აშალა Mm. 26 ეამთა MQm. 27 საჩინოსითა MQm. 28 არ  
T. 30 სიკეთე აღმატებითა MQm.

- გრძელდა საღმობა ესეზომ, რომელ კნინლა მკუდრად  
 საგონებელ იყო, და იღვა უკმრად, უძრავად, სულთა  
 აღმომფშენველი, და მითცა ძლით. ამას მწუხარებასა და  
 უღონოებასა რა მოეცვა მეფე და ყოველი მკვდრი  
 საქართველოსანი, მოეცენა მეფესა დმანისისა ღმრთის- 5  
 მშობელი, და წარვიდა წინაშე მისსა, და თვთ წარმოა-  
 ჩინა, ვითარ ყოველი უკამურითა ფერკითა მოპყვებო-  
 დეს და მოეგებოდეს, მკურვალითა ცრემლითა წყალო-  
 ბად მათდა აღძრვიდეს. მაშინ შეისმინა ვედრება მათი  
 R 425b წმიდათა უწმიდესისა | ღმრთისმშობელმან, და მყის 10  
 შეხებასავე თანა, და პირსა ზედა შეხებასა თუალნი  
 აახუნა მსწრაფლ და ვითარცა უენებელი წარმოჰდა.  
 იხილეს ესე მეფემან და ყოველთა მკვდრთა საქართვე-  
 ლოსათა, განკვრდეს ანახდათსა ამას საკვრველებასა  
 ზედა ყოვლად წმიდისასა, და აღიდებდეს ყოველი 15  
 ღმერთსა.
- და კუალად წარვიდა მეფე სიბასა ზედა, და მუნ  
 Q 196b ყოფასა მისსა, ჟამსა წარმოსლვისასა დასნეულდა მეფე  
 დავით მით საღმობითა მუცლისათა და ვერ განკურნეს  
 m 605 მკურნალთა, და წარვიდა ცხედრითა. და | ვითარ მოე- 20  
 ახლა მარტომყოფსა, მივიდა ხატსა მას კელითუქმარსა,  
 რომელი თვთ ვამოისახა ტილოსა, ხატისა მიერ, კეცსა  
 ზედა. მოყვანება ბრძანა მარტომყოფისა ხატისა, და ევე-  
 M 851 დრა ცრემლითა და შეუერ|და. და განკურნა, ვითარ  
 უფლისა მიერ განკურნებული ცხედარსა ზედა მდებარე. 25  
 და ესრეთ მრთელი მოვიდა პალატად ტფილისისა, და  
 იყო განსუენებასა შინა თვნიერ ამისსა, რამეთუ მთავარ-  
 ნი და ერისთავნი ვერ ცვალნის შიშისათვს ყაენისა. |  
 T 304b ხოლო თქმულ არს ესეცა, ვითარ ბრძენისა სოლომო-  
 ნისათვს წერილ არს, ჟამსა სიბერისა მისისასა არა მარ- 30  
 თლად ვიდოდა წინაშე ღმრთისა, და მძლავრებისაგან  
 თათართასა უცალოქმნილმან იწყო შლად საყდართა სა-

1 ესეზომ]—Mm. 1 რომელი MQTm. 3 მითცა ძლით QT, მეცა ძლით M, მიე-  
 ცა ამას ძლითა m. 3—4 და უღონოებასა]—Mm. 7 უკმურითა MQ, უკმარითა m.  
 8 ცრემრითა M. 10 მყის M. 14 ანახდათსა MQT. 15 ზედა]—Mm. 17 მეფე]  
 — Q. 19 ვერ]—MQm. 20 მცხედრითა m. 21 კელთ უკმრსა Q. 21 უკმარ-  
 სა]—Mm. 22 კეცსა m. 23 ბაანა Mm. 24 შეურდა Mm. 25 მცხედარსა T.  
 28 სწავლნის Mm. 28 ყანსა MQ, ყენისა m, ყანისა T.

R 426a

ეპისკოპოსოთა. რომელი სანატრელთა მეფეთა შესავალ-  
ნი სოფელნი მიენიჭნეს, განსცემდა, ეგრეთვე მონას-  
ტერთა. | ამას თანა სხუანიცა ბოროტნი აღძრნა მტერ-  
მან, რომელნი არა საკმარ არიან თქუმად, და მძლავრა  
სიბერესა შინა, ვითარ სოლომონს. ამისთვის სწრთვიდა  
ღმერთი არა ჩუენებითა, არამედ შუენიერებითა ძისა  
მისისათა სიკუდილისა გლოვითა, ვინათგან უგუნურე-  
ბასა შინა ვართ ნათესავნი ადამისნი, და გულსმოდგი-  
ნედ მიდრეკილ არს გული კაცისა ბოროტისა მიმართ,  
ვითარცა წერილ არს: „არა ინებეს შეგონებად, არამედ  
გარდავედით ცხოვრებასა ჩუენსა და ყოველნი ვართ  
ამაოებასა შინა“, ვითარ იტყვს ბრძენი ეკლესიასტე:  
„ამაოება ამაოებათა და ყოველივე ამო არს“, და მზესა  
ამას ქუეშე ხილულსა ყოველსა ამაოებასა მისცემს.

5

10

M 852

ხოლო ჩუენ. გზისა მცირედ გარდამაბიჯებულნი,  
კუალად მოგზაურ ვიქმნეთ. და ვითარ მოიწია მსგეფსი  
სიბას წარსლვისა, წარვიდა მეფე კუალად. ხოლო მუნ  
ყოფასა მისსა დასნეულდა ძე მისი, გიორგი, რამეთუ  
დიდი ნუგეშინისცემა აქუნდა მეფესა საბრძანებელსა  
მისსა, და მისვე სისხლისა მდინარებისაგან აღსრულდა,  
და დაუტევა მწუხარება მიუთხოვბელი | ყოველთა მკვ-  
დრთა სამეფოსათა დიდითგან მცირეთამდე. ხოლო გუა-  
მი ყრმისა გიორგისი დაასუენეს საყდარსა სიონისასა,  
რათა მოიცადონ მეფე, ვითარ მოეახლა ქამი | მოსლ-  
ვისა<sup>22</sup>.

15

20

Q 197a

ვითარ წარკდა ქამი მცირედი. | მოვიდა მეფე ტფი-  
ლისს. ვითარ არავინ გაეგება წინა თვნიერ მცირეთა |  
მოქალაქეთასა, ზარგანკილი მიისწრაფდა პალატად,  
სადა დახუდეს სპანი და ვაზირნი დამალულნი და შავითა  
მოსილნი. და ვითარცა აუწყეს სიკუდილი ძისა მისისა,  
გიორგისი, მყის სმენასავე თანა დაეცა და კნინდა მკუ-  
დარ იქმნა. და ესრეთ შეიღეს პალატად ჯელთა ზედა  
მქონებელი, და ძლით მოვიდა ცნობად, რამეთუ, უკე-

25

30

T 305a

R 426b

1—2 შესვლანი m. 2—3 მონასტერთა| მონატრეთა m. 4 მძლავრა| მძლავრ TR, მძლრ Q, მძრავრ M, მძრავარ m. 5 სოლომონისა Mm. 5 ამს ცვრქ M. 7 სიკუდილსა M. 11 ვარ m. 12 ამოებასა MQm, ამოეებასა T. 13 ამოება ამოეებათა MQ, ამოება ამოეებათა m. ამოეება ამოეებათა T. 14 ყოველსა—MQm. 14 მისცეს Mm. 15 გზასა M. 16 ვიქმნეთ Q, ვიქმნეთ m. 16 მგზეფსი Mm. 20 მისივე m. 21—22 მკვდრთა—Mm. 24 მეფე|+და MQTmR. 24 და ვითარ T. 28 მოქალაქეთასა| ქალაქეთასა Mm. 29 დავედეს m. 31 თანა| თვისსა M, თვისსა m. 33 ძლით m. 33 რამეთუ—Mm.





ათუ მოისპოს სული, მყის მოისპობის ცნობა, და უკეთესად მოისპოს ცნობა, არა თანა მოისპოს სული, სიტყვის- მოქმედი იტყვს. ვინათგან ტკივილთა მიერ უზომოთა მოცეულ იყო, და შვილობისა სიყუარული და კუალად სიტურფე-აღმატებულება ათრვამეტისა წლისა მყოფისა, სიმკნე, სამკედროთა ზნეთაგან განსრულებულობა, ტკივილნი მრჩობლ ზედა დაერთვოდეს. საღმობიერიითა გოდებითა გოდებდა და სიკუდილსა აღირჩევდა თავისა თვისისასა, რაჟამს იხილა აღყუავებული შუენიერი გუამი ძისა მისისა, გიორგისი, მკუდრად უფერულად მდებარე, რომელსა იგლოვდა ერი. და ვაებითა წარიყვანეს მცხეთას და მუნ დაკრძალეს, | და უკმოიქცეს მწუხარებითა საეცენი. ხოლო ესოდენ განუმრავლდეს ტკივილნი შვილისა საყუარელისანი, მიერთგან არღარა აქუნდა ღბინება, და სენთაცა მრავალთა მოიცვეს და გუამითა უძღურებდა უმრავლესთა ჟამთა, გარნა მონებდავე ყაენს აბალას, არა იყო სხუა ღონე.

M 853

R 427a

T 305b  
m 607

აქა შინა იწყო მანკაბერდელმან საღუნმან განდი- დებად, რომელ პირველ ულოს შეეწყალა რკინობისა ძლით, და ყაენმან აბალაცა პატივი უყო, და დიდი საპბი- დივანი კეთილსა უყოფდა მით, რომელ ცოლისა მისისა, | ავაგის ასულისა ხუაშაქისა, ეჯიბობა აქუნდა, და მეფესა დავითს მიეზობძნეს მრავალნი ქუეყანანი.

ამათ ჟამთა იქმნა განდგომილება თათართა ურთიერთას, რამეთუ განუდგა ყაენსა აბალას თეგუთარ<sup>23</sup>, ყაენისა ბარახას ძმა უმრწამესი, რომელი იყო ზემოკსენებულისა ჩინგიზ ყაენის შვილისა ჩალატა ყაენის ნათესავი, რომელსა ეპყრა ქუეყანა თურანისა და დიდი თურქეთი. ესე ბარახა ყაენი იყო თურანისა და წარმო-

1 უკეთესად + არა MQm. 3 იტყვის M. 4 მოცულ Tm. 6 განსრულებულობა ჩეკონიექტი, განსრულებულებოსა M, განსრულებულებასა m, განსრულებლობასა Q, განსრულებულობასა TR, განსრულება ჩავა ხ., ყაუხჩი. 8 თავისა M. 10 უფარულოდ Mm, უსულოდ უფრულოდ Q (ჩამატ.). 10 მდებარე] მდგომარე Q. 14 სიყუარულისანი Mm, სწყრლისანი Q. 14 აქუნდა] იქმნა Mm. 16 ყანს MQ, ყენსა m, ყანისა T. 17 აშალას Mm, აბალს T. 18 აქა]—Mm. 20 ძალით m. 20 ყანმან M, ყენმა m, ყანმა T. 20 აშალაცა Mm. 20—21 საპბი-დივანი] სიშდივანი M, სიბდივანი QT, სიშდიანი m. 21 კეთილსა უყოფდა] კეთილის ყოფთა MQTmR, კეთილათ ჰყოფდა გორგ. 21 მისისა]—Mm. 23 მიეზობძნეს] მიუზობძნეს Mm, მიუეზობძნეს Q, მიუზობძნეს T. 24 ამათ]—MQm. 25 ყანს MQ, ყენს m, ყანისა T. 25 აშალას Mm. 25 თავგთარ MQm, თავგუთარ T. 26 ყანისა MQ, ყანის T. 27 ჩანგის ყანის Q, ჩიგის ყანის M, ჩინგიზ ყენის m, ჩინგის ყანის T. 27 ჩალათა M. 27 ყანის MQ, ყანის T. 29 ყანი MQ, ყანი T.

- Q 197b ავლინა | მმა თვისი, თეგუთარ, რათა ხაოჯა ქუეყანისა, რომელ წილ-ხუდომოდა. ვითარ ზემო თქმულ არს<sup>24</sup>, თეგუთარს მიხუდებოდის. ესე მივიდა ორისა ბევრისა ლაშქრისა მქონებელი. შეიწყნარა აბალა და უჩინა ზაფხულისა სადგურად ვიდრემე მთანი არტანისანი და სა-  
ზამთროდ რაცისა პირი და ნახჭევანი. ესრეთ იყოფო-  
და თეგუთარ. შემურდა ყაენობა აბალასი და მიუქმცნო  
მმასა თვისსა, ყაენსა ბარახას, ჯეონს იქით მყოფსა, ვი-  
თარმედ: „რად მივსცემთ ყაენობასა და ქუეყანასა დიდ-  
სა აბალას. აჲ წარმოემართე მანდით შენ და აქათ — მე,  
და ორთავე შევემუსროთ აბალა, და ჩუენ დაიბყრათ  
ქუეყანა მისი“. ხოლო მოივერაგა ესრეთ: თავი შეშისა  
ისრისა აღმოთხარა და ძუალითა პილოსათა შეაწებნა  
სამნი ისარნი, და მათ შინა | შთადეა წიგნი, ამად, რომელ  
ყოველგან გზისა მცველნი განჩენილ იყენეს თათართაგან  
ძუელითგან, და განიკითხიან მგზავერი და მოციქული.  
და ვითარ მივიდა თეგუთარის მოციქული მმასა მის-  
სა ბარახა | ყაენს წინაშე, სთნდა სიტყუა და განზრახვა  
თეგუთარისი, და მიუქმცნო მანცა ეგრეთ, რათა პაემანსა  
შეკრბენ ერთად და დაამჯუან აბალა ყაენი და დაიბყრან  
კელმწიფობა. და მოუწერა განჩინებული დრო პაემანისა.  
რომელ მას ჟამსა უკუდგეს თეგუთარ, რომელსა ჟამსა  
გამოვიდეს ჯეონსა ბარახა სპითა მისითა. ხოლო განგე-  
ზამან ზენამან განაქარვა განზრახვა მათი და დაიცვა აბა-  
ლა უმანკოებისათვის, და სიწრფოებისა და სიმართლისა-  
თვის. და შესცთა მწიგნობარი მისი და ორითა მთოვარი-  
თა უწინ დაწერა განდგომა თეგუთარისა, რამეთუ თუე-  
ნი მათნი მთოვართა აღრაცხილ არიან. და შთადეა მან-  
ცა თავსა შინა | ისრისასა წიგნი ესე, და წარმოვიდა  
მოციქული და | მოიწია ნიგალისველსა თეგუთარს წინა,

2 წილ ჭდომოდა h, წაჭდომოდა MQm, წახდომოდა T, წარტდომოდა ყ ა უ ხ ზ. 2 თქმულა Mm. 4 აშალა Mm. 5 არტანისანი | არარატისანი MQTmR, არტანისა მთა გ ო რ გ. 7 თაგუთარ MQTm. 7 ყანობა MQ, ყენობა m, ყანობად T. 7 აშალასი Mm. 8 ყანსა MQ, ყენსა m, ყაინსა T. 8 ჯიონს MQm. 9 ყანობასა MQT. 10 აშალას Mm. 10 მანდით Mm. 10 აქეთ Mm. 11 აშალა Mm. 13 შეაწებნა Mm, შეაწებთა T. 17 მივიდეს MQm. 18 ბარლა MQ, ბარალა m. 18 ყანს MQ, ყაინს T. 20 აშალა Mm. 20 ყანი MQ, ყენი m, ყაინი T. 20 დაიბყრას Mm. 22 უკუ აღდეს MQTm. 22 თეგუთარს Mm, თეგუთარ Q. 23 ჯოენისა Mm. 24—25 აშალა Mm. 25 უმანკოებისათვის M. 27 უწინ გ ო რ გ.—MQTmR. 27—28 თვენი MQ. 28 აღრაცხულ T. 29 წარვიდა m. 30 ნიგალისველსა გ ო რ გ., ნიგისველსა Mm, ნიბისველსა Q.—TR.



და მოსცნა ისარნი, და განაღო თავი ისრისა და დაწერილი მისა მისისა ბარახასი. და ჟამიცა იგი მანისა მოახლებული პოვა წერილსა მას შინა, და მყის აღეკაზმა ბარგითა და დედა-წულითა, კაცი მბრძოლი ვითარ ბევრი ერთი და ხუთასი, რამეთუ სხუა იგი ლაშქარი ვერ ესწრა სისწრაფისაგან, ნუუკუე განცხადნეს საქმე მისი. და ბოროტი ეყოს აბაღას მიერ. აიყარა და მომართა მათათა ლადოსათა, კარჩხალთა და კარისათა, რომელ არს შორის შავშეთისა და აჭარისა, და დადგა თავსა შავშეთისასა ფიჭუთას, და ეზრანა სარგის ჯაყელსა. რათა მისცეს გზა, უკეთუ უნდეს წარსლვა აფხაზეთისა მეფესა დავითს წინაშე, რათა იგი იყოს შუამდგომელ მეფისა და თეგუთარისა, და უკეთუ განუმარჯუდეს, დიდად განადიდოს სარგის. და ვითარ ამას ზრახვასა. შინა იყენეს, სთნდა სარგისს სიტყუა თეგუთარისი.

მოუწოდა აბაღა სპათა მისთა და დიდსა შანშეს შეიღსა ივანეს მანდატურთუხუცესსა, წარმოავლინა დევნად თეგუთარისა. და აჩინა მკედართმოთავრად სირმონ, ნოინის შვილი ჩორმალონისა, კაცი წყობათა შინა სახელოვანი და შემმართებელი, და მრავალნი ნოინნი სხუანი. და მოიწივნეს მათათა არტანისათა და დაიბანაკეს მუნ.

ხოლო იქმნა ესეცა საკრველი ყოველთა ნაშობთა დედათა უმეტესისა<sup>25</sup>, რომელმან ღმრთისა სიტყუასა. ქალწულისაგან შობილსა ქრისტესა ღმერთსა ჩუენსა, თვისითა კელითა ნათელ-სცა, და კმა მამისა ზეცით ესმა, და სული წმიდა სახითა ტრედისათა იხილა და სამებინსა წმიდისა ერთი არსება ცხად-ყო და გუასწავა იოანე ნათლისმცემელმან, ამისი უდაბნო შენ არს და არა უცნაურ მათათა შინა ლადოსათა, ოპიზა, უპირველესი ათორმეტთა უდაბნოთა. ამას შინა არს უპირატესი ყოველთა წინასწარმეტყუელთა და მოწამეთა ყოველთა

2 ბარახასი Mm. 2 იგი]—Mm. 3 მოახლებულიყო MQm. 5 ბევრი ერთი და ხუთასი] ბევრი ათასი Q. 6 სისწრაფისაგან M. 7 მისი] ესე m. 7 აშაღას Mm. 8 კარცხალთა MQTR. 8 კარჩხალთა]—m. 9 აჭარისა Q, აჭარას MTm. 10 ფიჭუთას T, ფიჭეთა MQm. 12—13 შუა მდგომელი M. 13—16 და უკეთუ... თეგუთარისი]—Q. 14 განდიდოს M. 17 აბაღა ჩვ. კონიექტ.—MQTmR. 17 დიდთა Mm. 19 მკედართ თავად MQm. 20 ჩორმალონის MQT. 23 ზენ]—Mm. 25 სიტყუა MQm. 26 შობილსა m. 27 ზეცითა Mm. 30 შენ] შენი Mm.

უაღრესისა ნათლისმცემელისა იოანეს კორჯი იგი, რომელი არა დადუმდებოდა ქებად ღმრთისა მოსრულისა, და მამხილებელი პეროდეს უსჯულოებისა. და ესრეთ პატროსნითა | საუ|ნჯითა განშუენებული, და საღმრთოთა კრებულთა აღსავსე იგი საყოფი ნათლისმცემელისა, და ჰეშმარითი თვთ თავადისა საყოფი, ვითარ სიტყუა ცხად-ყოფს.

ესმა რა თეგუთარს სიდიდე უდაბნოსა ოპიზისა და შემკობა მისი პატროსნითა ხატითა და კანდელოთა მიერ აღსავსეობა, იწება წარმოლება მისი, და წარმოაქლინა ვითარ ათასი მკედარი, რათა მოაოვრონ. ხოლო წარვიდეს მთისა გზასა, რომელი მევალს კარჩხალთა კერპო. გარნა არა დაიდუმა მსჯაერმან ზენამან, რამეთუ ეგოდენნი წმიდანი მამანი, რომელ მას ეამსა ბრწყინვიდეს ოპიზას; სასწაულთა ნიშთა მიერ გაბრწყინვებულნი და მინდობილნი წინამორბედისა იოანესნი, წარმართთა მიერ მოწყუედილნი. და კორჯი იგი, დაუდუმებელი ღმრთისა ქადაგი, არა უპატიო-ყო ღმერთმან. ამისთვის დაიცვა საყოფი თვისი და მოუვლინა ნისლი და სიბნელე, და ვერღარა ვიდოდეს ფერკითა საძაგელითა, რამეთუ მიხლებულ იყვნეს უდაბნოსა, და დადგეს მთისა მის ძირსა, რომელსა | ეწოდების ძეგლი, რომელსა ზედო შენ არს ეკლესია წმიდისა გიორგისი, რომელ არს შორის ოპიზას და მიძნაძორს. მაშინ მოხედნა წყალობით სამკვდრებელსა თვისსა იოანე ნათლისმცემელმან, მსგავსად ყოვლად უბიწოსა ვლაქერნისა ღმრთისმშობელისა, და მოავლინა ქარი სასტიკი მთისა ღაღოსა და ხორშაკი და სეტყუა და წვმა მძაფრი, და აღდგეს ღელვანი, ვითარცა შუა ზღუასა და წარმოეცა წყალი მძაფრი, და იქმნა მდინარე დიდი, რომელი განსწორდა ვიდრე წუქერადმდე ძეგლისა, რომელი აწცა იხილვების დიდი იგი ნალუარევი, რომელი შთავალს მართლ ზედა წყალსა შავშურსა. მოეტევა წყალი და წარიხუნა თათარნი სრულიად, კაცი და ცხენი, არა დაშთა თვნიერ კიდე ერთისა

m 609  
R 428b

T 307a

Q 198b

M 857

R 429a

1 ნათლისმცემელმან Mm. 3 პეროდესი Mm. 5 სამყოფი TR. 6 სამყოფი TR. მწთეგუთარს]—MQTmR, თეგუთარ Dc. 10 წარმოვლენა Mm. 12 კარჩხალთა m, აკარჩხალთა M. 16 წინამორბედი m. 16 ონესნი M. 17 დაუდუმებელისა Mm. 21 მახლობელ Mm. 23 გიორგისა Mm. 24 შორის ყ ა უ ხ ჩ. ]—MQTmR. 24 მიძნა ჯვარს Mm, მიძნაძორას TR. 26 ეპაერნესა MQm. 28 ხორშაკი MQm. 28 და (სეტყუა) ჩგ. კ ო ნ ი ე ქ რ. 29 ზღუესა T. 32 ზედა]+ზედა Mm. 33 წარხუნა] წარტყუნა Mm.



კაცისა, და წარვიდა თხრობად თევუთარისა, ვითარცა  
 m 610 იობის ზედა დაღადისი, | ვითარმედ: „სახლი ღმრთისა  
 არს ადგილი იგი, საყოფი მონათა ღმრთისათა, ერიდენ-  
 T 307b ნით მუნ მისლვად“. იღვა მაღალსა არსიანის თავსა | და  
 მოვიდეს და რქუეს, ვითარმედ: „მოვიდა ლაშქარი დიდი 5  
 აბლასი და დადგეს მთასა არტანისასა, და ხვალე მოს-  
 ლვად არიან აქა“. ესმა თევუთარს და, რა გათენდა, აღ-  
 ყარა ბარგი და დედა-წული თვისი და უკუაყენა მთასა  
 მაგარსა კარისათა, რომელსა ერთკერძო შევალს გზა,  
 და თვთ ლაშქრითა და მეომრითა გარდმოიარა არსიანი. 10  
 აქათ სირმონ ჩამოვლო მთა ყუელისა. და მოვიდეს  
 ორნივე თავსა ყუელისასა, სირმონ წინადაუდგა, რომე-  
 ლი იყო ბრძოლათა შინა სახელოვანი, ეგრეთვე მე-  
 ბრძოლნი თევუთარისნი: სეგზი, ჯოლაქ, აბიშხა, თოლაქ-  
 M 858 დემურ, რომელთა დიდად | ძლიერი ომი გარდაიკვადეს, 15  
 და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ. და განგრძელდა ომი,  
 Q 199a იძლია თევუთარ და ივლტოდა დედა-წულისა კერძო,  
 მთასა დადოსასა ჳნალისთავსა, და მიუდგა უკანა სირმონ,  
 ხოლო თევუთარ დაუდგა სიმაგრესა მთისა მიწდობილი.  
 R 429b და კუალად | იქმნა ომი ძლიერი ორ დღე. და ვითარ 20  
 მისჭირდა თევუთარს, ივლტოდა უცნაურად, რომელიმე  
 აჭარით და რომელიმე ნიგალისკევით, რომელი ყოვლად  
 უვალ იყო კაცთაგან. და არა დასაჯერებელ არს კაცთა-  
 გან, უკეთუ ვისმე ეხილნეს მთანი იგი, რომელ წარვლეს;  
 რამეთუ ყოვლად შეუძლებელ არს სლვა კაცისა, არა 25  
 თუ ცხენისა, პირველ სიმყაფრითა და მერმე ტყისა სივ-  
 შირითა და შქერთა და ეკალთა, რომელსა ბურწუმელ  
 ეწოდების, განრთხმული ბრძამლითა, რომელი ნადირ-  
 T 308a თაგანცა უვალ იყო ადგილი, რომელი | შთავლეს. და  
 იქმნა ესეცა, რომელ განვლეს ტყესა ერთსა, ქუეშეთ 30  
 კლდიანსა და ზედათ მცირისა მიწისა მქონებელსა, და  
 ზედა მოშენებულ იყო ტყე, გაღმართ განმაველთა წარ-

3 სამყოფი T. 3—4 ერიდენი m. 4 და|—T. 6 აშალასი Mm. 7—8 აღყარა] აიყარა  
 Mm. 11 აქეთ MTm. 13—14 ბრძოლანი MQ, ბრძოლადნ ი m. 14 ჯოლაქი Q. 14 აბიშ-  
 ხანოხი MQm, აბიშხანოხი TR. 14—15 თელქა დემურ M. 16 განგრძელდა|—ორგნითვე  
 T. 17 კერძო] მიერ Mm. 21 თევუთარ MQm. 21 უცნაურთა MQ, უკანართა m. 22 და|—  
 MQm. 22 ნიგალისკევთა Q. 23 დაჯერებულ MQm. 24 ვინმე იხილნეს MQm. 25 რა-  
 მეთუ|—MQm. 25 ყოვლად] შემდგომად MQm. 25 შეუძლებელ] შესაძრწუნებელ  
 MQm. 26 და|—MQm. 27 ბურწუმელა T, ბურწუმელ Q, ბურწუმელ Mm. 28  
 ბრწამლითა T, ბრძლუამლითა MQm. 29 რომელ MQm. 30 ქვეშე Mm. 32 ზედათ m.

უსკდა მთა იგი, ვითარცა ზუავი თოვლისა, კაცსა ვითარ  
ათასსა, | დედა-წულისა მქონებელსა, და შთავიდა ჯევსა  
აქარისასა, და დაიპყრა ცხენი და კაცი და ყოვლად  
უჩინო-ყო, და ესრეთ საწყალობელად მოისრვოდეს. და  
ჯერეთცა ადგილსა მას სთხრიან მაჭარელნი და ჰპოებენ 5  
სამკაულთა დედათასა ოქროსა და ვეცხლისასა.

ჩაიარეს აჭარა და ნიგალისკევი, და მერმე შეიარეს  
გურია და მივიდეს ქუთათისს მეფესა დავითს წინაშე.  
ხოლო იგი სიხარულით მოეგება და სერი დიდი განუმ-  
ზადა: ხუთასი ზროხა მოხარშული დაუდვა, თვნიერ ღო- 10  
რისა და ცხურისა კიდე, | და ლაშქრისა | გამოსაზრდე-  
ლად მასვე დღესა ცხენი ექუსასი, ზროხა ათასხუთასი,  
ცხოვარი ორი ათასი, ღორი ორი ათასი. ესე მას დღესა  
მოიღო თეგუთარს წინაშე, და მან განუყო ლაშქართა,  
რომლისათვის დიდად განკვრდეს თეგუთარ და სპანი 15  
მისნი, ხოლო ღვინის ამარი არა იყო, მოიღეს ურმითა  
და ჭურითა და აღმოასხმიდეს.

ესრეთ კულად ისტუმრნა მეფემან დავით, რომელი  
იყო უხვი და მდაბალი, და მეცნიერი ყოვლისა საქმისა,  
და სახელისა მომხუეველი. ესე, ვითარცა მონა, დაუდვა 20  
წინაშე სასამსახუროდ თეგუთარს. ეგრეთვე დედოფალ-  
მან, ასულმან მალღისა კელმწიფისამან, პალიალოღოს  
კოსტანტინეპოლის მეფის ასულმან<sup>26</sup>, ამანცა ეგრეთვე  
პატივ-სცა ცოლსა თეგუთარისსა, და გაუშინაურდეს  
ურთიერთას და მიენდგნეს და ზედასაზედა მივიდის 25  
დავით მეფე თეგუთარს წინა და განუჩინის ყოველივე  
წესი და რიგი მისი, და ესრეთ იყოფოდა წინაშე მისსა.

და ვითარ შეიქცა სირმონ გამარჯუებული ყაენს აბა-  
ლას წინაშე, მოვიდა კაცი გზათა მცველთა ხუარასნით,  
ვითარ: „შეიძრა ულუსი დიდი თურანისა, და ყაენი 30  
დიდი ბარახა გამოვიდა ჯეონსა უმრავლითა ლაშქრითა“,  
რამეთუ ბარახა პაემანსა გამოსრულ იყო, და თეგუთა-  
რის გარდახუეწა აუწყეს. ვითარცა ესმა აბალას, განკვრ-

2 დედაკაცისა წულისა Mm. 6 დედასათა M. 11 და (ლაშქრისა)—m. 13 ცხოვე-  
რი+ორი T. 13 ღორი+ორი T. 15 განკვრდენ T. 16 ღვინისა Q. 16 ჰამარი T.  
17 და (აღმოსახმიდეს)—m. 17 ამოსხმდეს Mm, ამოსხმიდეს Q. 21 წინაშე)—Mm.  
21 სასახუროდ T. 23 მღერის M. 23 ეგრეთ Tm. 24 ცოლსა თეგუთარისსა)—  
Mm. 26—27 ყოველივე წესი და რიგი მისი De]—MQTmR. 27 წინაშე მისსა De] —  
MQTmR. 28 ყაენს MQ, ყენს m, ყაენს T. 28—29 აშალას Mm. 30 ყანი MQ, ყენი  
m, ყაენი T. 31 უმრავლითა TR. 32 ჰამანსა T, ჰემანს m. 32 და]—m. 33 აშალის Mm.

- m 612  
R 430b  
M 860  
T 309a  
Q 200a  
R 431a
- და. მოუწოდა ყმათა მისთა და ყოველთა ქართველთა.  
რამეთუ მეფე დავით შვილის სიკუდილითა | დაუძღურ-  
და, ეგრეთვე წარვიდა ყოვლითა ძალითა მისითა. | ხუ-  
რასნით კერძო, და მივიდეს პერს და მიერ მინდორსა  
ამოსისასა, დაეახლნეს ურთიერთას. წარავლინნეს მეფე  
და სპანი მისნი წინათ, რათა დაიცივნენ ლაშქარნი მისნი  
დასახმისაგან ბარახასა და ულუ|სი და სპა მისი განიცა-  
დოს. და სხუანიცა ნოინნი წარგზავნა წინაწარსლვად,  
ვითარ ოთხსა გინა ხუთსა მილიონსა. ამცნო, რა იხი-  
ლან სპა ბარახასი, რომელი მათვე შემოეყენა, გარე-  
უკუნეჩქცეს. ამათ წინა შორს მდგომთა ყარაულად უწო-  
დიან ენითა მათითა.
- და წარვიდა მეფე და ყარაულნი თათართანი აბალას-  
ნი, და ვითარ ვლეს ორი დღე, დადგეს ადგილსა ერთსა  
მიმწუხრი და, ცისკარი რა მოეახლა, იხილეს მტუერი  
დიდი ამოსის მინდორსა ამაღლებული ვითარ ღრუბე-  
ლი. ცნეს, ვითარმედ ბარახასი და სპისა მისისა არს.  
აეკაზმნეს მეფე და სიქდურ, და ენება | სიქდურს გარე-  
უკუნეჩქევად ბრძანებისაებრ<sup>27</sup> აბალასა, და რქუა მე-  
ფესა: „ჩუენ ყარაულნი ვართ, და ლაშქართაგან მცი-  
რედნი, და, აჰა, განგვცდიან ლაშქარნი, და წარვიდეთ  
ყაენს წინაშე და ვაცნობოთ მოსლვა მისი“. ხოლო მე-  
ფემან რქუა: „არა არს წესი<sup>28</sup> ჩუენ ქართველთა უკუე-  
რა ვიხილოთ მტერი ჩუენ კერძო მომავალი, შეუბმელად  
ზურგი შემოვაქციოთ, დაღათუ იყოს სიკუდილი“. ვი-  
თარცა ესმა თათართა, განკვრდეს და განწყურეს, და  
ზედამოუჯდეს მეფესა და ეტყოდეს: „არა იცი, რასა  
იქმ! არა გაქუს ბრძანება აბალასი, უმისოდ შებმა დი-  
დისა ყაენისა. თქუენ, ქართველნი, უცნობონი ხართ და  
არა იცით საქმე“. და მრავალსა ევედრებოდეს მეფესა  
| და ყოველთა სპათა მისთა, და ბოროტს-ყოფასაცა.

1 ყრმათა M, ყმათა Dc, ყ<sup>ა</sup>თა Q. 2—3 დაუძღურდა | დაუძღვლდა MQm.  
3 მისთა | + წარვიდეს QT. 5 ურთიერთას T. 6 წინათა m. 7 ბარახასა | — Q. 8 წინ  
წარსკლად m. 9 ამცნონ MQ. 10 შემოეყენა m. 17 შემოეყენა | + და MQTmR.  
13 თათარნი Q. 13 აშალასნი Mm. 14 და | — T. 14—15 ადგილსა ერთსა მიმწუხრი  
Dc | — MQTmR. 15 რა | — MQTmR, რა Dc. 16 ამოსი MQm. 17 ვითარმედ | ვი-  
თარ MQm. 19 ბრძანებისაებრ ჩ. ე. კონიექტ., შიშისაებრ MQTmR. 19 აშალას  
Mm. 21 აჰა MQ. 22 ყანს MQ, ყენს m, ყანს T. 22 მისი | მათი T. 22—23  
მეფემან | + დავით m. 27 მეფესა | + დავითს m. 28 აშალასი Mm. 29 ყანისი MQ,  
ყენისი m, ყანისა T. 29 უცნობნი m. 30 მრავალსა T, მრავალ MQm. 31 ბოროტ-  
ისი M.



- M 861 | აქადებდეს აბალას მიერ, გარნა ვერ არწმუნეს უკუნ-  
ქცევა. მაშინ წარავლინეს მსწრაფლ კაცი ყაენს წინაშე  
და აცნობეს: „აჰა, მოვიდა ბარახა დიდითა ლაშქრითა  
და ჩუენ ვხედავთ მტურსა დიდსა, ამოსისა მინდორსა  
სრულიად მტურებითა დაბნელებულსა, და ჩუენ ბრძანე- 5  
ბისაებრ თქუენისა გუნებაეს გარეშექცევა და წინაშე  
m 613 შენსა | მოსლვა, გარნა ქართველნი უცნობოქმნილნი  
არა მოვლენ ჩუენ თანა, ამას იტყვან, ვითარმედ: „არა  
გუაქუს ჩუეულება, რათამცა მტერი თუალითა ვნახოთ  
და გარეშევიქცეთ“. აწ არა თუ შენ, ყაენი, მოხვალ და 10  
შენ განაგებ, ჩუენ განგვწირავს თავნი ჩუენნი სიკუდი-  
ლად, და ისწრაფე შეწეენად ჩუენდა“.
- T 309b ვითარ მოიწია მოციქული და ესმა მოსლვა | ბარახა-  
სი და ყარაულთაგან არა მორიდება, განკვრდა და  
მსწრაფლ აკვედრდა სპითა მისითა, და წარისწრაფა და 15  
მიესწრა რაზმწყობილთა და მოიყვანა მეფე და რქუა:  
„ვიცი სიმკნე თქუენი ბრძოლათა შინა. თქუენ, ქართველ-  
ნი, ურჩნი ხართ და შმაგნი. უკეთუმცა ნოინს რომელ-  
R431b სამცა ექმნა, მო-მცა-გკალ. ამისთვის არა ბრალეულ-|გყო,  
რამეთუ უმეცარნი ხართ წესისა ჩუენისანი. აწ დადეგ 20  
წინათ ლაშქრითა შენითა“. ხოლო მეფე გარდაკდა ცხე-  
ნისაგან, თაყუანი-სცა და რქუა: „დიდო ყაენო, არა არს  
ჩუეულება ქართველისა, რათა მტერი იხილოს და ზურ-  
გი შემოაქციოს. აწ ბედნიერმან თულმან ყაენისმან  
გვპილოს, რომელ დავდვათ თავი ჩუენი სიკუდილად“. 25  
და წარვიდა | მეფე და დაეწესა წინა კერძო. ხოლო  
M 862 დიდი იგი და მკნე აბათა ნოინი, რომელი იყო მკედართ-  
მთავარი, რომელ არს ამირსპასალარი, მარცხენასა მკარ-  
სა, სირმოწცა. დიდი იგი ბულაცა მარცხენითვე: სიქ-  
დურ, ტოდან-ბულა, ჭინილის, არღუნ-ალა და იას-ბულა 30  
მარჯუენით, და სხუანი ნოინები გააყენეს მარჯუენით  
Q 200b და მარცხენით. ეგრეთვე | რაზმწყობილი ბარახა მოიწია.

1 აშალას Mm. 1 ვერ] ვერა m. 2 ყანს MQ, ყინს T. 3 ეზა Mm. 4  
დიდისა Mm. 4 ამოსისა MQm. 4 მინდორსა Mm. 7 უცნობო ქმნილნი T. 10 ყანი MQ,  
ყინი T. 18—19 რომელსამცა] რასამცა Mm. 20 დადექ Mm. 22 თაყუანისცა Mm.  
22 ყანო MQ, ყენო m, ყარო T. 24 აწე MTm. 24 ყანისმან MQ, ყენისმან m,  
ყინისმან T. 27 აბათა ნოინი] აბალა ნოინი Q, აბილანონი M, აშალა ნოინი m, აბა-  
თან ნოინი T. 29 შულაცა M, შულაცა m. 29 ბულაცა]+აშალაცა Mm, აბალაცა Q.  
29—30 სიქრდუნ MQm, სიქადურ T. 30 ტონდ ბულაყანი MQ, ტონდ ბულაყანი m,  
ტონდა ბულა ჭინილის T. 30 არღუნ-ალა] არღუნ ალას TR, არღუნ MQm. 30 იას შუ-  
ლა Mm. 32 მოიწია Dc, მოახლოვდა გორგ.]—MQTmR.

	მაშინ გამოჩნდა კაცი ერთი, სახელით ალინაყ, კაცისა თავადი და არა საჩინოსა გუარისა, არამედ ტანიოთა დიდი და ახოვანი, ძლიერი ძალითა და უშიში მკნედ, და აღმატებული სიტურფითა, ჰაეროვანი და შეუნიერი. ამან ითხოვა აბათა ნოინისაგან, რათა ფარ- 5
T 310a	მისცა სათხოველი ესე აბათა ნოინმან. და ამას შინა მოეახლნეს ორნივე სპანი ურთიერთას, და იქმნა ომი 10
m 614 R 432a	დიდი და საშინელი. ამან ზემოკსენებულმან ალინაყ წინაშეუტევა რაზმსა მათსა, და განაპო და განვიდა რაზმსა მათსა ყოვლითა მოყუსითა მისითა, შეკრბა და იწყო თქუმად ალა ალასა, და მოიქცა და კუალად განხეთქა რაზმი მათი და გამოვიდა აქათ. და მეორედ კუალად მიმართა, დაფრიწა რაზმი და განვიდა იქით და იწყო თქუმად ალა ალასა. ხოლო ქართველთა ძლიერად იწყეს ომი, რამეთუ თვთ ხედვიდა ყაენი, რომელ წინამდგომთასა მეფემან და სპათა მისთა უწინ შეუტევეს და სივლტოლად მიდრიკნეს. ეგრეთვე აბათა ნოინმან ძლიერად ილუაწა ესოდენ, რომელ ოხჰანსა შინა ომისასა სრულიად შეკურვილი კაცი აღილო უნაგირისაგან და ტახტასა თვისსა შემოიდვა, და აქუნდა სრულსა ომსა შინა ჯელთა, ვითარცა არწივსა კაკაბი. ეგრეთვე სირმონ ილუაწა ძლიერად, და ყოველნი მათკერძონი სივლტოლად მიდრიკეს. ხოლო ბარახა ყაენი შეემთხვა მარჯუენით აბალასთა — სიქდურს, ტოლან-ბულას, ჯინილის და არღუნ-ალას. ესენი მსწრაფლ სივლტოლად მიდრიკნა ბარახა, ვიდრე მეორე დღე ამათ სდევნიდა, ხოლო აბალა ორ დღე მათ სდევნა და ვერც ცნეს რაზმისა სიგრძისაგან, თუ რა შეემთხვა. ხოლო ვითარცა ბარახა გაქცევა და ამოწყუეტა სპათა მისთა, დაბრუნდა. ეგრეთვე 30
M 863	

1 სახელით]—m. 1 ახლესა Mm. 3 ძლიერი M. 5 აშაღა Mm, აბაღა Q. 5—6 ღარმანა MQm. 6 და ოდესცა NQm. 7 აშაღა Mm, აბაღა Q, აბათან T. 9 ალინაყა Mm. 10 წინ შეუტევა m, წინა შეუტევა M. 10 რაზმსა მათსა]—T. 12 თქუმად]—Mm. 13 მეორედ] მესამედ MQm. 15 ალესა]+ ვდრე MQTmR. 16 იწყეს ომი] იბრძოლეს T. 16 ყენი MQ, ყაენი T. 17 შეღრჯეს Mm. 18 მიდრიკეს Mm. 18 აშაღა Mm, აბაღა Q. 21 თავისსა M, თავისსა m. 24 მიდრიკეს MTm. 24 ყაენი MQ, ყენი m, ყაენი T. 25 აშაღასთა Mm. 25 ტონღა შულას Mm, ტონღა ბულას QT. 26 მიდრიკნა MQm. 27—28 აშაღა Mm. 28 სდევნიდა T. 28—29 ~თუ რა შეემთხვა რაზმისა სიგრძისაგან Mm. 29 ხოლო] და MQm. 29—30 გაქცევა MQ. 30 დაბრუნდა]+ხოლო T.

აბალაცა, და შეიმთხვევნეს კუალად ურთიერთას, და  
 განეწყუნეს. ვითარ იხილა აბათა ნოინმან ბარახა, აღი-  
 ლო შუბი და მარტომან მიმართა რაზმსა მათსა, რამეთუ  
 იყო ესე აბათა ნოინი კაცი ტკბილი და სახიერი, და  
 ახოვანი ბეჭითა და მკერდითა, მსგავსი ლომისა, უშიში, 5  
 ძლიერი, შემმართებელი | და ჰაეროვანი, და სიტურფე-  
 აღმატებული. და ვითარ მიახლდა | სპა მი|სი, სდევნეს  
 და მოსწყვდნეს სული ურიცხვ და ტყუე-ყვეს, და ეს-  
 რეთ განმარჯუებულნი მოვიდეს ურდოთა მათთა შინა.  
 ხოლო ვითარ იყო ყაენი აბალა ხუარასანს ბრძოლად 10  
 ბარახა ყაენისა, | მაშინ ზემოცსენებულმან თეგუთარ  
 წარმოავლინა სამნი მკედართმთავარნი მისნი დედა-წუ-  
 ლითა და ბარგითა | მათითა, სახელით სეგზი-ბადურ, 15  
 და აბიშხა, და თოლაქ-დემურ, და მეოთხე ჯოლაქ. წარ-  
 მოვიდეს და მოვიდეს, და დადგეს მათსა ზედა, რომელი  
 აღმოვალს შტოდ კავკასისა, რომელ არს ლიხი. და ვი-  
 თარ წარვლეს დასავლით კერძო, რომელსა უწოდენ 20  
 ლადოდ. და ამათსა შესაყარსა დემოთისასა, დადგეს თა-  
 თარნი ადგილსა, რომელსა ეწოდების ლომისთავი, და  
 მიერ არბევდეს ჯავახეთსა ვიდრე ფარავანამდე. მაშინ 25  
 მუნ მდგომთა თათართა ჩამოვლეს ეკერისცევი და გან-  
 ვლეს აწყურს ზედა ფონი მტკურისა და განვიდეს ჯავა-  
 ხეთს. დახუდა ჯოგი კახა თორელისა, რომელსა აქუნდა  
 პატივად მეჭურჭლეთუხუცესობა, და ყურუმჩის ვისმე  
 ჯოგი, ათასისა მკედრისა თავადისა, არა აღინაყისა შვი- 25  
 ლისა ყურუმჩისა, არამედ სხუსა ვისმე. და წარმოიღეს  
 და მომართეს სადგურსა მათსა ლომისთავსა. ესმა ყუ-  
 რუმჩი-ბადურსა და მოუწოდა კახას თორელსა და დევ-  
 ნა-უყვეს. ხოლო თეგუთარიანნი განსრულ იყვნეს მტკუ-  
 არსა, სადა მოერთვს წყალი გურკლისა, და ესენი მივი- 30

Q 201a  
R 432b  
T 310b

m 615

M 864

1 აშალა Mm, აბალა Q. 2 აშალა ნონ Mm, აბალა ნონ Q, აბათა ნონმა T.  
 3—4 რამეთუ იყო... და სიტურფელმატებული—TR. 5 აშალა Mm, აბალა Q.  
 4 გონიერი და სახიერი m (სახიერი ჩამატ.). 6 ჰაეროვანი M. 7 და ვითარ] + და  
 ვითარ m. 7 მიახდა Mm. 7 მისი]+ და Mm. 8 მოსწყვდეს Mm. 8 და (ესრეთ)]  
 —m. 9 შინა—Mm. 10 ყანი MQ, ყენი m, ყინი T. 10 აშალა Mm. 11 ყა-  
 ნისაგან MQ, ყენისაგან m, ყინისაგან T. 13 სახლით Mm. 14 ბიშახა M, ბიშალა m,  
 აბიბახა T, აბიშახა Q. 14 და მეოთხე] დამოთხე M. 14 ჯოლაქა MQT, ეოლაქა m.  
 16 აღმოვალს Q, აღმოვიდეს Mm, აღმოვიდეს T. 17 რომელსა უწოდენ QT,  
 რომელ არს Mm. 20 ფარავანამდე MQ, ფანავანამდე T. 21 მუნ De] — MQTmR.  
 25 მკედრისა თავადისა De, ~ თავადისა მკედრისა MQTmR. 25 აღიყანისა Mm,  
 აღიყანისა Q. 26 არამედ სხუსა ვისმე De]—MQTmR. 28 კახს T.

- R 433a დეს პირსა მტკურისასა. რამეთუ იყო სიმრავლე ფრია-  
T 311a დი თათართა და | ქართველთა სპისა, მათი რამეთუ მცირედნი იყვნეს, იძიეს ღონე. თოლაქ-დემურ განვლო მტკუარი ოცდაათითა კაცითა უგრძნულად, და სხუანი დაუდგეს პირსა მტკურისასა. თოლაქ-დემურ აღვლო ჰევი და აღვიდა ქედსა, და აღაბა აღამი რამე სახედ<sup>29</sup> დროშისა, და მოეტევა კმითა მალლითა. და ვითარ იხილა ყურუმჩი-ბადურ წინათ და უკანაკერძო | ლაშქარი, ჰგონა სიმრავლე სპისა მის და შემინებულ იქმნა და ივლტოდა მსწრაფლ შემფოთებული, სადა-იგი სიმრავლე მოიკლა კაცთა კეთილთა, და ორთა კობტელთა მიიღეს აღსასრული. და სამძივარი ცხენმოკლული ცურვით | ივლტოდა და აწყუერს შევიდა. მკედართმთავარი თათართა ყურუმჩი-ბადურ მოიკლა, და უწყესოდ დაბნეულნი, გზისა მეოტისა ვერ|დამპყრობელნი შეივლტოდეს მთად რუგეთისა, აღმართსა ძნელ-საველსა, რომელსა ჰქვან კვრიკეწმიდა. დაბრუნდეს და გამარჯვებულნი მივიდეს ყაენის ძმისა, თეგუთარის, თანა. და აღადებული თეგუთარ გარდამოვიდა ქართლს და მოაოკრებდა ყოველსა ქართლსა.
- მაშინ ევედრა ყაენი აბალა მეფესა დავითს, რუსუდანის ძესა, რათა არღარა შეეწიოს და არცა შეუშვას თეგუთარ და ნიჰთა დიდთა აღუთქმიდა. რამეთუ იჰვისა შქონებელი ლალატისა, თეგუთარის ყმათაგან განცხადებულად მცნობელი, თვნიერ თეგუთარის კითხვისა ერჩიდა აბალას დავით მეფე, და შეკრა გზანი, რომელ არღარა შეისლვებოდა ცხენითა. ხოლო თეგუთარ არა უწყოდა.
- R 433b

1—2 ფრიადი]—T. 2 თათართა T, თათრისა MQm. 2 მათი]—T. 3 თოლაქ Mm. 4 უგრძნულად M, უგრძნელოდ m. 5 მტკურისასა M. 5 ავლო Mm. 6 სახედ] სხვა Mm, სხუა QT. სახეთ გორგ. 8 ყურუმჩი Mm. 8 ლაშქარი]—Mm. 9 სიმრავლე]—T. 9 სპისა მის Dc, სპისა მათისა გორგ.—MQTmR. 10—11 სამძივარი TR. 11 მოიკლა] მოკლა MQTm, მოიკლა გორგ. 14—15 დაბნეული M. 17 კვრიკე წმინდა Mm. 18 ყანის MQ, ყენის m, ყანის T. 21 ყანი MQ, ყენი m, ყანი T. 21 აშალა Mm. 21 მეფესა]—m. 23 თეგუთარ და]—MQm. 23 ნიჰსა Q. 24 ლალატისა ჭაეახ., ლალატსა MQTm. 26 აშალას Mm. 26 დავით მეფე T]—MQm. 26 შეკრნა M. 26 რომელ]—MQm. 27 ხოლო]—MQm.

- T 311b და ვითარცა ცნა ამაღლა, რამეთუ არღარა შეეწევის მეფე დავით, — გარნა წერილ არს, ვითარ აფროსინელთა შინა სიტყუა, იტყუეს ვინმე, იბრძოლებოდეს რა ანტიპატროს და ყრმა კასანდროს მოაკუდინა<sup>30</sup>, — ცნა აბალა ყაენმან და წარმოავლინა მკედართმთავარი მისი სირმონ-ბადური და სსუანი მთავარნი ნორინი, და სპისა სიმრავლე, და მოვიდეს თრიალეთს, და მოუწოდეს მეფესა დავითს და სპათა მისთა. რამეთუ მეფე სნეულობდა მას ქამად, და წარმოავლინა ყოველნი მთავარნი მისნი სირმონს წინაშე, და შთავიდა სირმონ ქართლად.
- M 866 და ცნა თეგუთარ მოსლვა სირმონისი, წინაგანაწყო სპა მისი, და იქმნა ბრძოლა ძლიერი და მოსწყდა ორგნითვე ურიცხვ, და ესწრა ღამე და გაიყარნეს. რა გათენდა, განემზადნეს და განეწყვენეს ურთიერთას პირისპირ. იქმნა ბრძოლა ძლიერი, და სპა მეფისა წინამბრძოლობდა. და ვითარ აღერივნეს ურთიერთას, ივლტოდა სპა თეგუთარისი, მიმოდიაბსივნეს, მოისრნეს და უჩინო იქმნეს. დარჩა თეგუთარ და ძე მისი მცირე უღონოქმულნი, მივიდეს სირმონს თანა, და ევედრა, რათა ყაენი აბალა იხილოს მან და ძემან მისმან. ისმინა სირმონ, გარნა დააპატიმრნა და აღიღო ტყუედ დედა-წული მისი და ყოველი<sup>31</sup> სიმ|დიდრე და ბარგი და საქონელი და ჭოგი, დე მივიდა აბალას წინაშე, და მიიყვანა თეგუთარ და ძე მისი. ზოლო აბალა არა ავნო, რამეთუ იყო კაცი მოწყალე და შემნდობელი, ვითარ ზემორე ვთქვთ, და წარგზავნა ქუ|ეყანასა ერაყისასა, და მისცა ათორმეტი კაცი მას და ძესა მისსა, საზრდელი და შესამოსელი უხუად, ქორ-შავარდენი და ავაზა, და განუჩინა სარ|ჩომი, რომელ არა აკლდეს, და მცველნი დაუდგინა, რათა არღარა გაუშვას მამულსა მისსა. და ესრეთ განსუენებულ იყოფოდა და აღსრულდა.
- m 617
- R 434a
- T 312a

1 აშალა Mm. 1 შეეწევის Mm. 2—5 გარნა წერილ... აბალა ყაენმან]—TR.  
 4 აშალა Mm. 5 ყანმან MQ. 5 წარმოავლინეს MQm. 6—7 სიმრავლ Mm. 7 მოუწოდეს] მოუვიდოდეს MQm (Q აშაზე; მოუწოდა). 10 წინაშე] თანა MTm. 11 წინა განეწყო MQm. 14 განემზადნეს]—Mm. 16 აღერივნეს Mm. 16 ურთიერთას]—Mm. 17 მიმოდიაბსივნეს]—Mm. 18—19 უღონოქმულნი D., უღონო მქნილნი გ ო რ გ., უღონო იქმნა MQTm. 19 მივიდა MQTm. 20 ყანი MQ, ყენი m, ყანი T. 20 აშალა Mm. 22 ბარგი და]—Mm. 23 აშალას Mm. 24 აშალა Mm. 25 შემდობელ M, შემდობელი m. 29 და] რა m. 29 დაუდგინა] გაუჩინა Mm.

და ყაენმან აბალა მრავალნი ნიჭნი და ძღუენი წა-  
რავლინა მეფესა და ვითს წინა და ქართლს მრავალნი სო-  
ფელნი და ატენი მისცნა<sup>32</sup>.

- მაშინ წარვიდა ყაენი სიბად და თანაწარიტანა და-  
ვით მეფე. დაყო ეამი ზამთრისა და, რა ზაფხული მოი- 5  
წია, წარმოვიდეს. და მგზავრ მომავალსა მეფესა შეედ-  
ვა საღმობა მუცლისა, და ვითარ მკურნალთა ვერ უძლეს  
კურნებად, მაშინ ევედრა ხატსა მას მარტომყოფისასა,  
და მივიდა მის წინაშე, ვითარ ჩუეულ იყო, რამეთუ  
პირველ ამისსა მუცლისა სნეულებითა შეპყრობილ იყო 10  
და, ვითარ მკუდარი, იღვა უსიტყუოდ, და აღედგინა  
ხატსა გორცმესხმულისა ღმრთისასა. ხოლო აწ | არღა-  
რა პოვა ლხინება ამისთვის, რამეთუ მოაკლო ღმრთის-  
მსახურება და იწყო რღუევად საყდართა და შლად.  
ამისთვის აღიღო ღმერთმან კელი წყალობისა, და პირველ 15  
წელთა მოკუდა ძე მისი პირმშო, გიორგი, სიკეთეადმა-  
ტებული, და აქა მიიცივალა დავითცა მწუხარებითა ძისა-  
თა. და ესუა სხუაცა ძე კეთილმოცსენებული, მკნე და |  
R 434b ქველი, სახელით დიმიტრი, რომელი შემდგომად მეფე  
იქმნა. ხოლო ამან დავით რა დაასრულა ცხორება, და- 20  
m 618 მარხეს სამარხოსა მეფეთასა მცხეთას. | ხოლო თქმულ-  
არს ესეცა, ვითარმედ წამლისა მიერ აღსრულდა, ცო-  
ლისა მისისა ესუქანის მიერ მიცემითა წამლისათა, ვი-  
თარ სიტყვსმოქმედი იტყვს მაკედონელისა მის დიდისა  
მიდოსით თავმტკივნეულობად მყოფისა და იქვსა წამ- 25  
ლისასა მიდოს და ანტიპატროს მიერ მიცემისა<sup>33</sup>, ეგ-  
რეთვე დავითისდა თქმულ არს ესუქანის მიერ შურისა-  
თვს ბასილი უჯარმელისა, რომელი მოაკუდინა მეფემან  
T 312b უწყესობისათვის: თანაეყო ბასილი ესუქანს | და არა  
რიდა საწოლსა პატრონისა მეფისასა, და ჩოჯანიცა აღი- 30

1 ყაენა M, ყაენმან T. 1 აბალა Mm. 2 წინაშე T. 4 ყანი M, ყენი m,  
ყანი T. 4 საბას T. 4—5 მეფე დავით T. 5 დავო ღამი T, და იყო ღამი M, და  
იყო დღე m. 7 და]—Mm. 8 ავედრა M. 8 მას]—T. 9 მას] მას Mm. 11 უსიტ-  
ყუოდ Mm. 12 აწ]—m. 17 დავითცა M, და ვა m, მეფე დავით T. 17—18 ძისა  
თვისისათა T. 19 სახელით დიმიტრი Dc]—MTmR. 20 დავით]—Mm. 20 რა] არა m.  
23 ესუქანის T,—Mm. 23—27 ვითარ სიტყვსმოქმედი... ესუქანის მიერ]—TR. 24  
მაკედონელისა Mm. 25 მყოფისა M. 26 ანტიპატროს M, ანტიპატროს m, ანტიპატ-  
როს Dc. 26 მიცემით m. 27 დავითისდა] დავითს Mm. 27 თქმულა M. 27 ესუ-  
ქანის Mm. 28 ბასილ M. 29 ესუქანს Mm. 30 საწოლისა Mm. 30 პატრონისა TR,  
პატრონისა Mm, პატრონისასათ გ ო რ გ.

ჯადა და მთავრობა მიიტაცა. ამის უწესობისათვის მოიკ-  
ლა ბასილი.

ვინათგან მოიწია მწუხარება უნუგეშინისცემო ყო-  
ველთა მკვდრთა საქართველოსათა, რამეთუ მიიცვალა  
მეფე დავით, იგლოვეს წესისაებრ, და მრავალი ნიჭი 5  
მისა. გარნა მწუხარე იყვნეს მთავარნი, რამეთუ მეფე  
დიმიტრი მცირე იყო და არა ძალ-ედვა მეფობა. ამის-  
თვის უმრავლესნი წარვიდეს და მსახურებდეს ყაენსა,  
რამეთუ ვერცა დავით მეფემან წუართნა ერისთავნი 10  
შიშისათვის ყაენისა.

მაშინ ზემოკესენებულნი<sup>34</sup> ღალღურ და რაჰის ერის-  
თავი, კახაბერი, შეიზრახნეს ურთიერთას, რათა განუდ-  
გენ მეფესა დავითს, რუსუდანის ძეს, და წარვიდეს  
ყაენს აბაღას წინაშე. და ეზრახნეს ალინაყს ბადურს, 15  
რომელი დგის მათა ჯავახეთისათა და მან აცნობა ყა-  
ენსა. ხოლო მან ნიჭნი დიდნი აღუთქუნა. და წარვიდა  
ღალღურ და კახაბერის ძე, კახაბერი, რომელი იყო  
თესლით ბოროტი, ვითარ გუაუწყებს წიგნი მეფეთა,  
ბაღუშისთა და ნათესავთა მისთა. რამეთუ მოიწივნეს 20  
ყაენს წინაშე, შეიწყნარნა, და მოუწოდა სირმონ ნოინსა  
და რქუა: „მეფე დავით ესეოდენთა განდგომილებათა  
იქმს, რამეთუ მისსა არა კმა იყოფს, და ყოველთა გან-  
დგომილთა ჩუენთა თანაშეეწევის, ვითარ თეგუთარს  
და აწ ღალღურს. ხოლო მე ნიჭნი დიდნი და პატიენი 25  
წინაუყვენ თეგუთარისთვის და | კუალად ღალღურ შეი-  
წყნარა. | აწ მნებავს, რათა შური ვიგოთ მის ზედა“. და  
ესმა კახაბერსა, და წარდგა და თქუა: „უკეთუ ნებავს  
ყაენსა შურის-გებად დავით მეფესა ზედა, მე მისთვის  
მოსულეარ, ვიცნი გზანი შესავალნი, და წარვასხამ ლაშ- 30  
ქართა, და ვგონებ, რომელ მეფე | კელთ-ვიგდო. და  
ღალღურცა იცის გზა და ძალი ქუეყანისა მათისა“.

M 868

R 435a

m 619

T 313a

M 869

1 და] Mm. 1 მიიტაცნა m. 8 დატრი Mm. 9 ყანს M, ყენს m, ყაინსა T. 10 სწვრთნა M, სწვართნა TmR, გამოსცვალას გორ გ. 11 ყანისა M, ყენისა m, ყაინისა T. 12 აღა-  
ღარ T, იღღურ გორ გ. 14 დავითქ T.—Mm. 14 წარვიდეს T. 15 ყანს M,  
ყენს m, ყაინს T. 15 აბაღას Mm. 15 ალიყანს MTm. 16—17 ყანს M, ყენს m, ყაინს T.  
17 აღუთქუა Mm. 18 ღალღურ] აღღარ M, აღღარ Tm 20 მისთასა T. 21 ყანს  
M, ყენს m, ყაინს T. 21 წინაშე mT, წინა M. 23 რამეთუ Dc.—MTm. 24 თა-  
ნა შეეწევის M. 25 ღალღურს Mm, იღღურს T. 26 აღღურ Mm, იღღურ T. 27  
ვიგოთ] ვიგდოთ Mm. 27 ზედა] თანა Mm. 28 და (წარსდგა)]—T. 29 ყანსა M,  
ყენს m, ყაინსა T. 32 აღღარცა Mm, აღღარცა T.





მაშინ უბრძანა ყაეხძან აბლა სირმონ ნონის, და  
 ალინაყს, და თაიჩოს, და აბჩის, რათა ილაშქრონ მეფის  
 დავითს ზედა. და შეკრბეს სიმრავლე ლაშქრისა სამი  
 ბევრი, და გამოვლეს თრიალეთი, და გარდავლეს მთა  
 ლიხისა, და ზედადაესხნეს ქუთათისს აბანოსა შინა  
 მყოფსა მეფესა. და ძლით შეესწრა ცხენსა, ერთითა  
 კაბითა მარტო ივლტოდა. ხოლო თათართა მოაოცრეს  
 ეკლესიანი და მრავალი სული ქრისტიანე მოიკლა | და  
 ტყუე იქმნა. და უენებელად მივიდეს ყაენს წინაშე. ხო-  
 ლო მეფე, საკვრველებით დაცული ღმრთისა მიერ,  
 განერა. და ვერ ესწრა მეფე ომსა მათსა, რამეთუ  
 მსწრაფლ უკუნეიქცეს თათარნი.

R 435b

T 313b

M 870  
m 620

წელსა მესამესა კულად წარმოვიდეს სირმონ და  
 ალინაყ აბლას ბრძანებითა შეპყრობად მეფისა, რამე-  
 თუ დაემსტურა კახაბერსა და არღარა ჰგონებდა მისლ-  
 ვასა თათართასა. დაესხნეს კულად. და მეფემან მიჰ-  
 რიდნა, და მოაოცრეს ქუეყანანი. და ვითარ ცნეს შეყრა  
 და ზედამოსლვა მეფისა, ივლტოდეს თათარნი მსწრაფლ  
 მასვე დღესა ტყუთა და ალაფითა.

ამათ ჟამთა სადღუნი მანკაბერდელი განდიდებულ იყო  
 უმეტეს ყოველთა | მთავართა მის ჟამისათა, რამეთუ  
 შეიყუარა ყაენმან აბლა, და იწყო ურვად საქმეთა სა-  
 ქართველოსათა, რამეთუ ასული პატრონისა მისისა, ავაგ  
 ათაბაგისა, შევედრა სადღუნსა, და ხუაშაქმან ეჯიბობა-  
 ცა მისცა.

მაშინ შეკრბეს თავადნი ქართველნი და დიდებულ-  
 ნი | და წარიყვანეს მეფისა ძე, დიმიტრი, ურდოსა. და  
 მივიდეს შანშეს ძისა ივანეს თანა მანდატუროთხუცეს-  
 სა, და წარპყვა იგიცა ურდოსა. და მიიყვანეს ყაენს წი-  
 ნაშე ურდოს და დაუურვეს მეფობა. და ვითარ იხილა  
 ყაენმან დიმიტრი, შეიწყალა, რამეთუ იყო ქმნულკეთი-

1 ყანმან M, ყენმა m, ყინმან T. 1 აშლა Mm. 1 სრმონონის Mm. 2 ალიყს MT, ალიყანს m. 2 თაიჩ M. 2 ილაშქრონ T. 8 სღუნი m. 9 ყანს M, ყენს m, ყინს T. 11 განერა. და ვერ ესწრა განესწრა Mm. 11 რამეთუ—Mm. 13 წარმოვიდა Mm. 14 ალინაყ ალიყად MT, ალიყადრ m. 14 აშლას 14—15 Mm. რამეთუ—Mm. 15 რა ემსტურა Mm. 18 მსწრაფლ+მსწრაველ M. 20 განდიდებულ იყო—Mm. 22 შეიყუარა ჯავახ., შეიბყრა MTmR. 22 ყანმან M, ყენმა m, ყინმა T. 22 აშლა M, აშლამ m. 24 სადღუნსა M. 24 ხუაშაქმან M, ხუაშაქმან T, ხუაშაქმაღო. 24—25 ეჯიბობაცა M, ეჯუბობაც m. 26—27 და (დიდებულნი)—T. 27 დატრა M. 28 შანშეს MT. 28 ონეს Mm. 28 თანა]+და MTm. [29 ურდოსა]+თანაჴო. 29 ყანს M, ყენს m, ყინს T. 30 დაუურვეს TR, ააურვეს Mm. 31 ყანმან M, ყენმან m, ყინმან T. 31 დატრი M. 31 შეიწყალა]+და შეიყუარა T.

R 436a  
ლი და შუენიერი ხილვად, და მოსცა ყოველი სამეფო |  
თვნიერ სარგის ჭაყელისა, და წარმოატანა თანა სადუნი,  
რომელსა უბოძა მეფემან დიმიტრი ათაბაგობა. და მო-  
ვიდა ტფილისს და დასუეს ტახტსა მამათა მათთასა, და  
აღასრულეს წესი კურთხევისა კათალიკოზმან და ეპის- 5  
კოპოზთა და ყოველთა მთავართა საქართველოსათა ჰე-  
რეთით, კახეთით, სომხითით, ქართლით და ჯავახეთით  
და ტაოთ, რომელნი შეკრებულ იყვნეს. და იყო მად-  
ლობა ღმრთისა და სიხარული დიდი, განცემა გლახაკთა  
და ობოლთა ზედა, რათა წარემართოს მეფობა დიმიტ- 10  
რისი, და კეთილად განგება საქართველოსა.

V

T 314a  
მათ! ეამთა იწყო ყაენმან აბალა ბრძოლად მეგვ-  
ტელთა მთავარსა და სულტანსა მისრისქასა ფუნდუყა- 15  
დარს. და წარავლინა სპა ძლიერი და მათ თანა სპა ქარ-  
თველთა. და აჩინა მეკდართმთავრად თოდან ვინმე ბა-  
დური, ნათესავით სალდუსი, მთავარი გარეთათა, და  
წარგზავნეს გზასა საბერძნეთით მიმავალსა შამად. და  
მიუმცნო სულტანსა საბერძნეთისასა ფარვანას<sup>2</sup>, რამე- 20  
თუ | უწინარეს ამის ეამისა აღსრულებულ იყო სულ-  
ტანი დიდი სალჩუქიანი ყიასდინ, და მონასა მისსა, ფარ-  
ვანას, მიეტაცა სულტნობა, და ცოლიცა მისი და ასული  
რუსუდანისა, გურჯი-|ხათუნ, მიეყვანა ცოლად, და მას  
აქუნდა ყოველი პონტო, ასია და კაბადუკია. ამას მიუმ- 25  
ცნო ყაენმან, რათა შეეწიოს სპათა მისთა.  
და წარვიდეს სპანი აბალასნი და მივიდეს ფარვანას  
თანა, და დაიბანაკეს ევხაიტს, რომელ არს ასურასტანი.  
და ვითარცა ესმა სულტანსა ფუნდუყადარს მისლვა  
თათართა, მოუქდა სპითა ეგვპტისთა და ზედადაესხა  
ეამსა ვანთიადისასა, და იქმნა ძლიერი ბრძოლა, სადა- 30

3 დატრი M. 4 ტფილისსა T. 4 მისთასა T. 6—7 ცრეთით MTmR. 10 ობო-  
ლთა|+და დავიდომილთა T. 10—11 დატრისა M. 13 ყანმან M, ყენმან m, ყანმან T.  
13 აშალა Mm. 16 თოდან| თონდა MTmR. 16—17 ვინმე+ბადური ჩვ. კონიექტ.  
17 სალდუხი T. 17 სალდუსი|+ბადურთა MT, ბადურთ m. 17 გარჯთათ Mm, გარჯთათ  
T. 17 და|—m. 19 ფარმანს Mm, ფარმანსა T. 21 ყიდანი Mm. 21—22 ფარვანს m,  
ფარმანს T. 17 და (ასული)|—T. 23 მიეყვანა Dc, მიეყვანა Mm, მიეყვანა T. 24 პონტო,  
ასია| ითატროსა M, პონტოთა ასია T. 25 ყანმან M, ყენმან m, ყანმან T. 26 აშალა-  
სნი Mm. 26 ფარვანს MT, ფარვანსა m. 27 ევტაიხას M, ევტახს m. 28 ფუნდუყარს  
Mm. 30 ~ბრძოლა ძლიერი m.

- იგი მკნედ ბრძოლა-უყვეს ქართველთა, რომელ თათართან  
ნი განკვრდეს. მაშინ თათარი ვინმე, სახელით მორღულ<sup>2</sup>  
მიეტევა მარტო რაზმსა არაბთასა, და განვლო შიგან და  
m 621 გამოვლო, და | მომავალსა ცხენსა მისსა უკანა ფერკი  
მარჯუენა მოკუეთა ვინმე ქუემდებარემან კაცმან სა- 5  
ოლავსა ქაჩახსა ზედა. იქმნა საქმე საკვრეელი, ივლტო-  
და სპა აბალასი და თოდან მოკლულ იქმნა<sup>3</sup>. წარმოვი-  
და ესე უფერკოთა ცხენითა, სამი დღე და სამი ღამე |  
T 314b ვლო. ეგრეთ მოკულა ცხენი.
- ვითარ ცნა აბლა ამოწყუედა ლაშქართა და უმე- 10  
ტეს ქართველთა, დაუმიძიდა დიდად, და შეასმინეს  
სულტანი საბერძნეთისა ფარვანა, ვითარმედ განზრახვი-  
თა მისითა იქმნა მოსლვა სულტნისა ფუნდუყადარისა.  
ამისთვის შეიპყრეს ფარვანა, დაღათუ არა ენება აბალას  
მოკლვა მისი, არამედ ნოინთა მოაკუდინეს ფარვანა, და 15  
M 872 აღიღეს || ყოველი სიმდიდრე მისი, და აჩინეს საბერ-  
R 437a ძნეთსა ნოინი დიდი და კეთილი, ნათესავი პირველთა  
ყაენთა, ონ-ხანისა გუარისა, სახელით ერინჯი<sup>4</sup>. ამას  
კვლო-უდვეს მთავრობა საბერძნეთისა. და წარუღეს  
აწყუერი სამცხეს, რომელი ჰქონდა ფარვანას ცოლუულ- 20  
თაგან, და უბოძეს ჯაყელსა სარგისს და ძესა მისსა, ბე-  
ქას.
- ვითარცა აღიზარდა მეფე დიმიტრი, დაიწყო საურ-  
ავთა საქმეთა კეთილგანგეჲად, რამეთუ იყო ესე დიმიტ-  
რი ტანითა ახოვან, ფერთა პაეროვან, შესახედავად 25  
ტურფა, თმითა და წუერთა მწყაზარ, თუალითა გრე-  
მან, ბეჰბრტყელ და შეწყობილ, სამკედროთა წესითა  
სრული, ცხენოსანი და მშვლდოსანი რჩეული. უხვ, მო-  
წყალე გლახაკთა, და მდაბალი, რომელ არა სმენილ არს  
ნათესავი მეფეთა, გინა სხუათა კაცთა. რამეთუ აქუნდა 30  
ჩუეულეზა, აღიღის საფასე და აღდგის ღამე, და მოე-

2 განკვრდა M. 2 ვინმე] + არა სახელოვანი T. 2 მორღულ] მოძღულ Mm. 3 შიგან და] + მერმე T. 4 გამოვლო] + რაზმი T. 6 ქაჩახსა] რქსა Mm. 7 აშალასი Mm. 7 თოდან] თანა MTmR, თოდან გორგ. 8 უფერხოსა Mm. 10 აშალა Mm. 13 ფუნდუყარისა Mm. 14 ამისთვის M. 14 აშალას Mm, ყაინსა აბალას T. 18 ყანთა M, ყაინთა T. 18 ონახნისა T, ონხანის m. 18 ერინჯნი T. 20 სამცხეს] — Mm. 20 რომელა Dc, რომელ MTm. 20 ფარმანს MTm. 21 სარგისს m. 21—22 ბერქას MTm. 23 აღზარდა Mm. 23 დატრი M. 24 კეთილთა Mm. 24—25 დატრი M. 26 მწყაზარ] + და შეუნიერ T. 27 ბეჰ] — Mm. 29 ~ მდაბალი და გლახაკთა T. 29 გლახაკთა] + ქურითა და დავრდომილთა მოწყალე T. 31 აღდგეს Mm.

ლის ქალაქი, და მოიხილნის გლახაკნი და დავრდომილნი და ობოლნი, და თვისითა ჳელითა მისცემდის. და

T 315a ყოველთა უწყოდის მოწყალეება მეფისა, და გლახაკნი ღამით ფოლოცთა შინა ვიდოდიან, რათა შეემთხვენენ მეფესა. ამას თანა მოეგო მარხულობა, ღამით ლოცვა 5

R 437b და მუჯლთ-ყრა ფრიადი: ათასხუთასი მუჯლი მოავდის მდაბლად მიწასა ზედა. ესრეთ ყოველითურთ განშუენებულ იყო, გარნა ესრეთ ჳელთა სადუნისათა იყო, რამეთუ ფრიად განადიდა | სადუნი ყაენმან. და იურვა მეფის დიმიტრისაგან თელავი და ბელაქანი და მრავალნი 10

M 873  
m 622 ქუეყანანი. და სადუნი კეთილად განაგებდა საქმეთა | საქართველოსათა, რამეთუ დღეთა მისთა არა იქმნებოდა თათართაგან ძალი და უსამართლო, არცა დიდთა ნოინთაგან, არცა ელჩთაგან. და ესრეთ აღშენდა საქართველო.

მეფემან დაიწყო სიბას წარსლვად, და აღაშენნა 15 ქუეყანანი მოოკრებულნი. ამანვე აღაშენა პალატსა შინა მონასტერი ისანთა, საყოფელად მეტებთა ღმრთისწმოებელისა, და შეამკო განგებითა დიდითა და შესწირნა სოფელნი და ზუარნი, და განუჩინა მონაზონთა საზრდელი და სამოსელი, და განაგო განგებითა კეთილითა. და 20

წარვიდა ურდოსა, და მას შინა ყოფასა მეფისასა სთხოვეს საფასე ურიცხვ მეფესა განზრახვითა სადუნისითა. რქუა მეფესა სადუნ: „უკეთუ მომცე დმანისი, მე მივსცე საფასე ყაენსა“. ისმინა მეფემან და უნებლიად მისცა დმანისი და მიმდგომი მისი, და უმეტეს განდიდნა 25 სადუნი. ხოლო ქმნა კეთილიცა საქმე მონასტერთა და გლახაკთა მიმართ, რომელ დღეთა ცხორებისა მისისათა მან მისცა ყალანი და მალი ათორმეტთა უდაბნოთა გა-

T 315b რეჯისათა და | განათავისუფლნა ქუეყანა გარეჯისა, და მსახურებდა მეფესა დიმიტრის. განდიდნა დიდად ლაშ- 30

1 მოიხილნის] იხილნის Mm. 2 და (თვისითა)]—Mm. 2 მისცემდეს Mm. 4 ფოლოცთა Tm. 5 ამისთანა M. 5 მარხულობა M, მარხველობა T. 6—7 მეჯლი... ზედა)—Mm. 7—8 განშუენებულ] განშორებულ MTm, გაშვენებული გორგ. 8 ჳელთა]+შინა T. 9 განდიდნა m. 9 ყანმან M, ყინმან T. 9 იურვა] იპურა Mm. 10 დატრისაგან M. 10 თელავი M. 10 და მრავალნი]—m. 13 ~ძალი თათართაგან Mm. 13 და]—m. 14 საქართველო]+და მოიქურნა T. 19 მონაზონთა m. 20 და სამოსელი]—Mm. 22 სადუნისათა T. 23 სადუნმან MTmR. 23—24 მე მივსცი]+მე მივსცე m. 24 ყანსა M, ყენსა m, ყინსა T. 24 უნებლიად T, უვენებლად Mm. 26 ქმნა T, იქმნა Mm. 27 მიმართ T, მიერ Mm. 28—29 გარესჯისათა T. 30 განდიდნა m.



ქრითა და სიმდიდრითა ოქროსა და ვეცხლისათა, ჯოჯისა და ზუასტაგისა არა იყო რიცხვ, რამეთუ იყო  
R 438a კაცი ესე მშუებელი, კეთილად ; გამგონე და ბრძენი,  
M 874 რამეთუ ყაენი აბალა ისმენდა სიტყუათა მისთა და დიდი  
საჰიბ-დივანი; მამული ავაგ ათაბაგისა ამას აქუნდა, 5  
და ასული მისი, ზუაშაქ, მოეყვანა ცოლად საჰიბ-დი-  
ვანს. ესე საჰიბ-დივანი განდიდებულ იყო ყაენის ულოს-  
გან და საღუნიცა მისგან განდიდებულ იყო. და ყოვე-  
ლი საბრძანებელი ყაენისა მისთა ჳელთა შინა იყო და  
ბრძანებდა მისსა მორჩილობდეს. და იყიდნა საღუნ მრავ- 10  
ალნი ქუეყანანი. და უბოძეს მეფეთა კარი. და დაჯდა  
კარსა და მისი მიმდგომი ქუეყანა მოივერაგა ახალცი-  
ხელთაგან და ასული ახალციხელისა ცოლად მოიყვანა.  
და საქართველოსა ლაშქართა საქმე და განგება ჳელთ-  
უღვა ყაენმან და დარბაისელნი ქართველნი და სომხი- 15  
თარნი და პერ-კახნი მეფეს წინაშე იყვნენ.  
ამათ ყამთა შინა განდიდნა სამცხის სპასალარი და  
მეჭურჭლეთუხუცესი სარგის ჳაყელი და ძე მისი, ბეჳა,  
რომელნი მთავრობდეს სამცხეს. ხოლო საქმენი სარგი-  
სისნი ჳემორე აღგვწერია და შემდგომად ვაცხენოთ ძე 20  
მისი. ბეჳა. იყო ბეჳა ტანითა ახოვან, ფერთა ჳაეროვან,  
თმითა და თუალითა გრემან და შუენიერ, ბეჳითა და  
მკერდითა სრულ, ძალითა ძლიერ, ომსა შინა მკნედ  
მბრძოლი; ცხენთა ჳედა მკნე და მოისარი ნადირთა ჳე-  
ლოვანი, გონებითა ფრთხილ, მამუნებელი ქუეყანათა, | 25  
T 316a ეკლესიათა და მონასტერთა, და ღმრთისმოსავთა კაცთა  
R 438b პატერისმცემელი, მლოცავი, რომელ | არა დააკლდის  
ცისკრის ლოცვათა, სამხრად და მწუხრად, ვითარ ტვი-  
კონი მოსცემდის წესსა ლოცვისასა. ამისთვის პატერ-სცა  
ღმერთმან და მეუღლეცა შემსგავსებული მოანიჳა, ლოც- 30

1 ვეცხლისა T. 1—2 და ჳოჯისა T, ჳოჯისა Mm. 4 ყანი M, ყანი T. 4 აშლა Mm. 5 საჰიბ-დივანი] სიბღვეანი Mm, სიბღვეანი T. 5 მამული ჩვ. კონიექტ., მამულოც გორგ.]—MTmR. 5 ავაგ—Mm. 6 ჳვარშაქ M, ჳვარაშაქ m, ჳვაშაქ T. 6 საჰიბ-დივანს ჩვ. კონიექტ.]—MTmR. 7 სიბღვეანი Mm,—T. 7 ყანის M, ყენის m, ყანისა T. 9 ყანისა M, ყანისა T. 10 საღუნ ჩვ. კონიექტ.]—MTmR. 12 მოივერაგა Mm. 15 ყანმან M, ყანმან T. 14—15 ~ ყენმან ჳელთ უღვა T. 15 დარბაისელნი T. 15 ~ და ქარ-თველნი M. 16 ერ კახნი MTmR. 17 მათ m. 18 ბერჳა Mm. 19 სამცხესა m. 20 ჳემორ Mm, ჳემო T. 20 შემდგომად] აწ T. 20—21 ძე მისი ბეჳა]—Mm. 23 სრულ] + და T. 23 ძლიერ]—Mm. 24 მკნე და Mm, მკნედ T. 24 მოისარ Mm. 27 მლოცავი]—Mm. 28 ლოცვისა m. 28—29 ტვიკონი Tm. 29 მოსცემდა T. 30 მეუღლეცა] მოუღოცა M, მოუღოცა m.

M 875

ვისა, მარხვისა და გლაზაკთმოწყალებისა, მონასტერთა და ხატთა პატივისმოყუარე, თბოლთა და უღონოთა აღმზრდელი.

მაშინ დაიპყრა ბექემან ქუეყანა ტასისკართგან კარნუქალაქამდის, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარჯეთი და უმრავლესი ტაო, ვაშლოვანი, ნიგალისკევი, არტანუჯი. ათორმეტნი უდაბნონი, კოლა, კარნიფოლა და ორნოვე არტანნი, და მრავალნი სოფელნი ჯავახეთს. და ესრეთ დღითი დღე განდიდნებოდეს და მსახურებდეს ყაენს აბალას, და მორჩილობდეს მეფესა დიმიტრის. ხოლო მეფე დიმიტრი წარმატებოდა ღმრთისმსახურებითა და კაცთმოყუარებითა და ყაენი უმეტეს უმატებდა პატივსა მისსა. დაღათუ ჯერეთ ყრმა იყო, არამედ ინებეს და წარავლინეს კაცი პონტოდ მეფისა ბერძენთასა, კომნიანოსისა, რომელი იყო ნათესავად დიდისა კოსტანტინესა, და მოიყვანეს ასული კომნიანოსის მეფისა ტრაპიზონელისა, დიდებითა და საჭურჭლითა დიდითა, და ქმნეს ქორწილი სამეფოსა წესისაებრ. და შემდგომად მცირედისა ჟამისა მუცლად-იღო დედოფალმან და შვა ძე, და უწოდეს სახელად დავით, რომელი უკანასკნელ მეფე იქმნა ქართლს.

R 439a

m 624

T 316b

ამათ ჟამთა კუალად მოვიდა იგივე არღუნ, რომელსა აღერიცხუნეს ყოველნი საბრძანებელნი ყოველთა ყაენთანი, რათა აღთუალოს ქუეყანა და ცნას, ვითარ, რომელი ქუეყანა აოჯრდა, გინა აღშენდა. აღთუალა ახლად და ცნა, რამეთუ უმრავლესნი მოოჯრებულ იყო, უმეტეს ჰერეთი და კახეთი, რამეთუ კამბეჩის ვაკენი მოოჯრებულ იყო გამოსლვასა მას თათართასა, ოდეს გამოვიდა ყაენი დიდი ბერქა. მაშინ ტფილისს ყოფასა

1—2 მონასტერთა... თბოლთა და]—Mm. 4 ბექემან]—Mm. 4 ტასის კართამე M. [6 ვაშლოვანი Mm. 6 ნიგალისკევი m. 7 კარნიფოლა] კარნი Mm. 8 და (ესრეთ)]—T. 10 ყანს M, ყენს m, ყაინს T. 10 აბალას Mm. 10 დიმიტრის] დატრის M. 11 დიმიტრი] დატრი M. 12 ყანი M, ყენი m, ყაინი T. 14 მეფისა M. 15 კომნიანოსისა M, კომნიანოსისა m. 16 კოსტანტინესი m, კოსტანტინესა T. 16 მოიყვანეს] მოიყუა M, მოიყუანა m. 16 ასული] + მისი Mm. 16—17 კომნიანოსის მეფისა ტრაპიზონელისა]—Mm. 17 საჭურჭლეზითა Mm, საჭურველითა T. 19 ჟამისა]—Mm. 22 მოვიდა]—Mm. 24 ყანთანი M, ყენთანი m, ყაინთანი T. 24 ქუეყანანი m. 24—25 ვითარ რომელი] ვითარბი T. 25 აღშენდა გინა აოჯრდა T. 25 აოჯრდა] აოჯრებულა m. 25 აღთუალა] ათუალა Mm. 26 და]—m. 26 ცნა რამეთუ]—Mm. 27 ერეთი Mm. 27 კამბეჩის] კანბეჩანის გო რ გ. 29 ყანი M, ყენი m, ყაინი T.



- M 876 არღუნ ოირადისასა, ეზრაზა ძეყესა | და სთხოვა თამარს რომელი-იგი მხოლოდ ესუა და რქუა, ვითარმედ: „კეთილად მოკსენებულმან მამამან შენმან მომცა ასული მისი, დაჲ შენი, სძლად ჩემდა, და ცოლად შვილისა ჩემისა, გარნა იგი ვერ ესწრა. აწ ვითხოვ, რათა არა უღირს-იჩინო ვედრება ჩემი და მომცე დაჲ შენი შვილისათჳს ჩემისა“. ვითარ ესმა მეფესა, დაუძმძმდა და დიდსა ჰმუნესა შთავარდა, და სულითა ტკივნეულითა ეძიებდა ღონესა, და სძავდა წარმართისა ქორწინებად დაჲ მისი ქრისტესალმსარებელი, გარნა არა იყო ღონე, რამეთუ მამასა მისსა მიეცა. და მისცეს ცოლად შვილსა არღუნისსა და აღასრულეს წესი ქორწილისა. და წარვიდა არღუნ ურდოსა, ხოლო შვილი მისი დაუტევა მეფისა თანა.
- მათ ქამთა კუალად მიუღვა დედოფალი და შვა ყრმა, და უწოდეს სახელი ვახტანგ.
- და კუალად ამათ ქამთა დამშვნა ქუეყანა ლიხთიმერი. და მოიწყო მეფემან დავით, რომელი იყო | კაცი პირველ კეთილი და გონიერი, უხუ, მდაბალი და პურად უმჯობეს უწინარესთა მეფეთა, და იყო მრავალსა მსჯდობასა შინა.
- ხოლო რაჳის ერისთავი კახაბერი იყო ქართლს და აქუნდა ქუეყანა ატენისა, და არა პატივი ეპყრა არცა ყ|ენისა და არცა დიმიტრი მეფისაგან ორგულობისათჳს მეფეთასა. ამისთვის შეიწრებული ვეგდრა | მეფესა, რათა შეიწყალოს და უბოძოს მამული მისი. ხოლო ტკბილმან და მოწყალემან მეფემან შეიწყალა და შეუნდო ფიცითა მტკიცითა, | რათა არა აბრალოს პირველი შეცოდება და ეგოს ერთგულებასა ზედა მისსა, და მიუბოძა მამული მისი ყოველი. და კუალად ეგო მამულსა მისსა, რაჳას. ხოლო ვითარ დაყო მცირედი ქამი, იწყო მათვე
ცკედეს, და განიყარა ყოველი გუამი მისი, და იყო ნახვა 20  
მისი უშუერ და საზარელ, და კნინდა მიმსგავსებულ იყო  
მკუდარსა. ვითარ სნეულობდა არღუნ, ინება ხუტლუ-  
ბულა, რათა | დავით მეფე-ყოს, და მოდგა მის კერძო  
და ეცადა ნოინთა | წინა, რათა წარუღონ მეფობა ვახ- 25  
ტანგს. ტოლაჩარ თანაშეეწეოდა დავითს და ოვსთა მეფის  
ძე, სახელით ფარეჯან, ძლიერად შეეწეოდა დავითს.  
ამისთვის საბრჭოდცა წარდგეს, თუ რომელსა მართებს  
მეფობა. ხოლო სხუათა მთავართა ქართველთა არა სთნდა  
მეფობა დავითისი, მტკიცედ დგეს ერთგულობასა ზედა  
ვახტანგისსა. ამისთვის არა მოსცეს მეფობა დავითს, და 30  
ადგილ-ადგილ სოფელნი და ქუეყანანი მოსცეს დავითს.
- და ვითარ განგრძელდა ზეგარდმო რისხვა არღუნს  
ზედა, და სენი იგი განგრძელდებოდა ოთხისა თვსა  
T 329b ეამთა, განრღუეული თავით ფერკამდე, მოქეწყინა ნო-  
ინთა, შეკრბეს და ზედამიეტევნეს, და კარავსა შინა

1 დაიპყრა m. 2 ბექასა TR. 4 მეფეთა]+ჩუენთა TR. 5—6 ტკბილი... აღსავსე]—  
Mm. 9 ტაქარ Mm. 9—10 ნოინისათა m. 11 სკორეთს R, საკურეთს MTm. 11  
მისნი T. 12 უმრწემესი MT. 12 ძმა] ძე MTm. 13 ბექასამან]+და T. 17 ბოროტი]—  
Mm. 18 კორცნი]—MTm. 19 განიყარა M. 21—22 ხუტლუბულა m. 22 მოდგა]  
მოდგამ Mm, მოდგამი TR. 22 მისი T. 24 ტაქარ MmR, ტაჩარ T. 24 დავით MTm.  
24 და]—Mm. 25 ბარეჯან Mm, ფარეჯ T, ფარეჯან გორგ. 31—32 არღუნზედ Mm,  
არღუნზედა T.

მოძთობისა მიერ სიკუდილსა მისცეს მასვე დღესა და  
 ეამსა, რიცხუსა თესასა, ათორმეტსა მარტსა<sup>3</sup>, რომელსა  
 შინა პატიოსანი და სანატრელი ცხებული ღმრთისა,  
 მოწამე ბრწყინვალე დიმიტრი, მოიკლა. საცნაურ იქმნა:  
 ამისთვის მოიწია სენი ბოროტი | არლუნს ზედა, რომელ  
 დასთხია სისხლი უბრალო მრავალი და იკადრა ნაცვალ-  
 სა ღმრთისასა კელის შეხებად.

მოკუდა არლუნს, და ყოველნი განმზრახნი მისნი, რო-  
 მელნი მეფისა სიკუდილსა თანაშემწე ყოფილ იყვნეს,  
 ყოველნი მოისრნეს. და მიერითვან მიეცა ფლობა და-  
 ვითს, და ნოინნი დავითისკე იყვნეს. ეგრეთცა მტკიცედ  
 ეპყრა მეფობა ვახტანგს.

წარავლინეს ნოინთა კაცი და მოიყვანეს ყაენად ქე-  
 ლათუ-ქოუნ, ძმა არლუნისი, და დას|უეს ტახტსა და  
 კელთ-უგდეს საყაენო. ამან შეიყუარა კეთილად ვახ-  
 ტანგ, რამეთუ ამისთვის ჰგონა არლუნს ზედა მიწვენად  
 რისხვა იგი სასტიკი. და ვითარცა ესრეთ იქმნებოდა,  
 შეედვა მცირე რამე სენი ვახტანგ მეფესა, რომლისა მი-  
 ერ შეისუენაცა, და მოკუდა სამ წელ მეფეყოფილი,  
 საღმრთო-საკაცობოთა საქმითა სრული და შემკობილი,  
 რამეთუ აღმზრდელიცა კეთილი და მეცნიერი ესუა,  
 ფარსმანის შვილი. ცნა დავით, განმწარდა სიკეთისა და  
 სიჭაბუკისა მისისათვის, და იგლოვა წესისაებრ, და ფრი-  
 ად პატივ-სცა და წარგზავნა გელათს, სამარხოსა | მე-  
 ფეთასა. ვითარცა ესმა მეფესა, მამასა მისსა დავითს,  
 სიკუდილი სასურველისა და ყოველთა მიერ შეყუარე-  
 ბულისა ძისა მისისა, ვახტანგისი, უზომოთა ტკივილთა  
 და ვაებათა მოიცვეს, რამეთუ შეუძლებელ არს მო-  
 თხრობად თვთეულისა. გარნა ესოდენ მოიცვა მწუხა-  
 რებამან, რომელ ვერლარა ჰოვა ლხინება და შემდგო-  
 მად მცირეთა წელთა შეისუენა მანცა, პატიოსნითა სი-  
 ბერიითა აღსავსემან. დაუტევა სამნი ძენი, პირმშო ვიდ-

M 905

5

R 453b

15

m 643

25

T 330a

30

1 მოშთობისა Mm. 1 მიერ]—Mm. 2 რიცხვისა თესსა MTm. 2 ათორმეტსა] იბ T. 4 დიმიტრი] დატრი M, დიმიტრი მეფეთ მეფე T. 6 მრავალი]—Mm. 8 ყოველი Mm. 8 განზრახვანი Mm. 10 მოცა Mm. 11 ეგრეთცა Mm. 13 ყანათ M, ყენად m, ყაინად T. 13—14 ქელთუქონ MTmR. 15 უდვეს Tm. 15 საყანო M, საყენო m, საყაინო T. 16 რამეთუ]—MTm. 17 ვითარცა]—MTm. 17 იქმნებოდა]—Mm. 18 მცირედ T. 20 საქმითა გორგ.] — MTmR. 23 სიჭაბუკისა M. 27 ვახტანგისა m. 27—28 ტკივილთა და ვაებათა Mm, ტკივილთა და მწუხარებათა TR. 28—29 მითხრობა TR. 30—31 შემდგომად]—MTm. 32 აღსავსემან ყაუხჩ. აღსავსე MTmR. 32 პირმშონი MTm.

- M 906 რემე კოსტანტინე, და მეორე შიქელ, და უმრავლესად ალექსანდრე, რომელი უშვა დედოფალმან, | დიდისა პალიალოლოსის ასულმან, კოსტანტინეპოლისა და საბერძნეთისა მპყრობელისამან<sup>1</sup>. ხოლო მიიღო მეფობა
- R 454a კოსტანტინე | პირმშობისა ძლით, რომლისა მეფობასა წინააღუდგა ძმა მისი, მიქელ, და დაიპყრა ქუეყანა რაკისა და არგუეთი. და დღეთა მათთა იშლებოდა სამეფო, რომელთა საქმენი არა მოკსენებულ არიან. და არა ყვეს მშვდობა, ვიდრე არა მიიკვალნეს, რამეთუ, რომელსა ეამსა დაიზავნიან, მყის შეიშალნიან. 5 10
- ხოლო ჩუენ პირველივე გზა აღვლოთ მცირედ კერძო გარდაბიჯებელთა. დაჯდა რა ქელათუ ტახტსა ზედა, განდგა ქალაქი ტუნღუზალო. რა საბერძნეთით მოსრულ იყო ქელათუ, ჰგონეს უცალოება ყაენისა და განდგეს. მაშინ მოუწოდა ყოველთა სპათა მისთა და მეფისა დიმიტრის ძესა, დავითს, და მთავართა ქართლისათა, და შევედრა ტახტი და ცოლი მისი და ხათუნნი ნონისა სიქდურს, ხუტლუბულა და სხუანი მთავარნი საქართველოსანი დაუტევნა მულანს, რამეთუ ეშინოდა გამოსლვისათვს ბერქანთასა. თვთ წარვიდა და დავით, ძე დიმიტრისი, თანაწარიტანა. და ვითარ მიიწიენეს ტუნღუზალო
- T 330b ქალაქსა, გარემოადგა ოთხ თუე და ვერა ავნო. | და ვითარ მისჭირდა, მეხუთესა თუესა იწყეს ძლიერად ბრძოლად, რამეთუ დავით და მცირედნი ქართველნი ბრძოდეს. წარულეს ქალაქი და შიგან შევიდეს, სადა იგი ქრისტიანენი ერთსა ყურესა შეკრებულ იყვნეს, და ევედრნეს დავითს, რათა შეიწყალნეს და ყაენმან არა
- R 454b ბოროტი უყოს. უსმინა | და მცველნი დაუდგინა და 25

1 მორე MTm. 3 პალიალოს M, პალიალოს m, პლ ლალოს T, პალიალოლოსის R. 3 კოსტანტინეპოლისმან M, კოსტანტინეპოლისმან mR. 3—4 საბერძნეთისმან M. 4 მპყრობელისამან ჯ ა ვ ა ხ., მპყრობელმან MTmR. 5 კოსტანე M, კოსტანტილე m. 5 პირმშობისა MTm. 5 ძალითა Mm, ძლითა T. 5 ძლით+იმერეთისა m. 7 არღუბეთი Mm. 8 რომელთა] რათა Mm. 9 რამეთუ]—MTm. 10 მყის] და MTm. 11 პირველ MTm. 11 აღვლეთ MTm. 12 ქელათუ MTm. 13 ტუნღუზო MTm. 14 ქელათო MTm. 14 ყენისა m. 15—16 დიმიტრის] დატრის Mm. 16 ძესა დავითს]—MTm. 18 სიქდურს ჩვ. კონიექტ., ელგოს Mm, ვაგოს T, ელგოზს R, სიქანდურს გორგ. 18 ხუტლუბულა m. 19 მულანს MTR, მულანს m. 20 ბერქანთასა ჩვ. კონიექტ., ბელქალთასა Mm, ბერქლნთასა T, ბერქალნთასა R, ბერქანთ გორგ. 20 და თვთ m. 20~დავით და Mm. 20 დიმიტრისი] დატრი Mm. 21 მიიწიენეს MTm. 22 ავნო]+რა m. 27 ყანმან M, ყანიმან T. 28 დაუდგინა Mm.

M 907  
m 644

დაიკვნა და აღილო ხარაჯა | და საჭურჭლე | ურიცხვ,  
და მიერ წარმოვიდა.

ხოლო მუნ ყოფასა ფარეჯანისა იწყეს ოვსთა ოვრე-  
ბად, ჯოცად და რბევად და ტყუენვად ქართლისა, და  
ქალაქი გორი წარტყუენეს და თვსად დაიჭირეს ოვსთა. 5  
მაშინ შეკრბეს ქართლის ერისთავისა ბეგას ძესა, ჰამა-  
დას, წინაშე ყოველნი ქართველნი და მოადგეს გორსა,  
და მრავალგზის შეებნეს ქალაქსა შინა, მრავალი კაცი  
მოკუდა, ოვსიცა და ქართველიცა, და დაწუეს გორი  
სრულიად. და ვითარ მისჭირდა ოვსთა, ციხიღამე გარ- 10  
დმოუშვეს საბლითა კაცი და წარავლინეს მუხრანს  
მდგომთა თათართა თანა, რათა შეეწივნენ. ვითარცა  
ესმა, ჩამოდგეს შუა, შუელა ქმნეს და ზავი. და მიერი-  
ვან შეიქმნა მტერობა შორის ქართველთა და ოვსთა,  
ვიდრემდის მეფეთა შორის ბრწყინვალემან, დიდმან 15  
სახელგანთქმულმან გიორგი, განასხნა და აღფხურნა. და  
ვითარ მოიწივნეს შინა, მოუწოდა ყაენმან დავითს და  
რქუა: „ვინათვან დასდევ თავი შენი მსახურებად ჩემ-  
თვს და სდგა ერთგულობასა ჩემსა ზედა, მომიცემია მე-  
ფობა და სამეფო შენთვის“. და წარმოგზავნა ტფილისს 20  
და დასუა ტახტსა მამისა მისისასა. და თანაწარმოატანნა  
სპანი საქართველოსანი, შანშე და ხუტლუბულა, და ყო-  
ველნი დიდებულნი. და მოუწოდეს სამცხით | ბექასა,  
და მან არა ინება მოსლვად, რამეთუ ფრიად გა|ნდიდე-  
ბულ იყო, თვთ არღარა წარვიდის არცა ყაენს წინაშე, 25  
არცა მეფესა თანა. წარმოუვლინა ძე თვსი პირმშო, სა-  
მცხის სპასალარი სარგის, და ყოველი ნამარხევი, რო-  
მელ აქუნდა მეფისა დიმიტრისაგან შევედრებული, და  
სარტყელიცა იგი დიდფასისა. მოვიდა სარგის და მოი-  
ლო ყოველივე დაუკლებელად მეფის დავითის წინაშე. 30  
დასუეს მეფე ტახტსა ზედა და აკურთხეს კათალიკოზ-  
მან აბრაჰამ და ეპისკოპოზთაჲ.

T 331a  
R 455a

M 908

3 ოსთა Mm. 4—5 და ქალაქი... დაიჭირეს ოვსთა—MTm. 6 ამადს Mm, ამა-  
დას. T. 9 მოაკედინეს Mm. 9 ოსიცა Mm. 10 ციხიღამენ M, ციხიღამე m, ციხიღამან T.  
11 მუხნარს TR. 12 რათა Mm, რ'ლთა T. 12 შეეწივნენ MT, შეეწივნეს m. 13 შუა—  
MTm. 13 ქნეს MTm. 13 და (მიერივან)—m. 14 შორის—m. 14 ოსთა M. 15 ბრწყინ-  
ვალემა M. 16 სახელ განთქმულმა M. 16 აღფხურა Mm. 17 შინა—m. 17 ყანმა M,  
ყანმან T. 20 სამეფო შენთვის Mm, სამეფო შენი ყოველა T. 21 დასუეს MTm. 21  
მისისასა T, მათისასა Mm. 21 თანა წარმოიტანა M, წარმოატანა m. 22 შანშა MTm.  
22 ხუტლუბულა m. 25 ყანს M, ყენს m, ყანს T. 25 წინაშე T, წინა Mm. 28  
დიმიტრისაგან| დატრისაგან M. 31 და დასუეს T. 32 აბრამ Mm. 32 ეფიისკოპოზთა M.



ხოლო მოსცა ყაენმან დაჲ მისი, ოლჯათ, რომელიცა  
 ვახტანგს ცოლად ესუა. დაიპყრა ყოველი სამეფო მს-  
 მისა მისისა დიმიტრისი, თვნიერ ბექას სამცხის მპყრო-  
 ბელისა მთავრისა, ხოლო იგი პატივ-სცემდა მეფესა  
 დავითს, მრავალთა ნიჭთა და ძლუნთა წარმოუვლენ- 5  
 დის. ხოლო | დავით უმეტესთა ჟამთა იყვის წინაშე  
 ყაენისა, დაღათუ ფარეჯან, ოვსთა მთავარი, მსახურებ-  
 და კეთილად მეფესა, არამედ აქუნდა მტერობა ქარ-  
 თველთა და ოვსთა. ესოდენ გარდაეკიდნიან ერთმანეთს,  
 რომელიცა მძლე ექმნის, მოკლის. მაშინ წარვიდეს ქა- 10  
 ლაქსა ოვსნი ვაჭრობად, და მოიქცეს და იხილეს გლა-  
 ხაკი, და მისცეს ქველისსაქმე ოვსთა, რომელსა უპირ-  
 ველესსა ეწოდა სათხიზ და მეორესა უზურბეგ. და  
 რქუეს: „გლახაკო, ევედრე ღმერთსა, | რათა დღეს 15  
 ჩუენი და სურამელის ბეგას შვილის კრმალი ერთგან  
 შეიყარნენ“.

m 645

R 455b

5

10

15

ვითარ წარვლეს მცირედ, დახუდა ნადირობასა შინა  
 მყოფი რატი მცირითა კაცითა, უსაჭურვლო. მყის ზედა-  
 მოეტევნეს, აღილო ფარი და დაუდგა სივიწრესა წყლის-  
 გასავალსა. და პირველ სათხიზს უხეთქნა მუზარადსა, 20  
 განუბო და ჩამოაგდო, და მოკუდა. მერმე უზურბეგ  
 მოუვდა, ჰკრა მასცა ჯაჭვანსა მკარსა, განუტევთა მკარი  
 და ჩამოაგდო, ყრმათა რატისთა მოაკუდინეს. იხილეს  
 სხუათა ოვსთა და ივლტოდეს. ამისთვის იტყვის წინას-  
 წარმეტყუელი: „უფალი ამპარტავანთა შემუსრავს“. 25  
 კუალად სხუა კმობს: „აღვოცენინ უფალმან ყოველნი  
 ბაგენი მზაკუარნი, და ენა დიდად მეტყუელი“.

T 331b

M 909

20

25

ხოლო მოვიდა მწოდებელი თუქალისა<sup>7</sup> წინაშე და-  
 ვით მეფისა. და წარვიდა დავით წინაშე თუქალისა, რო-

1 ყაენმან T. 1 დაჲ დაა MTm. 2 სამეფო—Mm. 3 დიმიტრისი| დატრისა M.  
 7 ყაენისა—MTm. 7 ფარეჯან ოვსთა| ფარაჯანოსთა Mm, ფარეჯანოსთა T. 9  
 [და ოვსთა] ჯაეახ., ყაუხჩ., ოსთა გორგ. 11 ოვსნი| ორნი Mm. 11 იხილ-  
 ნეს m. 12 ოვსთა| ორთა Mm. 13 სათხიზ გორგ., სათხისად MTm, სათხისა R,  
 ბროსე, ყაუხჩ. 13 უზურბეგ გორგ., უზურბეგ MTmR. 15 კმალი Mm. 15  
 ერდგან MT. 17 და დახვდა (დახუდა T) MTm. 18 და უსაჭრლო M, უსაჭურლო T,  
 უსაჭურვლო და m. 18—19 ზედა მიეტევნეს Mm. 19 სივიწროესა T. 20 პირველ სათ-  
 ხიზს ჩვ. კონიექტ., პირველსა თხეს M, პირველ სათხემსა T, პირველსა თავსა m,  
 პირველ სათხეს R, ბროსე, ყაუხჩ. 21 უზურბეგ გორგ., უზურბეგ MTmR.  
 23 ყრმათა T, ყმათა R, ჟამთა Mm. 24 ოსთა Mm. 26 აღვოცენ Mm. 28 მოვიდა|+მო-  
 ვიდა T. 28 მოწოდებული m. 28 ყან თუქალისა M, ყან თუქალისა T, ყან თუქალისა m,  
 ყან თუქალისა R. 28—29 წინაშე დავით მეფისა—MTm. 29 დავით წინაშე თუქალისა  
 Dc|—M Tm.

მელი დგა მათა არარატისათა<sup>8</sup>. ვითარ იხილა თუქალ  
 დავით მეფე, პატივითა შეიყუარა. ინება, რომელ ფიც-  
 თა მიერ ქმნან ერთობა სიყუარულისა. დაამტკიცეს ერ-  
 თობა, და წარმოვიდა მეფე შინა, და მოსცა დმანისი,  
 რომელი აქუნდა ხუტლუბუღას, ძმასა მანგასარისსა<sup>9</sup>. 5

და ვითარ გარდაცდა მცირედი ქაში, წარვიდეს ნო-  
 ინნი, რომელნი თუქალისაგან ლტოლვილ იყვნეს, ვი-  
 თარ ნავროზ, დიდისა არღუნის შვილი, რომელი იყო  
 კაცი მკნე, ძლიერი, ახოვანი, მანქანი, შემმართებელი  
 უმეტესობისა, ალინაყის შვილი ყურუმჩი, რომლისა 10  
 ძმა, ბულა, მოეკლა თუქალს. | ესენი მივიდეს ხუარასანს,  
 არღუნის შვილსა, ყაზანს ქოუნს, თანა, რომელსა აქუნ-  
 და მამისაგან საუფლისწულოდ ხუარასანი. შეიყარნეს  
 და ინებეს, რათა ყაზან ყონ მთავრად და ყაენად. შეკრ-  
 ბეს ესე ყოველნი და წარმოემართნეს ბრძოლად ბაი- 15  
 დუსსა. და ვითარ ცნა მოსლვა ყაზანისა, მოუწოდა მანცა  
 ლაშქართა, და წარვიდა თუქალცა სისწრაფითა, ვერღ-  
 რა | მოიცადეს მეფე. აქაცა დაიცვა ღმერთმან, რომე  
 არა დახუდა. მიეგებნეს მცირესა | ქალაქსა ზანგანს,  
 შეკრბეს ურთიერთას და სწორი ძლევა იქმნა, უკუდგეს 20  
 ორნივე და გაიყარნეს, რამეთუ ყაზან მუნ არა იყო,  
 ნავროზ და ხუტლუშა<sup>10</sup> წარმოველინეს. ნავროზ კელთ-  
 იგდეს და ძლიერი ბრძოლა ყო ჯალაირმან. და წარვიდა  
 ყაზან ხუარასნით.

ხოლო ევედრა ნავროზ თუქალს, რათა განუტეოს, 25  
 და ფიცითა დაუმტკიცა, რათა ყაზან შეკრული მოსცეს.  
 ირწმუნა და განუტევა. და ვითარ მივიდა ყაზანს თანა,  
 შეკრა ქუაბი სპილენძისა და წარმოგზავნა თუქალს წი-  
 ნა, რამეთუ ენითა თურქულითა ქუაბსა ყაზან ეწოდების.  
 მოვიდა ქუაბი შეკრული საბლითა, განუკვრდა და და- 30  
 უმძიმდა თუქალს, რამეთუ მოსრულ იყო არარატისა  
 მათათა.

R 456a

m 646

T 332a

M 910

1 იღვა Mm. 2~მეფე დავით T. 7 თუქალისაგან Dc] თუქალის MTmR. 7  
 იყვნეს] იყო M. 8 ნავროზა MT. 10 ალინაყის MTmR, ალინაყის გორგ. 10 ყუ-  
 რუმჩი m, ყურუმში MTR. 12~13 არღუნის... ხუარასანი]—Mm. 12 არღუნს T.  
 12 ქოუნს ჩვ. კონიექტ., ქუნთ T,—R. 14 ყანად M, ყანად T. 15~16 ბაიდოსსა  
 MTmR. 16 ვა m. 17 ლაშქარსა Mm. 18 დაცვა]~მეფე T. 19 ზანგას Mm. 21~არა  
 მუნ Mm. 22 ხუტლუშა ჩვ. კონიექტ., ხუტლუბუღა MTmR. 22 წარმოველინეს  
 Mm, წარმოველინეს T, წარმოველინა R. 23 ყო] ყუეს Mm. 23 ჯალიღმან Mm. 26  
 შეკრული R, გორგ., კელ შეკრული MTm. 28~29 და წარმოგზავნა თუქალს წინა,  
 რამეთუ]—MTm. 29 თურქულითა]~ქურთულითა Mm. 29 ყაზან] ბაზნ M.





მაშინ კულად წარემართა ყაზან უმრავლესითა სპარსულთა  
 თა უგრძნულად, და უყანს დაესხა ბაილუს, შეკრეს და  
 მოაშთვეს, და მის თანა მრავალნი ნოინნი. აქაცა დაი- 5  
 ცვა ღმერთმან მეფე. ვითარ ცნა სიკუდილი ბაილუ ყაე-  
 ნისა თუქალ, ივლტოდა და მივიდა სამცხეს, ბექასასა, |  
 რომელი მთავრობდა ტასისკართგან ვიდრე კარნუქალა-  
 ქადმდე. და შვილი წარგზავნა მეფისა დავითის წინაშე  
 და მას შევედრა. და ვითარ მოვიდა ყაზან ადარბადა-  
 განს, რომელ არს თავრეეი<sup>11</sup>, წარმოუვლინა მოციქული 10  
 მეფესა და ბექასა, რათა მისცენ თუქალი და შვილი მი-  
 სი, ერთგზის და ორგზის. და არა მისცეს, არამედ იურ-  
 ვეს, რათა შეუნდოს. და მოსცა პირი და ბექედი უვნე-  
 ბელობისა, და მისცეს თუქალი. ვითარ ცნა ყურუმჩი  
 წარყვანა თუქალისა ურდოსა, მოეგება ელჩსა ყაენის  
 ყაზანისსა ნავიდურს, და წარგუარა თუქალი და მოკლა 15  
 სიკუდილისათეს ბულასა<sup>12</sup>, ძმისა | მისისა. და მეფემან  
 დავით მოსცა შვილი მისი და ყოველი სიმდიდრე, რო-  
 მელი შევედრა ოვსთა მთავრისა ფარეჯანისა, რომელი  
 იღვა ციხესა ატენისასა<sup>13</sup>. რამეთუ ესე დაიმაღლა ყაენ-  
 მან ყაზან, გარნა მეფემან ვერ გულს-იდგინა წარსლვა 20  
 ურდოსა შიშისათეს, რომელ აქუნდა სიყუარული | თუ-  
 ქალისი. კულად სხუაცა იყო შიში ურდოს წარსლვისა,  
 რამეთუ | ზემოვსენებული იგი ნავროზ, არლუნ-ადას  
 შვილი, მტერი იყო ყოველთა ქრისტიანეთა, ვისცა ჰგო-  
 ნებდა სჯულისა დატეობასა, დაჰპატიებდა და მუსულ- 25  
 მანად მიაქცევდა, თვნიერ ცნობისა ყაზან ყაენისა. კულად  
 რამე ბოროტი აქუნდა, ამისთვისცა ბოროტად მო-  
 კუდა, ვითარ ქუემორე სიტყუამან ცხად-ყოს.

ესე ნავროზ განდიდნა, თვნიერ ყაქენისა განაგებდა  
 საქმეთა საურავთა და აქუნდა მტერობა ქრისტიანეთა, 30

R 456b

T 332b

m 647

M 911

R 457a

1 წარმოემართა TR. 2 უგრძნულად R, უგრძნულად Mm, უგრძნულად T.  
 4 ბაილუსი M, ბაილუსი Tm, ბაილო R. 4—5 ყანის M, ყენის m, ყინისა T. 5 თუ-  
 ქალ]—MTm, თუქალან გორგ. 5 ბექასა Tm, ბექასას R. 7 მეფესა დავითს T.  
 8 აიდარბაგანს Mm, აიდარბაგს T. 9 თავრეზი Mm. 9 წარმოავლინა Mm. 11 და (არა)  
 —m. 13 ენა m. 14 წარყუანება m. 14 თუქალისი M. 14 ყანის M, ყენის m, ყინის T,  
 ყინ R. 15 წარგუარა] წავრა T. 16 ბულასა ნ. ე. კონიექტ., ბულდის MT, ბაი-  
 დოსა R, ბულათა გორგ. 17 ყოველი] +საქურქლე და TR. 17 სიმდიდრე] +ყოვე-  
 ლი TR. 20 ყაზან]—Mm. 22 შიში]—m. 23 არლუნდის Mm. 24 ქრისტიანეთა T.  
 25 დაჰპატიებდა M, დაჰპატიებდა m, დაჰპატიებდა T. 25—26 მუსულმანად M, ლუს-  
 ლუმანად T. 26 ყანსა M, ყენისა m, ყინისა T. 28 ქემორემ m. 28 სიტყუამ Mm.  
 29 ყენისა m. 30 ქრისტიანეთა T.



და განემზადა სრულიად დაკოცად და დაქცევად ეკლესიათა თავრეესა და ყოველთა ქალაქთა შინა. და მოიყვანა ეპისკოპოზი მარადისა ქალაქისა, ნათესავით და სარწმუნოებით ნასრანი, რომელი იყო კაცი მოწყალე და სახიერი, ფრიად სათნოებიანი, პირველთა ყაენთაგან 5 პატივცემული და მამად სახელდებული. ესე პერობილყო და მრავალნი გუემანი და ბასრობანი შეამთხვენა დატევებისათეს სჯულისა. ხოლო იგი ახოვნად წინააღუდეგებოდა და მოითმენდა შეურაცხ-ყოფად სჯულისა მოპამადის მიერ ქადაგებულისა. ამისათეს ექსორიობად დაისჯა, რამეთუ იყო ფრიად მოხუცებული. 10

ამას ზედა ესეცა შესძინა ბოროტი ნავროზ, წარმოავლინა კაცი ერთი უკეთური, ნათესავი მისი, რათა მოაოჯრნეს ეკლესიანი ყოველსა საქართველოსა: პირველ მოაოჯროს საყოფელი ყოვლად წმიდისა ვარძიისა 15 ღმრთისმშობელისა საყდარი, და ყოველსა საქართველოსა, რაცა პოვოს, წარმოიღოს. ჰგონებდა უზომოსა სიმდიდრესა, ოქროსა და ვეცხლსა, თუალთა პატიოსანთა და მარგალიტსა მრავალსა ვარძიას. წარმოვიდა და მოიწია ნახჭევანს, იწყო რბევად და რღუევად ეკლესიათა. მოიწია რისხვა ყოვლად წმიდისა ვარძიისა 20 ღმრთისმშობელისა მას ზედა. რომელ მოვიდოდა დასაოჯრებლად ვარძიისა ღმრთისმშობელისა და პატიოსნისა ჯუარისა დასამკობლად, ამისთეს მეხდატეხილ იქმნა, და განგალა მეხმან სრულიად, და დაიწუა ძუალითურთ. 25 ესრეთ საკვრველებით დაიცვა სამყოფი თესი ვარძიისა ღმრთისმშობელმან.

ხოლო ნავროზს ზედაცა მოიწია რისხვა | ღმრთისა, რამეთუ განრისხნა ყაენი ყაზან უსამართლობისათეს და ბოროტთა საქმეთათეს. იყო ყაზან ფრიად რამე კეთილი 30

T 333a

R 457b

M 912

m 648

1 და]—Mm.1 და დაქცევად m, დაქცევად MT. 2 შინა]—Mm. 3 მარდისა Mm. 3 ქალაქსა Mm. 3 ნათესა ნათესავით m. 6 მამად]+ყაენთაგან T. 7 ბასრობანი M, ბასრვანი T, ბოროტნი m. 8 რჯულისა M. 10 ექსორიობდა m. 15 ყოვლად წმიდისა] ყოვლად უბიწოსა T. 15—16 ვარძიისა ღმრთისმშობელისა] ღმრთისმშობელი ვარძია M, ღმრთისმშობელისა ვარძისა m. 17 იპოვოს M, იპოოს m, პოოს T. 17 წარმოიღოს]+რა პოოს მას შინა სიმდიდრე T. 20 რბევად და]—T. 20—21 ეკლესიასა M, ეკლესიასა m. 23 ვარძისა MTm. 22—23 და საოჯრებლად Mm. 23 ვარძისა Mm, ვარძისა T. 24 და]—m. 25 და]—MTm. 26 საყოფა MTm. 26 ვარძისა Mm. 28 ნავროზს ზედაცა M, ნავროს ზედაცა T, ნავროზედაც m. 29 განრისხდა T. 29 ყენი m.



და უბოროტოგონება და სიმაართლისმოქმედ ყოველთა უწინარესთა ყაენთა ესოდენ, რომელ განება ორთა შეშათა ზედა და ეყუნები მოება მრავ-  
 ლად, რათა გლაზაკნი უღონონი და უქონელნი, ყაენის  
 და ნოინთა წინა მისლვისა უღირსნი და მოჩივარნი, მი- 5  
 ვიდოდენ და შეარყევდენ შეშასა და ჯაჭუსა, და ესმო-  
 დის ყაენს ვმა ეყუნათა და ცნას, რომელ სასჯელი უც  
 გლაზაკთა და შეუტრაცხთა კაცთა, რომელი თვთ განიკი-  
 თხის პირისპირ. ესოდენ უყუარდა სამართალი, რომელ  
 დღეთა მისთა არა იქმნებოდა ძალი და უსამართლოება 10  
 არა დიდთა და არცა მცირეთაგან. | ამისთვის რისხვეუ-  
 ლი ნავროზ ივლტოდა ხუარა|სანს, რომელ დევნა-უყო  
 ზემოკსენებულმან ხუტლუშა ნოინმან, მიეწია და მოა-  
 კუდინა იგი და შვილი მისი, და ყოველი ნათესავი მისი.  
 მოისპო ქუეყანით საკსენებელი მისი, ვითარცა წერილ 15  
 არს: „მოისპენ უღმრთო, რათა არა იხილოს დიდება  
 ღმრთისა“. და კუალად წარწყმდა საკსენებელი მისი. და  
 ესრეთ დამშკდნეს თათარნი. იწყო ყაზან ყაენმან გან-  
 გება ქუეყანისა სიმაართლითა და მსჯავრთა კეთილთა.  
 ამათ ჟამთა წარმოაგლინა მოციქული ყაზან ყაენმან 20  
 და იგმო მის წინაშე დავით მეფე. ხოლო იგი მსწრაფლ  
 განემზადა და მოიწია კახეთს და ჰერეთს. მივიდეს ჰერ-  
 კახნი დიდებულნი და აზნაურნი დავით მეფეს წინაშე,  
 ერისთავი სამადავლა<sup>14</sup>, კაცი ყოვლითა სამკედროთა 25  
 ზნითა შემკობილი და მოისარი რჩეული, მსგავსი მო-  
 სომაზოსა ებრაელისა, გინა ნეობტოლემეოს პილასის<sup>15</sup>  
 რჩეულისა, სახელოვანისა მირმიდონთ მოძღურისა. და-  
 ყო მცირედი ჟამი ჰერეთს და განეზრახა ვაზირთა: „უკე-  
 თუ წარვიდე ურდოსა?“. დაუმტკიცეს ვაზირთა წარ-  
 სლვა, ხოლო მეფემან არა ისმინა მათი და შეიქცა გარე, 30

R 458a  
T 333b

M 913

1 უბოროტოგონება] უბოროტო Mm. 1 სიმაართლისმოქმედ[+იყო MTm. 1—2 უფ-  
 რთს ყოველთა]—MTm. 2 ყენთა m. 4 უღონონი]—Mm. 4 ყანს Mm, ყანისა T.  
 5 და (მოჩივარნი)—m. 5—6 მივიდოდეს Mm. 6 შეარყევდეს Mm. 7 ყანსა M, ყენსა  
 m, ყანისა T. 10 მისთა] მათთა M. 10 უსამართლო MTm. 11 მცირეთაგან R, მცირე-  
 თა Mm, მცირედთაგან T. 13 ხუტლუშა R, ხუტლუშა M, ხუტლუშულა Tm. 13  
 ნოინ MTm. 15 მოსპო Mm. 16 მოსპენ Mm. 16 იხილონ Mm. 18 დამშვიდდეს  
 TR. 18 ყანმა M, ყენმა m, ყანმან T. 20 წარაგლინა Mm. 20 ყანმან M, ყენმან m,  
 ყანმან T. 21 მეფე]—Mm. 22 ჰერეთს] ესრეთ Mm, ერეთს T. 22—23 ჰერ-კახნი] ერ-  
 კახნი M, ვითარ კახნი T, ეს კახნი m. 26 გინა]—m. 26 ნეობტოლემეოს Mm, ნეო-  
 ბტოლემეოს T. 27 მირმიდონთ ყაუ ხ ჩ., მიერ მიდონთ Mm, მრ მიდონთ T. 27  
 მოძღურისა] მძღავრისა T. 28 ჰერეთს] ერეთს MT, ესრეთ m.

რამეთუ აქუნდა შიში თათართა ყაენის ხილვისა. და მოვიდა მთიულეთს, უკუდგა ყინოვანს, | შეკრა სიბა და მცველნი დაუდგინა<sup>16</sup>.

R 458b

m 649

T 334a

M 914

R 459a

ხოლო მეფე დავით მთიულეთს იდგა, და წარავლინა ძმა თვისი უმრწამესი | ვახტანგ ელჩად დიდისა ბათოს შვილისშვილის ყაენისა და უქადა გზა გამოსლვად ყაენს ზედა. და მან კეთილად შეიწყნარა და უქადა ქუეყანა და საჭურჭლე მრავალი. ვითარ ცნა დავითის უკუდგომა ყაზან, წარმოგზავნა ხუტლუშა მკედართმთავარი, რომელსა იგინი ბეგლარბეგობით უკმობდეს, სპითა დიდითა. მოვიდეს და დადგეს ტფილისს. გაგზავნეს მოციქული მეფესა დავითს წინაშე და ითხოვეს კაცნი სარწმუნონი მისანდობელად, და აძლევდეს ზავსა და სთხოვდეს ერთგულობასა ყაზანისასა და არამიქცევასა მტერთა კერძო. და მან წარმოგზავნა კათალიკოზი აბრაჰამ, ბურსელი ივანე, ტფილელი ყადი, და ითხოვნა მძევალნი, და ფიცად მიჰპირდა. ხოლო მათ ფიცეს სჯულისაებრ მათისა და მისცეს მძევლად ხუტლუშას შვილი სიბუჩი, ყურუმჩის ძმა არფა და სხუათა ნოინთა შვილნი. და მისცეს ბეჭედი ყაენისა და სიმტიცე უვნებლობისა. და იგი მოვიდა ნახვად მათდა და აღუთქუა წარსლვად ურდოსა. ხოლო ხუტლუშამან შეიწყნარა | კეთილად და განუტევა. ხოლო დავით იქცა თვსადვე, და მძევალთა მისცა ნიჭი დიდი და განუტევნა.

და ვითარ მოიწია არე გაზაფხულისა, აწვეს კუალად მეფე დავით ურდოსა, და არა ინება წარსლვად, აქუნდა შიში. ამისთვის წარავლინა ძმა მისი ბაიდუ დიდისა ყაენისა თოხთას წინაშე. ვითარ ცნა ყაზან ყაენმან, კუ-

1 ყენის m, ყაინისა T. 2 ჟინოვანს M, ჟინოვანს T, ჟინეანს mR. 6 ყანისა M, ყენის m, ყაინისა T. 6 გამოსვლა m. 7 ყანს M, ყაინს T, ყაზან m. 8 და] — Mm. 9 ხუტლუშა R, ხუტლუშულა MT, ხუტლუშულა m. 10 იგინი] — Mm. 10 ბეგთარ ბეგობით Mm. 10 უკმობდეს] უწოდეს m. 12 წინაშე] თანა T. [14 არა-მიქცევას m. 15 აბრაჰ Mm, აბრაჰ T. 16 ბურსელი m. 16 ივანე Mm, ივ T, ივანე R-16 ტფილელი] ტფილისის R. 17—18 სჯულითაებრ T. 18 ხუტლუშას R, ხუტლუშას M, ხუტლუშას m, ხუტლუშულას T. 19 ყურუმჩის T. 20 და (მისცეს) — Mm. 20 ყანისა M, ყენისა m, ყაინისა T. 21 და (აღუთქუა) — T. 22 ხუტლუშამან R, ხუტლუშულა Mm, ხუტლუშულამან T. 22—23 კეთილად] პატივითა T. 23—24 და მცველთა] მცველად Mm. 24 განუტევა Mm. 25 არე] პარე Mm, პარე T. 26 მეფე დავით] — MTm. 26 ინება წარსლვად] ინება მისვლად M, მეციდა მისვლად m. 27 მისი] თვისი m. 27 ბაიდუ MTm. 27—28 ყანისა M, ყენისა m, ყაინისა T. 28 თოხთას] თახს Mm, თახს T, თოხახს R, თოხტას გორგ. 28 ყანმან M, ყენმან m, ყანმან T.

- ლად წარმოავლინა მკედართმთავარი ხუტლუშა სკოლაში ურიცხვთა. მოვიდეს სომხითს და აწვეს მეფე მისლვად, და აღუთქმიდეს ნიჭთა დიდთა. და კუალადცა წარავლინა კათალიკოზი აბრაჰამ, ყადი ტფილელი და ივანე ბურსელი, და აღუთქუა მისლვად. ცნეს თათართა, რამეთუ მიზეზობდა, შეიპყრეს ივანე ბურსელი და მოკლეს, და კათალიკოზი და ყადი განუტევეს უვნებელად, და მომართეს შესლვად მთიულეთს. მოაოჯრეს სომხითი, ქართლი, თრიალეთი, ერწო და დადგეს | მუხრანს, ხერკს, ბაზალეთს, ერწოს და თიანეთს, და ვერ ეტეოდეს სადგომად, არბევდეს ქართლსა და ზემოკსენებულთა ქუეყანათა. | ტყუე-ყვეს, რომლისა არა იყო რიცხუ, და მოსრეს პირითა მახვლისათა რავდენი პოვეს, და მიეცა ქუეყანა განსარყუნელად ცოდვათა ჩუენთათჳს. | ამას წელსა გამოჩნდა ვარსკულავი კვმატი, ლახურისსახე, ჩრდილოთ კერძო, და დადგა ვიდრე ოთხ თუემდე, და ყოველთა ღამეთა იხილვებოდა ვარსკულავი იგი ლახურისსახე, და იტყოდეს: „ლახურიოთ მოწყუებასა მოასწავებს“.
- კუალადცა ინებეს თათართა ზავის-ყოფა მეფისა და გაუგზავნეს მოციქული, რათა მეფემან შეკფიცოს ერთგულობასა ზედა ყაზანისსა და არა მისცეს | გზა ბათოს შვილისშვილსა დიდსა ყაენსა თოხთას, და ესრეთ ყამად შინა იყოს, დაიცვას სამეფო მისი. და ყვეს ფიცი და აღუთქუა ურთიერთას, და წარმოგზავნა დედა თვისი დედოფალი, და ძმა მისი უმრწამესი მანოველ, და კათალიკოზი აბრაჰამ, და დედოფალი, ცოლი მეფისა ოლჯათ, წარმოავლინა, რათა წარვიდეს ურდოსა და იურვოს საქმე მისი. და მოიწინეს ურდოსა. იხილნა ხუტლუშამან და პატივითა შეიწყნარნა, მსწრაფლ უკურიდა, მოსცა ტფილისი და სამეფო მისი, და წარვიდა ურდოსა და წა-
- T 334b  
m 650  
R 459b  
M 915
- 5  
10  
15  
20  
25  
30

1 ხუტლუშა Mm. 2 სომხეთს M. 2 კუალადცა აწვეს T. 3-4 წარავლინეს m. 4 აბრამ Mm. 4 ივანე Mm, იე T. 5-6 აღუთქუა... ბურსელი და|—Mm. 6 მოკლეს|+და გორგ. 8 მიმართეს Mm. 8 შესლვად|—Mm. 8 სომხეთი Mm, სომხითნი და T. 9 მუხრანს T. 13 რაოდენი m. 15 რამეთუ ამას T. 16 ოთხ|—T. 23 შვილის შვილისა Mm. 23 ყანსა M, ყაენის m, ყანსა T. 23 თოხთას| თხოთას MT, თხოთასა m, თხას R, თობტასა გორგ. 24 დაიცვას ჩვ. კონიექტ., და სტოს გორგ., მისცეს MTmR. 27 აბრამ Mm. 29 მოიწიენეს m. 29 ხუტლუშა M, ხუტლუშა m, ხუტლუშამან TR. 30 პატივითა] ლოცვითა Mm. 30 უკურიდა| უკვრდა M, უკვირდა m, უკურიდა R.

რიტანა დედოფალი ოლჯათ, და კულად დამშვდნა ქუე-  
ყანა.

და ვითარ გარდაცდა ზამთარი იგი და მოეწურა არე  
გაზაფხულისა, წარმოავლინეს მოციქული მეფეს თანა,  
რათა ცნას, | არს ერთგულობასა ყაენისასა, თუ არა. |  
და ცნა კაცმან, რომელ ბაიღუ წარვეღისა დავითს ყა-  
ენსა თოხთას თანა და გზა ექადა გამოსლვად. აცნობა  
ყაზანს, ხოლო იგი განწყრა და წარმოავლინა ყურუმჩი  
და ერინჯი ვინმე, შინაური მისი, და შანშე მკარგრძელი.  
და მოუწოდეს ძმისა დავითისასა, მცირესა გიორგის,  
რომელი ეშვა ასულსა ბექასასა და მას აღეზარდა, რო-  
მელი მარტო ეშვა დედასა, ვითარცა მარტორქა, რამეთუ  
ვერ შემძლებელ იყო ბუნება დედათა სხუასა ეგვევითა-  
რისა შობად, ვითარ ქუემორე სიტყუამან ცხად-ყოს.

ესე იყო სახლსა ბექასასა, რამეთუ ესე ბექა განდი-  
დებულ იყო და აქუნდა ტასისკარითვან ვიდრე სპერამ-  
დე და ვიდრე ზღუამდე, სამცხე, აჭარა, შავშეთი, კლარ-  
ჯეთი, ნიგალისკევი; და ჭანეთი სრულიად მოსცა ბერ-  
ძენტა მეფემან, კომინოსმან კირ მიხაილ, და ასული  
ბექასი ცოლად მიიყვანა. ამასვე აქუნდა უმრავლესი  
ტაო, არტანი, კოლა, კარნიფორა და კარი, და ამათ შინა  
ქუეყანანი და ციხენი, არტანუჯი და უდაბნონი ათორ-  
მეტნი კლარჯეთისანი, და დიდებულნი აზნაურნი | და  
მონასტერნი ყოველნი მას აქუნდეს. და | ხარაჯას | მის-  
ცემდა ყაზანსა და ლაშქრითა შეეწეოდა. ამას სთხოვეს  
ყრმა გიორგი, რათა მისცეს და მეფე-ყონ ქართლსა და-  
ვითის წილ, ძმისა მისისა, რომელი აღასრულა და მისცა,  
და თანაწარატანა ლაშქარი დიდი. წარიყვანეს და დასუ-  
ეს მეფედ. დაღათუ მცირე იყო, არამედ წინადაუსახვი-  
დეს უძლეველობასა მეფობისასა და წინამოასწავებ-  
დეს<sup>18</sup>.

R 460a  
T 335a

M 916  
m 651  
R 460b

1 ოლჯათა m. 1 დამშვდდა Tm. 1—2 მოკრებული ქუეყანა T. 3—4 და მოეწურა არე გაზაფხულისა)—Mm. 4 მეფეს თანა Mm, მეფესა დავითს წინაშე T. 5 არს Mm, ერის T. 5 ყაენისასა M, ყენისასა m, ყაენისასა T. 5 თუ არა m, არა MT. 6 ბაიღუ MTm, ბაიდურ R. 6—7 ყანსა M, ყენსა m, ყაენისა T. 7 თოხთას] თოხას MTm, თოხოს R, თოხთასთან გორგ. 7 და]—M. 8 და]—m. 8 ყურუმში MT. 9 ერინჯი გორგ., აღნაჯი MTm, აღინჯა R. 11 რომელი] რათა T. 13 იყო]—რამეთუ ვერ T. 13—14 ეგვევითარსა შობა T. 17—18 სამცხე... ჭანეთი]— Mm. 18 სრულად Mm. 18—19 ბერძენტა] ბერძენმა M, ბერძენთან Tm, ბერძენთ გორგ. 20 ამასვე ყაუხჩ., ამისთვის MTmR. 22 და (ციხენი)—MT m.22—23 თორმეტნი T. 23 კლარჯეთისანი m. 26 მისცეს TR, მოსცენ Mm. 26 მეფე ყო m. 26 ქართლისა MT, ქართლის m. 27 რომელი] რათა Mm. 28 თანა წარიტანა Mm. 30 მოასწავებდეს Mm.

- T 335b და იყო ყრმა მცირე გიორგი მეფედ ტფილისისა. და ვითარ მოიწია გაზაფხული, კულად წარმოავლინა ყაზან ყაენმან იგივე ხუტლუშა სპითა ძლიერითა, და მრავალნი ნოინნი სხუანი. და დადგეს ზემოკსენებულთა ადგილთა, მოაოკრეს ქართლი უბოროტესად. 5
- R 461a ხოლო მეფე დავით დადგა ჯადას. მაშინ ქუენიფლეველი შალვა გამოექცა მეფესა, აღსაესე ნიჭითა მიერ მისთა, რომელნი მას უამსა მიენიჭნეს. არა მოიკსენა წყალობა ეგოდენი და მივიდა ხუტლუშა ნოინთანა. ხოლო მან განიხარა და პატივითა შეიწყნარა და წინამძღუარად გზისა აჩინა. და შევიდეს გზასა ცხრაზმისკვევისასა | და განვიდეს მთასა შორის ცხავატსა და ცხრაზმისკვეთა, რომელ არს ლომისა. 10
- M 917 და ვითარ ცნა დავით ორგულობა შალვა ქუენიფლევლისა, შედგა ციკარეს, რამეთუ ციკარე მტერთაგან შეუვალ იყო. ჩავლო ხუტლუშამან და განვიდეს ჯადას, და გარდვიდეს კევსა, და მიმართეს გუელეთს, მუნ შინა ჰგონებდეს მეფესა დავითს. და გარემოადგეს სტეფანწმიდასა სოფელსა. და განგებითა ღმრთისათა განმაგრდეს, რამეთუ წინარხი თათართანი იყვნეს ქუენიფლეველი შალვა და ოვსთა მთავარი ბაყათარ და მუხრანს მდგომი თათარი ბაან თანლუთ. | ვითარ ცნეს, სტეფანით ვერას აენებდეს<sup>19</sup> და მეფე მუნ არა არს, ითხოვეს საზრდელი მცირე. სტეფანელთა მოსცეს. და აიყარნეს და გარდმოდგეს ჯადას. ხოლო მეფე ციკარეს იყო. დაამტკიცეს და დადგეს ერთგულობასა მეფისასა სურამელი ჰამადა, ამირეჯიბი აბაზას ძე ჭილა, და აზნაურნი ქართველნი და სომხითარნი, | და დიდი ერთგულობა აჩუენეს. 15 20 25
- T 336a

1~მცირე ყრმა m. 3 ყაენმა M, ყაინმან T. 3 ხუტლუბა M, ხუტულბა m. 6 დავით]—m. 7 ნიჭითა Mm. 9 ხუტლუბა M, ხუტულბულა m. 10 განიხარან M. 10 შეიწყნარანა m. 10 წინამძღვარ Mm. 10 ცხრაზმის ჩ ვ. კონიექტ., ხვარაზმის M, ხუარაზმის TR, ხვარაზმის m, ცხრა რაზმით გორგ. 12 შორის]—Mm. 14 შალვასი m. 14—15 ქვენაფლეველისა M, ქუნაფლეველისა T, ქვენაფლაველისა m. 15 ცისკრეს T. 15 ცისკარე T. 16 შეუვალ იყო Mm, უბრძოლველ არს TR. 16 ხუტლუბამა M, ხუტულბამა m. 17 გუელეთს] გელათს MT, გველეთს mR, გორგ. 19 და]—m. 20 თათარნი MTm. 20 ქვენაფლეველა M, ქუნაფლეველნი T, ქვენაფლაველი mR. 21 ოსთა M, ოსთ m. 21—22 მუხნარს T. 22 თათარნი Mm. 22 ბაან თანლუთ ჩ ვ. კონიექტ., ბანთანაღუთ MT, ბანთანღუნთ m, ბაან და თანლუთ გორგ. 22—23 სტეფანით Mm, სტეფანწმინდელთ R, გორგ. 23 მუნ]—m. 24 ითხოვეს T, იხილეს Mm. 24~მცირე საზრდელი m. 25 ციკარეთს MT, ციკრეთს m. 27 ჰამადა] აჰამა MT, ჰამად m, ამადა გორგ. 29 აჩუენეს] აქუნდეს T.



m 652	ვითარ ცნა ხუტლუშამან მეფისა ციკარეს დგომა, განყო ლაშქარი. რომელიმე წარავლინა   ცხავატით,	5
R 461b	გზასა ძნელსა, რათა ეგრეთ შევლონ და შევიდენ ციკარესა, რომელ-ესე შეუძლებელ იყო.   მაშინ ქუემო შესრულთა ლაშქართა შევლეს გზა ცხავატისა და განვიდეს ცხავატს. ვითარ ცნა მეფემან, წარავლინა მცირედნი ლაშქარნი, და იქმნა ომი ძლიერი, და მოსწყდა თათარი ურიცხვ, რამეთუ შემოსრულ იყვნეს ვიწროსა გზასა კაცი მეომე ვითარ ხუთასი, რომელნი ვერღარა გამოესწრნეს გზისა სივიწროისაგან. შეიპყრეს ხუთასივე, რომელი მოკლეს და, რომელი დარჩა, მოკვთარეს მეფესა. ხოლო სხუანი ივლტოდეს. და სპანი მეფისანი განვიდეს ვადის თავსა გორასა რასმე, რომელ არს ციკარეს პირისპირ, და იქმნა ომი ძლიერი. კეთილად ბრძოდეს შინაურნი მეფისანი, ვადელნი და კევით მოსრულნი რჩეულნი. და უმეტეს მოისრვოდეს თათარნი, რამეთუ დიდად ავნებდეს მთიულელნი; იყვნეს ფერკითა მალე, ცხენოსანი ვერ შეუვიდოდა საომარად, და ქუეითად იბრძოდეს თათარნი, რომელთა შემწედ ჰყვა ივანეს ძე შანშე, და ოვსნი, რომელ სხდეს გორს, მესხნი ლაშქარნი, რომელნი წარმოველინნეს სამცხის მთავარსა ბექას — თორელნი, თმოგუელნი და ტაოელნი. და განგრძელდა ომი ვიდრე მიმწუხრამდე. გზა თა სივიწროთა არა აღერივნეს ურთიერთას, გაიყარნეს, და უკუდგეს ვადას თათარნი.	10
M 918	და უშუელა   ღმერთმან მეფესა, რამეთუ ცხავატით შე სრული ლაშქარი ივლტოდა. და ვითარ ხუთასი ოდენ კაცი შეიყარა, და ხუტლუშასცა დიდი ვნებოდა. იხილა სიმაგრე ქუეყანისა, და ცნა, რომელ არა ეგების შესლვა ციკარეს. აიყარა ღამით გზასა ლომისთავისასა, დაესხა	15
R 462a		25
T 336b		20
		30

1 ხუტლუ შამან T, ხუტლუშამან M, ხუტლუზა m. 1 ციკარს Mm, ცისკარს T. 2 ცხავალტ MT, ცხავალტს m. 3 ძნელსა გორ გ. — MTmR. 3—4 ციკარს Mm, ცისკერსა T. 5 ცხავატისა] — Mm, ცხაველტისა T, ცხაოტისა R, გორ გ. 6 ცხავალტს Mm, ცხავატას T. 8 ურიცხენი m. 8 შამოსრულ M. 8 გზასა] — Mm. 9 ვითარ] — m. 9 ~ ხუთასი კაცი მეომე m. 9—10 გამოასწრნეს m. 11 რომელი] რა T. 11 დარჩა] დარჩეს და m. 12 და Mm, ხოლო T. 12 განვიდეს] გავიდეს Mm, გამოვიდეს T. 13 ცისკარეს T. 15 და] + ზოგი T. 16 მოისროდეს T. 18 საომრად T. 18 ქოითად MT. 19 რომელთა] რათა Mm. 19 ჰყვა] ჰყავ MT. 20 შანშა Mm. 20 ოვსნი] ოსნი ყაუ ხ ჩ., ორნი MTmR. 20 სხდეს] სდგეს M. 22 და (ტაოელნი) — m. 23 სივიწროვისათა m. 26 ცხავალტით T. 28 ხუტლუშასცა T, ხუტლუზასცა M, ხუტლუზასაც m. 29 ქუეყანისა] + ხუტლუშამან T. 30 ცისკარეს T. 30 და დაესხა m.



ქართლს, დაღათუ ვინმე დარჩომილ იყო, მოსრულს  
ტყუე-ყო. და მოაოკრეს ქართლი და წარვიდეს ყაენს  
ყაზანს წინაშე.

და მოიწია არე გაზაფხულისა, წარმოემართა იგივე  
ხუტლუშა, სიტყვთა ყაენისათა, სპითა უძლიერესითა, 5  
და მოიწია ტფილისს, და ეგულეობდა შესლვად მთიულეთს.  
და ვითარ ცნეს დიდებულთა ამის სამეფოსათა, განკრთეს  
და ეძიებდეს ღონესა, რათა განერნეს პირისაგან  
თათართასა. ქუეყანა თულა სადმე დარჩომილ იყო, 10  
მ 653 შეკრბეს მეფესა დავითს წინაშე და მოაჯსენებდეს, რათა  
წარვიდეს ყაზანს | წინაშე, ფიცი და სიმტკიცე აღი-  
ლოს უვნებლობისა. ისმინა მეფემან და დაამტკიცა წარ-  
სლვა ურდოსა, სთხოვა ზავი და ფიცი, ხოლო მან დიდად  
განიხარა და აღუთქუა უვნებლად ყოფა და დაცვა 15  
R 462b ქუეყანისა. უკეთუ, ოდენ იხილოს ყაენი, მიერ წარმო-  
გზავნონ დაცვული მშვდობით. ამის პირსა შინა | იყო  
ბურსელი ივანე. აღილო პირი მტკიცე, და მოვიდა მე-  
ფეს წინაშე. იხილა პირი სიმტკიცისა ქართველთა, ჰერ-  
კახთა, განეხარნეს და აწუვედეს წარსლვად, და მძევალ-  
თაცა აძლევდეს: „ხუტლუშა სარწმუნო კაცი არს და არა 20  
ეცრუვების აღთქუმასა, ვჰვონებ კეთილად შეწყობასა“.

გარნა მეფემან არა ისმინა, რამეთუ შიში აქუნდა  
თათარ|თა, და დადგეს გუელეთს. ვითარ იხილეს დიდე-  
ბულთა | მოოკრება, უმრავლესნი წარვიდეს კითხვითა 25  
T 337a M 919 შეფისათა დაცვისათვს ქუეყანისა, ხოლო ხუტლუშა კე-  
თილად შეიწყნარებდა ვინცა მივიდოდა. კუალად მოა-  
ოკრეს ქუეყანა ქართლისა ზემოკსენებული თვნიერ მთი-  
ულეთისა და წარვიდეს ურდოსა.

ვითარ მოიწია სთუელი, ჩამოდგა ცხრაზმისკეცსა მე-  
ფე დავით და ააოკრებდა მამულსა შალვა ქუენიფლვეე- 30  
ლისასა ორგულობისათვს. მაშინ უღონო იქმნა ქუენი-  
ფლვეელი, ევედრა სურამელსა მსახურთუხუცესსა, ქარ-

1 ვინმე—MTm. 2 ქართლი—Mm. 2 ყანს Mm, ყაინს T. 3 ყაზანს—T. 5 ხუტლუშა T, ხუტლუშა M, ხუტლუშა m. 5 ყაენისთა T, ყენისათა m. 6 ტფილის Mm, ტფილისის T. 8 განერეს m, განერა T. 9 დაშთომილ იყო T. 11 წარვიდენ m (გამეორ.: და მოა-  
კსენებდეს, რათა წარვიდეს ყაზანს წინაშე m). 12 უვნებლობისა T. 14 ყოფა|+მეფისა  
T. 15 ყენი m. 18—19 ერ კახთა MTm. 20 ხუტლუშა T, ხუტლუშა M, ხუტლუშა m.  
21 შეწყობასა|—Mm. 23 გელეთს MT. 25 ხოლო—T. 25 ხუტლუშა M, ხუტლუშა T,  
ხუტლუშა m. 26 მოვიდოდა MT. 29 მეფე|—MTm. 30—31 ქვენაფლვეელისასა M, ქუმნა-  
ფლვეელისა T, ქვენაფლვეელისასა m. 31—32 ქვენაფლვეელი M, ქუმნაფლვეელი T,  
ქვენაფლვეელი m.

R 463a

თლისა ერისთავსა ჰამადას, რათა იურვოს მეფეს წინა-  
 შე. მოაქსენა მეფესა და არა ინება მისთვის დაჭირვა,  
 არამედ მიუზოძა მამული მისი. გარდაიყარა თავსა ნაცა-  
 რი შალვა და იტყოდა: „ესემცა არს მისაგებელი ორ-  
 გულთა მეფეთასა“. | და შეუნდო მეფემან შალვას.

5

ამათ ქამთა წარმოვიდა ძმა მეფისა ვახტანგ, რამეთუ  
 იკლო რამე სიყუარული და სიკეთე, რამეთუ ძმისა მი-  
 სისა დავეითისაგან შეპყრობილცა იყო და პატიმრული  
 ციხესა ქინოვანისასა. გამოიპარა და მოვიდა ივანე ბურ-  
 სელისასა და რქუა: „არარა ბოროტი მიქმნიეს და შეუ-  
 რაცხება წინაშე ძმისა ჩემისა. აწ არა წარვალ ურდოსა  
 მტერთა მისთა თანა. აწ წარავლინე კაცი და აუწყე ჩემი  
 შენსა მოსლვა. თუ ჰნებავს და ფიცით შემეაჩერებს, რომე  
 არა მავნოს და არა შემიპყრას, მის წინაშე მივალ, და  
 მცირე სარჩომიცა მომცეს“. ხოლო მან წარავლინა კაცი

10

15

T 337b  
m 654

და მოაქსენა ესე ყოველი. ხოლო მეფემან განიხარა და  
 ფიცითა | მოიმტკიცა, და წარიყვანა ძმა თვისი და კე-  
 თილად ხედვიდა. და ჰგონებდა განდგომასა ამის ძლით,  
 რამეთუ შაბურის ძის ასული შეირთო ვახტანგ ცოლად.

20

M 920

და ვერღარა თავს-იდვა ვახტანგ უპატიოდ ყოფა, და  
 წარვიდა ურდოსა ყაზანის თანა. ხოლო მან კეთილად  
 შეიწყნარა და მოსცა მეფობა. | და წარმოატანა ხუტ-  
 ლუშა ნოინი სპითა უძლიერესითა და მოვიდა ტფილისს.  
 და მუნ შემოეყარნეს ყოველნი თათარნი და ქართველ-  
 ნი, და სამცხის ბატონის ბექას შვილი სარგის | სპასია-  
 ლარი, ტაოელნი, თორელნი, თიოგუელნი და სომხითარ-  
 ნი, რამეთუ შანშე პირველვე იყო<sup>20</sup>.

25

R 463b

ვითარ<sup>21</sup> ცნა მეფემან დავით, რომე ვახტანგს მეფედ  
 ჰყოფენ, წარმოავლინა იგივე ბურსელი ზავისათვის და

1 ჰამადს m, აჰმადს T, ამადსა გორგ. 1 რათა T, რომელ Mm. 2 მოა-  
 ქსენეს Mm. 2 მეფესა—Mm. 2 მისთვის—Mm. 3 მამული მისი გორგ.—MTmR.  
 3 გარდაიყარა R, გარდაიყარა Mm, [გარდაიყარა T. 4 შალვა ყაუხჩ., შალვამ  
 Dc,—MTmR. 6 ამათ ქამთა] მათ ქამთა Mm. 8 რამეთუ შეპყრობილცა T. 8 იყო]  
 ჰყავ T. 11 წინაშე] — Mm. 12 მისთანა Mm. 14 არა მავნოს Mm, არა ავი  
 მიყოს T. 16 ესე ყოველი—Mm. 16 მეფემან] მან Tm, მან მოაქსენა M. 18  
 ძლით Mm, ძლითა T. 19 შაბურის Mm. 19 ძის ჭავჭავი, ძმის MTmR. 20  
 ვახტანგ]—Mm. 20 ყოფნა T. 21 ყაზანის თანა M, ყაზანს წინაშე T, ყენის თანა m.  
 21 კეთილად] პატივით T. 22—23 ხუტლუბა MTm. 23 ნოინ M. 23 ტფილის MTm.  
 24 შემოეყარნეს m, შამოიყარნეს M, შემოიპარნეს T. 26 ტაოელნი M, ტოელნი m.  
 28 მეფემან]+ვითარ ცნა M.

აღუთქუა ურდოს წარსლვა, უკეთუ ფიცითა შეაჯეჟინ  
 და მოსცენ მიქვალი. ხოლო ხუტლუშამან შეჰფიცა და  
 ყოველი სათხოველი აღუსრულა. და წარვიდა ბურსელი  
 მეფეს წინა. ხოლო მან განიხარა და წარმოავლინა დე-  
 დოფალი ოლჯათ, და კათალიკოზი აბრაჰამ, და ბურსელი 5  
 და მოვიდეს მუხრანს. ხუტლუშა და სხუანი ნოინნი ბა-  
 ზალეთს წინამოეგებნეს ოლჯათს და, ვითარა ყაენს, ეგ-  
 რეთ პატიე-სცეს, და მოსცეს პირი სიმტკიცისა, და ბეჰე-  
 დი ყაენისა, და კელისმანდილი, რამეთუ ესე აქუნდა  
 სიმტკიცე ფიცისმინდობისა, და აძლიეს ხუტლუშას შვი- 10  
 ლი სიბუჩი მიქვლად. გარნა ოლჯათ არღარა წარავლინა,  
 არამედ კათალიკოზი, ყადი და ბურსელი, რათა მოიყვა-  
 ნონ მეფე. ვითარ მივიდეს მეფეს | წინაშე, ცნა ოლჯა-  
 თის არღარა მოსლვა, მიზეზ-ყო და არღარა ინება ნახვა 15  
 თათართა, დიდი რამე | რიდი და შიში აქუნდა. წარავ-  
 ლინა იგივე კათალიკოზი, ყადი და ბურსელი, ითხოვა  
 ოლჯათ და აღუთქუა ხილვა. და ვითარ მივიდეს ხუტ-  
 ლუშას თანა, ცნა არა მოსლვა მეფისა, რქუა ბურსელსა:  
 „კაცო, სატყუარი რა არს? მე მტკიცითა ფიცითა შემი- 20  
 ფიცავს, და ვერ მოვიდა. აწ მიიღე ტყუილისა ნაცვალი  
 პატიეი“. და განრისხებულმან მოაკუდინა ბურსელი,  
 რომლისა გუამი აღილო შანშე და წარგზავნა სამარხოსა  
 | მისსა. ვახტანგს დაუმტკიცეს მეფობა და ოლჯათ წა-  
 რავლინეს ურდოსა.

და თათარნი კუალად წარვიდეს მთიულეთს და გარ- 25  
 დავიდეს გუელეთს, რამეთუ მეფე | შედგომილ იყო, და  
 დიდად ავნებდა თათართა, გარნა სიდიდითა არა აკლდე-  
 ბოდა. ვითარ იხილეს სიმტკიცე და უბრძოლველობა გუ-  
 ელეთისა, აიყარნეს და წარმოვიდეს, რამეთუ ქართაცა  
 მოჰბერეს და იწყო თოვლმან მოსლვა. და მოესწრნეს 30  
 მთიულნი და მრავალი მოკლეს. ეგრეთვე ზანდუქისცევს

1 უკეთუ ჩე. კონიექტ., რათა R, თუ გორგ.—MTm, 2 ხუტლუშამან  
 MT, 3 ხუტლუშამ m. 3 ბურსელი m. 4 წინაშე T. 5 აბრაჰამ Mm, აბრაჰამ T.  
 5 ბურსელი m. 6 მუხრანს T. 6 ხუტლუშა MT, ხუტლუშა m. 7 ყაენს M,  
 ყაენს m, ყაენს T. 8 პირი სიმტკიცისა Mm, ფიცისა სიმტკიცე T. 8 და (ბეჰედი)—Mm.  
 10 ხუტლუშას MT, ხუტლუშას m. 12 არამედ—MTm. 12 კათალიკოზი]+ და T. 13 მე-  
 ფესა m. 14 არღარა] არა T. 16 ბურსელი m. 17—18 ხუტლუშას MT, ხუტლუშას m.  
 20 და]—m. 21 პატიე] პატიე Mm. 21 ბურსელი m. 22 შანშა MTm. 25 წარვი-  
 დეს]+ურდოსა MTm. 25—26 გარდავიდეს Mm. 26 გუელეთს] გელათს MT. 27 ავენებ-  
 და]+სიმაგრეთა შესრულთა T. 28—29 გელათისა MT. 30 თოვლმან გორგ.] თოვლუშან  
 MTmR, ბროსე, ყაუხჩ. 30 და T, რამეთუ Mm. 31 მრავალნი Mm. 31 მოკლნეს m.

შესრულნი მრავალნი თათარნი მოისრნეს. და შთამოვი-  
დეს ქართლს და წარვიდეს ყაზანს წინაშე, და მიჰგუა-  
რეს ოლჯათ, და არღარა მოსცეს მეფესა. ვითარ ცნა  
მეფემან, იქორწინა ქართლისა ერისთავის ჰამადას ასუ-  
ლი, ფრიად ქმნულკეთილი.

5

ამათ შამთა რა იყო ქუეყანა ქართლისა, არა  
იყო მათ შამთა შინა თესვა და არცა შენება ყოვლადვე,  
ვითარ დღეთა აქაბ მეფისათა ელიას მიერ საქმ წელ და  
ექუს თუე, გარნა აქა ხუთ წელთა იყო ოჯრება, რამეთუ  
ესოდენთა სიბილწეთა, სოდომურთა ცოდვათა შემოს-  
რულთათვს განრისხნა ღმერთი და ვიქმენით პირველად  
მწარესა ტყუეობასა, და მეორედ ბარბაროზთა მიერ  
სრვასა და კოცასა, მესამედ იქმნა პურისა მოკლება,  
ყოვლად არა იპოვებოდა სასყიდლად არცა დიდითა ფა-  
სითა. ესოდენ განძნდა შიმშილი, მძორსა არაწმიდასა  
ურიდოდ ჰამდეს. სავსე იყვნეს უბანნი და ფოლოცნი,  
გზანი და მინდორნი, და ქალაქნი და სოფელნი მკუდრე-  
ბითა, ყრმანი მკუდართა დედათა ძუძუთა ლეშკთა სწოვ-  
დიან. და უმრავლესი ერი ქართლისა წარვიდა სამცხეს  
ქუეყანად ბექასსა, სადა-იგი იპოვებოდა პური სასყიდ-  
ლად. ფრიადსა და უზომოსა მოწყალებასა შინა იყო  
მეუღლე ბექასი ვახახი, რომელი იყო ყოვლითურთ შემ-  
კობილი<sup>22</sup>.

10

15

20

დამტკიცდა მეფობა ვახტანგისი. რამეთუ ყაზანმან  
კელით-უღვა სამეფო, დაიპყრა ტფილისი და ყოველი  
სომხითი, დმანისი და სამშვლდე, ხოლო არა წინააღუ-  
დგებოდა ძმასა თვსსა დავითს, რამეთუ იყო ვახტანგ  
გუამითა სრულ, სარწმუნოებითა მტკიცე, ეკლესიათა  
პატივისმდებელ, მშვდ და მდაბალ, არა მოშურნე,  
მკუდრო და უშფოთველ.

25

30

ამათ შამთა უმეტეს განდიდნა მთავარი სამცხისა

R 464b

T 338b

M 922

R 465a

1 მოისრენ M. 1—2 შთამოვიდენენ m. 2 ყენს ყაზანს m. 3 მოსცეს]+და არღარა  
მოსცეს Mm. 4 ჰამადას T. 7 მათ შამთა შინა თესვა R, რათამცა ძე ესვა MTm.  
7 ყოვლად MT. 8 ილიას M. 9 აქა R] არა MTm. 10 ესოდენთა]+ღმერთი MTm.  
10-11 შემოსრულთა Mm. 11 განრისხნა ღმერთი და R]—MTm. 12 მწარესა T, მცირესა  
Mm. 12 მეორედ]—MTm. 14 სასყიდარი m. 15 ესე ოდენ m. 16 იყუნენ m. 16  
ფოლოცნი m. 17 და (მინდორნი)—T. 17—18 მკუდრებითა]+სავსე იყუნეს m. 18~დე-  
დათა მკუდარსა m. 18 ძუძუთა]—Mm. 19 უმრავლესნი Mm. 20 ქუეყანად]—Mm.  
26 დმანისი და სამშვლდე]—Mm. 26 ხოლო R, რამეთუ MTm. 28~მტკიცე სარწმუ-  
ნოებითა m.

ბექა. ამათ უამთა გამოჩნდეს თურქნი საბერძნეთს მყოფნი, რომელნი დაემკვდრნეს ზაფხულის მთათა პარხლისათა და ზამთრის მახლობელად პონტოსა. და შეკრბა სამოცი | ათასი, რომლისა თავად იყო ა|ზატ-მოსე, კაცი მკნე. წარმოვიდა ესე აზატ-მოსე ყოვლითა ძალითა მისითა მოოკრებად ყოვლისა საქართველოსა. და ვითარ მოიწია ბასიანს და ტაოს, იწყო მძევარედ ოკრება, ჯოცა და კლვა. ესოდენი სული მოისრა და ტყუე იქმნა, ვითარ შეუძლებელ არს მოთხრობა, ვითარ ბერნი, ყრმანი, ჭაბუკნი უწყალოდ მოისრვოდეს, და ჩკლთა ყრმთა დედისა ძუძუთა შინა მოჰკლვიდიან. რამეთუ არა ჰგონებდეს თურქთა გამოჩენასა, ამისათვის ყოველი სოფელი ტაოსა შეუძრავად დახუდა, და ვერასადა ვინ ივლტოდა. ამისთვის ურიცხუნი მოისრნეს, და ესეზომ მოოკრდა ტაო, რომელ ვაშლოვანიით წარსრულნი თურქნი შთავიდეს მურღულს და ნიგალისკევეს უვალთა ადგილთა, რომელნი მოისრნეს კერკემელის ძეთა აზნაურთაგან. მაშინ ერისთავი ტაოსა თაყა ფანასკერტელი უღონო იყო სიმცირისათვის ლაშქრისა, გარნა ეგრეცა მცირე წყობა ყო ციხისა თორთომის თავსა, დიდად ავნო, გარნა სიდიდისათვის თურქთასა ქუეყანით მისით ვერ განასხა, | არამედ თურქნი უმეტეს განძვნდეს და მოაოკრებდეს ტაოსა.

ხოლო მოიწია ამბავი მთავარსა თანა ბექასა, რომლისათვისცა დიდად ტკივნეულ იქმნა, ვითარ ხუდებოდა გონიერებასა და სიბრძნესა მისსა. და მოუწოდა ყოველთა მის ქუეშე დაწესებულთა და წარემართნენ წყობად თურქთა. და ვითარ მიიწია ტაოს და ბასიანად, ესმა, ვითარმედ თურქნი წარვიდეს საზამთროსა ადგილსა მათსა. და ვერ ესწრა, შემწუხრდა ბექა მოოკრებისათვის ტაოსა, გარნა შეიქცა სა|ხლად თვსად. ეძვნებოდა სულსა მისსა მოსლვად ტაოსა, ვითარ ანტაკრად ეტყვი-

m 656  
T 339a

R 465b

M 923

T 339b

1 ამათა m. 1—2 მყოფნი] მეფენი MTm. 2 მთათა] მათთა m. 3 ზამთრისა T. 4 რომლისა R, რომელი MTm. 4 თავად]—MTm. 7 მძევარე MTm. 10 უწყალოდ მოისრვოდეს]—MTm. 10 და]—m. 11 ძუძუსა m. 13 დახუდა]—m. 14 სულ მოისრნეს m. 14 ესეზომ m. 16 ნიგლის კევეს m. 17 მოისრნეს კერკემელის ძეთა] მოკერკემელის ძეთა Mm. 18 ფანასკერტელი m. 19 სიმცროსათვის Mm. 20 თავსა Mm, ძრსა T. 20 ავნაო M. 21—22 განასხა] განსხა T. 24 ანბავი m. 25 იქმნა] იქმნიან Mm. 25 კვდებოდა m. 27 წარემართა T. 28 მოიწია Mm. 29 ვითარ T. 29 ადგილსა] სადგურსა T. 30 ესწრეს M, ესწრნეს m. 32 მისსა]—MTm. 32 მოსლვა ტაოდ T. 32 ანტაკრად R, ეთნიკონტრად MTm.

ნებოდა სული მისი წყობად თურქთა. მოუწოდა წარჩინებულთა სამცხისათა, შავშ-კლარჯთა, შემოკრიბნა ყოველნი და რქუა: „ისმინეთ, მთავარნო საქართველოსანო, ძმანო და თანამონათესავენო ჩემნო, სიტყუა ჩემი. დიდ- 5 მან და სახელოვანმან, სკიპტრისა და პორფირისა მქონებელთა შორის უმეტეს განთქმულმან მეფემან დავით დასცა და დაამკო ძლიერება თურქთა ნათესავისა და აოტნა სამეფოსაგან მისისა. მიერ ჟამთაგან აქამომდე არღარა ჩენილან თურქნი. აწ ცოდვათა ჩუენთათჳს კუ- 10 ალად აღიძრნეს და აღაოკრეს მძენვარედ ტაო და ურიცხვ სული ტყუე-|ყვეს და მოსწყყდეს პირითა მახვილისათა, ეკლესიანი დასცნეს და სიწმიდენი შეაგინეს, და კუალად განმზადებულ არიან ბოროტის-ყოფად ქრისტიანეთა და მოოკრებად, ვინათგან მეფე შემცირებულ არს მძლავრებისაგან თათართასა, და კუალად პირნი და 15 თავნი საქართველოსანი განდგომილან, და არაეინ არს წინააღმდეგომ თურქთა. აწ ისმინეთ ჩემი, ტომნო და ერთნებანო, და შეეკრბეთ ყოვლითა ძალითა ჩუენითა და მივმართოთ თურქთა, და არა მივსცეთ თავნი და შვილნი ჩუენნი, და არა განგუწირნეს ღმერთმან მოსავე- 20 ნი მისნი და აღმსარებელნი მისნი, და მოგუცეს ძლევა მათ ზედა, ვითარ მისცა მამათა ჩუენთა ძლევა მათ ზედა. დავდვათ თავი ჩუენი სჯულისა შეუგინებლობისათჳს და ძმათა ჩუენთათჳს, უეჭუელად ღმერთი მოგუანიჭებს ცხორებასა“.

და ვითარ ესმა მთა|ვართა და სპათა ბექასათა, სიხარულით მიემოწმნეს და დააპირეს ლაშქრობა თურქთა ზედა, განიყარნეს. და მოიწია არე ზაფხულისა, იწყეს თურქთა აღმომართ სლვა, და შეკრბეს სიმრავლე ვითარ ექუსი ბევრი, რამეთუ ყოველთა ქალაქთაგან გამოჰყვა 30 კაცი სჯულითა სარკინოზი კოცად ქრისტიანეთა, და არა თურქნი ოდენ იყვნეს, არამედ სპარსნიცა. და ვითარ ცნა ბექამან მოსლვა თურქთა, მოუწოდა ყოველთა მის

m 657  
R 466a

T 340a  
M 924

1 მოუწოდა] +ყოველთა T. 2 შავშთა კლარჯთა m. 2 შემოკრიბნა] და შემოკრბა MTm. 7 დამკო Mm, დაამკუა T. 7 და]—m. 8 მიერ ჟამთაგან T, მას ჟამითგან Mm. 8 აქმომამდე m. 9 ჩენილ არიან T. 9—10 და კუალად Mm. 10 აღიძრნეს და]—Mm. 10~აღიძრნეს მძენვარედ T. 10 მოაოკრეს T. 12 დასცეს T. 15 და (კუალად)]—T. 16 არაეინ არ T. 17 ჩემნი M. 20 განგვეწირნეს m. 21 აღმსარებელნი T, აღმსარებელი m. 22 მისცა]—Mm. 26 სპათა მისთა ბექასათა Mm. 27 და]—m. 30 ექუსისა MT. 30 ქალაქთა MTm.





ქუეშე დაწესებულთა, ტასიკართგან ვიდრე ბასილიდეს  
 მდე: მესხთა, შავშთა, კლარჯთა, კოლა-არტან-კარსნი-  
 რელთა და უმრავლესთა ტაოელთა, რამეთუ ამას აქუნ-  
 და ქუეყანა ესე, ამით თანა თმოგუელთა და თორელთა.  
 და შეკრბა სიმრავლე | ერთი ბევრი და ორი ათასი, და 5  
 მიმართეს თურქთა. ივინი აღმოსრულ იყენეს მათთა  
 პარხლისათა, დაებანაკა და წარველინა მკედრები ტყუ-  
 ენვად ვაშლოვნისა, და ეგულებოდა მოსლვად ქუეყანად  
 ბექასა სამცხეს, და ქართლს და სომხითს. ვითარ მივი-  
 დეს თურქნი ვაშლოვანს, კაცი ვითარ ათი ათასი, წინა- 10  
 განეწყუნეს სპანი ბექასნი, ხუთასი კაცი, რომელნი |  
 წარველინეს მცველად და უდგეს სიმაგრეთა შინა.  
 იქმნა ომი ძლიერი, და ივლტოდეს თურქნი, და მოს-  
 წყდა სიმრავლე ფრიადი ადგილთა სიმაგრითა. და ეს-  
 რეთ წინადაუსახვიდა ღმერთი ძლევასა ბექასა თურქთა 15  
 ზედა.

ვითარ ესმა ბექასა ვაშლოვნით გაქცევა თურქთა,  
 განიხარა და წარისწრაფა, და მიმართა | სპერს და ბა-  
 ბერდს, სადა იყენეს თურქნი მდგომარე. ვითარ იხილეს 20  
 თურქთა მოწყუედა სპათა მათთა მცირეთა ლაშქართა-  
 გან, განძნდეს და იღრჭენდეს კბილთა. მოუწოდა მთა-  
 ვარმან მათმან აზატ-მოსე სპათა თურქთასა და გამო-  
 არჩია კაცი ოცდაათი ათასი, და წარემართა ვაშლოვანს  
 ძებნად სისხლთა სპათა მისთასა. რამეთუ მისლვა და 25  
 დაახლება ბექასი არა უწყოდა, ოცდაათი ათასი სხუა  
 წარმოავლინა ტაოს და რქუა: „მე წარვალ, ვაშლოვანს  
 მოვაოკრებ და აღვიზღავ სისხლსა ჩემსა, და თქუენ მი-  
 დით ტაოს და მოსწყუდეთ, თულა სადა დარჩომილ იყოს,  
 და დადგით ბანას. და მეცა განმარჯუებულნი შემოვიქ-  
 ცევი | და მოვალ ბანას, და შევეკრბეთ და მივმართოთ 30  
 ყოველსა საქართველოსა“. და ესრეთ წარემართა ვაშ-  
 ლოვნით კერძო.

3 უმრავლესთა M, უმრავლესი m. 3 ტოელთა m. 4 და თორელთა—T. 5 სიმრავლე—m. 6 თურქთა|+ზედა T. 7 მკედრობა TR. 9 სამცხეს და ვითარ MTm. 11—12 რომელ წარველინეს Mm. 12 და|—Tm. 12 დაუდგეს T. 12 უდგეს|+მცველად Mm. 14 სიმრავლე—Mm. 17~თურქთა გაქცევა m. 18 და (ბაბერდს)—MTm. 18—19 ბაბერდს] შაშერდს Mm, ბაშერდს T. 19 ვითარცა T. 20 თურქთა|—Mm. 24 მისთა m. 24 და|—m. 25 დაახლება T. 27 მოოკრებად m. 28 სადა T, სად m, სამ M, სადმე R. 29 დადგეთ T. 29 შემოვიქცევი M. 30 და მოვალ ბანას|—Mm.



მაშინ აღიჭურვა მანდატურთუხუცესი ბექა და ყოველი სპა მისი და მიმართეს თურქთავე, რამეთუ არა უწყოდეს წარსლვა თურქთა ვაშლოვანს. ვითარ წარვლო მცირე, ოთხნი თურქნი მიმავალნი დაიპყრეს და მოუსხეს ბექასა. ხოლო მან ჰკითხა ამბავი თურქთა, თუ სადა არიან. და ოთხნივე ცალკე გაყო და ოთხნივე ერთსა იტყოდეს, წარსლვასა თურქთასა ვაშლოვანს: „აზატ-მოსე ოცდაათი ათასითა მკედრითა წარვიდა ვაშლოვანს, და ორმოცი ათასი დაუტევა და წარმოავლინა ტაოს, ხვალე ანუ ზეგე მოვალს“. ირწმუნა სიტყუა მათი | და ორად განყო ლაშქარი თვისი. რჩეული და უმრავლესი ლაშქრისა მისისა მისცა შვილსა მისსა პირმშოსა სარგისს, რომელი ოდენ აღზრდილ იყო აბჯრისმტკრთველად, და წარავლინა ვაშლოვანს აზატ-მოსეს ზედა.

T 341a  
m 659  
R 467b  
M 926

17. ძველი რედაქციის ნუსხებშია გაუგებარი „ყაქულობით“ (ყა ქულობით) ვახტანგისეულ რედაქციაში — ასევე გაუგებარი „ყაფულობით“ (ეს უკანასკნელი წააგავს „ყაფუნი“ || „ყაფიხის“, რაც შეკარეს ნიშნავს). ფ. გორგიჯანიძესთან იხსენებინ „მოდარაჯენი“, საბას მიხედვით კი დარაჯა და ყარაული სინონიმებია. საინტერესოა იმის აღნიშვნაც, რომ რაშიდ აღ-დინი დასახელებულ ეპიზოდში სწორედ ყარაულებს იხსენიებს (Рашид ад-Дин. Джими ат-таварих, III. Баку, 1957. სპარსული ტექსტი, გვ. 103).

18. ამას გასწვრივ აშიაზე მიწერილია: „ათაბაგთა განდგომა“ (M), „ათაბაგი განდგა“ (m).

19. „ქალაქი“ იხსენიება როგორც ვახტანგისეული რედაქციის, ასევე QT ნუსხებში და ფ. გორგიჯანიძესთან. სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმულია აზრი, რომ აქ იგულისხმება არა თბილისი, არამედ გორი (რ. კიკნაძე. ქამთაღმწერლის თხზულების ერთი ადგილის შევსებისათვის, გვ. 151—152).

20. რუმინაცივისეულ ნუსხაში აშიაზე მიწერილია: „გუანცა დედოფალი მოკლეს“.

21. აქ ჯანაშვილისეული და ჭალაშვილისეული ნუსხები უმატებენ: „ხოლო აბათა ნოინი შივიდა წინაშე ყაენისა და ვედრებით სთხოვა სარქის, რათა იცნნას კელთაგან დავით მეფისათა“ (იხ. ქართლის ცხოვრება, II, გვ. 255). ფ. გორგიჯანიძეს უფრო მოკლედ აქვს ნათქვამი: „და მან (აბათამ — რ. კ.) ყაენს აბაღ[ი]ს მოახსენა მეფისაგან სარქისის დაჭირება“. ფ. 90ბ (77ბ).

22. სიტყვები „ვითარ მოეხლა ეამი მოსლვისა“ არ არის DC ნუსხებში, ამიტომ ს. ყუუხჩიშვილმაც გამოტოვა ტექსტში (გვ. 257, შენ. 1), თუმცა ყველა დანარჩენი ნუსხა აჩვენებს ამ ფრაზას, რომელიც აუცილებელია აზრის სწორად გასაგებად. ფ. გორგიჯანიძეც ადასტურებს, რომ „დიდის ტირილითა და გლოვით, ზარითა და თავთა ცემითა სპათა საქართველ[ოსათა] აიღეს მკვლარ[ი] მცხედრითა, მიაყენეს საღდარსა სიონისასა თბილის ქალაქს, რომე მოიცადონ მეფე დავით, ამისთვის რომ ახლო იყო ლაშქართ გაშვება“. — ფ. 92ა — 92ბ (78ა — 78ბ).

23. სპარსული წყაროებით, ამ მონღოლი უფლისწულის სახელი იყო ნიქუდარი (ნეგუდარი).

24. ქამთაღმწერლის თხზულების დღეისათვის ცნობილ ტექსტში თეგუდარი და მისი კუთვნილი ქვეყანა ზემოთ არსად არის ნახსენები.

25. Q ნუსხაში აშიაზე მიწერილია: „იხილენით სასწაულნი ნათლისმცემლისანი“.

26. ამის გასწვრივ M ნუსხაში აშიაზე მიწერილია (ე. თაყაიშვილი ფიქრობს, რომ ვახტანგ VI-ის ხელით): „კოსტანტინეპოლის მეფის პალიალოლისა ასული, ცოლი დავით მეფისა, რუსუდანის ძისა“.

27. „ქართლის ცხოვრების“ ყველა ხელნაწერში და გამოცემებში წერია „შიში-საებრ ყაენისა“, რაც აზრობრივად გაუმართლებელია. ასეთი წაკითხვა ტექსტში უთუოდ გაჩნდა დაქარაგმებულ სიტყვაში (ბზისაებრ) ბან-ისა და შინ-ის აღრევის გამო. შდრ. აქვე ქვემოთ: „ჩუენ ბრძანებისაებრ თქუენისა გუნებავს გარეშეკცევა“.

28. სიტყვები — „ხოლო მეფემან რქუა: არა არს წესი“ — მაჩაბლისეულ ნუსხაში გამოტოვებულია და შემდეგ არის მიწერილი აშიაზე სხვა მეღნით.

29. ყველა ხელნაწერში და გამოცემებში არის „სხუა“ (სხვა, სხვაჲ). ტექსტის გასწორება ხერხდება ფ. გორგიჯანიძის ჩვენების საფუძველზე.

30. ტექსტის ამ ადგილის შესახებ იხ. თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო რუსთაველის ეპოქის ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქამთაღმწერელი. — ივ.



ჯავახიშვილის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო შეგნების  
თბ., 1976, გვ. 295—296.

31. აქ მთავრდება Q-1219 ნუსხის (ე. წ. მცხეთური „ქართლის ცხოვრების“ პი-  
რის) ტექსტი.

32. ამის შემდეგ „ასწლოვანი მატიანის“ ტექსტი ყველა ნუსხაში ნაკლებია.  
გამოტოვებული ადგილი შემონახული აქვს ფ. გორგიჯანიძეს. ამასთან, შეიძლება  
ვიფიქროთ, რომ XVII საუკუნის ავტორს „ქართლს ცხოვრების“ ორი სხვადასხვა  
ხელნაწერით უსარგებლია და ორჯერ, რამდენაღმე განსხვავებით აქვს გადმოცემუ-  
ლი ერთი და იგივე ამბები (ე. წ. მეორე ვარიანტი თბრობისა უადგილო ადგილას  
არის ჩართული გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ ავტორგაფულ ნუსხაში).

ქვემოთ მოკვამს გორგიჯანიძის თხზულებაში დაცული ნაწყვეტის ორივე ვარი-  
ანტის ტექსტი:

I. „მას ეამს ყოველს წელს საშემოდგომით წავიდიან ქართველნი და თათარნიც,  
მათთან მეფე დავით და სპა მისი, მივიდიან ყაბალის ბოლოს, სამძღვარსა საქართვე-  
ლოსასა, საცა შარე[ა]შიან[ნი] ღობეს შემოავლებდნენ წყლის პირსა, რომელსაც სიბათ  
იხმობდეს, და ზამთ[არ]ს იქ იქნებოდენ და გაზაფხულისას აიყრებოდენ. ამ ჭირში  
იყვნენ მეფე და ყოველნი ქართველნი.

აწე ასტყდა სხვა შფოთვა, რომე ზემორხსენებული ყაენის შვილი[ს] თანაანი  
თათარნი დარჩომილიყვნენ, რომელსაც საველად აღნარობით იხმობდენ. ამათი თა-  
ვადი იყო საველათ იელღურ. წამოვიდა ბარგითა, დედა-წულითა, სიმდიდრითა მა-  
თითა, გარდარნეს მთანი ლეხისანი და მივიდნენ არგვეთს მეფეს დავითს თანა. მეფე  
კარგად დახვდა, მრავალი ნიჭი უბოძა და სარჩოთ გაუჩინა ქვეყანა რაჭისა. სენა  
აბღამ შესვლა აღნარის ლეხტ-იმერითს, ეწყინა და მეფეს დაემღურა, და წა[ა]რთვა  
ატენი და რომელიც ქვეყანა მიეცათ. ამისმან მცნობელმან დავით მეფემან უბრძანა  
იელღურსა და სპასა მისსა დარბევა ქართლისა. მათაც დაიწყეს რბევა, ხოცა და  
ტყვეთ წასხმა, ოხრება ცხეთამდისინ.

ქართლის მეფე, გიორგი მეფის ლაშის შვილი, დავით დაბერებულყო და თა-  
თართ ლაშქრობისაგან შეზარებულყო, ნამეტნავად სიბაზე წასვლისა აღარ აქონდა  
ღონე. მისწერა ზემორე ხსენებულთა ოსთა, შეგროვდენ ყველანი. სურამელის გრი-  
გოლის საქმით და მისის შვილის ბეგას რჩევით, მისცა გორის ციხე და ქალაქი, დაუ-  
ყენა წინ საომრათ იელღურსა და იმერლებსა, დაიცონ ქართლი. უწყინარეს ამას მოე-  
ყენა თათარი თანღუთ, საველათ ჯანას, მყოლებელი მკედრის ხუთასისა, იმავე  
ბეგას გაძრახვითა, რომე მანვე დაიცვა კარი დარალამისა და გზანი დვალეთისა და  
ოსეთისა, რომე ეს კეთილათ იქნა... მათ ეამად დაიცვა ქვეყანა ოსთაგან, რომელთა  
მთავარნი იყვნენ ძმანი ორნი, უფროსი ფარანჯენ და უმცროსი ბალათარ, ზემორე  
ხსენებულის ლიმაჩავის ძენი“. — ფ. 97ბ—98ა (ფ. 84ბ—85ა).

II. „ამ ეამს ყოველს წელს, შემოდგომით გაზაფხულამდისინ, თათარნი და მეფე  
დავით ქართველთ ჯარით შ[ი]რვანს მივიდიან მცველათ, ყაბალის ბოლოს დადგინან,  
სად სამძღვარია ქართლისა, სად თბრილითა და ღობით ვით ციხე სახიზრათ გაე-  
მაგრებინა ბერქა[ა]ნი გამოსვლის შიშითა და სიბას ეძახდენ. ამ საქმით შედონე-  
ბულყო მეფე დავით.

აღიძრა საქმე ესე, რომე ზემორე ხსენებული ყაენის შვილთა თანა[ანი] თათარნი  
დარჩომილ იყვნეს, რომელსა აღნარობით იხმობდენ. ამათში თავადი იყო, საველათ  
ერქვა იაღღურ. წამოვიდნეს ცოლ-შვილითა და ბარგითა და ყოვლითა სიმდიდრითა  
მათითა, გარდვიდნეს მთასა ლეხისასა, მივიდნენ არგვეთს. მივიდნენ მეფეს დავითს  
წინ. მეფე კარგად დახვდა, გაუჩინა სარჩოთა და სადგმურათ ქვეყანა რაჭისა. აბღ  
ყაენს მოახსენეს შესვლა იელღურისა იმერეთს. უწყინა ყაენმან შეშეება მისი მეფეს

დავითს და წა[ა]რთვა ატენის კეობა. მეფემანაც უბრძანა იელღურსა და თვითაც ჯარი მიამშველა, დარბევად[ღ] ქართლისა. ააოხრეს ცხეთამდისინ.

და მეფე დავით შეწყყენილი და მოუტლელი იყო შირვან[ს] მცველათ სიბისათა და აღარ იყო ღონე. აცნობა ზემოხსენებულთ ოსთა, შეპკრან ყოვლი გზანი. გაზრახვითა სურამელისათა გრიგოლისათა უბოძა გორის ციხე-ქალაქი და სამეკიდრო მისნი, და დახვდნენ იელღურსა და იმერელთა, დაიცონ ქართლი და ამათაც არბიონ რაჭა და იმერეთი. და უწინ ამისას მოეყვანა თიღუნ ნათესავი, მყოლებელი ზუთასის კაცისა, სახელათ ჯასან, ბეგასვე გაზრახვითა, რომე მან და ბეგამ დაიცვან კარი დარალამისა და გზა დასავლეთისა. და გაუჩინა საზ[ა]მთროთ სადგომათ მუჭრანი და საზაფხულოთ მთიულეთი. ეს კარგად იქნა და ამას უკან ოსთაგან დაიცვა ქვეყანა. რომელიც თავადობდა, იყვნენ ორნი ძმანი, უფროს[ს] ერქვა ფარეჯან და უმცროს[ს] ბალათარ, ლიშვანის ძენი. — ფ. 245ა—245ბ (ფ. 232ა—232ბ).

დაწვრილებით ამ ცნობათა შესახებ იხ. რ. კიკნაძე. ქამთაღმწერლის თხზულებების ერთი ადგილის შევსებისათვის.

33. ტექსტის ამ ადგილის შესახებ იხ. გ. მამულაია. „დიდთა სიტყვსმოქმედთა პირველთა“ ვინაობისათვის. — კრებ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966, გვ. 244—245; თ. ყაუხჩიშვილი. ანტიკური სამყარო ქართულ ისტორიოგრაფიაში. ქამთაღმწერელი, გვ. 294.

34. ჯერ კიდევ მ. ბროსემ შენიშნა, რომ ქართველ ავტორს ადრე არაფერი აქვს ნათქვამი მათ შესახებ (*Histoire de la Géorgie*, I, p. 585, n. 1). დაწვრილებით ლალღურის შესახებ იხ. რ. კიკნაძე. ქამთაღმწერლის თხზულებების ერთი ადგილის შევსებისათვის, გვ. 115—121.

## V

1. ამის წინ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში სათაურია: „მესამეოცდასამე მეფე ქართლისა დიმიტრი, ძე დავით მეფისა, ბაგრატიანა“. იგივე სათაური არის თეიმურაზისეულ ნუსხაშიც: „მესამეოცდასამე მეფე ქართლისა მეორე დიმიტრი, ძე დავით მეფისა, ბაგრატიანა“. სათაურის გასწვრივ რუმინანცევისეულ ნუსხაში მიწერილია: „მეორე დიმიტრი“.

2. მონი ად-დინ ფარვანა მკირე აზიის სელჩუკიან სულთანთა ვაზირი იყო. იგი მონღოლებს მიემხრო და ჰულაგუ-ხანისაგან საგამგებლოდ მიიღო რუმის მხარე (*Рашид ад-Дин. Сборник летописей*, III, с. 61). ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, ფარვანა „ქართველის შვილი“ ყოფილა. — დასახ. ხელნაწერა, ფ. 100ა (87ა).

3. ყველა ხელნაწერშია „და თანა მოკლულ იქნა“, რაც ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „შემთხვევით უნდა იყოს აქ მოხვედრილი“ (გვ. 271, შენ. 1). ფ. გორგიჯანიძის ჩვენებით ირკვევა, რომ საუბარია ამირ თოდანის მოკვლავთ. — ფ. 100ბ (87ბ). ეს ეპიზოდი და თოდანის ბრძოლაში დაღუპვის ამბავი მოთხრობილი აქვს რაშიდ ად-დინსაც (*Рашид ад-Дин. Сборник летописей*, III, с. 88).

4. რაშიდ ად-დინის ცნობით, უფროსი ამირი ირინჯინი ქერათების ტომიდან იყო და ძმისწულად ხედებოდა ჰულაგუ-ხანის მეუღლეს დოღუზ-ხათუნს (*Рашид ад-Дин. Сборник летописей*, III, с. 18, 112).

5. ყველა ხელნაწერსა და გამოცემაშია: „დიდი საჰბ დივანი (სიბღევანი, სიბღღევანი) ავაგ ათაბაგისა ამას აქუნდა“, რაც სრულიად გაუგებარია და ზოგჯერ არასწორი დასკვნის საფუძველი ხდება.

6. რუმინანცევისეულ ნუსხაში აშიაზე მიწერილია: „ქარნუქალაქი აზრუმა“.



7. ამ სიტყვის გასწვრივ მარიამისეულ ნუსხაში აშიაზე მიწერილია (ე. ჯავახიშვილის აზრით, ვახტანგ VI-ის ხელით): „მეფის დატრის ცოლი, ბერძენთ მეფის, კომნინოს ასული“. მაჩაბლისეულ ნუსხაში აშიაზე მიწერილია: „მეფის დიმიტრის ცოლი ბერძენი მეფის, კომნინოსის, ასული ყვანდა“.

8. ეს აღწერა ქართულ ისტორიოგრაფიაში 1278 წლით იყო დათარიღებული (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III. თბ., 1966, გვ. 213, 221; დ. გვრიტიშვილი. ნარკვევები საქართველოს ისტორიიდან (XIII—XIV სს.), თბ., 1962, გვ. 248; ვ. გაბაშვილი. მაზლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები ეპითაღმწერლის თხზულებაში. — კრებ.: მაზლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები. თბ., 1968, გვ. 62; საქართველოს ისტორიის ნარკვევები, III. თბ., 1979, გვ. 594). ასეთი დათარიღება ეწინააღმდეგება რეალურ ისტორიულ ვითარებას. ამჟამად გამორკვეულია, რომ აღწერა არღუნ ამირს ჩაუტარებია 5 წლით ადრე, 1273 წელს (რ. კიკნაძე. XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიის ქრონოლოგიიდან. — მაცნე, ისტორიის სერია, 1973, № 4, გვ. 146).

9. მონღოლთა მიერ გილანის დასაპყრობად მოწყობილი უშედეგო ლაშქრობის შესახებ ჩვენთვის ცნობილ აღმოსავლურ წყაროებში არაფერია ნათქვამი (იხ. რ. კიკნაძე, ყორღოლანგი — სულ — სულთანე. — კრებ.: კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები. თბ., 1966, გვ. 263, შენ. 51).

10. ეს მიწისძვრა მომხდარა 1275 წლის 10—13 აპრილს (იხ. რ. კიკნაძე. საქართველოს ისტორიის წყაროთმცოდნეობის საკითხები, I, გვ. 175—176).

11. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ „ისტორიკოსის ნათქვამი ცოტა ბუნდოვანია და მკაფიოდ აღნიშნული არ არის, თუ ვინ მიჰყიდა მეფის და თამარის“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 221). ფ. გორგიჯანიძე ადასტურებს მეცნიერის ვარაუდს, რომ არღუნ ამირის ვაჟს გაუყიდა ცოლი: „სცნა სადღუნმა შეტულევა ცოლ-ქმართ, მეფის დას შეევაჰრა ქმარსა მისასა და აბლა ყაენს შეეხვეწა, და მანც ნება დართო. მისცა ფასი მრავალი ქმარსა და იყიდა მეფის და“. — დასახ. ხელნაწერი, ფ. 103ა (90ა).

12. ვახუშტისთან ეს ქალაქი „დარუბაკი“ ფორმით იხსენიება (ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა. ს. ყაუხჩიშვილის გამოც. თბ., 1973, გვ. 231). რაშიდ ად-დინი ასახელებს „დღირ-ე ბირს“ და ციხე-სიმაგრე „ხალიბიას“ (Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 96).

13. ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებსა და გამოცემებში დასახელებული „ამასია“ გაუგებრობაა, რადგან ეს ქალაქი ჩრდილო თურქეთში მდებარეობს. აქ იგულისხმება სირიის ქალაქები ჰომსი და ჰამა (იხ. Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 96, 183. შდრ. აგრეთვე, Histoire de la Géorgie, I, p. 595, n. 3).

14. აღმოსავლური წყაროებით, მათი სახელებია ყარა-სონყურ და აღუშ აფრამ (პაფუზე-აბრუ. ზეილე-ქამი ათ-თავარხზე რაშიდი. სპარს. ტექსტი. ხ. ბაიანის გამოც. თეირანი, 1939, გვ. 40, 54, შენ. 1; Histoire de la Géorgie, I, p. 599, n. 2).

15. რაშიდ ად-დინთან — „ქალათის ციხე“ (Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 107).

16. ივ. ჯავახიშვილის მიხედვით, „რეჰსა“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 219). ეს კონიექტურა გაზიარებულია ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში (გვ. 285).



17. ამის შემდეგ ფ. გორგიჯანიძე უმატებს: „მაშინ სადუნის შვილი ბულა მოსცეს კელთ მეფესა, დააბატიმრა. და ევეღრა მეფესა ფიცით ერთგულობასა და იაჭა უვნებლობასა. და უსმინა სახვეწარი მეფემან დემეტრემ, მისცა საფიცარი უვნებლობისა და ქვეყანანი მისის მამის ნაქონი, სადუნისა“. — დასახ. ხელნაწერი, ფ. 106ბ—107ა (93ბ—94ა).

18. რაშიდ ად-დინის მიხედვით, იესუ-ბულა, ურუყთუ ნოინის შვილი, ღურბანის ტომს ეკუთვნოდა (Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 22).

19. ფ. გორგიჯანიძის ცნობით, „აიღეს ციხე და დაირჩინეს თავადნი მათნი, ჩიმაქარ და ბაან, მთავარი დარუბანდისა, დაჯოცეს და ქონება და ტყვენი მათნი წამოიღეს და ციხე დაწვეს“. — ფ. 107ბ—108ა (94ბ—95ა).

20. ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავდა, რომ ამირ ბულას დასჯის ამბის გადმოცემისას ყამთაღმწერლის თხზულებაში „რამდენსამე ადგილას აზრის მიმდინარეობას ნახტომები ვმჩნევს ... ცხადი ხდება, რომ აქ შუაში ბევრი რამ უნდა აკლდეს“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 223). თხრობა სრულად შემოუნახავს ფ. გორგიჯანიძეს:

„რა სცნა ხუტულ ბულამ მანკაბურდელმან, რომე მეფის ჯაჭვი ყაენმან გამოართვა, იმან ყაენს სთხოვა და ყაენმან მას უბოძა ჯაჭვი იგი. იწყინა მეფემან, მოვიდა ჩინქაშან ბულასთანა, შესჩივლა ხუტულ ბულას ურჩობისაგან და უმეტესობისაგან, რომ არ დარიდა მეფის ჯაჭვის თხოვნას. რა მეფის საჩივარი გაიგონა ჩინქაშან ბულამან, მოვიდა, ყაენს მოაკსენა. ყაენმან ხუტულ ბულა მეფეს ხელთ მისცა და გაგზავნა საქართველოში პატიმრად. შემოგებევწა მეფესა და შეშინდა და უვნებლობისათვის დმანისი მეფეს უძღვნა. და მეფემ შეიწირა და ფიცით უბრძანა და ნიშანიც უბოძა უვნებლობისა. და სხვანი მოკვლას ურჩევდეს, და არვის დაუჭერა და შეუძლო დანაშაულები, და ტბილის გულით შეიწყალა, მისცა საფიცარი და მეორეთ ნიშანი უვნებლობისა.

გამოიარა შვაზედ მცირედი ხანი და ერთობით ნო[ი]ნები გაუავდენ ჩინქაშან ბულასა, დაუწყეს ბეზლობა სიძარტლისათვის. თავს არ შეიღვა ამისთვის ვითაც, რომე არც თვითონ უზემდა ძალს თემსა და ქვეყანასა, სოფლებსა და ქალაქებსა, და არც ყაენს აქნევიანებდა და ვერცა ნო[ი]ნები უზემდეს მისის შიშითა. ამისათვის გაუავდენ ნო[ი]ნები, აბეზლებდეს ყაენსთანა. სცნა ხუტულ ბულამან, დაივიწყა ფიცი, ძმით მივიდა სამცხეს, მთავარსა ბექასასა. მან ყეთილათ შეიწყალა, ასული მისი ცოლათ მისცა და მზესიძეთ სახლსა მისასა ამყოფა.

მოაკლეს პატივნი ჩინქაშან ბულასა, სცნა ეს ბექამან და გაგზავნა კაცი არლუნ ყაენსთანა და სთხოვა ციხე-ქალაქი ხუტულ ბულასათვის მამის მისის ნაქონი მათი. მოსცეს დმანისი და თელავი, და მეფეს წა[ა]რთვეს ავაქის ნაქონი მამულნი, ისიც ხუტულ ბულას მისცეს. აბეზლ[ე]ბდეს ყაენსთან მეფესა; სთხოვა ათასი ჯორი, სამასი ათასი აქლემი, ჯოგი და ნახირი, ცხვარი; ჯაჭვი და იარაღი სხვაც მრავალი. და ამებს ჩინქაშან ბულის ჯავრით იქმოდეს ამისთვის, რომ ეგების მეფეს დანაშაულებულობა უპო[ო]ქ რამე და საყვედური ჩინქაშან ბულას დაადვენ.

**აკა მეორეთ დაბეზლება ჩინქაშან ბულისა ყაენსთანა  
მეფის მოყვრობისათვის**

ნო[ი]ნებმან მოახსენეს არლუნ ყაენსა, შენი წახდენა უნდაო [ბულას], ყაენათ სხვა უნდა დასვასო. მარტის ათორმეტს იქნება ნავრუზობა და შორ მყოფნი თავადნი იმ დღეობას ყაენის კარს მოვლენ[ი]. ამ დღეს ყაენის ბძანებით ნო[ი]ნები დაესხნენ თავს ჩინქაშან ბულასა, დაიპირეს, თვითან ყაენს მოჰგვარეს და მისი ქონება



და სახლი აუკლეს. გაუქიხთხავად ბრძანა ყაენმან მოკვლა ჩინქაშან ბუღიაშვილს. — დასახ. ხელნაწერი, ფ. 108ა—108ბ (95ა—95ბ). ამ ცნობების შესახებ დაწვრილებით იხ. რ. კიკნაძე. ახალი მასალა XIII საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის. — მაცნე, ისტორიის სერია, 1973, № 2, გვ. 166—169.

21. ივ. ჯავახიშვილი სამართლიანად შენიშნავდა, რომ ამ წინადადებაში ყველადფერი როგზე ვერ არის და ისე გამოდის, თითქოს ბუღია ნოინი მარტის თვეში დასაჯეს სიკვდილით. სინამდვილეში ახალი წლის დადგომა ბუღიასა და მის თანამოაზრეთა მიერ აჯანყების დაწყების დღედ იყო დათქმული (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 223). ფ. გორგიჯანიძეც ადასტურებს, რომ არღუნ-ხანის წინააღმდეგ გამოსვლა შეთქმულებს სწორედ მარტის თვეში უნდა დაეწყათ: „ნო[ი]ნებმან მოახსენეს არღუნ ყაენსა, შენი წახდენა უნდაო [ბუღიას], ყენათ სხვა უნდა დასვასო. მარტის ათორმეტს იქნება ნაგრუზობა და შორ მყოფნი თავადნი იმ დღეობას ყაენის კარზე მოვლენო“. — დასახ. ხელნაწერი, ფ. 108ბ (95ბ). რაშიდ ად-დინის ცნობით, ბუღია ნოინი 1289 წლის იანვარში დასაჯეს სიკვდილით (Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 121).

22. „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებსა და გამოცემებშია „სიუქოლ“. ფ. გორგიჯანიძე აჩვენებს „თუქალს“. რაშიდ ად-დინის მიხედვით, იას-ბუღას მართლაც ჰყოლია ვაჟი, სახელად თუქალი (Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 22).

23. „ასეც ითქვა, — უმატებს ფ. გორგიჯანიძე, — ხოჯა-აზიზ რომ მეფეს მოეკლა, მისი შვილი, იელ ხუტლე, და ხუტულ ბუღია ამისთვის იყვენენ მეფის მტერნი, იელ ხუტლე დედის მშა იყო ხუტულ ბუღიასი, მესისხლობით მტერნი იყვენენ მეფისა“. — ფ. 110ა (97ა).

24. ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში და გამოცემებში წერია „ფლობილად“ („და ვითარ იხილეს ვაზირთა მეფისათა ფლობილად, რქუეს“). „ფლობილი“ ლექსიკონებში განმარტებულია როგორც „შემძლებელი“ (ს. ყაუხჩიშვილი), „უფლებული“ (ი. აბულაძე), რაც არ იძლევა გააზრებულ წაკითხვას. ფ. გორგიჯანიძეს ეს სიტყვა არა აქვს ნახმარი, მაგრამ სამაგიეროდ მისი თხრობა უფრო გასაგებია: „და მოიტანეს ყაენს წინ საპურძლე მეფისა, გაჰკვირდა ყაენს და ცოტას რასმეს დამშვიდდა, გუნება და[ი]წყნარა. აღარ სცევდენ მეფესა და აღარცა ელოდენ წახდენასა. ნახა ვაზირმან მეფე და ასრე მოახსენა“. — ფ. 110ა (97ა). ჟამთააღმწერლის შემდგომი თხრობიდანაც ირკვევა, რომ თავიდან შეპყრობილი მეფე ერთ ხასს გაუთავისუფლებიათ და ხუტულბუღამ რომ დავით VI-ის ძის მეფედ გამოგზავნის თანხმობა მოიტანა დასავლეთ საქართველოდან, მხოლოდ მაშინ დააპატიმრეს ხელახლა.

25. ეს ოთხი სიტყვა თავიდან შეიძლება აშიაზე იყო მიწერილი და იქიდან მოხვდა ტექსტში.

26. ეს სახელი — „ტოლან“ (ტოლნა, ტონლანა) გვხვდება ყველა ნუსხაში. ს. ყაუხჩიშვილის გამოცემაში გამოტოვებულია (გვ. 290). ტოლან ნოინი რაშიდ ად-დინთანაც ხშირად იხსენიება (Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 119—123 и др.).

27. ფ. გორგიჯანიძის ცნობით, დიმიტრი ბარდავს დაუსჯიათ სიკვდილით. მის თხზულებაში გვხვდება ასეთი სათაური: „მოკვლა არღუნ ყაენისაგან მეფის დემეტრესი ბარდას“. — ფ. 110ბ (97ბ).

28. „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებშია „ტაჩარ“, „ტაჩრა“, „ტჩა“, „ტაქარ“, ფ. გორგიჯანიძესთან — „ტაჩირი“. როგორც ჩანს, იგულისხმება ტოლჩარი (თოლჩარი), რომელიც არღუნ-ხანის ერთ-ერთი გავლენიანი ამირი იყო.



29. ს. ყაუხჩიშვილის აზრით, „აქ ტექსტს რამდენიმე სიტყვა უნდა აკლდეს“ (გვ. 291, შენ. 1), მაგრამ ამ ადგილს არ ემჩნევა სიტყვანაკლებობა და აზრიც საესებით გასაგებია.

30. ხელნაწერებსა და გამოცემებშია — „აუწყა მოკვლა დავითისი“, რაც არ შეეფერება სინამდვილეს. ფ. გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ მოსე „მივიდა ტაჩირ ნოინს თანა და შესტირა და მოახსენა, ყაენს სიკვდილი სწადიან ყმაწვილის დავითისაო“. — ფ. 111ა (98ა).

31. ფ. გორგიჯანიძე მის სახელსაც გვატყობინებს: „თავის ხოჯას საღრადინს მიაბარა, რომელიც უკანას საპიბ-ღივანი იქნა“ (ტექსტშია — სეფე მღივანი). — ფ. 111ა (98ა). რაშიდ ად-დინის ცნობით, საღრ ად-დინ ზენჯანი, შემდგომში ილხანთა სახელმწიფოს საპიბ-ღივანი, თოღაჩარის ნაიბი იყო (Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 95).

32. კონიექტურა ემყარება ფ. გორგიჯანიძის ჩვენებას: „აღარ არის მეფე საქართველოშიცა“ — ფ. 111ბ (98ბ).

VI

1. ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში ამის წინ სათაურია: „მესამეოცდაოთხე მეფე ქართლისა ვახტანგ, ძე დავით იმერელ მეფისა, ბაგრატიანი“. რუმინანცვისეულ ნუსხაში სათაურის გასწვრივ აშიაზე მინაწერია: „მეორე ვახტანგ“.

2. ფ. გორგიჯანიძე აქ უმატებს: „და ამ ვახტანგ აიყვანა პატივსა ათაბაგობისასა [და] ამირსპასალარობა ხუტულ ბუღას უბოძა, ორიც საკელო დიდი. და არიგებდა ხუტულ ბუღა საქმეთა სამეფოთა, მაგრამ იყო კაცი ამაყი და აპარტავ[ა]ნი და უმეტესობას მოყვარე, დიდთა საქმეთა შემებდავი. ამისთვის სძულდა სრულ ქართველთა, ნამეტნავად ამისთვის უფრო, რომ მეფის დემეტრეს მოკვლაში ერია“. — ფ. 112 (99ა).

3. რაშიდ ად-დინის ცნობით, არღუნ-ხანი დიდ ხანს ავადმყოფობდა და 1291 წლის 10 მარტს გარდაიცვალა არანში. დაასაფლავეს 12 მარტს (Рашид ад-Дин. Сборник летописей, III, с. 127).

4. მაჩაბლისეულ ნუსხაში აშიაზე შენიშვნაა: „რუსუდა(ნის) შვილის დ(ავით)ის შვილ(ის) იმერეთს (მე)ფობა და ცოტას ხ(ანს) მერმე მიქელ თვა...“

5. ამის შემდეგ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში სათაურია: „მესამეოცდახუთე მეფე ქართლისა დავით, ძე დიმიტრი მეფისა, ბაგრატიანი“. R-ში აშიაზე მიწერილია: „მეოთხე დავით“.

6. ამის შემდეგ „ასწლოვან მატიანეში“ მნიშვნელოვანი ხარვეზია. შესაბამისი ვრცელი ტექსტი, საკმაოდ შერყეულს, რომელიც ბევრ საგულისხმო ცნობას შეიცავს, შემონახული აქვს ფ. გორგიჯანიძეს:

„აქა სუნბატ ბუღა ნამეტნავად გამდიდრებულყო, ვითაც მეფენი იქცეოდა. მრავალი სოფლები და ქვეყანანი მეფის დავითისაგან [მიეღო, ყაენქმანც მისცა. და [მეფე] უფროსიეროს ხანს კარზედ იყვის. ამისათვის სთმობდა საქმესა და ნაქმარსა ხუტულ ბუღისასა. და ურდოს მიმავალი [დავით] უკმოქცა, მივიდა სახლსა და სამეფოსა თავისასა და ვაგზავნა კაცი ყაენსთან, მისწერა თუ, „დავანებე ყოველი სამეფო ჩემი ხუტულ ბუღასა, მოველი ყაენისაგან, რომ ჩემი მეფობა მას უბოძოს და მე მას ვემსახურები“. ამისათვის, რომე ყაენის შიშით ვერა სცვლიდნენ მეფენი ერისთავთა. მიაწია მოციქულმან ყაენს წინ და მოახსენა მეფის დანავედრი სიტყვანი ყაენსა. ხუტულ ბუღა იქ ყოფილიყო და ყაენს საქართველოში გაეგზავნა და სამეფო ყოველი მისთვის მიებარებინა. რა მოვიდა მოციქული მეფისა, გამოგზავნეს კაცი, მოს-



წივეს შამქორსა; ხუტულ ბულა შეიპყრეს, მიიყვანეს ყაენსთანა, და იქ იმეხს, რომ მათი საქმე გაბრჭონ. მივი[ი]და მეფე ბილაღანს და იქ დახვდა ხუტულ ბულა, რომელსაც შეეწ[ი]ოდა ნო[ი]ნი დიდი აღბულა.

რა ნახა ყაენმან მეფე დავით, დიდი პატივი მიაპყრო და მეფემანც მრავალი საქურძლე ძვირფასისა მიართვა: ჭურჭელნი ოქროსა და ვერცხლისანი, სარტყელი იგი ზეით თქმული ძვირფასისა, რომელსაც გაჰკვირდა ყაენი.

გაიარა ცოტა დღენი, იხმეს სამდივნოსა მეფე და ხუტულ ბულა. და აინებს სიტყვის მოქმელათ ბურსელი ხუტულე. მრავალს იტყოდენ [ო]რნივე. სენა აღბულამა ნო[ი]ნმან, რომელი იძლეოდა მას ხუტულ ბულა. ადგა ნო[ი]ნი დივნით, თან წაიტანა ხუტულ ბულა, დაიხსნა იქით. რა სენა ყაენმან, რომ აღბულა ხუტულ ბულას კერძია, თვით მასთან იპყრა აღბულა. აიყარნეს თავრეზობა და სიანქოს მივიდნენ, საღ იყო საღგმური დიდის პალატე-ხანისა, რომელიც სახლათ და პალატათ ჰქონებოდა ქი-ხოსროვ კემწიფესა. იქ იყვენ ორ თვეს და ყაენი ეშურებოდა ხუტულ ბულისა და აღბულის ჯავრის ამოყრასა. ყაენმან სანადიროთ წასვლა მოინდომა; ბრძანა არ წას-ვლა სანადიროსა ხუტულ ბულისა ყაენსთანა.

[ხუტულ ბულამ] ჰკითხა აღბულასა, წავიდეს შორს ადგილსა ნო[ი]ნს ვისმესთანა, რათა ოქრო მოიღოს მისგან. და ერთი მისანდო კაცი გაატანა. დიციცა დრო და გა-პარვით წავიდა საქართველოს ამისთვის, რომ ყაენის რისხვას ელოდა. მის[ი] გაპარ-ვა აღბულას დააბრალეს და, რასაც იმას სთხოვდეს, აღბულას და[ა]ბრალეს და კი-დეცა აზღვევინეს. გაგზავნეს კაცი ხუტულ ბულასთანა, რომ მოიღოს ოქრო, და თან გაატანეს საცელათ ყურუმში. მივიდნენ საქართველოში, რომ საღ იყო საღგმური ნო[ი]ნისა. თქვა ყამან აღბულისამან: უგზოთ რასთვის მივდივართო, რომე შეიპყრა ყაენმან აღბულა. ამის მოქმელს დიცხლავ ჯელუბი შეუყრეს და პირიც აუკრეს. იქნა ღამე, და მართალს გზას არ მიდიოდნენ. უთვრა კაცმან ყურუმშისამან: არ არის გზა ეს საქართველოსით. არ ვიცი, განგებ იქით თუ გზას დამდარჯართო. მე თქვენ-თვის ავი არ მინდო. არ დაუყერეს ნათქვამი. გათენდა, ადგა ქარი მცირე და ვარ-დაპყრა ნისლი, და ნახეს თავიანთ ბარგთან გამოქცეული თათარი ერთი, პყრობილ-თაგან გამოპარული. მივიდა თათრებსთანა, დაიწყო აღბულის კაცების დაჭირვა. და ხუტულ ბულის გაქცევა სამასის კაცითა. ასრე იქნა ხუტულ ბულის წახედვა და აოჯრება მისი, მოაკვდინეს და აიღო ფასი, რაც მას დემეტრე მეფისათვის ექნა. სხვაც აქონდა, რომე ვალს გარდახდა უნდა. ამ ხუტულ ბულასაც ამას წინად ორნივე ძმანი აბულეთიძენი დაეხოცა. ახლა იხმო ყმანი და უთვრა მათ: თუ შევებოთ, ყველას დავგვოცენო, თუ არადა, მართო მე მამკელენო. მაშ, სჯობს, მივსცე თავი ჩემიო და თქვენ მშვიდობით იხსნათო. აღარ გაიძრეს ჯელი. ხუტულ ბულა და ყმანი მისნი შეიპყრნეს თათართა, მიუსხეს ქულათო ყაენსა. უბრძანა მეფესა: აჰა, რომელიც გიქადე, რომ შენ მოგცემო ხუტულ ბულასო. მეფემ თაყვანი სცა და გარეთ გამო-ვიდა.

შეიქნა ღამე, ადგა ყაენი და მივიდა ლაშქრით. იყო ეს ქულათ ყაენი ღვინის მოყვარული, მსუბუქი და ცრუ, მამათა ბოროტი, კაცთაგან საქულველი. ნახა კარ-გეში სანთელი ანთებული. იკითხა, კარავი ვისი არისო? მოახსენეს: ხუტულ ბულას ყმანი არიანო. თავიანთ რჯულის წესით ილოცვიდეს; მსახურთუხუცეს[ი] ხუტულ ბულისა საბასი და ოთარის ხატს ეაჯებოდეს ღამისთევითა და საკმეველითა. ბრძანა გამოყვანა ოთარისა. მოიყვანეს ყაენს წინ. უბრძანა: შენ კაცო, რათ გამოპარე ხუტულ ბულაო! ოთარმან მოახსენა: ისმინე თქმული ჩემიო, ბედნიერ ყაენო. მე გაზდილი ვარ ხუტულ ბულისაგანო; თვით უბრალო არისო, მე ვაგაპარეო. მე ვარ შემცოდო, არათუ ისიო. რა ესმა ყაენს ნათქვამი ოთარის, ბძანა მოკვლა ოთარისა. მოჰკვეთეს თავი. სენა სიკვდილი ოთარისა მეფემან, და სუნბატისა, ეწყინა და შე-ქმნა ტირილი და მოიგონა ნამს[ა]ხური მათი.

და ყაენმან წინ იხმო ხუტულ ბულა და უბრძანა: შენ აღბუღის სიტყვით წამი-  
ხველო? და მან პასუხი არ გასცა. მოსცეს მეფეს დავითს კელთა და უბრძანა მო-  
კვდინება ხუტულ ბუღისა. და ის შემოეხვეწა მეფესა, რომ არ მოჰკლ[ა]ს. მეფემან  
უბრძანა: არ მინდა მოკვლა შენით, მაგრამ ბრძანება გამოსულა ყაენისათ, თუ არადა,  
მეწყალვით სიმხნისა და სიკაბუჯისათვისო. გაუწყდა ღონე [ხუტლუბულას], ილოცა  
და ეზიარ[ა]. და თვითან მეფემ შემოჰკრა კმალი და ორად გაჰკვეთა. დაილია საქმე  
ხუტულ ბუღისა. შვილი არა ჰყვანდა, სამი ძმა დარჩნეს. უბრძანა [მეფემ] წადება  
თავიანთ სასაფლაოსა, მიიტანეს გესამ[ა]ნიას და ოთარი — სამცხეს.

ოცთა ხანს უკან ყაენმან მეფე გაისტუმრა და ყოველი ნაქონი ხუტულ ბუღისი  
მეფეს მისცა, და მოვიდა ღმანისს და არიგებდა საქართველოსა.

ამ ყამს მოვიდნენ ქართლსა დიდნი ნო[ი]ნებნი თუქალ და ყონჩიბალი, რომ  
დასთვალოს საქართველო. სცნა მეფემ მოსვლა მათი პერეთს, წინ მიეგება, რომლი-  
სათვის დიდად მადრიელნი იყვნენ ნო[ი]ნები. და მოვიდნენ ქართლსა, რომე დას-  
თვალონ ქვეყანანი საქართველოსანი. ამ დროს იმერეთით ანბავი მოუვიდა, რომ  
წამოვიდა ლაშქარნი აფხაზეთისა თქვენად საბრძოლათო. სწრაფათ აიყარნენ და  
თრიალეთ[ს] ავიდნეს [ამ] აქმებით. ღმერთმან დაიხსნა ქვეყანა.

და შემდგომად მეფე წავიდა ურდოსა, ყაენს წინ მივიდა ბილალანს. იხილა ყაენ-  
მან მეფე, იამა და გაიჯარა და დიდი პატივი სცა. მოახსენეს: უკუგიდგა თუქალით,  
ლაღლით მოკვლა სწადიან თქვენიო, რომ ყაენათ მოიყვანოს ბიძაშენი ბაიდუქ.  
მაშინ უბრძანა ყაენმან მეფეს დავითს: ვიცით, რომ გაქვს ჩემი სიყვარულით, ვითაც  
რომე მიყვარხარო და ამოვაგდე მტერი შენით, საცა იყვნენო. აწე შენც სწრაფად  
მიდი სამეფოსა თქვენსაო, თქვენის ლაშქრით აღრე მამეშველეო, რომ მინდა მივიდე  
ორგულსა და უკუდგომილს თუქალს ზედანო. ფიცხლავ რა მოვიდა, ლაშქარი შემო-  
ყარა [დავითმა] და აღრე მოვიდა ქულათის ყაენს წინაშე. მაგრამ თუქალმან დაასწრო,  
დაესხა ქულათის ყაენს თავსა და დაიჭირა, თავსაკრავით და[ა]ჩრიო. ნო[ი]ნი იგი დი-  
დი მო[ა]კვდინა აღბულა ყონჩიბალმა და აღინაყის შვილი ბულაც. გაგზავნეს კაცი  
ბაიდუქს წინ, რომელიც იყო ჰალაქუ-ხანის შვილი, აბლას ძმა უმცროსი, რომელიც  
ქრისტიან შექმნილიყო, ნ[ე]სტორიანთ რჯული დაეჭირა.

### აქა თუქალი დაესხა ქულათის ყაენსა, დაიჭირა, და[ა]ჩრი და ბიძამისი ბაიდუქან ყაენათ დასვა

შიართვეს ტახტი და საყაენო მორთულობა და ქონება, გაუგზავნეს ელჩი მეფეს  
დავითს და დაუმადლეს, რომ არ დახვდა ქულათის სიკვდილსა. მწლის წყალობით  
დაფარული იქნა მეფე და სპანი მეფისანი. თუ დასწრებოდნენ, ქართველთ საქმე  
წამხდარი იყო.

მოვიდა მაწვეველი თუქალისა. წავიდა მეფე თუქალსთანა, რომელიც ართაჰნის  
მთას იდგა. იხილა თ[უ]ქალმან მეფე დავითი, დიდი პატივი სცა, შეჰფიცეს ერთმან-  
ერთსა სიყვარულისათვის, და[ა]მტკიცეს ფიცი ერთობისა; თავისი და მოსცა, რა-  
მელიც ედგა ხუტულ ბულასა ძმისა მანგასარს. მანც მეფეს თავისი და მოსცა, და  
წამოვიდა შინ. — დასახ. ხელნაწერი, ფ. 114ა—116ა (101ა—103ა).

ამ ცნობათა შესახებ დაწვრილებით იხ. რ. კიკნაძე. ახალი მასალა XIII  
საუკუნის მეორე ნახევრის საქართველოს ისტორიისათვის.

7. ყველა ნუსხაში და გამოცემაშია „ყაენ (ყან, ყან) თუქალისი“, რაც აშკარა  
შეცდომაა. თუქალი ერთ-ერთი მონღოლი ნოინი იყო, არღუნ-ხანის სიმე. ყაენი  
ჰქონია თუქალი ვახუშტისაც.

8. ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, თუქალი „ართაპნის მთას იდგა“ (103ა).

9. ფ. გორგიჯანიძე მოგვითხრობს, რომ დავითმა და თუქალმა „შეპფიცეს ერთმანერთსა სიყვარულისათვის, და[ა]პტკიცეს ფიცი ერთობისა; თაყასა და მოსცა, რომელიც ედგა ხუტულ ბუღასა ძმასა მანგასარს. მანც მეფეს თავისი და მოსცა, და წამოვიდა შინ“. — ფ. 116ა (103ა).

10. ყველა ხელნაწერსა და გამოცემაშია „ხუტულბუღა“, რაც შეტელომაა. იგულისხმება ყუთლულშაპ ნოინი, ყაზან-ხანის ერთ-ერთი გავლენიანი ამირი.

11. მარიამისეულ ნუსხაში აშიაზე მიწერილია (ე. თაყაიშვილის განსაზღვრით, ვახტანგ VI-ის ხელით): „იდიარბაგანი თავრეზი არისო“. მარბაღისეულ ნუსხაში: „იდიარბაგანი თავრეზია“.

12. ხელნაწერებშია „ბუღდის“, „ბულდის“, „ბაიდოსა“. ტექსტის გამოცემებშია ამჟობინეს მცდარი „ბაიდოსა“, მიუხედავად იმისა, რომ თვითონ უამთაღმწერლისავე ცნობით, ბაიდუ ყაზანმა მოაკვლევინა, თუქალმა კი მოკლა ყურუმჩის ძმა ბულა. ფ. გორგიჯანიძეც ადასტურებს, რომ თუქალი „მოკლეს ბულას (ხელნაწერში: ბულათა — რ. კ.), მისის (ე. ი. ყურუმჩის — რ. კ.) ძმის სიკვდილის მიგვიერთა“. — ფ. 116ბ (103ბ).

13. ფ. გორგიჯანიძე აქ უმატებს: „ფარეჯან ოსი მამკვდარიყო და ატენი მეფეს დავითს ეპირა“. — ფ. 117ა (104ა).

14. ფ. გორგიჯანიძის მიხედვით, სამადავლა შაქისის ერისთავი იყო. — ფ. 117ბ (104ბ).

15. „პიდასი“ (როგორც ვარაუდობენ, პეგასი, ფროთოსანი რაში) ამ კონტექსტში უადგილო და გაუგებარია. სწორი ჩანს მოსაზრება იმის შესახებ, რომ შეიძლება იგულისხმებოდეს პიროსი, აქილეუსის ვაჟის, ნეობტოლემეოსის, მეორე სახელი (ო. ნიშნისანიძე. ანტიკური სამყარო ქართულ შუასაუკუნოვან ისტორიოგრაფიაში. საკანდ. დისერტაცია. თბ., 1987, გვ. 131—132).

16. ფ. გორგიჯანიძეს ამის შემდეგ აქვს დამატებითი თხრობა, სადაც საყურადღებო ცნობები მოიპოვება ერისთავ სამადავლას შესახებ (ტექსტი მოგვაქვს უცვლელად, ავტოგრაფული ხელნაწერის მიხედვით): „დაუტევა ტალიმანიძე ვაჩინ და ვაჩინაძე ივანე, ჰიაურელის შვილი. სამადავლე უკანის მივიდა მეფეს წინ ექვსის კაცითა, დააყენა ჟინოანის მცველათ. სენა ტალიმანიძემ ვაჩინ ახლოს დგომა სამადავლესი, დაუწყო ვაჩინაძეს ივანეს, რომე ძველითგან მტერნი იყვნენ სამადავლე და ვაჩინაძე. წავიდა სამადავლეს საღალატოთ, ეწადა მოკვლა მისი. თან წაიტანა ტალიმანის ძე ვაჩინ, რომ ის იყო გაძრახებული სამადავლეს მოსაკლავათ. დაესხნეს ღამით მძინარესა, სამლო-სამამაცო კარგის ზნითა გათაყებული [სამადავლე] მოკლეს და ვაჩინაძე გარდისხვეწეს (ხელნაწერში: ვაჩინაძე მოკლეს და გარდისხვეწეს — რ. კ.) და ტალიმანიძე იქვე დადგა. მოახსენეს მეფესა მოკვლა სამადავლესი, ნამეტნავად ეწყინა, ასტირდა, წვერ-ულვაში გაიგლიჯა. მოვიდა, ნახა უპატიოთ შვენიარება მისი მიწაზე მდებარი, ეძება ვაჩინაძე და ვერ იპოვნა, გაპარულიყო. შესთვალა ტალიმანიძესა მოთრევა კარსა მისასა, რომ მისის ქნილობით მოეკლათ. მისცეს ტალიმანისძე (ხელნაწერში: ტალიმანის ძესა. — რ. კ.) კელთა მესისხლეთა, წაიყვანეს ადგილსა მასა, საცა სამადავლე მოეკლათ, ისიც იქ მოკლეს. ნაქმნარნი მისნი გარდაცა ქედსა მათსა.“

საცა რამე იყო სამეფო, ყველა ხეცა და ხადას აზიდეს, და არაგვი და ქსქანი ჩახერგეს, გაქმავრა გუდამაყარი“. — . 117ბ (104ბ).

17. ხელნაწერებსა და გამოცემებშია გაუგებარი გამოთქმა — „მისცეს სამეფო მისი“. ჩვენი კონიექტურა („დაიკვას“) ემყარება ფ. გორგიჯანიძის ჩვენებას: „მეფე შინ იყოს და სტოს სამეფო მისი“. — ფ. 118ბ (105ბ).

18. ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში ამის შემდეგ სათაურია: „მესამეოც-დაექუსე მეფე ქართლისა გიორგი, ძე დიმიტრი მეფისა და ძმა დავით მეფისა, ბაგრატიანი“.

19. ფ. გორგიჯანიძე უმატებს: „და გველეთ[ი] მტერთაგან უძლეველია“. — ფ. 119ა (106ა).

20. ვახტანგისეული რედაქციის ნუსხები უმატებენ — „მუნ“, ფ. გორგიჯანიძე კი განმარტავს: „და შანუე პირველვე იყო ვახტანგის მეფობის მდომელი“. — ფ. 120ბ (107ბ)

21. ამის წინ ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში სათაურია: „მესამეოცდაშვიდე მეფე ქართლისა ვახტანგ, ძე დიმიტრი მეფისა და ძმა დავით მეფისა და გიორგი მეფისა, ბაგრატიანი“.

22. ფ. გორგიჯანიძე უმატებს: „ხუთს წლამდისინ, ვინც მიაღვა კარსა, ყველას საყოფი საქმელი მისცა. ხუთს წელს არც მოვიდა წვიმა და არცა თოვლი, ქვენი და ფრონი და დიდროანი წყალნი დაშრნეს, ზენი დახმნენ, ბალახი აღარ ამოვიდა, სი-დამდისინ კუდიანი მასკვლავი იხილებოდა ჩრდილოეთისაკენ. რა მასკვლავი გაქრა, მაწყინარი ყოველთა, მოვიდა თოვლი და წვიმა, ამოიზიდნა იძვრისმან, ღონეს მოვიდნენ სულიერნი, ფეკით მავალნი და ფრინავნი. იხსნა ღმერთმან გაჩენილნი მისნი ამ რისხვისაგან“. — ფ. 121ბ (108ბ).

23. ამის შემდეგ MTm (აგრეთვე ჯანაშვილისეულ და ქალაშვილისეულ) ნუსხებში ტექსტი ნაკლულია. შესაბამისი ნაწყვეტი დაცულია ბარათაშვილისეულ, ფალავანიშვილისეულ, დადიანისეულ და სხვიტორულ (bdps) ნუსხებში.

24. სამწუხაროდ, ტექსტიდან არ ჩანს, კერძოდ ვინ გამოგზავნა სპერიდან მოცი-ქული და ვინ მოიხსენიებს თავის — აქ პირველ პირში.

25. აქ მთავრდება „ქართლის ცხოვრების“ ტექსტი რუმინანციევისეულ ნუსხაში.

26. ამის შემდეგ კვლავ გრძელდება ტექსტი MTm ნუსხებში (იხ. შენიშვნა 23).

27. ამის შემდეგ ტექსტი ნაკლულია MTm, აგრეთვე Dc ნუსხებში.

28. ამის შემდეგ კვლავ გრძელდება ტექსტი MTm ნუსხებში.

29. ეს წინადადება სათაურის მსგავსად არის გამოყოფილი ყველა ნუსხაში. ამის შემდეგ მარიამისეულ ნუსხაში ჩართულია: „ღმერთო, დაიცევ ორსავე ცხოვრებასა შინა დედოფალთა დედოფალი მარიამ და ძე მისი პირშვი ოტია“.

30. მარიამისეული ნუსხის ბოლო ფურცელი ძლიერ დაზიანებულია და ტექსტის მხოლოდ დრამენტივია შემორჩენილი.

31. ტექსტის ამ ადგილის შესახებ დაწვრილებით იხ. რ. კვიციანიძე, ეამთაღ-მწერლის თხზულების ერთი ადგილის დაზუსტებისათვის. — მაცნე, ისტორიის ხე-რია, 1977, № 4.

32. ყველა ხელნაწერშია „სულ“. ამ ქალაქის სახელწოდების აღდგენის შესახებ იხ. რ. კვიციანიძე, ყორღოილანგი — სულ — სულთანიე.

33. თეიმურაზისეულ ნუსხაში ამის შემდეგ წერია: „არსებითად და დაუსაბამოსა ღმრთისათა მამისა, ძისა და სულისა წმიდისათა შ“.

ზოგიერთი ალმოსავლური სიტყვის განმარტება\*

არქუანი („არა მეცნიერ იყო ნათესავსა ქართველთასა, თვნიერ არქუანთა“. — გვ. 105. „ქართველთასა“ ძველი რედაქციის ნუსხების ჩვენებაა. ვახტანგისეული რედაქციის ნუსხებში და გამოცემებშია „ნათესავსა ქრისტიანეთასა“, რაც, ჩვენი აზრით, მთლად გასაგები არ არის. „ნათესავი“ ჩამომავლობის, მოდგმის, გვარ-ტომობის აღმნიშვნელია, ხოლო „სჯული“ სარწმუნოებისა. ფ. გორგიჯანიძის ცნობით, ჰულაგუ-ხანი „უმეცარი იყო ქრისტიანთა“. — დასახ. ხელნაწერი, ფ. 73ა (60ა). „არქუანი“ (არხაუნი) ქრისტიანების მონღოლური სახელწოდებაა (B. B. Бартольд. Сочинения, т. IV. М.-Л., 1966, с. 371—372).

ბადური („აჩინა მკედართმთავრად თოდან ვინმე ბადური“. — გვ. 159; „აჩინა საათა უხუცესად სირმონ-ბადური“. — გვ. 165). „ბალათური“ ან „ბაადური“ (მამაცი, გულადი, გაბედული, გმირი) მონღოლ დიდებულთა საპატიო წოდება იყო. ეჯანი („უმცირესი ულო, რომელსა ეჯანობითცა უწოდდეს“. — გვ. 102). მ. ბროსემ ეს ტერმინი, რომელიც დამახინჯებულად არის მოტანილი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში და, შესაბამისად, გამოცემებსა და თარგმანებში, უმართებულად ირანის მონღოლ გამგებელთა ტიტულს „ილხანს“ დაუკავშირა (Histoire de la Géorgie, I, p. 539, n. 1). როგორც ვნახეთ, ქამთაღმწერელს ჰულაგუ მანგუ ყაენის უმცროს შვილად მიაჩნია, რაც იძლევა გასაღებს ამ ტერმინის ასახსნელად (უკვე აღნიშნული გვქონდა, რომ მანგუ, ყუბილაი და ჰულაგუ ძმები იყვნენ, ჩინგიზ-ხანის უმცროსი ვაჟის, თულის შვილები. თანაც ჰულაგუ არ ყოფილა უმცროსი ვაჟი, თუმცა ჩამოთვლილ სამ ძმაში კი უმცროსი იყო). ძველი მონღოლური ადათწესების მიხედვით, უმცროსი ვაჟი მამის ძირითადი ქონების მემკვიდრე იყო, მას ოჯახის კერის დაცვა ევალებოდა და ამის გამო ეწოდებოდა „ოღჩიგინ“ — ცეცხლის მცველი, ან „ეჯენ“ — პატრონი, მეფე, ვ. В. Владимирцов. Общественный строй монголов. Л., 1934, с. 49, 54—აა; რ. კიკნაძე. რამდენიმე აღმოსავლური ტერმინი ქამთაღმწერლის თხზულებაში. — აღმოსავლური ფილოლოგია, III. თბ., 1973, გვ. 84—86).

თამაჩი („რამეთუ პირველ ამათ თამაჩთა ნონინთა ოთხთა მიერ განეგებოდა ქუეყანა საბრძანებელის მათისა“. — გვ. 104; „და შეკრბეს ორნივე თათარნი, პირველ მოსრულნი, რომელთა თამაჩობით უწოდეს, და ულო ყაენს თანა მოსრულნი“. — გვ. 103). ეს ტერმინი „ქართლის ცხოვრების“ ნუსხებში და გამოცემებში

\* შესავალში აღნიშნული გვქონდა, რომ მონღოლთა ბატონობის დამყარებას თან მოჰყვა არაერთი უცნობი ცნება-ტერმინის შემოსვლა, რამაც ქამთაღმწერლის ლექსიკაშიც პოვა ასახვა. ქართველი ისტორიკოსი გრძნობს, რომ აუცილებელია ამ ახალი ტერმინების მკითხველისათვის ახსნა და მათ დიდ ნაწილს თვითონვე განმარტავს საკმაოდ მარჯვედ. ჩვენ საჭიროდ არ ჩავთვალეთ ისეთი ტერმინების ხელახლა განმარტება, რომლებიც ქამთაღმწერელს აქვს ასხნილი, აგრეთვე ისეთებისაც, რომლებიც ქართული ენის განმარტებით ლექსიკონშია შესული.



დამახინჯებულია. მ. ბროსემ შენიშნა კავშირი ხელნაწერებში მოხსენიებულ „თამა“-სა და „თამჩა“-ს შორის, მაგრამ მანვე შერყენილი „თუმოჩიანი“ დაუკავშირა „თუმანჩის“ — ათიათასისთავს (*Histoire de la Géorgie, I, p. 540, n. 2*) ივ. ჯავახიშვილმა გამოთქვა ვარაუდი, რომ აქ იგულისხმებოდა „თაიხუთა ნოინი“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III. თბ., 1966, გვ. 94—95). მაგრამ მონღოლთა შორის „თაიჯის“ წოდებულებას მხოლოდ ჩინგიზ-ხანის საგვარეულოს წევრები ატარებდნენ (Б. Я. Владимирцов. Общественный строй монголов, с. 143). უგედევი ყაენის მიერ დასავლეთში სალაშქროდ გამოგზავნილ რაზმებს წყაროებში „თამა“ ეწოდებათ. ვ. ბარტოლდის აზრით, „თამა“ იხმარებოდა იმ რაზმების მიმართ, რომლებიც ადრევე გაიგზავნენ დასავლეთში დამორჩილებული ქვეყნების დასაპყრობად და დასაცავად, ხოლო „თამაჩი“ აღნიშნავდა იმ მებრძობებს, ვისაც თამას სამსახური, ე. ი. დაცვა, ევალებოდა. იგივე სახელწოდება გრცელდებოდა მაღალი რანგის მოხელეებზეც (В. В. Бартольд. Сочинения, т. I. М.-Л., 1963, с. 534; რ. კვიციანიძე. რამდენიმე აღმოსავლური ტერმინის გამოთარგმნების თხზულებაში, გვ. 86—89).

თებ-თენგრი („გამოჩნდა კაცი ვინმე საყვრელი, რომელსა თებ-თენგრობით უქმობდეს“. — გვ. 48). „თებ-თენგრი“ (უმალესი ღვთაება) წოდება იყო შამანისა, რომელსაც სახელად ქოქჩიუ ერქვა. ჯუვეინის ცნობით, „ამ ღრის გამოჩნდა კაცი ერთი ... [რომელიც] ამბობდა: „ღმერთი მესაუბრა და მიხარა, მთელი ქვეყანა თემურჩინისა და მისი შვილებისათვის მიმიცია, და სახელად ჩინგიზ-ხანი უწოდა. უთხარი მას, როგორ იმბრძანებლოს სამართლიანად“. იმ კაცს თებ-თენგრი ერქვა“ (რ. კვიციანიძე. გამოთარგმნების სპარსული წყაროები. ჯუვეინი. — ქვეყანისურ-ახლადმოსავლური კრებული, II. თბ., 1962, გვ. 78; Рашид ад-Дин. Сборник летописей. I, 1, с. 167—168; I, 2, с. 150).

მულიდი („მუდ წელ განგრძელდა ბრძოლა აღმუთისი, რომელნი არიან კაცისმკლველნი მიპარვითა, რომელთა მულიდად უწოდიან“. — გვ. 91). არაბ. „მულიდი“ (მრ. რ. მალაჰიდა) — ურწმუნო, ერტყოსი. ეს ტერმინი მეტწილად იხმარებოდა ისლამიტთა სექტის წევრების მიმართ, რომელთაც ირანში შექმნილი ჰქონდათ თავიანთი სახელმწიფო (1090—1256), ცენტრით აღამუთის ციხეში. მათი ბრძოლის მთავარი იარაღი იყო პოლიტიკური მკვლელობა (И. П. Петрушевский. Ислам в Иране в VII—XV веках. Л., 1966, с. 298).

ნასრანი („ეპისკოპოზი მარადისა ქალაქისა, ნათესავეთ და სარწმუნოებით ნასრანი“. — გვ. 193). „ნასრანი“ (არაბ.) — ქრისტიანი.

რინდი („წარიყუანეს რინდთა თანა, რათა მუნ განიძღონ სიბილწე თვისი. ხოლო რინდნი, მეფისა მისლვისა არამგონებელნი და ღვნით უცნობოქმნილნი, ზედამოეტევნეს მგუემელნი ძლიერად“. — გვ. 41). სპარს. „რინდ“ (მრ. რ. როსუდ) — მოქიფე, ლოთი, თადლითი. შუა საუკუნეებში რინდებს უწოდებდნენ თავის თავს ქალაქის ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომლებიც ცდილობდნენ დაპირისპირებოდნენ ოფიციალური სუფიზმის დოგმებს (Хафиз. Сто семнадцать газелей. М., 1981, с. 177). არსებობს აგრეთვე შეხედულება, რომ რინდები სუფიური მოძღვრების მიმდევრები იყვნენ, და ხაზგასმულია ამ ტერმინის სოციალური შინაარსი და მნიშვნელობა (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III. თბ., 1966, გვ. 33—34; ვ. გაბაშვილი. ქალაქ თბილისის სოციალური ისტორიიდან (გამოთარგმნების ერთი ცნობის განმარტება). — ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ქალაქების ისტორიიდან, I. თბ., 1966, გვ. 134—141; მისივე. მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიური ისტორიის მასალები გამოთარგმნებისათვის, I. თბ., 1966, გვ. 134—141).





აღმწერლის თხზულებაში. — მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-ეკონომიკური ისტორიის ნარკვევები. თბ., 1968, გვ. 35—37).

საპიბ-დივანი („დიდისა საპიბ-დივანისა ხოჯა შამსადინისა ძმა“. — გვ. 66). — სახელმწიფო ფინანსების გამგებელი მოხელე, ფინანსთა მინისტრი. ცნობაში იგულისხმებიან ილხანთა სახელმწიფოს ვაზირი შამს ად-დინ ჯუვეინი და მისი ძმა, ისტორიკოსი ათა მალიქი. ჯუვეინიების გვარის წარმომადგენლები კარგი ფინანსისტები იყვნენ და ხშირად ასრულებდნენ საპიბ-დივანის მოვალეობას (რ. კიკნაძე. ეამთაღმწერლის სპარსული წყაროები, გვ. 131).

ტამლა („თუ სამზარეულოსა მეფისასა ცხოვარი, გინა კრავი ისყიდებოდის, მას ზედანცა ხარაჯა წაუღიან, რომელსა-იგი ტამლად უწოდდეს“. — გვ. 121). „თამლა“, „ტამლა“ (დალი, დამლა, ბეჭედი) მონღოლთა მიერ შემოღებული ვაჭრობაზე დაწესებული სახელმწიფო გადასახადი იყო, რომელიც დამპყრობელთა ხაზინის ერთ-ერთ მთავარ წყაროს შეადგენდა. თბილისში თამლა, როგორც ეამთაღმწერლის ცნობიდან ჩანს, გაყიდული საქონლის ღირებულების 3%-ს შეადგენდა (დაწვრ. იხ. რ. კიკნაძე. თამლა ილხანთა სახელმწიფოში. — აღმოსავლური კრებული, I. თბ., 1960).

ყურულთა („წელიწადსა შინა ერთხელ ოქოთასას მივიდოდენ ძმანი მისნი ყურულთისა საქნელად“. — გვ. 66). მონღ. „ყურულთაი“, „ხურულთაი“ (ხურილთაი) — მონღოლთა მომთაბარე არისტოკრატიის საკრებულო საბჭო, რომელშიც მონაწილეობდნენ გვარების მეთაურები და წარჩინებული პირები (Б. Я. Владимирцов. Общественный строй монголов, с. 79; ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III. — თხზულებანი, III. თბ., 1982, გვ. 32—33).

შანა („მცველნი ქალაქისანი დაუდგინნეს, რომელთა შანად უწოდდეს სიტყვათა მათითა“. — გვ. 73). შანე — მონღოლთა მიერ დაპყრობილ ქალაქებსა და ოლქებში დანიშნული სამხედრო გამგებელი, რომელსაც მცირერიცხოვანი რაზმი ახლდა თან (იხ. რ. კიკნაძე. ქალაქები ილხანთა ირანში. — წიგნში: ნარკვევები მახლობელი აღმოსავლეთის ისტორიიდან. თბ., 1957, გვ. 196). შანეს ინსტიტუტი მონღოლთა შემოსევების წინარე ხანაშიც არსებობდა მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებში.

ჩალიში („ყოველთა დღეთა გამოვიდიან ქალაქის კარსა ბრძოლად ჩალიშად“. — გვ. 39; „უმრავლესთა დღეთა გამოვიდიან ჩალიშად და ესრეთ იბრძოდიან, სადა-იგიცა ძლიერი და სახელოვანი ჩალიშობა გარდაიჯადეს“. — გვ. 77—78). ეს ტერმინი დამახინჯებულია „ქართლის ცხოვრების“ ხელნაწერებსა და გამოცემებში (ჩალიბი, ჩალისი, ჩლისი, ჩალიბობა ...). ამის გამო ზოგჯერ მას უმართებულოდ უკავშირებენ თურქულ „ჩელების“ (ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია, III, გვ. 11; ვ. გაბაშვილი. საქართველო და თურქული სამყარო XI—XII საუკუნეებში. — აღმოსავლური ფილოლოგია, III. თბ., 1973, გვ. 95—96). თურქ. „ჩალიშ“ ნიშნავს ხელჩართულ ბრძოლას, ხმალდახმალ შეტაკებას (იხ. ვ. სტეფნაძე. „ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ერთი ადგილის განმარტებისათვის. — ქართული წყაროთმცოდნეობა, III. თბ., 1971).

ჩინქიშანი (დიმიტრი მეფეს „თანაშეეწეოდა ნოინი დიდი ბულა, რომელსა პატივად ჩინქიშანობა მისცა ყაენმან, რომელი ყოველთა პატივთა უმეტეს არს“. — გვ. 177). ეს ტერმინი ხელნაწერებსა და გამოცემებში დამახინჯებულია და სრულიად გაუგებარია (ჩინგი ყაენობა). იგულისხმება „ჩინგსანგის“ ტიტული, რომელიც უმაღლესი სამოხელეო წოდება იყო მონღოლთა სახელმწიფოში. ეს ტიტული ბულა ნოინს 1286 წელს მიანიჭა ყუბილაი ყაენმა (რ. კიკნაძე. რამდენიმე აღმოსავლური ტერმინი ეამთაღმწერლის თხზულებაში, გვ. 89—91).



ჯ ი მ რ ი („ულმართო იგი კრებული ჯიმრთა შეკრბა და, ხადაცა პოებდეს  
თველსა, ერთსა გინა ორსა, მოკლვიდიან“. — გვ. 175). „ჯიმრი“ (მრ. რ. აჯამირე)  
ნიშნავს მდაბიოს, დაბალი წრის ადამიანს. 1277 წელს მცირე აზიაში მოხდა მომთა-  
ბარეთა და გლეხების დიდი აჯანყება ჯიმრის მეთაურობით (ზოგჯერ ეს ტერმინი  
საკუთარ სახელად მიაჩნიათ). როგორც ჩანს, ჟამთააღმწერელს მხედველობაში აქვს  
აჯანყებულთა რაზმი, რომელიც ხორასანში მოქმედებდა და მიუვალ ადგილებს  
აფარებდა თავს (იხ. ვ. გაბაშვილი. მახლობელი აღმოსავლეთის სოციალურ-  
ეკონომიური ისტორიის მასალები ჟამთააღმწერლის თხზულებაში, გვ. 44).

## «СТОЛЕТНЯЯ ЛЕТОПИСЬ» ГРУЗИНСКОГО АНОНИМНОГО ИСТОРИКА XIV ВЕКА

### Резюме

Древнюю часть грузинского средневекового летописного свода «Картлис цховреба» завершает сочинение анонимного автора, повествующее о событиях истории Грузии и соседних стран со времени восшествия на престол Георгия IV Лаши (1207—1222) до 1317 года.

Автор указанной части свода, как полагают, был духовным лицом, родом из провинции Месхети (Юго-западная Грузия), и современником Георгия V Блестательного (1314—1346), по поручению которого, видимо, и составил свое сочинение во второй четверти XIV в. специально для «Картлис цховреба», в виде продолжения «Истории и восхваления венценосцев» первого историка царицы Тамар.

Сочинение анонимного автора, так же как и подавляющая часть произведений «Картлис цховреба», не озаглавлено в списках свода. В качестве условного его названия в современной грузинской историографии принято предложенное Ф. Д. Жордания название «Столетняя летопись».

Нашествие многочисленных орд кочевых монголов в начале XIII века произвело сильное впечатление во всем тогдашнем мире, и уже во второй пол. XIII—XIV вв. в разных странах, на арабском, персидском, армянском, грузинском, русском, латинском языках были созданы труды, описывающие тяжелые последствия этого ужасного события. Монгольское владычество отрицательно отразилось на культурном развитии многих передовых народов средневекового мира, но не смогло остановить его. Наоборот, как раз в этот тяжелый период на разных языках созданы замечательные исторические произведения, правдиво отобразившие трагические последствия монгольского ига. В этой обширной историографии почетное место занимает «Столетняя летопись» грузинского анонимного историка. Его интересует история не только своей родной страны, но и других ближних и дальних народов, о которых он сообщает заслуживающие внимания сведения.

Анонимный историк XIV в. образованный человек. Он владеет греческим и восточными языками, хорошо знаком с древнегреческой и византийской письменностью, с восточной, в частности, персидской и арабской историографией, разбирается в истории древнего мира и современных ему народов.

Основой мировоззрения анонимного историка является христианская религия, его мышление характеризует провиденциализм, он верит в чудеса. Но вместе с этим аноним владеет определенными навыками в области теории исторического знания, использует традиционный опыт своих предшественников и летописцев соседних народов. На основе обобщения этого опыта у него выработалось мнение, согласно которому история должна служить истине. Он же призывал к объективности и беспристрастности в описании и оценке исторических событий (другое дело, что ему, конечно, не всегда удавалось строго придерживаться своих же теоретических взглядов).

Анонимный историк стремится к выявлению и объяснению причин различных явлений. В этом отношении особенно следует отметить его отношение к нашествию и господству монголов, первопричину которых летописец видел в беспечности и развратности царского двора, в вырождении духовенства.

Особое внимание уделяет аноним проблеме человеческой характеристики, как отдельных личностей, так групп людей и целых народов. Заинтересованность летописца душевными качествами человека в обстановке произвола, своеволия и беззакония, царивших в эпоху монгольского владычества, выглядит вполне естественной и закономерной. Здесь наш автор также старается соблюдать объективность, не замалчивая недостатки грузинских царей и отмечая некоторые достоинства завоевателей.

«Столетняя летопись» одно цельное произведение, написанное одним автором по заранее обдуманному плану. Об этом свидетельствуют многочисленные внутренние связи сочинения, неоднократные ссылки автора на уже описанные события, его же обещания, что такие-то вопросы будут затронуты ниже, и т. д. Все эти компоненты придают сочинению композиционную целостность и характеризуют его автора как высокообразованного, вдумчивого, опытного историка.

